ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

7
1987

30
წლისაა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

360
გამოცემის ოცდამეათე წელი

7

ივლისი
1987
თბილისი

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

„ცისკარი“ — 30

3 გამოგვლილი და გასაგლელი გზა

პროზა და პოეზია

6. თეენგიზ ჩალაუარი — ...და არ იყო ჩვენს ზორის გმირი. რომანი. გაგრძელება.
41. მამუკა ფიკლაური — ნისლა და ღვინა. ათილას ტირილი. ლექსი
43. ჯაბაჯი ფხოფელი — ლექსები
45. დავით მეფლლური — ჩვენი ფიქრები. ლექსი
46. მანანა ამირეჯიბი — სადაც არ უნდა წაბვიდე. მოთხრობა. |დასასრული.
64. ნინო დარგაბილელი — ლექსები
66. ზურაბ სამადაფელი — ლექსები
69. მამუკა ფოლიძე — მზის ამოსვლა. მოთხრობა
73. ავთანდილ გურგენიძე — ლექსები
74. ბადრი ქუთათელაძე — ლექსები
75. მზია ჩხეტიანი — ლექსები
77. ნესტან ველთაური — ლექსები
79. მურად ფანტერია — მოთხრობები
88. ჯულიეტა მილდიანი — ლექსები
90. ეფირა მამედოვი — ლექსები
91. ია ზა თანდილავა — ლექსები
92. ლევან ანანიძე — ლექსები
93. დათო ახობაძე — ნადირობა. მოთხრობა

ახალი თარგმანები

100. რაინერ მარია რილკე — სამი ლექსი ციკლიდან: სარკის ანარეკლები. გერმანულიდან თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა

დიდი ოქტომბერი — 70

107. გურამ გვერდწითელი — გმირი და დრო. გაგრძელება

გარდაქმნა დროის მოთხოვნაა

117. თეიმო ბეკეფელი — ბულწარფელი სიმართლის მოლოდინი

ვახტანგ ფელიძე — 70

124. თამაზ ბიგილური — ბატონი ვახტანგ ფელიძე

წერილები

129. ხვთისო ზარიძე — იაკობიდან რუსთველამდე
135. ანზორ გვენეთაძე — კულტურული რევოლუცია და საქართველოს კოგაკაფშირი
139. დემურ გურეფშიძე — რასაცა გასცემ...
145. ელისო ფიფიაფელი — ანატოლ ფრანსი და საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია

ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

151. ეთერ მგალობლიშვილი — ერთი ქართული პერიოდული გამოცემის გამო
155. რუსუდან ონიანი — „ჩემი საბოლოო ჩემი გულია!..“

მთავარი რედაქტორი
ჯანუელ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გიგი ალსაზიშვილი
თეიმო ბეკეფელი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გიგი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ ფლიოზიშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფლეა კახიძე
ზოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
ბორის ფოცხიშვილი
ალეიო ზარაშიძე
ნუგზარ შარბიძე

ავთანდილ ჩხეიკეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ნოსო ციცაკაძე
გოგი ფერეთელი
ტარიელ ჭანტერია
გადრი ჭოხონელიძე
ბაკა ჯოხაკე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოვლილი და გასავლელი გზა

„ციხკრის“ მიერ გამოვლილ სახელოვან გზას ხშირად უნდა გავხედოთ, საუკეთესო ტრადიციებს რომ არ მოვწყდეთ, უფრო დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით რომ ავდგეს ურვოთ, სამაგალითო საქმენი რომ არ დავივიწყოთ, გაკეთებულის მადლი რომ არ დავკარგოთ, სულ გვახსოვდეს! ეს აუცილებელია არამარტო მადლიერების გრძნობის შესატყვისად, ეს საჭიროა აგრეთვე ახალი ბრძოლების გადასახდელად. ჟურნალს გადასახდელი აქვს ბრძოლები რუტინასთან, კონსერვატიზმთან, დოგმატიზმთან, ბიუროკრატიზმთან, გადასახდელია ბრძოლები უნივერსალურ ადამიანურობასთან. ოცდაათი წელიწადი „ციხკრისათვის“ დიდი დროა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში მის ფურცლებზე მრავალი მაღალმხატვრული ნაწარმოები გამოქვეყნდა. მაგრამ თავისთავად ოცდაათი წელიწადი ის ასაკი არ არის, ჟურნალი მხცოვანი მწერალივით საგარძელში ჩაჯდეს და დაფნის გვირგვინები მითვალოს. გაივლის ათეული წლები, დადგება შესაფერისი დრო — ჟურნალის იუბილის აღნიშვნისა და ამაგის დაფასების დრო. განსაკუთრებით ახლა იგრძნობა თვითდამშვიდების, თვითკმაყოფილების, პარადულობის, პომპეზურობის ზედმეტობა. ჟურნალს, საერთოდ მწერლობას, დღეს დიდი საქმეები აქვს საკეთებელი. რა ჰქვია ამ დიდ საქმეს? განა მუდამ დიდი საქმე არ გახლდათ მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა, მისი მოპოვება და დასტამბვა? ეს ხომ ლიტერატურის მარადიული მიზანია და იგი უცვლელი დარჩება. მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება მოვლენები, რომელთა შინაარსი ვერ თავსდება ე. წ. ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი ძვრების ჩარჩოში. გარდაქმნის რაობა ერთიანად მოიცავს ჩვენს სულიერ და მატერიალურ ყოფას და გვაყენებს უკომპრომისო ალტერნატივის წინაშე. ჩვენ ჩვენი ყოფა უნდა დავიხსნათ ინერციის ტყვეობისაგან და უმოკლეს დროში მოვახდინოთ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზება. დიდი მოვლენების რიტმის გუგუნი არ შეიძლება შორიდან ჩაგვესმოდეს, თავად ჩვენი რიტმი უნდა გუგუნებდეს. დრო არ ითმენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს გაუცნობიერებლად შეეხო საგნებს, რომელთა გარშემოც ტრიალებს მილიონობით ადამიანის ფიქრი. მოვლენებთან დამოკიდებულებაში ჩვენი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს სიზუსტე, რაც გვაპოვნინებს გზას და აგვარიდებს მოჩვენებითი კამპანიურობის საფრთხეს. ასეთი საფრთხე კი ახლავს ყველა დიდ საქმეს. კამპანიურობის აჩრდილს დღეს დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა: სხვაგვარად წარმოუდგენელია. თუ გარდაქმნის აზრს არ შევხედავთ როგორც დიდ მეცნიერებას, ვერ მივაღწევთ იმ სასურველ შედეგს, რაზეც ვოცნებობთ და საითკენაც არის მიმართული ჩვენი გულისყური. უზუსტესი პასუხის მისაღებად აუჩ
ენია დემოკრატიისა და საჯაროობის პრინციპი. ამ მოვლენის მადლი მწერლობამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს. მისი ამოცანა განუსაზღვრელი მნიშვნელობისაა: გაათავისუფლოს ადამიანთა ფსიქიკა! ადამიანთა ფსიქიკა კი დრომოჭმული ფორმების ტყვეობაშია. [illegible] ტრადიციებმა, გადაგვაყენა, სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული სულისკვეთების, ცრუ პათოსის ქსოვილში წლების განმავლობაში გახვეული ადამიანთა ფსიქიკა უნიკალური ლაბორატორია ითხოვს გაწმენდას.

ინერციაა დღევანდელობის უმთავრესი მტერი. იგი თავის შინაარსში გულისხმობს ყველაფერს, რაც კი ხელს უშლის თანამედროვე ადამიანს, დროზე დაინახოს კარს მომდგარი განახლების გარდუვალობაც და ამ განახლებისათვის სრული თვითგაღების აუცილებლობაც.

ამიტომ არის მწერლობის ამოცანა განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობისა.

ქართული მწერლობის დიდ ბრძოლაში დაარსების პირველი დღეებიდანვე ჩერთო „ცისკარი". თავში ვთქვით, ტკბილი ნაყოფის მოსთვლისათვის ყურანლს არ უნდა ეცალოს-თქო. მაგრამ მოკლედ მაინც უნდა დახასიათდეს „ცისკრის" შემოქმედებითი აზრის მოძრაობა.

ძიებისა და განახლების სულისკვეთება იყო ჟურნალის წარმმართველი ძალა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში. ჟურნალი თანმიმდევრულად ებრძოდა დოგმატიზმს, კონსერვატიზმს, შემზღუდველ კონცეფციებს, ცრუ პოლიტიკურ პოზიციებს, გარკვეულ დროს დამკვიდრებულ ნორმასა და სტილს, რაც შემოქმედებით სულს გასაქანს არ აძლევდა. მის ფურცლებზე ამ ბრძოლაში ერთმანეთს ეთანხმებოდა ხანდაზმულთა და ახალი თაობის ფიქრები. იგი ძირითადად ახალგაზრდა მწერლებიხ ჟურნალი გახლავთ და ყოველთვის ახალგაზრდული სული განმსჭვალავდა ბრძოლას.

„ცისკარმა" შემოიყვანა და ქართულ ლიტერატურაში დაამკვიდრა რამდენიმე თაობა. ჟურნალის დაარსებისთანავე ლიტერატურაში მოსულ ახალგაზრდა მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მკითხველს, ცხადია, ახსოვს ისინი — გახმაურებული ლექსები, პოემები, პიესები, რომანები, მოთხრობები, ნოველები, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები. ბევრი მათგანი პრემირებული და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ აღიარებული მხატვრული ტილოებია.

თაობას თაობა მოჰყვა — ასევე ნიჭიერი, მაძიებელი, შეუპოვარი, განსხვავებული. ლიტერატურისა და სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი. მოიტანა ახალი სტილი, ახალი თემები, ახალი დამოკიდებულება და ხედვა.

სამოციან, სამოცდაათიან, ოთხმოციან წლებში „ცისკრის" მეცადინეობით ქართულ ლიტერატურას შეემატა ძალიან დიდი ძალა. თაობათა საუკეთესო წარმომადგენლებმა გამოხატეს თავიანთი დრო, ხალხისა და ქვეყნის სულიერი მდგომარეობა, ჩვენი საზოგადოებრივი აზრის მოძრაობა, ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელი დინამიკა, მოვლენებისა და ფაქტების სული. „ცისკრის" მიერ გამოქვეყნებული საუკეთესო ნაწარმოებები ქართული ლიტერატურის დიდ ხვედრით წილს შეადგენს.

დასტამბვას იმ რომანებისას, რითაც დღეს მოხიბლულნი ვართ და რითაც ვამაყობთ სამართლიანად, ყველა რომანი შეეგება აღფრთოვანებით. ჰყავდა ქომაგები ჟურნალს, მაგრამ არნახული ძალის წინააღმდეგობაც შეხვედრია არაერთგზის. რედაქციას უხდებოდა დიდი ბრძოლების გადახდა, რათა გაეტანა და დაემკვიდრებინა მაღალმხატვრული ნაწარმოები, რათა კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ენაზე საჭირო სიმართლე ეთქვა. ბრძოლა დიდ ენერგიას ითხოვდა, მაგრამ ამ ბრძოლის გადაუხდელად შეუძლებელი იქნებოდა ნამდვილი ლიტერატურის შექმნა. სიმართლეს თქმულს რომანით, პიესით, მოთხრობით, ნოველით, ლექსით, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილით, უპირისპირდებოდა ანგარიშგასაწევი ძალები, უმძიმესდა და

ურთულესდა ცხოვრებას „ცისკარს“. ასე იყო მუდამ, ასე არის და, ალბათ, ასე იქნება მომავალშიც. მაგრამ დრო არკვევდა და არკვევს, რომ „ცისკრის“ პოზიცია არსებითად სწორი იყო, რომ იგი ლიტერატურისა და ქვეყნისათვის ეს ოდენ აუცილებელ სიმართლეს ემსახურებოდა, როცა მაღალმხატვრულ ნაწარმოებების დაბეჭდვისათვის რისკიანად იბრძოდა. დრომ და ცხოვრების მიმართულებამ დაგვანახა, რომ ბრძოლამ სასურველი ნაყოფი გამოიღო და როცა დღეს გრანდიოზული მოვლენის პირისპირ ვდგავართ, როცა ვემზადებით სრულიად ახალ პროცესში მონაწილეობის მისაღებად, ჩვენ დიახაც არ უნდა დაგვავიწყდეს ის დიდი გამოცდილება და რაინდული ბრძოლებით გამოვლილი გზა, რასაც გულისხმობს ჟურნალ „ცისკრის“ ოცდაათწლიანი ისტორია. იავარდებით არც მომავალში იქნება „ცისკრის“ გზა მოფენილი, მიუხედავად იმისა, რომ გარდაქმნა, საჯაროობა და დემოკრატიზმი პირდაპირ დროის დაჟინებული მოთხოვნაა. ყველამ კარგად იცის, რომ ამ გარდაქმნას, საჯაროობას და დემოკრატიზმს წინ ეღობება ინერციის ფენომენი, რომელიც სწორედ იმ რუტინის, დოგმატიზმის, კონსერვატიზმის და ბიუროკრატიზმის ქსოვილიდან არის წამომართული.

და აი, ოთხმოციან წლებში მოსულ კიდევ ერთ ნიჭიერ თაობას, რომლის დიდი შესაძლებლობებისა ღრმად გვწამს ჩვენ, მთელს ქართულ მწერლობასთან ერთად მოუხდება უაღრესად საინტერესო დროში ცხოვრება. ჩვენ მალვე უნდა გავიცნობიეროთ, რას ნიშნავს ეს უაღრესად საინტერესო დრო და რაგვარი მონაწილეობა უნდა მივიღოთ თავად ჩვენ.

ამ უაღრესად საინტერესო მოვლენებს ახალგაზრდობისათვის სწორედ რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მათი მსოფლმხედველობა ახლა ყალიბდება და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება რაკი ეს ოდენ სასურველ პროცესს ემთხვევა, ეს გარემოება კიდეც ბევრს ავალებს მათ.

ახალგაზრდა ავტორებთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობით ირკვევა, რომ მათ დიდი სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ურთულეს პროცესში, არ იდგნენ განზე და პასიურად, არ უთვალთვალებდნენ მოვლენებს.

ჩვენი დროის ურთულეს პროცესში მონაწილეობისათვის კი აუცილებელი იქნება გავერკვეთ ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სიახლეებში. დიახ, გარდაქმნას უნდა შეეხეროთ, როგორც მეცნიერებას, შეეგიმუშაოთ ნათელი წარმოდგენა მისი არსის შესახებ და რაკი იგი ჩვენს სულსა და განწყობილებას ასე ეთანხმება, გონივრულად წარგმართოთ ჩვენი სულიერი ძალები მიზნის აღსრულების გზაზე.

უფრო მეტი სირთულეთ უნდა გაშალოს ჟურნალმა საუბარი ეროვნულ, დემოგრაფიულ, სოციალურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ საკითხებზე. „ცისკარმა“ უნდა მოიცვას რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბის პრობლემები. ახალგაზრდა მწერალი შეღავათს არ გულისხმობს, მით უმეტეს, როდესაც თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს არც განათლება აკლიათ და არც ნიჭიერება. ამდენად, წარმოუდგენელია, ჟურნალი „ცისკარი“ პროცესის შესაბამისი სულისკვეთებითა და სიახლეებით არ წარდგეს მკითხველის წინაშე. ყველა უანრის ნაწარმოებში უნდა გამოჩნდეს ახლებური დამოკიდებულება საგნებთან და მოვლენებთან. არ შეიძლება ეს ტვირთი მხოლოდ პუბლიცისტიკამ ზიდოს.

ამიტომ ოცდაათი წლის განმავლობაში ნამოღვაწარის გახსენების უმალ, დაფიქრება გვმართებს დღესვე გადასახდელ დიდ ლიტერატურულ ბრძოლაზე, რომლითაც უნდა მიიღოს „ცისკარმა“ ცხოველმყოფელი მონაწილეობა გარდაქმნის ურთულეს პროცესში.

თენგიზ ჩალაური

...და არ იყო ჩვენს შორის გმირი

რომანი

„ნაწილ-ნაწილ დავქუცმაცდი და სულიც განვუტევეთ“, ასე თავად გუნტერს ეგონა, თორემ ფუგასური ბომბის აფეთქებით ჩამონგრეული კატაკომბის ჭერში რომ გახამებულპერანგიანი და ყელში ჰალსტუხწაკრული კაცი ჩამოფრინდა, ხოლო შემდეგ ცილინდრი და ბრჭყვიალა ჯოხიც ჩამოჰყვა, „დოღრიალად“ წოდებული ბოცმანი ხარატონიჩი ჩაცუცქული იჯდა, ცას ასცქეროდა და ქვების ხრიალზე არასაიმედო ადგილიდან წამომხტარს ერთი იმ აღიარებულ „შეკურთხებათაგანი“ აღმოხდა, რომლითაც შავი ზღვის ფლოტის ბოცმანებს მსოფლიოს ყველა პორტის მეზღვაურებში ჰქონდათ სახელი მოხვეჭილი.

ხარატონიჩისაგან ორიოდე ნაბიჯის მოშორებით, ესტრადის კონფერანსიესავით გამოწყობილი, თავგაჩეხილი კაცი ეგდო, მომაკვდავივით ხრიალებდა და მარცხენა ფეხსაც ახლად დაკლული ქათამივით აფართხალებდა.

„დოღრიალამ“ ჩამორღვეულ ჭერს ახედა და გამომგზავნის მისამართით სამართლიანი გულისწყრომა გამოთქვა, „დასახიჩრებული და მომაკვდავი ხომ ჩვენიც გვყოფნის და ამ შობელძაღლის ნაცვლად ერთი ნაპატივები ღორი რომ ჩამოგვგდო, ვითომ რა დაგიშავდებოდაო“, მაგრამ დაშავებულიც ადამიანის შვილი იყო და დახმარებას საჭიროებდა, ამიტომ ხარატონიჩმა ნიფხვის ტოტი შემოიხია, მკბენარი რომ გასცლოდა, საგულდაგულოდ დაბერტყა და დოქტორ ფონ ბაბენზერგს თავზე დოლბანდი დაადო. იმანაც უაზროდ რაღაც წაიბურტყუნა, თუმცა გაურკვევლად, მაგრამ ეს რამდენიმე სიტყვა „დოღრიალა“ ბოცმანისათვის საკმარისი აღმოჩნდა იმის მისახვედრად, რომ ზეციურ მწყალობელს მისთვის ღორზე ძვირადსანატრი მოენე „ფრიცი“ ეჩუქებინა, მხოლოდ ერთი მხარე ამ „ძღვენისა“ მაინც არ მოეწონა, მეტისმეტად ზორბა და ძვალმსხვილი ჩანდა და მისი შტაბამდე მითრევა ჯიშიან ჯორსაც გაუძნელდებოდა.

ასე იყო თუ ისე, სხვა გზა არ ჰქონდა, დასახიჩრებული რის ვაივაგლახით გამართა, საბჯენი ჯოხივით მუცელში შეუდგა და მხარზე ხურჯინივით რომ გადაიკიდა, იმ დროს უფალმა ერთხელ არჩეული გზით მეორე „წყალობაც“ მოუვლინა და ხარატონიჩს ტვირთიანად დროზე რომ არ ეგანა, გვარიანად დაჩეჩქავდა და დაალურჯებდა.

ის მეორე დათვის ბელივით გამძლე და ამტანი აღმოჩნდა, და თუმც ჰაერშივე სალტო მორტალე გააკეთა და ბეჭებით ბეტონის ფსკერსაც დაენარცხა, მაინც წამოიზლაზნა, წელი აითრია და თავიც გაარეტრეტა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 6.

„დოღრიალა“ ბეჭებზე გადაკიდებული „ხურჯინისგან“ სასწრაფოდ გათავისუფლდა, ცოტა უსუფთაო ადგილზე კი გადაუძახა, მაგრამ ახლა არჩევანის დროარ იყო, იმ მეორეს ხელრიანად გონს მოსვლა არ აცალა, ყელში სწვდა და ურომა

მძიმე მუშტი ყბაში რომ მოუმარჯვა, მაშინღა შეხედა ფერწასულ სიფაფში და მიხვდა, მის წინ თვალებდაელმებული ლაწირაკი რომ იდგა, რომელსაც მისი ცნობილი აპერკოტი კი არა, ცხვირის ხმამაღლა დაცემინებაც ელემიელეთს დამართებდა, ამიტომაც მხოლოდ აზრზემოსაცველი სილაქა გააწნა, მერე ქეჩოში ხელჩავლებული გონდაკარგულთან მიიყვანა და ის „ძღვენი“ ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე სამარქაფოდ გამოგზავნილ „ჯორს“ აჭიდა.

ფონ ბაბენბერგმა თვალი მაშინ გაახილა, მუხლებაცახცახებულმა გუნტერმა საფეთქლით გვირაბის ხაოიან კედელზე რომ გაახახუნა და კანი გადაუყვლიფა, ტკივილისგან გამწარებულს განსჯის უნარი კი მოეკა, მაგრამ რა შეემთხვა და საფ მოხედა, ამდენი აზროვნება ვეღარ შეიძლო და ბავშვობიდანვე ბიბლიაზე აღზრდილმა უპირველესად ის გაიფიქრა, საქართველ მომავალ გზას ვადგვეარო, მით უმეტეს, ვიწრო და ჩახუთული ხვრელი, რომლითაც იგი მიპყავდათ, ათასგვარი ცოდვილით იყო სავსე, რომელთა ტანჯვა-ვაებით დაღდასმულ და განაწამებ სახეებს თვალნათლივ ეტყობოდა საომ ქვეყნიდ რომ იყვნენ განწირულნი. ამ გაშავებულ, ჩაგოჯიებულ, ფალასფულასით შემოსილ არსებებს თვალებიღა შერჩენოდათ სანი, მბეუტავ ჭრაქთა შუქზე ეცნაურად, ავადმყოფურად მოელვარე და რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო, მეტისმეტი ზიზღითა და გაავებით მზერალი, ერთმა დედაბერმა მუშტიც კი მოუღერა მათ და მიფურთხებაც სცადა, მაგრამ გამშრალი, დახეთქილი ბაგიდან მხოლოდ ამ მოქმედების დამახასიათებელი ბგერები მოსწყდა.

ფონ ბაბენბერგს იმანაც დასცა თავზარი, ამდენ ცოდვილში პატარა ბავშვებიც რომ ერიენენ, დედათა მკერდს ჩაკრული ჩვილებიც კი, და ეს თავისთავად თვით მამაზეციერის ნებას ეწინააღმდეგებოდა, რადგან ძუძუმწოვარი უზაკველი ითვლებოდა და მხოლოდ განსაწმედელში შეიძლებოდა მოხვედრილიყო, აქაურობას კი საამისო არაფერი ემჩნეოდა — გასათხვრელი და წასაბილწველი უფრო ეთქმოდა.

„უდავოდ ჯოჯოხეთისაკენ მიმავალი გზაა“, — დარწმუნებით გაიფიქრა ფონ ბაბენბერგმა, გუნტერის მხარზე თავი ჩამოუკიდა და ერთხელაც შეუღონდა გული, იქამდის კი მეხსიერების რომელიღაც უკრედიდან დიდი ხნის წინათ წაკითხული ფრაზა ამოუტივტივდა „ჰი, ამ ტანჯვის სავანეში ახლად მოსულნო...“

●

როდესაც მანოხინს მოახსენეს „დოღრიალაშ“ ორი მოენე მოიყვანა და რას გვიბრძანებთ, როგორ მოვიქცეთო, ის საკვების გამანაწილებელ საკუჭნაოში იდგა და ორი ოფიცრის თანხლებით პურის უკანასკნელი მარაგის გაყოფას ადევნებდა თვალყურს.

წინა ღამით აქ მყოფ ერთ-ერთ ყარაულს ოცდაათი კაცის წილხვედრი პურის ულუფა შემოსჭმოდა, ამასთანავე ისე, შეგნებულად ვერც განესაზღვრა, რა ჰქონდა ჩადენილი და შეცვლისთანავე კედელს რომ მიაყენეს, გაიკვირვა კიდევაც. „რა დავაშავეო?“

მანოხინმა რკინაგზელის ფარანი, რომელიც მუდამ თან დაჰქონდა, სახეში შეანათა და ისე დაეღმიჭა პირისახე, თითქოს გულმა მტკივნეულად გაჰკენწლა. იმ თავგადახოტრილ ბიჭს საოცრად სუფთა და გაოცებული თვალები ჰქონდა, მაგრამ კანონი, რომელიც არც არსად იყო კენწნაყარი და მით უმეტეს ხელიც არავის ჰქონდა მოწერილი, მაინც კანონი იყო და ამასთანავე ყველა წინამორბედზე დაუნდობელი და სასტიკიც.

— ნუთუ მართლა არაფერი გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოვს? — ჰკითხა მანოხინმა მოჩვენებითი სიმშვიდით.

ჯარისკაცმა თავი ჩაქინდრა.

— ცოტათი წაივიძეგნე, — აღიარა. — ფრჩხილებს რაც აჰყავ; გვერდით მედო და სუნმა...

— მაშ სუნმა შეგაცდინა ხომ? თანაც ისე რომ სამი პური შეთქვლიფე?!

— რას ამბობთ, — იყვირა დამნაშავემ. — ღორი ხომ არ გგონივართ, სხვის ცოდვას მე მაბრალებთ?

მანოხინმა გამობერილ მუცელზე ხელისგული მიჭკრა.

— იქნებ ისიც ამიხსნა, ასე მაკე ღორჯოსავით რომ გაგბერა, ბებიაშენის მორთმეულმა ნაზუქებმა თუ ქადებმა? ექიმს ხომ არ მოვუხმოთ, რომ ამოგანთხეგინოს?!

თავგადახოტრილს სასოწარკვეთა ჩაუდგა თვალებში, აცახცახებული ხელისთითები ქამარში ჩაიჩურთა, სტომაქი მოისინჯა და ტუჩები მოიკვნიტა, შეეტყო, რალაც საშინელებას რომ იხსენებდა და დაჯერება არ უნდოდა.

— როგორ ფიქრობ, — კვლავ დინჯად ჰკითხა მანოხინმა, — როცა ბალღები მშივრები გვეხოცებიან, ხოლო მეორენი მთელი ღამე ისე იბრძვიან, ლუკმის სახსენებელიც არ ჩასვლიათ პირში და სისხლის საფასურად მოპოვებულ სანოვაგეს გემოსაც არ უსინჯავენ, ისე მოარბენინებენ აქეთ, ასეთ დროს, შენ გეკითხები, რას იმსახურებს ის მგელი თუ ტურა, რომელიც ასი გრამის ნაცვლად სამ კილოს ჩახეთქავს?!

კედელთან მიყენებულ ჯარისკაცს თვალები აუელვარდა.

— თუ დარწმუნებული ხართ, რომ ჩემი ჩადენილია, დამხვრიტეთ, — თქვა, — მაგრამ მაინც უდანაშაულო ვიქნები! — დაუმატა შემდგომ.

მანოხინმა ერთ-ერთ თოფმომარჯვებულს თავი გაუქნია.

— წადი და ოგანეზოვი მოიყვანე, ახლავე აქ გაჩნდეს!

მეორე თოფიანი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა.

— ისედაც ყველაფერი ნათელია, — თავისთვის ჩაიბურტყუნა. — ქირურგია რა საჭიროა, ყანყრატოში ხომ არ ჩაუძვრება, ანდა ჭიაზე ხომ არ გაჰკვეთს?!

სანამ ექიმი მოვიდოდა, თავგადახოტრილ ჯარისკაცს მუცლის გვრემა დაეწყო, ბოლოს ისე შეუტია, ორად მოკაკვა, ქშენით ითქვამდა სულს, შუბლზე და პირისახეზე ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი, ოგანეზოვმაც ამ ყოფაში მოუსწრო.

— გზაში აგიხსნიდნენ, რაც მოხდა, — უთხრა მანოხინმა, — შენ რას იტყვი?

ქირურგმა ერთიანად სისხლით მოთხვრილი ხალათის კიბეებში ხელები ჩაიწყო, ცოტა ხანს ჯარისკაცის გაწამაწიას დაკვირვებით უცქირა და შემდეგღა თქვა:

— არ არის დამნაშავე!

მანოხინს ჯერ გულზე მოეშვა, მაგრამ უცბადვე ერთიანად შეახურა ტანში, რკინიგზელის ფარანიც კი აუკანკალდა ხელში და თავგადახოტრილი ჯარისკაცის ჩრდილი კედელზე ფარვანასავით ააფარფატა.

— სამი პური რა იქნა? — ისეთი გამწარებით იღრიალა, რომ ბოლო სიტყვაზე ხმა ჩაუწყდა და მამალივით დაიყივლა, — რა იქნა-მეთქი? — ხავილით ჰკითხა ოგანეზოვს.

ქირურგმა მკლავში ხელი ჩასჭიდა, გვერდზე გაიყვანა, იქაურობას მოაცილა და ცოტა ხანს რაღაცას ეჩურჩულა.

— დაუბრუნეთ იარაღი! — ბრძანა მობრუნებულმა მანოხინმა.

ერთ-ერთმა თოფოსანმა მხარზე გადაკიდებული მოკლე ავტომატი თითქმის ჩამოიგლიჯა და კედელთან მიმდგარს ფეხებთან მიუგდო.

— ხომ არა ვარ დამნაშავე? — ამოიღმუვლა თავგადახოტრილმა, როდესაც მანოხინი და თოფოსნები წავიდნენ, — რა ვქენი ასეთი, რატომ დამაბრალეს?

ჰოსპიტალისაკენ მიმავალი ქირურგი არ შეჩერებულა, ალარც მისკენ მიუხედავს, ისე ჩაიქნია ხელი.

ჯარისკაცი ავტომატს ჩასწვდა, ჩაბღუჯა, აგვრემილ მუცელზე მიიკრა და ჯერაც მოკაკული, ფეხარევით გამოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნა, გადაუსწრო და წინ გადაუდგა.

— მითხარით, ყველაფერი მითხარით, თქვენ არა გაქვთ უფლება დამიმალოთ, მე უნდა ვიცოდე!

ოგანეზოვმა მძიმედ ამოიოხრა, მხარზე ხელი დაადო.

— ოცის ხარ უკვე? — ჰკითხა.

თავგადახტრილი სახეში შეაცქერდა, მის თვალებს ეძებდა, მაგრამ სიბნელეში ვერ პოულობდა.

—.ვარ თუ არა დამნაშავე? — მწვანა, ბავშვური ხმით იკივლა, — მითხარით გესმით!

ქირურგმა ფრთხილად, ძალდაუტანებლად ჩამოიშორა გზიდან და როდესაც გასცდა, შემდეგ თქვა:

— ხარ!

ხუთი წუთის შემდეგ თავგადახტრილი ჯარისკაცი კატაკომბებიდან ამოძვრა, გაუქმებულ ჭამდე როგორღაც შეუმჩნეველად მიაღწია, იქვე ჩაჯდა და ცოტა ხანში გზად მიმავალ შავფორმიანებით დატვირთულ მანქანას სროლა აუტეხა. კიდევ ხუთი წუთის შემდეგ კი საცერივით დაცხრილული კბილებს ახრჭიალებდა და ხეხუმალაგადამტვრეულ მგელივით ბოლომდე იბრძოდა.

— რატომ აპატიეთ? — ჰკითხა ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთმა თოფოსანმა შტაბისაკენ გაჩქარებით მიმავალ მანხინს, — ხომ დარწმუნებული ხართ, რომ მისი ჩადენილია, ყველა რომ ასე მოიქცეს?

— ოგანეზოვმა უკეთ იცის, — ბოდიანად მიუგო იმან, — ეგეთებისა არ ეშლება და, გარდა ამისა, იცოდე, კაცი რომელიც მთელი კვირის მშიერია და ერთბაშად სამ კილო ტალახს ჩახეთქავს, თავისთავად განწირულია, ვეღარაფერი იხსნის.

უდავოდ ამ ფაქტის გამო მოხდა, რომ შემდეგ ყარაულში კაპიტანმა მანხინმა ორ-ორი დარაჯი დააყენა და სანოვაგის განაწილებასაც ოფიცრების თანხლებით დაესწრო, თუმცა საყარაულო და სათვალთვალო იქ აღარაფერი იყო.

ულუფათა განაწილებას რომ მორჩა, გარნიზონის „მსახვრალმა მარჯვენამ და მჭვრეტელმა თვალმა“, ტყვეებისთვის მოიცალა, მაგრამ აღმოჩნდა რომ „მოენეების“ მოყვანა ხანინსაც გაეგო და ერთ-ერთი მასთან წაეყვანათ დასაკითხად, მეორე კი ჰოსპიტალში იწვა და შექანებული ტკინის ბუდეში ჩაბრუნებას ელოდებოდა.

დამფრთხალი და ფერწასული გუნტერი რომ ხანინს მიჰვარეს, დარწმუნებული იყო ცოცხლად ტყავის გასაძრობად მიჰყავდათ, რადგან ქერჩში მოხვედრისთანავე ფელდფებელი ფისნერი მეტისმეტად შთამბეჭდავად მოუყვა იმის შესახებ თუ რა ხერხით ხდიდნენ რუსები ტყვედჩავარდნილ გერმანელებს ტყავს და ამასთანავე ისიც დასძინა, რომ კომუნისტები ასეთ ლმობიერებას მხოლოდ რიგითი ჯარისკაცების მიმართ იჩენდნენ, ხოლო მაღალ ჩინოსნებს როგორ მოექცეოდნენ, ამას თუ ფანტაზია ჰყოფნიდა, თავად უნდა წარმოედგინა.

მთლიან კლდეში გამოჭრილ, სარკოფაგის მსგავს ცივსა და ნესტიან ოთახში, სადაც გუნტერი დასაკითხავად შეიყვანეს, საწერ მაგიდას საშუალო ტანის ჩვეულებრივი კაცი უჯდა და წინ გაშლილ ნახაზს დასცქეროდა, რომელიც არქეოლოგიის დოქტორის პლაშეტიდან ამოეღოთ.

ხანინი რომ გათავისუფლდა და თვალებში გამჭოლად შეხედა, გუნტერმა ის ინატრა, „ნეტავი ტყავის გაძრობა მაკმაროს და სხვას აღარ ვჩივიო“, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ისე დახვედროდა და შეტოკებოდა, როგორც ჭეშმარიტ პოეტს შეშვენოდა, რომელიც არა თუ ადამიანებს, ღმერთებს და დემონებსაც კი არ ეპუება.

— გვარი? — იკითხა კუთხეში მიყუჟულმა თარჯიმანმა, რომელიც ხმის ამოღებამდე არც შეუნიშნავს.

— ლახუზენი, გუნტერ ლახუზენი.

თარჯიმანმა ისე გაქნია ხელი, თითქოს აბეზარ მწერს იშორებდა.

— შენი არ გვაინტერესებს, — უთხრა, — იმისი, რომელმაც წინ გამოგიწვრო, შენი უფროსისა, გვარიც და სხვაც ყოველივე, რაც იცი, თუ არ გინდა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარი ყურები კბილებით დაგაჭერინო.

„წყება“. — გაიფიქრა გულჩაქანებულმა გუნტერმა და არა თუ რაც ფონ ბაბენბერგის შესახებ იცოდა, არამედ რაც კი რაიმე გაეგონა და ჭორად მოესმინა, ყველაფერი გაზუთხული გაკვეთილივით ჩამოუთარკაცა, ისე რომ რიგიანად სულიც არ მოუთქვამს.

გარნიზონის უფროსმა, გაურკვეველი მიზეზების გამო, რატომღაც უდიდესი ინტერესი გამოიჩინა ამ ძველებური ქვების მოტრფიალე კაცის მიმართ, განსაკუთრებით მას შემდგომ, როდესაც გუნტერმა წიწკანას ხმით ამცნო, ბერლინში ვიღაც უდიდესი ჩინის ახლო მეგობარია და აქ კი თვით ფრონტის სარდალ მაწშტეინთან გახლდათ აუდიენციაზეო.

მანონინი რომ ოთახში შემოვიდა, ხანინი კითხვებს აღარ იძლეოდა. წამომდგარიყო, მაგიდის გასწვრივ დაბიჯებდა და შუბლშეკმუხნილი რაღაცაზე ფიქრობდა, თან მალიმალ ჩერდებოდა, მაგიდაზე გაწლილ ნახაზს აკვირდებოდა, აკვირდებოდა და კვლავ ბოლთის ცემას განაგრძობდა.

ბოლოს გეზი იცვალა, დიაგონალზე წამოვიდა და აღსასრულის მომლოდინე გუნტერს წინ დაუდგა, თარჯიმანიც ფეხდაფეხ მოჰყვა.

— გთავისუფლებ, — დამარცვლით უთხრა, — მხოლოდ ერთი პირობით, დაუყოვნებლივ, დღესვე ფრონტისა და საოკუპაციო ჯარების სარდლობას უნდა აცნობო, რომ ოტო ბაბენბერგი ჩვენი ტყვეა და მის გამოსასყიდად სურსათ-სანოვაგეს ვთხოულობ, პარლამენტარს ხვალ თორმეტი საათისთვის ველოდები.

როდესაც უთარგმნეს, გუნტერმა გუნებაში ჩაიცინა, ალბათ, სიკვდილის წინ აბუჩად მიგდებსო, მაგრამ როგორც კი ფოლადისფერ თვალებში შეხედა, თუმცა დიდი ალღოთი არასოდეს გამოირჩეოდა, მიხვდა, რომ ამ კაცს არათუ ახლა, თავის სიცოცხლეშიც კი არასოდეს ეხუმრა.

„დორრიალა“ ხარიტონოვმა გაოგნებისაგან გაოგნებულ ტყვეს ყველას შეუმჩნევლად უკანალზე მუხლისთავი რომ უთავაზა და კარში გასცალა შეეშველა, ბანონინი მაშინდა დაინტერესდა:

— ჩვენ მართლა გაკცვლით მას სურსათ-სანოვაგეში?

— არა, — მკვეთრად თქვა ხანინმა, — ბაბენბერგი აქ დარჩება. ასეა საჭირო, თქვენ კი ერთი იცოდეთ, რაღაც ცუდს გვიმზადებენ, აკაკაცურს და მოულოდნელს, დაცვა გაამლიერეთ და მზვერავებიც გაასამმაგეთ, მოსახლეობაც გაფრთხილეთ, იფიზლონ და ყურადღებით იყენენ!

●

ნებისმიერ გემზე, ღმერთიც და მეფეც გემის კაპიტანია, ამასთანავე, მთავარსარდალიც და კანონიერების უმაღლესი ქურუმიც.

ასევე იყო ხანინიც იმ უზარმაზარ მიწისქვეშა გემზე, რომელსაც, მართალია, ოკეანის ტალღები არც ემუქრებოდნენ და არც ეხლებოდნენ, მაგრამ იმდენი ზვიგენი ეხვია გარს, არც ერთ კაპიტანს ცხოვრებაში რომ არ უხილავს.

ხანინმა კარგად უწყოდა ბისმარკის ცნობილ გამონათქვამში, „ომში იმარჯვებს ის მხარე, რომელიც ყველაფერს ომს ახმარს“, სიტყვა „ყველაფერი“ აბსოლუტურამდე განზოგადებული, მაქსიმალისტური მცნება იყო — ერის ან ერების ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობა, სახელმწიფოს ბუნებრივი თუ მატერიალური განძეულობა, მსხვერპლის განუსაზღვრელი რაოდენობა და სხვაც ყველაფერი ის, რისი წარმოდგენაც შეიძლებოდა და რასაც კონკრეტულადაც ვერავინ განსაზღვრავდა.

ამასთანავე, ხანინმა უფრო მეტიც იცოდა, იცოდა ის, რაც ბერძნულ ანდაზას «Один в поле не воин», ძირისძირშივე ეწინააღმდეგებოდა, და ღრმად სწამდა, რომ თვით მსოფლიო ომშიც კი გამარჯვება ერთი ადამიანის შემწეობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მომზდარიყო, ერთადერთი, თუნდაც მარტოხელა და მარტოსულის გამოისობით და მეოხებით.

ურყევი ლოგიკით ჩამოყალიბებული ეს ურთულესი თეორემა, ხანინს მთლად უბრალოდ, ჩვეულებრივი ორთეფშიანი სასწორის მოშველიებით შეეძლო დაემტკიცებინა. ორთავე თეფშზე მოწონაღმდეგე მხარეებს ყველაფერი ჰქონდათ დაწყობილ-დალაგებული, თვით დედამიწის აწმყო და მომავალიც კი, და ამ დროს, ერთი მხარე, ერთი ადამიანის მეშვეობით, ერთი ტყვეით, თოფით თუ ქვემეხით, ან პირიდან გამოღებული ლუკმით, ერთი სიცოცხლითა და თავგანწირვით მეტს სდებდა და, რაღა თქმა უნდა, სასწორიც მის მხარეს იხრებოდა: საპასუხოდ, წონასწორობის შესანარჩუნებლად, მეორე მხარესაც ოგივე უნდა მოემოქმედა და ასეც იქცეოდა — ერთი საათით მეტი შრომის, მუჭა ქვანახშირის, მეცნიერის ფიქრის, დიდედის ნაქონი ბეჭდის შეწირვისა თუ საკუთარი მკერდიდან თავისივე ხელით ამოგლეჯილი გულის დაწონით.

სწორედ ეს „ყველაფერი“ იყო ყველაფერი, უმთავრესზე უმთავრესი კი, ხანინის აზრით, ასეთ გადაძლევაში იყო სული, რომელსაც, მართალია, წონა არ ჰქონდა, მაგრამ მისი გადაძლევა არავითარ სიმძიმეს არ შეეძლო, აი, აქ წყდებოდა ყველაფრის ბედი, ერთი მეომრის სულს მოწონაღმდეგის ორი მეომრის ორი სული უნდა დაეთრგუნა და დაეძლია, ერთის მოთმინებას თუ სიმტკიცეს გალმა მყოფთა სამისა და ოთხისათვის უნდა ეჯობნა, ერთის მეცნიერულსა და სტრატეგიულ ნიჭს გაჭირვების ჟამს ისეთი სულიერი აღმაფრენა უნდა განეცადა, რომ მეტოქის არანაკლები დიდი ნიჭი დაეჩრდილა, აქეთა მხრიდან დაღუპულის დედას იქითა მხრიდან დაღუპულის დედაზე მეტი ცრემლი უნდა დაეღვარა და, ამასთან, ისეთი სიმტკიცე გამოეჩინა და ფიზიკური ძალა შეენარჩუნებინა, რომ სამი დღის სახნავი მიწა ერთ დღეს მოეხნა, დაეთესა, მოემეკა და შვილის ცოცხლად დარჩენილი მეომარი მეგობრებისათვის სამჯერ მეტი პური გაეგზავნა.

დიახ, ხანინის აზრით და მსჯელობით, ომში ძლევის სასწორი საბოლოოდ ერთ ადამიანს უნდა გადაეწონა და ის „ერთი“ თავიდანვე სულხორციანად დარწმუნებული უნდა ყოფილიყო ამ უდიდეს პირადულ მისიაში ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე და მეომარ საველმწიფოთა რომელ მხარესაც ასეთი „ერთი“ მეტი აღმოაჩნდებოდა, გამარჯვების უღრუბლო დილაც იმისთვის გათენდებოდა.

ხანინს ეს თეორემა არავისთვის გაუმჟღავნებია და, მით უმეტეს, არც დაუმტკიცებია, რადგან მოკლედ და ლაკონიურად მისი ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო, ამიტომ ათას დამაჯერებელ ლოზუნგში მან ერთი შეხედვით ყველაზე უბრალო აირჩია — „ჩვენ მართალნი ვართ — ჩვენ გავიმარჯვებთ!“ — და მიუხედავად ასაკისა, წოდებისა თუ ეროვნებისა, უკლებლივ ყველას ამ ფრაზით მიმართავდა და ამხნევებდა, თუმცაღა მშვენივრად უწყოდა, რომ სიმართლისა და სიცრუის ჭიდილში, ისევე როგორც კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში, იმარჯვებს ის, ვისაც მეტი ძალა აქვს და, მიუხედავად ამისა, გარნიზონის უფროსის გამჭრიახობა სწორედ არჩიეული ლოზუნგით დასტურდებოდა, რადგან — „ჩვენ მართალნი ვართ — ჩვენ გავიმარჯვებთ!“ — ყველა სხვას იმითი სჯობდა, რომ მას სულზე ზემოქმედების უდიდესი ძალა გაანჩდა.

მიწისქვეშეთში ჩასვლის პირველსავე ღამეს ხანინს ყველაფერი მოფერებული და განჭვრეტილი ჰქონდა, ასეულები და ათასეულები დაკომპლექტებული და ჩამოყალიბებული, მეთაურებიც დანიშნული და იარაღი და ფუნქციებიც განაწილებული, სამომავლო საომარი გეგმაც განსაზღვრული და დაზუსტებული; ყველა და ყველაფერი ერთადერთს — მთავარი მიზნის მიღწევას უნდა მოხმარებოდა და თუ საჭირო იქნებოდა, შეწირვოდა კიდეც, უმთავრესი კი თავისუფლება იყო, რომე-

ლიც გამარჯვებისა და ძლევის გარეშე ვერ მოიპოვება. თვით დედის მკერდს მიკრული ჩვილიც კი მას მებრძოლად და მეომრად ჰყავდა მიჩნეული, რადგან იმ უძლურ არსებასაც დამშეულის ჭინჭყლითა და უმწეო ტირილით ხალხი უნდა აღეგზნო, დაერაზმა, სულიერად გამოეწრთო და მუშტად შეკრული თავისივე ნათელი მომავლის მოსაპოვებელ ბრძოლისაკენ წარემართა.

ყოველივე ეს მან ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, როდესაც ოცი ათასამდე დაბნეულ, დაქსაქსულ და გაოგნებულ ადამიანში ერთმაც არ უწყოდა, რომ ის ხანინი იყო და მიწისქვეშა გარნიზონის მომავალი უფროსი.

დამარცხებული და გაქცეული ჯარისკაცის შეჩერება და კვლავაც საომრად შემოსაბრუნებლად განწყობა გაცილებით ძნელია, ვიდრე გაგიეტებული ბუღის შიშველი ხელებით დაოკება და დამორჩილება, რადგან ძლეულს საკუთარი ძალის რწმენა დაკარგული აქვს და კვლავინდებურად მისი ჩანერგვა ვერც სიტყვით, ვერც ბრძანებით და თუნდაც მკერდზე თოფის მიბჯენით ვერ მოხერხდება, ამის მიღწევა მხოლოდ ერთადერთი ხერხითაა შესაძლებელი — უნდა გაამარჯვებინონ!.. გინდაც უმნიშვნელო, არაფრისმომტან შეჯიდებაში, ეპიზოდურ, წამიერ შეტოქვაში, მაგრამ უცილობლად უნდა გაამარჯვებინონ.

ვერც ერთი მეთაურთაგანი, მით უმეტეს, ჯარისკაცი ვერ ხვდებოდა რატომ იყო ხანინი კატეგორიული წინააღმდეგი პირდაპირი შეტაკებით ალყის გარღვევისა და თუ აღრე ეს რეალურად შეუძლებელი იყო, შემდეგ, დაქსაქსულ-დაქუცმაცებულმა ნაწილებმა რომ სული მოითქვეს, დაირაზმნენ, გაერთიანდნენ და მეტ-ნაკლებად შეიარაღდნენ, რაღას უნდა შეეშალა ხელი? ბოლოს და ბოლოს, ათი ათასი კაცის საკმაოდ დიდ საომარ ძალას წარმოადგენდა და ამ დროს გარნიზონის უფროსი არა თუ ორჯოფობდა, ასეთი მცდელობის შესახებ საუბარსაც კი კრძალავდა.

შემდეგ და შემდეგ, როდესაც ოთხ და ხუთკაციანმა ჯგუფებმა ყოველ მხრიდან დამეული გამოხდომები, თავდასხმები და მოულოდნელი შეტაკებები დაიწყეს, როცა გაიხედ-გამოიხედეს, გარემო შეათვალიერეს, შეამოწმეს და მრავალი რამ აღნუსხეს, აღმოჩნდა, რომ ალყად შემოჯარულ მტერს სამჯერ მეტი ცოცხალი ძალა მოეზღვავებინა, სანგრებში ჩაესხა, საომარი ტექნიკაც თავზესაყრელად მოექუჩებინა და სწორედ მიწისქვეშელთა იერიშსა და შეტევას ელოდებოდა, ასეთ შემთხვევაში კი მათთან პირისპირ შეტაკება იგივე იქნებოდა, დამშეული კაცი ხელკეტის იმედით გააფთრებულ დინოზავრს რომ შესაჯმელად მიხტომოდა.

ამატომაც მომდევნო დღეებში ყველა იმას ფიქრობდა, რომ გარნიზონის უფროსი დამხმარე დესანტის გადმოსხდომას და დახმარებას ელოდებოდა, მით უმეტეს რაციის მეოხებით ცნობილი იყო, რომ დიდ მიწასთან და შავი ზღვის სამხედრო გემებთან კავშირის დამყარება მოხერხდა, მაგრამ არავინ უწყოდა ის, რაც ხანინმა და რადისტმა ბეგლოვსკიმ იცოდნენ. პირველსავე ცალმხრივ გადაცემაში ხანინმა ეთერში ისეთი ცნობა გადაცემინა რადისტს, რომ ბეგლოვსკის თვალები შუბლზე დაასხდა. ამ ცნობის მონაცემებით, ჯარიმუჩკის კატაკომბებში ოცდაათი ათასი მებრძოლი იყო გამაგრებული და მძლავრი საომარი ოპერაციისათვის ემზადებოდა, დღესა და საათს გარნიზონის უფროსი სარდლობას შიკრიკის მეშვეობით შეატყობინებდა და ამ თხოულობდა როგორც საჰაერო, ასევე საზღვაო და სახმელეთო მხარდაჭერას. ხანინის ასეთი მოქმედება ყოველგვარ ლოგიკას ეწინააღმდეგებოდა, რადგან კოდისა და შიფრის უქონლობის გამო გადაცემა ეთერში ღიად, გამხელილად მიმდინარეობდა და, ბუნებრივია, მას თავზემდგომი მტერი ისევე მიიღებდა, როგორც ათეული კილომეტრებით დაშორებული მოყვარე.

რაღა თქმა უნდა, ასეც მოხდა, თხუთმეტი წუთის შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკ ენნეკეს ფურცელზე გადა-

ბეჭდილი გადაცემის ზუსტი ასლი საწერ მაგიდაზე ედო და იმანაც დაუბანებლად ფრონტის მთავარსარდალ მანშტეინს დამმბარე ძალები და ტექნიკა მოსთხოვა და დაუყოვნებლივ მიიღო კიდევაც, ამასთანავე, ნათელზე უნათლესი იყო, რომ დამბმარე დესანტი და საკმაოდ მძლავრი, აუცილებლად მომზადებოდა, რადგან როგორც მანშტეინმა აღნიშნა, „რუსები გასაჭირში ჩავარდნილ თანამოძმეებს ბედ-იღბლის ანაბარად არასოდეს სტოვებენო“, და აქედან გამომდინარე, საწინააღმდეგო სვლად, ქერჩის ყურის სასაზღვრო ზოლის ყოველმხრივი გამაგრება და დაცვა ბრძანა.

მხოლოდ ხანინი ხვდებოდა და მასშტაბურად ჭვრეტდა გარემოებით გამოწვეულ მომდევნო, კანონზომიერ მსვლელობებს — დამხმარე დესანტი უახლოეს დღეებში მომზადდებოდა, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი სრული უაზრობა და ფუჭი სისხლისღვრა იქნებოდა, რადგან ერთი კვირის წინ მარცხნაწვნეკ არმიებს, რომელთა შემადგენლობაც თითქმის განახევრებული იყო, არ ეყოფოდათ ძალა და საჭიროული დესანტის, სათანადოდ მომზადებისა, და ისეთი გამოცდილი სტრატეგოსები, როგორნიც საბჭოთა არმიების მხედართმთავრები იყვნენ, ამას დროულად მიხვდებოდნენ, მაგრამ რომც ვერ განეჭვრიტათ, ქანაღებული და იერიშზე გადასული ფაშისტური კოლოსი, რომელიც მთელი ძალით მიიწევდა კაკასიისაკენ, თავისთავად გამორიცხავდა მის ღრმა ზურგში მნიშვნელოვანი ნაწილების და შეაერთების გადასროლის შესაძლებლობას.

მთელი ამ განსჯისა და დასკვნების შედეგი კი საოცრად პარადოქსული აღმოჩნდებოდა — მიწისქვეშა გარნიზონს კი არ დაეხმარებოდა უკანდახეული საბჭოთა არმიები, არამედ ალყაშემორტყმულნი გაუწევდნენ მათ დახმარებას, ამასთანავე მნიშვნელოვანს, თუნდაც მხოლოდ იმით, რომ მოწინააღმდეგის სამჯერ მეტსა და უკეთ შეიარაღებულ ძალებს დაბანდებდნენ, შებოლოდ ბოლოს, ამ ომში უშუალო მონაწილეობის საშუალებას მოუსპობდნენ.

ის რადიოგრამაც, რომელმაც ესოდენ გააოცა რადისტი ბეგლოვსკი, სწორედ ამ მიზანს ისახავდა.

●

გუნტერ ლახუზენი „დოღრიალა“ ხარიტონჩიმა რომ გვრაბის გასასვლელთან მიიყვანა, — სააღდგომო კვერცხიდან ყოფილხარ გამოჩეკილიო, — უთხრა და გამოსათხოვრად მამაშვილური, სათუთი ალიაური უთავაზა.

მძღოლ-პოეტს იოტისტოლადაც არ სწყენია „ველურის“ ეს უხეშობა, ცეცხლწაკიდებულივით მოცოცხა და საკმაოდ დამრეცი ფერდი ისე აირბინა, სულიც არ მოუთქვამს, ნამინდვრალიც ძუნძულით გადაიარა და უპატრონოდ მიტოვებული „ოპელი“ რომ დალანდა, სიხარულით შეჰყვირა და მამა უფალს მადლი მოახსენა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ მისი შემწეობით დააღწია თავი ლიუციფერის ყბებს.

გუნტერი ფხაჟა-ფხუჭით შეხტა მანქანაში, აამუშავა და ქერჩის მიმართულებით დაძრა, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეაყოვნა. პირდაპირი გზა, რომელიც ქალაქისკენ მიემართებოდა, არასოდეს გაევლო და სახიფათო იყო თუ არა, არაფერი იცოდა, ამიტომ შემობრუნდა, ძველ და ნაცნობ შარას დაადგა. „საკუთარ ბედ-იღბალს ყველა თავად განაგებსო,“ სწორედ ამაზე ითქმოდა.

შტურმბანფიურერი გეინეკიუსი ბრძოლებში ნაწრთობი ოფიცრის სიდინჯით შეხვდა ცნობას ფონ ბაბენბერგის ტყვედ ჩავარდნის შესახებ და ასეთი სარკასტული აზრიც გამოთქვა, „ადამიანს თვალება კეფაზე იმიტომ არ ასხია, რომ ხანდახან ცხვირწინაც გაიხედოსო“, მაგრამ როდესაც გუნტერმა ხანინის ულტიმატუმი გადასცა და ისიც აუწყა, ახლა პირდაპირ გენერალ-პოლკოვნიკ ენნეკესთან მივდივარო, შტურ-

მბანფიურერი რატომღაც აწრიალდა, ქოხის სარკმელი გამოაღო, ფელდფებელ ჰანს ფისნერს უხმო და დაავალა განსაცდელიდან თავდაწეული და, ალბათ, დამშეული ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს გაუმასპინძლდიო, ხოლო როდესაც გუნტერმა იუარა და კარისაკენ გაიწია, გიბრძანებო, დაურთო და შეაყოვნა.

პოეტური ბუნებისა და ყოველი სიკეთის აღმქმელი გუნტერ ლახუზენი სრულიად არ ელოდა ამ „ებრაელთ-მკლეტ“ გეინეციუსს თუ ასეთი სათნო და ჩვილი გული აღმოაჩნდებოდა, და მის მიმართ უდიდესი სიმპათიით განეწყო, ხოლო საუცხოო ღორის შაშხმა და ჭაში ჩაცივებულმა ბავარიულმა ლუდმა საბოლოოდ დაარწმუნა ახლად აღმოჩენილ ჭეშმარიტებაში, დანაყრებულმა და სასიამოვნოდ გაბრუებულმა, მასპინძელს უღრმესი მადლი მოახსენა და იმბაკ, როგორც კეთილშობილ ოფიცერს შეშვენოდა, გზა მშვიდობისა უსურვა. ჭიშკარში გამავალ გუნტერს წინ ფელდფებელი ფისნერი შეეჩეხა და როგორც კი შეიტყო, ქალაქში მიემგზავრებოდა, უცებ გაახსენდა, რომ თავადაც აუოცხელი საქმე ჰქონდა მოსაგკარებელი იქ. ახლად ხიფათგადახდილ მძღოლს გაეხარდა კიდეც მისი დამგზავრება, რადგან მზე უკვე ჰორიზონტს მისდგომოდა, ხოლო ამ სახიფათო მხარეში მარტოხელად მოგზაურობის პერსპექტივა მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ ანიჭებდა; ამასთანავე ფელდფებული ფისნერი ყველგან ცნობილი იყო როგორც უშიშარი და შეუპოვარი მებრძოლი და ასეთი კაცის გვერდით ყოფნა თავისთავად უსაფრთხოების დიდებულ გარანტიას აძლევდა.

ჰანს ფისნერი მართლაც ცნობილი იყო არიელთათვის დამახასიათებელი მეომრული სულისკვეთებით, თუმცა არიელობისა გარეგნულად არაფერი ეცხო. ამ ჯალათივით ოთხკუთხედ, ჯმუხსა და ძვალოვან კაცს შავი თვალები და კიდევ უფრო მუქი ფერის თმა ჰქონდა. ომამდე იგი „ჰიტლერიუგენდის“ ერთ-ერთ ბანაკში კრივის მწვრთნელად მუშაობდა, რაზედაც მისი ხრტლ[illegible]ული ცხვირიც მიანიშნებდა. ჰანსს ერთი ღმერთი ჰყავდა — ადოლფ ჰიტლერი და ერთიც კერპი — შტურმბანფიურერი გეინეციუსი, რომლის შემწეობითაც ჯერ განსაკუთრებული დანიშნულების ქმიფერ ნაწილში მოახერხა მოხვედრა, შემდეგ კი ყირიმში გადმობარგდა, სადაც ვერმახტის ოფიციალური ცნობით, ომის დამთავრებისთანავე გერმანელებს დიდრონ მამულებს დაურიგებდნენ და უსაზღვრო რაოდენობით უფასო მონა მუშახელსაც არგუნებდნენ: ასე რომ უახლოეს ხანებში ჰანსი მონათმფლობელი და მდიდარი მემამულე უნდა გამხდარიყო.

შტურმბანფიურერმა ერთგულ ფელდფებელს სადღეისოდ მთლად უმნიშვნელო, იოლად შესასრულებელი დავალება მისცა, რომლის მაგვარი აღრეც არაერთხელ დაუკისრებია, და ამისათვის, როგორც ჩვეოდა, სამად-სამი სიტყვა უჩურჩულა: „იგი ხელს გვაშლის“! — ეს კი სრულიად საკმარისი იყო ნებისმიერი არსების საიქოოს გასამგზავრებლად, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კიდევ ოთხი სიტყვა დამატა: „ყოველივე შეუმჩნევლად უნდა მოხდეს!“

რაღა თქმა უნდა, „მგელი ფისნერი“, როგორც მას გეინეციუსი სიყვარულით იხსენიებდა, ამ საქმეს დაკვეთილი სცენარის მიხედვით შეასრულებდა თუმცა ახლა, სადღაც, აზროვნების მიღმა, უსიამოვნო კითხვა დაებადა: „ის ხომ გერმანელია?“ — და ნაფიქრი დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ უდავო არგუმენტით უარყო: „მან უკეთ იცის...“ და ასეც იყო, ფელდფებელის საფიქრალს შტურმბანფიურერი ფიქრობდა, იმისას — უფრო მაღლამდგომი, ხოლო ყველასას — ფიურერი, რომელმაც საქვეყნოდ ბრძანა კიდეც, „თქვენ ჩემი ხელ-ფეხი ხართ, თავი კი მე გახლავართ, თქვენი მოვალეობაა — შეასრულოთ, ჩემი — ფიქრი!“

ფისნერს წარმოდგენაც არა ჰქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კონკრეტულ შემთხვევაში ვალტერ გუნნეციუსი დამოუკიდებლად აზროვნებდა, და ეს საოცრება ჯვარმა გამოიწვია. არა იმან, რომელზეც მაცხოვარი აცვეს და აწამეს, არამედ გაცილებით ძვირფასმა — რკინის ჯვარმა, რაიხის უმაღლესმა ორდენმა. გუნტერ ლახუზენს რომ ქერჩის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლისათვის ფონ ბაბენბერგის კატაკომბებში ტყვედ ჩავარდნის ამბავი მოეხსენებინა, ამ უკანასკნელს, შესაძლოა, ის დიდი საბრძოლო ოპერაცია, რომელიც მეორე დღისათვის იყო დანიშნული, სამერმისოდ გადაედო, რადგან იმ ქეციან არისტოკრატს ბერლინში გავლენიანი მეგობრები ჰყავდა და ამ შემთხვევაში თითქმის განადგებული ჩინის მომატება და ჯილდო გაურკვეველი ვადით მომავლისაკენ გადაიწევდა, რასაც პატივმოყვარე შტურმბანფიურერი ვერასგზით ვერ შეეგუებოდა.

როგორც კი ფელდფებელმა გვერდი დაუშშვენა, გუნტერ ლახუზენმა კეთილგანწყობის ატმოსფეროს დამყარება განიზრახა და ის ჰკითხა, რაც თანამგზავრს, უდავო სიამოვნებას მიანიჭებდა.

— თქვენი მამალი სად არის?

— ბნელში ზის, — ცივად მიუგო ფისნერმა, რადგან ამჟამად ჩასატარებელი ოპერაციის დეტალებს აზუსტებდა.

— მართლა ბრაზილიიდან ჩამოიყვანეთ? — არ მოეშვა გუნტერი.

ფისნერი თავისდა უნებურად აჰყვა, მოჩხუბარი მამალი მისი სისუსტე იყო, რადგან ვაჟკაცური სისასტიკის განსახიერებად მიაჩნდა.

— არა, ესპანეთიდან. რუსპუბლიკას რომ კისერი მოვეგრიხეთ, ერთ-ერთის სარდაფში აღმოვაჩინე, იმიტომაცაა წითელი, — ვითომ მოსწრებულად იხუმრა და გუუხედნავი ულაყივით აჭიხვინდა.

— ბნელში რატომღა ჩაამწყვდიეთ? — გაიოცა გუნტერმა, — მზის სინათლე აწყენდა, ვითომ?!

ფელდფებელმა დაცინვით გადახედა ამ უცოდინარ ბრიყვს.

— სინათლე მეომარს თვალებს აუბრმავებს, — განუმარტა, — სიბნელე კი სიმამაცეს მატებს, სისხლსა და მსხვერპლს ანდომებს.

მძღოლმა საქარე მინა ჩამოუშვა, ჩამავალ მზეს გახედა, ამ თემაზე საუბარი ალარ აინტერესებდა.

— ნუთუ ეს მართლაც კარგია? — ინტერესით იკითხა, — სისხლი და მსხვერპლი... ყველგან ერთი და იგივე... მსხვერპლი და სისხლი...

თანამგზავრმა დაუფარავი ზიზღით გადახედა.

— იყო მამაცი, აი, ეს არის კარგი! — დარწმუნებით აუხსნა. — ჩვენ, გერმანელებმა სხვებზე უკეთ ვიცით ეს ჭეშმარიტება, თუ იცი, ვინა თქვა ეს პირველად?

— ვინ? — დაინტერესდა გუნტერ ლახუზენი.

— შირახმა, — გაანთლა თანამგზავრმა. — ის ერთხელ იყო ჩვენთან სკოლაში და მაშინ უთხრა ყოჩაღ ბიჭებს.

მძღოლმა ერთხელაც გახედა გზას, მნათობი სანახევროდ ჩაძირულიყო ზღვაში, სევდა შემოაწვა, უნებურად უკლო სიჩქარეს.

— შირახს კი ფიუურერმა ასწავლა, — მან ყველაფერი იცის.

— იქნებ ნიცშემ? — უგერგილოდ შეეპასუხა გუნტერი.

ფელდფებელმა გაავებით დააკვესა თვალები, სწრაფად წასწვდა გუნტერს ნიკაპში, თავი შემოუტრიალა და ისე მძლავრად მოუჭირა ყბებში თითები, რომ ნაცემი ლეკვივით ააწკმუტუნა.

— მიჭქარავ, იდიოტო! — ცივად და ბოლმიანად უთხრა, — ფიუურერამდე ასეთ სიბრძნეს ვერავინ იტყოდა, კარგად დაიმახსოვრე!

გუნტერმა მაჯაში მარჯვენა ჩასჭიდა, მარცხენით კი საქე შეათამაშა და ამ მოქმედებით უნებლიეთ ხელი შეაშვებინა.

— მართალი ბრძანდებით, ბატონო ფელდფებელო, — მოჩვენებითი თანხმობით დაერწმუნა, — ნამდვილად შევცდი.

ეროვნული

— ჰმ... — ამოიღრინა ფისნერმა, — შეცდა გოგონა.

ცოტა ხანს უბრად მიჯაყჯაყებდნენ, თავ-თავის სარკეელში იცქირებოდნენ.

— რას უყურებ? — დაინტერესდა ფისნერი. ჩუმად ჯდომა უკვე აღარ შეეძლო, ის „საქმე“, მას რომ უნდა მოემოქმედა, ახლოვდებოდა, და ახლა ფისნერი განმარტოებას ისევე ვერ ეგუებოდა, როგორც ჭარბ ფიქრს.

— მზეს, — მიკნავებული ხმით მიუგო ერთიანად მომჩვარულმა გუნტერმა.

— რატომ?

მძღოლმა საჭეს რკალად შემოაჭდო მკლავები, შემდეგ ნიკაპი ხელის ზურგს დაებჯინა და წარბებქვეშიდან გახედა ჰორიზონტს. „მზე ჩამავალი, მზე სხივმფრქვეველი, მთის ორწოხებში ისე კვდებოდა...“

გაიხსენა დილით დასწავლილი სტრიქონები.

— რატომ-მეთქი? — კითხვა გაუმეორა ფისნერმა.

— თავისუფლებისათვის, — თქვა გუნტერმა, ისე რომ ფელდფებელისაკენ ორც გამოუხედავს. — სიცოცხლისათვის, დაუმადლებელი სითბოსათვის, კიდევ... — აქ ცოტა ხნით შეყოვნდა და მაინც გაბედა: — პოეზიისათვის, დიახ, პოეზიისათვის...

ფისნერს პირისახე დაეღმიჭა, დაადგა ყინნა და პირსაქმების იმიტაცია გაითამაშა.

— კმარა, — უბრძანა, — წინ იყურე!

„ესეც ისეთია“, გაიფიქრა თავისთვის და ერთი ჭკუის სასწავლებელი ამბავი გაიხსენა, რომელიც ამდაგვარ „ქალბიჭას“ მისი წყალობით შეემთხვა.

„ჰიტლერიუგენდის“ ბანაკში, ახლად ფრთებშეესხმულ არიელ არწივებს ბანაკის უფროსის, შარფიურერ ვისლიცენის თხოვნით ლვოვიდან თანატოლ ბიჭუნებს უგზავნიდნენ. ვისლიცენი თავის აღსაზრდელებს სანგრებში ჩალალადა და ხელქვეითებს სამ-ოთხ სტუმარ „კურდღელს“ გამოაყვანინებდა. — ხომ გინდათ სიცოცხლე? — ჰკითხავდა და პასუხსაც აღარ დაელოდებოდა, — მაშინ გაიქეცით, — შესთავაზებდა ბანაკის უფროსი, — და თუ ღობეს მიაღწევთ და ზედ გადაცოცდებით, ნებას გაძლევთ, პირდაპირ სახლებისაკენ მოკურცხლოთ.

სტუმარი „კურდღლები“ თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, მომავალი არწივები კი ეცოდნენ, თან ვარჯიშობდნენ და ნერვებსაც იკაეებდნენ. თუმცა იშვიათად, მაგრამ ხანდახან ხდებოდა, რომ რომელიმე „კურდღელი“ მაინც მიაღწევდა ღობეს და ზედ შეცოცებას შეეცდებოდა, აქ კი მას, როგორც ბიჭები იტყოდნენ, „დიდი სიურპრიზი“ ელოდა, ღობეში მაღალი ძაბვის დენი იყო ჩართული.

შარახი რომ საინსპექციოდ ჩამობრძანდა, ნანახით აღფრთოვანებულმა დაუფარავი კმაყოფილება გამოთქა და მაშინ იყო, ფელდფებელი ფისნერი რომ საქმიანი წინადადებებით წარსდგა: „კურდღელ“ ბიჭებთან ერთად ბანაკისათვის მათი თანატოლი გოგონებიც მოეწოდებინათ.

— ყმაწვილების გახრწნა განიზრახე? — უცრიალა შარახმა და საჩვენებელი თითით კინაღამ თვალი გამოსთხარა, ხოლო კოლეგებმა ცუდად შეფარული ქირქილი დააყოლეს.

— რას ბრძანებთ? — ძლივს ამოლუღლუღა გაფითრებულმა ფისნერმა, — მათ ხომ ქალებზე და ბავშვებზეც მოუწევთ მუშაობა და ვიფიქრე, ამ მასალის დროული შესწავლა მომავალში გამოადგებათ-მეთქი.

ფაშისტური ახალგაზრდობის ფიუერერი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, შუბლზეც კი მოისვა ხელთათმანიანი ხელი.

— ბრწყინვალე აზრია, — შეაქო, — ყოჩაღ!

ამის შემდეგ იყო, რომ მოაყარეს და მოყარეს პატარა გოგონებიც და ქალიშვილებიც და აღმოჩნდა, რომ ფელდფებელი ჰანს ფისნერი ცამდე მართალი იყო, თუნდაც იმ ერთი ფაქტის გამო, რომ ლოყაწითელა ვერტერმა, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო მსროლელად ითვლებოდა, თანატოლი გოგონა შეიბრალა.

ახლა კი იმიტომ გაახსენდა ის ამბავი, რომ ეს ნაძირალა გუნტერიც იმ „ქალბიჭას“ ჯიშისა ჩანდა.

— მე ლექსებს ვწერ, — სრულიად მოულოდნელად, გამოაცხადა გუნტერ ლახუზენმა.

ფელდფებელს გოგნებისაგან ნერწყვი სასულეში გადასცდა და ნესტგადაყლაპული ძაღლივით დაიწყო ხველი.

— რას შვრები? — ჰაერის შესუნთქვით ჰკითხა.

— ლირიკულ ლექსებს ვთხზავ, — გაუმეორა გუნტერმა.

„შტურმბანფიუერი ნამდვილად არასოდეს ცდება, — გაიფიქრა ფელდფებელმა, — ეს ნამდვილად ყველაფრის ღირსია“.

— ვის სჭირდება ეგ სიბრიყვე, შე ნაბუშარო, — ყურიალა — ახლა ომია, გესმის, ომი!.. და გერმანიის ათასწლოვანი იმპერია იქმნება, ჯარისკაცები ფიურერის უკვდავი იდეებისათვის სისხლს ღვრიან, სიცოცხლეს სწირავენ, ეს იდიოტი კი რაღაც სისულელეებს ჭიაანის...

გუნტერი დათმობას აღარ აპირებდა.

— ფიურერმა ხომ ბრძანა, სული უკვდავიაო, სული კი პოეზიაა, — ამაღლებული ინტონაციით განაცხადა, — დიდი ღმერთი ოდინიც ხომ პოეზიის ჩამსახველი სული იყო... დიახ, ბატონო ფელდფებელო, ჩამსახველი სული!..

ჰანს ფისნერს ენა ჩაუვარდა, საფეთქლებში ლამის სისხლმა გამოჟონა, გზისპირს გახედა.

„აქ“, — გაიფიქრა.

— შენც გაქვს სული? — უეცრად დაღინჯებულმა ჰკითხა.

— როგორ არა, — გაიოცა გუნტერმა და კამკამა ცისფერი თვალები შეანათა, — ყველა ადამიანს აქვს სული.

— სად, აქ? — საჯდომზე დაატყაპუნა ხელისგული ფელდფებელმა.

— ეგ არავინ იცის, — გაჯიუტდა გუნტერი, — ზოგს სად და ზოგს სად.

ფისნერმა მაჯა დაუჭირა, ბორკილივით ძალუმად შემოაჭდო თითები.

— მე ვიცი, — უაზრო და უადგილო სიცილით უთხრა, — გააჩერე მანქანა, ახლავე გიჩვენებ ვისაც სად აქვს.

ფელდფებელმა მძღავრად გადაქაჩა და მძღოლიც იძულებული შეიქნა, მანქანა დაემუხრუჭებინა.

— რა გნებავთ, ბატონო ფელდფებელო?! — გვარიანად დაშინებულმა იკითხა, — სად მიმათრევთ?!

— გადმოდი, — უბრძანა ფისნერმა და მანქანის კარი გააღო, — უნდა გიჩვენო, სადაც არის შენი უკვდავი სული.

— თქვენ რა იცით, ან საიდან უნდა იცოდეთ?

ფისნერმა პატარა ცინდალივით გადაითრია, კისერში წაუწვდა და ნჯრევეგქიმუნჯით წინ გაიგდო.

გუნტერს ხმის ამოღებაც აღარ შეეძლო, უზარმაზარ ტორში წიწილასავით ჰქონდა თავი ამოჩრილი.

გზიდან ოციოდე ნაბიჯის მოშორებით რამდენიმე თივის ზვინი იდგა, ეტყობოდა, აღარავის ესაჭიროებოდა, ერთ-ერთზე ტარგაშავებული, ჩაკანგებულკბილებიანი ფიწალი იყო მიყუდებული.

— ლახუზენის სული, აქა ხარ?

— დაიძახა ფელდფებელმა და დაწვრილებული ხმით თავადვე გასცა პასუხი — აქა ვარ... აქა ვარ!

შემდეგ მოსულიერებული გუნტერი მკვეთრად შემობრუნა, — ხედავ, სად ყოფილა? — დამცინავი ქირქილითი ჰკითხა და ცაციათი ისეთი ძალით ამოჭკრა, რომ გატეხილი ყბის ძვლის ტაკანი ნათლად გაიგონა.

გუნტერ ლახუზენი თივის ზვინთან უგონოდ ჩაიკეცა.

— ყოჩაღ, — თავი შეიქო ფელდფებელმა, — ჯერ კიდევ შემრჩენია მკლავში ძალა.

შემდეგ წაქცეული გუნტერი ფეხისკვრით გულაღმა გადააბრუნა, შავტარიან ფიწალს გადასწვდა, ზეადმართა და მონაცვლებით სამჯერ ისეთი ძალით ჩაჰკრა მეცელში, რომ სამჯერვე წვეროთ მიწას უწია.

თენგიზ ალაფარი

...და არ იყო ჩვენს შორის ბგირი

საქ. სსრ ა. მარცვლის სახ. სახ. ეროვნ. ბიბლიოთეკა

ეს საქმე რომ მოამთავრა, სულთმობრძავს დაკვირვებით ჩააცქერდა სახეში და ცალუბად გაიღიმა.

— ოჰ, ეს საძაგელი პარტიზანები, რა დაუნდობლები არიან, საწყალი ბიჭი! — წრიპინა ხმით თქვა და თანამოძმის ცხედარს ზიზღით დააწერტა.

●

დოქტორი ფონ ბაბენბერგი სულის ხუთვამ მოიყვანა გონს, თითქოს ცხვირპირზე ბალიშს აჭერდნენ და გუდავდნენ, ხიხინით ჩაისუნთქა აქოთებული, მყრალი ჰაერი და თვალები მონაცვლეობით გაახილა.

თავს ზევით, დაბალსა და შემურულ ჭერზე რაღაც ძველებური ჭრაქისმაგვარი ეკიდა, საიდანაც სინათლეზე მეტი, ჭვარტლი ცვიოდა და გულმკერდზე ეყრებოდა. გაჭირვებით შეატრიალა დამძიმებული, გაბრუებული თავი და ადგილსამყოფელი შეათვალიერა.

კუბოს ფორმის წაგრძელებულ ქვის საკანში რკინის ჩაჟანგებული საწოლები იყო ჩამწკრივებული და ზედ სახვევებდადებული ხალხი იწვა, უფრო იქით, იატაკზე დაფენილ ლეიბებზეც ადამიანები ეყარნენ, შემდეგ მის სმენას ნელ-ნელა მისწვდა ვიღაცის კვნესა, ტრიალნარევი წუწუნი. აქეთ, ზურგს უკან, ბოხი, ჩახლეჩილი ბანი კბილმტკივნით დათვივით ბურდღუნებდა და ხანგამოშვებით რაღაც გაურკვეველს ღრიალებდა. დოქტორის დაბინდულ გონებას უკვე შეეძლო ნორმალურად აღექვა ყოველივე, მაგრამ მიუხედავად მონდომებისა, მაინც ვერ გაერკვია, სად და რა სიტუაციაში იმყოფებოდა.

— სადა ვარ? — იკითხა შეძლებისდაგვარად ხმამაღლა, — მომხედეთ ვინმემ!

საიდანღაც ტურტლიან ხალათში გახვეული ქალისმაგვარი არსება მოეცლინა, თითქოს მიწიდან ამოიმართა, იქნებ საწოლქვეშიდანაც გამოძვრა, გაყინული, უსიცოცხლო ხელი შუბლზე დაადო, ჩამტვრეული, ჭიანი კბილები გამოაჩინა და ფარშევანგის ხმით დაიჩხავლა.

ბაბენბერგს ტანში გასცრა, ეშინოდა შეაძიგძიგა, ხელახლად გაუელვა აზრმა, რომ საიქიოში იმყოფებოდა, და, რატომღაც, გაიფიქრა: „საინტერესოა, ჯოჯოხეთში პროტესტანტები თუ არიანო“.

იმ ჩხავილზე ახლა მამრის მაგვარი მოიძურწა, თავზე ვირის ყურები ესხა, ოღონდ — განა-განზე გაშლილი, უგუნებოდ მყოფი სახედარი რომ ჩამოყრის, იმდაგვარი, მოიხარა, სახეში ჩააცქერდა და ირსად რომ არ ვიგონა, ისეთი ხორხისმიერი გერმანულით ჰკითხა.

— როგორ გრძნობთ თავს, ბატონო დოქტორო?

ფონ ბაბენბერგმა გაიოცა, ეს რა ზრდილობიანი ეშმაკი მომევლინაო. თუმცა ვირისყურებიანს დამქაში უფრო ეთქმოდა.

— გმადლობთ, — აკანკალებული ხმით მიუგო, — თითქოს არა მიშავს რა, ხომ ვერ მეტყვით, სადა ვარ?

— ჩვენთან, ჰოსპიტალში, — განუმარტა დიდყურამ და ხელის მოძრაობით ერთიმეორეს მიტყუპებულ საწოლებზე მიანიშნა.

ბაბენბერგმა ყველა ჭაჭიკი ამოუშავა გონებაში, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი იაზრა, „ჰოსპიტალი“ მისთვის სულ სხვა ცნებისა და გარემოების აღმნიშვნელი სიტყვა იყო.

— ვისთან, თქვენთან? — ეჭვსაყოლილ ფსიქოპათის იერით იკითხა და გაფართოვებული თვალები მიატარ-მოატარა. დამამშვიდებელი ახლაც ვერაფერი შენიშნა.

— აჯიმუშკის გარნიზონის მიწისქვეშა ლაზარეთში, იმ ლაბირინთში, რომლის მიახლოებითი ნახაზიც თქვენ შეადგინეთ და არც თუ ურიგოდ.

შემკრთალმა დოქტორმა თვალები იმწამსვე დახუჭა.

„ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო... მართლაც ჯოჯოხეთსა და გეენაში ჩავვარდნილიყავი, ისაზის მერჩივნა, ხორციელი მაინც აღარ ვიქნებოდი, აქკი რა სატანჯველი მელოდება, ვინ იცის... ვინ განსაზღვრავს?“

— როგორ... რანაირად... რა გზით... რატომ არაფერი მახსოვს? — საყვედურით დაიჩივლა, ქუთუთოები აზიდა და კვლავ იმ ვირისყურიან ეშმაკის შეგირდთან თუ უფრო დიდი საშინელების პირისპირ აღმოჩნდა.

— Malum malo medicari. ცოტა არ იყოს დაცინვით უთხრა იმან, — ვფიქრობ, თარგმანი არ დაგჭირდებათ, თქვენ ხომ დიდებულად იცით ლათინური? — დაეკითხა და შემდეგღა დაურთო: — უბრალოდ, ხვრელში ჩამოვარდით, თქვენს მიერ აფეთქებულ ხვრელში.

ფონ ბაბენბერგმა თავი მოიმკვდარუნა, ცოტა ხნით გაირინდა, შემდეგ კი ნელ-ნელა შემოენთო ცეცხლი, და რაც მეტს ფიქრობდა და აზროვნებდა, ცეცხლიც მეტად ღვივდებოდა და ალმურად ედებოდა, „ნამდვილად გავგიჟდი“, დარწმუნებით იმეორებდა. საიდან იცოდა ამ წითლების ტარტაროზმა, რომ დოქტორი იყო და ლათინური იცოდა, ის ხომ იმდენად საიდუმლოდ გადმოგრინდა ბერლინიდან, რომ პირადობის მოწმობაც არ წამოუღია, ერთი შეხედვით, მთლად უბრალო ბეჭედდასმული საშვი ჰქონდა, რომელზეც ეწერა: „წარმომდგენს აღმოუჩინეთ პირველი კატეგორიის დახმარება“, არც გვარი, არც სახელი, ეს იყო და ეს, ლაბირინთის სქემაც მხოლოდ მისთვის ცნობილი ხერხით ჰქონდა ჩანიშნული, ვინ იყო მისი გამშფვრელი? და ყველაზე დიდი საოცრება, ის ცნობილი გამონათქვამი, რომელიც თავადვე მოიგონა „ბოროტის ბოროტი ბოროტი არ არის“, ფაქტიურად ხომ იგივე აზრის მატარებელი იყო, რაც ამ კუდიანმა უთხრა — „ბოროტება ბოროტებით იძლევაო“, — „Malum malo medicari!“ — ლათინურ ენაში არსებული ყოველი აფორიზმი კი მას არათუ წაკითხული, ჯერ კიდევ ბერლინის უნივერსიტეტში ჰქონდა შესწავლილი, ხოლო მეხსიერებას მისთვის არასოდეს ეღალატა.

საბოლოოდ დოქტორმა ბაბენბერგმა მაინც ორმაგი ლოგიკური დასკვნა ჩამოაყალიბა, რომ ან მართლა გაგიჟდა და ჰალუცინაციები ჰქონდა, ან არაფერს ეშმაკობენ ჯოჯოხეთში იმყოფებოდა და მის ტანჯვა-წამებას იმით იწყებდნენ, რისიც სიცოცხლეში ყველაფერზე მეტად ეშინოდა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — თითქმის მუდარით დაეკითხა დიდყურას, და იმას რომ ეთქვა, ბოროტი სულიო, შვებით ამოისუნთქავდა.

ფონ ბაბენბერგს მსჯელობითა და ლოგიკური განსჯით მართლაც მრავალი რამ შეეძლო განეჭვრიტა, უმაღლესი ფილოსოფიური აზროვნების დონეზეც კი, მაგრამ მან არ იცოდა მთლად უმნიშვნელო ფაქტები, რომელთა ცოდნის შემთხვევაში ნათელი გონების ბავშვისათვისაც კი, ყოველივე ცხადი შეიქმნებოდა.

პირველი ის, რომ გუნტერ ლახუზენი კვალში ჩაუდგა და მისი ბედი გაიზიარა, ოღონდ ნაკლებ მტკივნეულად, და დაკითხვისას ყველაფერი ენაჰარტალა თუთიყუშივით დააყრანტალა, მასთან კი, მიუხედავად ზემდგომთა მრავალგზის გფრთხილებისა, არც წარმომშობა დაუმალავს და არც პროფესია. რაც შეეხება ლათინურ ანდაზას, ისიც გუნტერმა გაიხსენა, რომელიც ბაბენბერგმა მისი თანდასწრებით გეინეციუსს უთხრა, თავიც მოიწონა და გერმანულადაც უთარგმნა, მაგრამ დამფრთხალმა მძღოლმა იგი ოდნავ გადაასხვაფერა, ხოლო ხანნისათვის სქემის მიხედვით ადგილმდებარეობის დადგენა პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან უკვე იცოდა, რომ ის არქეოლოგიის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა მთელ გერმანიაში და ქერჩში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე აჯიმუშკის კატაკომბებს უტრიალებდა.

გარნიზონის უფროსი მეტსაც მიხვდა, თუ ფონ ბაბენბერგი და „სპეციდანიშნულების“ ნაწილის უფროსი გეინეციუსი თავშესაფარს ერთად უთვალთვალებდნენ და სწავლობდნენ, მათ რაღაც ურთიერთკავშირიც უნდა ჰქონოდათ და ეს საერთო მიზანდასახულე-

ბით იქნებოდა გამოწვეული და გაპირობებული, მაგრამ მას არ შეეძლო გაესაზღვრა, რა საბრძოლო ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული ამ საგანგებო ნაწილს ან როგორი იარაღით იყო ის აღჭურვილი, ამიტომაც გასცა სასწრაფო განკარგულება მიწისქვეშეთში მყოფი გერმანული ენის ყველა მცოდნე მოეყვანათ და იმ თვრამეტ კაცში უფარაჯო ფერშალზე შეაჩერა არჩევანი, რადგან, ერთი რომ, ბებია მასაც გერმანელი არისტოკრატი აღმოაჩნდა და მათ ბუნებას ყოველმხრივ იცნობდა, მეორე და უმთავრესი, ეს შინაგანმა ხმამ უაკრნახა, იმ იდუმალმა გუმანმა, რომელიც ყოველ ბრძენსა და დიდი ნიჭით გამორჩეულ ადამიანს დაბადებიდან თან ჰყვება.

უფარაჯო ჯარისკაცისათვის მიცემული დავალება, ერთი შეხედვით, არცთუ რთული შესასრულებელი ჩანდა, ფონ ბაბენბერგის მეოხებით დაედგინა, თუ რა დავალებით ჩამოიყვანეს ვალტერ გეინეციუსის ნაწილი აჯიმუშაოში და რა სახეობის იარაღით მოქმედებდნენ ისინი.

— მსუბუქი ტვინის შერყევა გაქვთ, — დამამშვიდებლად დაუყვავა თავზე მდგომმა არქეოლოგიის დოქტორს. — მაგრამ ძლიერიც რომ მოგსვლოდათ, თქვენ გულითადი მეგობარს, გეინეციუსს გონებით მაინც აჯობებდით.

ფონ ბაბენბერგი წამოჭარხლდა. გეინეციუსთან ახლობლობა არსად აწყობდა, არც ჯოჯოხეთში და, მით უმეტეს, არც რუსების ხელში.

— რომელი ჩემი მეგობარი, ის ბავშვთა მჭლეტავი ნახეთ, — გაცხარდა, — კიანფა დონატოც კი მონაგონია მასთან.

წითელმა დემონმა სარკასტულად ჩაიცინა, ცალი თვალი მოჭუტა და მეორეთი ისე მიაცქერდა, თითქოს სულში და არსში უპირებდა ჩაძრომას.

— ამას წინათ გიხილეთ, მასთან ერთად რომ მოსეირნეობდით ჩვენს სამყოფელთან, მეტისმეტად გულთბილად ემასლაათებოდით, მართლა, რა წოდება აქვს? სიმართლე მოგახსენოთ, ვერ გიცანი ვარჩიე.

არქეოლოგიის დოქტორმა კბილმტკივანივით ამოიგმინა და გაშლილი ხელისგული თვალებზე დაიდო.

— შტურმბანფიუერერია ის გარეწარი, ქიმიური ნაწილის უფროსი, უფრო ზუსტი განმარტება იქნება თუ ვიტყვით, რომ კანიბალებისა და სულის ამომხდომთა განმგებელია, „გაზვაგონებიც“ იმიტომ ჩამოათრია და ეშმაკეულის სხვა დანადგარებიც.

უფარაჯო ფერშალი შეცბა, რაღაც იაზრა, საწოლის თავს ჩამოებჯინა და მთელი გულისყურით დააცქერდა.

— კეთილი, კეთილი, — შეპარვით დაუყვავა, — მაგრამ გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ, რა უნდა ამ შუაგულ ომში ქიმიურ ნაწილებს, ან იქნებ უკვე აქ�ური მიწების მოხვნა-დამუშავება დაიწყეთ და მავნებლების საწინააღმდეგოდ გეპირდებათ?!

დოქტორმა ბაბენბერგმა მკვეთრი მოძრაობით მოიშორა სახიდან ხელი, ახლა ის ასცქეროდა თავზე მდგომს ცალთვალმოხუჭული.

— ნუთუ ვერ ხვდებით? — გაღიზიანებულმა ჰკითხა, — ისინი ხომ ზღვის გოუჭებივით გიპირებენ ამოხრჩობას და გაგუდვას, გეინეციუსის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილიც აკი ამიტომ მოაგლინეს ქერჩში!

უფარაჯო ჯარისკაცს ჯერ ღაწვები გაუთეთრდა, თავზე ხელები იტაცა, ყურებიანი ქუდი მოიგლიჯა, ძირს დაახეთქა, შემდეგ დამღუღრულივით შეხტა, ადგილიდანვე გაქანდა, ლაზარეთის შემოსასვლელის ფარდა გაგლიჯა და გვირაბში რომ გაიჭრა, იქ მორთო ღრიალი:

— ისინი გაზების შემოშვებას აპირებენ!.. ისინი მხუთავი გაზების შემოშვებას აპირებენ!.. ისინი გაზების შემოშვებას აპირებენ!..

●

იმ დილით პერისად პირველს მეტისმეტად ამაღლებული, საზეიმო განწყო-

ბილება ჰქონდა. დრიოდემ დარბაზში შესვლისთანავე შენიშნა ეს და გუნება წაუხდა, რადგან მრავალწლიანი გამოცდილებით კარგად იცოდა, მბრძანებელს სიხალისე მხოლოდ მაშინ ეუფლებოდა, როდესაც რაიმე ბოროტება ჰქონდა განზრახული.

— აგერ ისიც, ბოსფორის სახელმწიფოსა და მისი მეუფის საუკეთესო მეგობარი! — მყივანნა ხმითა და, როგორც სჩვეოდა, არტისტული პათოსით გამოაცხადა გვირგვინოსანმა და ხელი ახლად შემოსულისაკენ გაიშვირა.

დრიოდემ მდაბალდ დახარა თავი, წარბებქვეშიდან შეათვალიერა იქაურობა, დაკვირვებითა და ყოველივეს აღმნუსხველად. რატომღაც ყველა იქ მყოფი დიდებული დამცინავად შემოსცქეროდა და ამან ეჭვი აღუძრა, ვითუ, გვირგვინოსანს „სუკეთესო მეგობარზ“ რაღაც იმდაგვარი ჰქონდა ნაოხუნჯარი, რომელიც კარგს არაფერს უქადდა.

მეფის პირისფარეში ზენონი მუდამ სავარძლის საზურგესთან რომ ედგა მბრძანებელს და წინდახედულ ბერძენს ჯერ კიდევ ხუთიოდე წლის წინ რომ ჰყავდა მოსყიდული, გაქვავებული სახით იყურებოდა გვერდითა სარკმელში, რითაც უდავოდ მიანიშნებდა, რომ მისი ეჭვი საფუძველს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო.

პერისადმა სავარძლის სახელურს ბეჭდიანი თითი დაჰკრა და პირისფარეში იმავე წამს მის გვერდით გაჩნდა, მოიხარა და ყური მიუშვირა. გვირგვინოსანმა რაღაც წასჩურჩულა, თან ისე, რომ ჭრელი და გამოცვებული თვალების მზერა დრიოდესაკენ ჰქონდა მიპყრობილი.

ზენონი მისკენ დაიძრა, წელგამართული მოდიოდა, არც ხელებს ამოძრავებდა და არც ფეხებს, მარმარილოთი მოპირკეთებულ იატაკზე ტერფებზე ქონწასმულ თოჯინასავით მოსრიალებდა.

ვიდრე მიუახლოვდებოდა, ბაგე შეატოკა, სამად სამი სიტყვა უბგეროდ დაიჩურჩულა, შემდეგ კი, წინ რომ გადაუჩარდა, ერთხელაც გაუმეორა: „რაღაც გამოცდას გიწყობს“, ხუროთმოძღვარმა ჩვეულებრივზე მეტი ყოვნით დაახამხამა წამწამები, „მივხვდიო“, ანიშნა, და მაშინ პირისფარეშმა როხროხა, დარბაზისათვის გასაგონი ხმით ამცნო:

— მბრძანებელი დიდ მეგობარს პირველ სავარძელთან იწვევს!

ასეთი უმაღლესი პატივი, როგორც წესი, მხოლოდ უცხოელ უფლისწულებსა და უპირველეს დიდებულებს მიეგებოდათ და ყველაზე მეტად ეს მიპატიჟება არ მოეწონა მუდამ ფრთხილსა და მფრთხალ დრიოდეს, მაგრამ უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა, ქოშების ჩოჩიალით მიეახლა გვირგვინოსანს, მორიდებით შედგა, მკერდზე ხელისგული მიიბჯინა და მოწიწებით მოიხარა ქედი.

— ეს ჩემთვის ღმერთების წყალობაზე უმაღლესია, — ბებრული, ავადმყოფური ხმით მიელაქუცა, — ასეთ დიდ დაფასებას. არ ვიმსახურებ.

ხელმწიფემ ვითომ გაუღიმა, მხოლოდ მსხვილი ხორციანი ტუჩები გაწელა ნიღაბივით უმეტყველო სახეზე, თვალები კი ყინულივით ცივი და მსუხავი დარჩა.

— პერისადი არასოდეს ცდება, — თავმომწონედ მიუგო. — იგი ყოველ ქვეშევრდომს დამსახურებისამებრ მიაგებს მისაგებელს.

დრიოდე ჯერაც ათენის სრულუფლებიან მოქალაქედ ითვლებოდა და კიმერიის ბოსფორის ტახტის ქვეშევრდომობა ოდნავადაც არ ეჭაშნიკებოდა, მაგრამ ახლა ამის შეხსენების დრო და ადგილი არ იყო, ამიტომაც ჩაფართხუნებული გიმატიის კალთები ამოიკეცა და ოქროთი მოვარაყებულ სავარძელზე ისე ფრთხილად და მსუბუქად დაეშვა, თითქოს ეშინოდა, ფეხები გადახერხილი არ ჰქონდა.

ხელმწიფემ შეწყვეტილი საუბარი განაგრძო, საქმე საბერძნეთში გასაყიდ ხორბალს ეხებოდა, რომელიც დაპყრობითი ომების შემდგომ ბოსფორის სა-

მეფის შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა.

ხანდაზმულ ხუროთმოძღვარს არც ხორბალი აინტერესებდა და არც მისი ფასი, ამჟამად იგი იმაზე ფიქრობდა, თუ რატომ მოაცდინა პერისად პირველმა ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, როგორიც აკლდამა-ყორღანიდან ლაბირინთში გამავალი ხვრელის ამოქმლვა და შენიღბვა იყო, ანდა ისეთი რა გამოცდა უნდა მოეწყო ხელმწიფეს მისთვის, რომლის თაობაზეც კარის დიდებულებთან ხმამაღლა შეეძლო ქილიკი.

ერთი კვირით ადრე, ჩვეულებრივი საუბრის დროს, პერისადმა არქიტექტორს, სხვათა შორის, ჰკითხა, ყოფილ მონებში რა თანხა ჰქონდა გადახდილი, წუწურაქმა დრიოდემ სამჯერ იმაზე მეტი დაუსახელა, რაც ფაქტიურად ჰქონდა მიცემული იმ დიდთავა მახინჯში და მის ჭკუასუსტ ძმაში, და პერისადმაც, როგორც დაკანონებული წესი მოითხოვდა, ის ციფრი წყვილად აბარტყა და ისე ჩაუთვალა. ამასთანავე, კრინტიც არ დასცდენია, თუ რა ბედი ეწიათ ტყუპებს, მხოლოდ ცალყბად აღნიშნა, „ნამდვილად მეტი ღირდნენ“.

ის ღამე თეთრად გაათენა ბერძენმა ხუროთმოძღვარმა, ათასი შესაძლებლობა გათვალა და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გველივით ბრძენი ბოსფორის გამგებელი თუტუს სწორედ მისი შესაძლებლობების მიხედვით გამოიყენებდა და საიდუმლო ხვრელის აღმოსაჩენად ლაბირინთში შეამწყვდევდა.

დღეს დარბაზობაზე ამის შესახებ არაფერი იქნებოდა თქმული, რადგან მეფე ლაბირინთის საიდუმლოებას, რაღა თქმა უნდა, საჯაროდ არ გაამჟღავნებდა. ასე იყო თუ ისე, ხუროთმოძღვარი კარგად ხვდებოდა, რომ თავის შველის დრო უკვე დამდგარი იყო, თუ დაგვიანებული არა.

პერისად პირველმა საუბარი დაამთავრა, დიდებულები დაითხოვა, მხოლოდ დრიოდეს ანიშნა დარჩენა და გვერდით მყოფზე ფსიქიური ზემოქმედების და სულიერი წონასწორობიდან გამოყვანის ძველთაძველი და ნაცადი ხერხი ირმარა, თვალები ერთ წერტილს მიაპყრო, გაირინდა და შუადღემდე ისე იჯდა, წარბიც არ შესტოკებია.

დათქმულ დროს დარბაზში ზენონი შემოსრიალდა, ხელმწიფეს დაენახა და გაქრა.

გვიჩვენონსანი აუჩქარებლად წამოდგა, სავარძლის სახელურზე ხელებდაყრდნობილსა და უკვე წამოზიდულ დრიოდეს მხარზე დაებჯინა, უკანვე დაუბრუნა და პირისფარეშის კვლს მიჰყვა.

დანაშაულში ეჭვმიტანილივით სულ-ხორციანად აფორიაქებულ ხუროთმოძღვარს კვლავაც კრინტდაუძვრელად ყოფნამ და ლოდინმა მოუწია.

აკროპოლისის მთავარ მოედანზე ვერცხლის სინს შემოჰკრეს და მისი მელოდიური წკრიალი მიმქრალიც არ იყო, დარბაზში ეკზომისით შემოსილი ულამაზესი მონა ქალი რომ შემოვიდა, მსხვილად ნაქსოვი უხეში ქსოვილიც ვერ ფარავდა მისი სხეულის სრულყოფილებას. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ პერისადი ამ ღმერთივით ქალს ღამ-ღამობით ძუძუს თავებს უსერავდა და თან აიძულებდა, ყოველ მიყენებულ ჭრილობაზე, „გმადლობთ მბრძანებელო“, მადლი მოეხსენებინა.

მონა ქალმა, მტანჯველური ღამეებისაგან უპეები რომ ჩალურჯებოდა, დრიოდეს საფირონის ფერის თვალები შეაწყალა და მეფის დანაბარები გადასცა — სასახლის წინ დალოდებოდა.

ბერძენ ხუროთმოძღვარს რაღაც აზრმა გაუელვა და სრულად არც ჰქონდა ჩამოყალიბებული, რომ წინ მორჩილად მდგომს მკერდში ხელი სტაცა და თითები კერტებზე მოუჭირა. ქალმა გველნაკბენივით იკივლა. უკან გადახტა, მუხლებზე დაემხო და მკლავებით თავი დაიფარა.

— რა გქვია? — დიდკაცის ხმით ჰკითხა დრიოდემ.

მონამ მკლავები მათრახებივით ჩამოჰყარა, უღონოდ დაუშვა იატაკზე, შემ-

დეგ მკვეთრად აიქნია თავი, შუბლზე ჩამოშლილი თმა ზურგს უკან გადაიყარა და სიმწრის ცმელებით ავსილი იმ საოცარი თვალებით ამოჰხედა.

— ლელია. — კბილებში წყევლასავით გამოსცრა და ფეხზე წამოდგა.

— გული მიგრძნობს, რომ ოდესმე გამომადგები, — მშვიდად თქვა დრიოდემ, შებრუნდა და ვიდრე დარბაზიდან გავიდოდა, ქალისაკენ ზურგმიქცეულმა ხმამაღლა აღმოთქვა:

— კარგად დაიხსომე, წამებულზე უბედური მწამებელია!

სასახლის წინ მკვრივად შეკრული ორცხენიანი სამარი ეტლი იდგა, მეფის პირადი მცველებიც უკვე ამხედრებულიყვნენ და გვირგვინოსნის გამობრძანებას ელოდნენ.

მალე ისიც გამოჩნდა და კიბის თავზე სარკესავით გაიბრჭყვიალა. ჰერისადპირველს მთლად ქარვისფერი, მზესავით სხივმფრქვეველი სამოსი ეცვა და მხრებზეც ოქროსფერი მანტია ჰქონდა მოსხმული. დრიოდეს გული შეუქანდა, ლევკონ პირველის ამფითეატრონში ხილვის შემდეგ რვა წელი გასულიყო და მას მაინც გუშინდელივით ახსოვდა ამ სამოსის ელვარება და ყველა ის საშინელება, რაც მაშინ არენაზე მოხდა, წარსულის მოგონებამ ახლაც შეაშფოთა და უსიამოვნო წინათგრძნობა აღუძრა.

ოქროს მუზარადიანმა ხელმწიფემ სწრაფად ჩამოირბინა კიბე, მანტიის ბოლო კუდივით ამოიჩარა იღლიაში, ეტლში შეხტა, აღვირი მუჭში მოიქცია და დრიოდეს თვალთა ერთი მინიშნებით ასვლა უბრძანა.

ხანდაზმულ ბერძენს ტახტრევანსა და საკუთარ ორ ფეხს გარდა, მიმოსვლის ყოველგვარი საშუალება ჭირის დღესავით სძულდა, და ახლა მეფემ რომ საკუთარ ეტლში მიიწვია, „დალახვროს ღმერთმაო", გაიფიქრა, რადგან ბოსფორის განმგებლის დაუოკებელი და თავაწყვეტილი სრბოლის ამბავი საქვეყნოდ იყო ცნობილი. ასეც მოხდა, დრიოდე ჯერ საზურგე ფიცარსაც არ იყო ჩაჯიდებული, ჰერისადმა რომ ბერიოლელი ... დაურები დაათოხა და ფაეტონივით მოუსავლეთში გარეკა.

პანტიკაპეონის ვიწრო და ხვეულ შუკებში ხელმწიფე ისე მიაგელვებდა ეტლს, თითქოს სამარა ველზე მისწრაფოდა და ქვეყნის ბედ-იღბალი მის დროულ მისვლაზე იყო დამოკიდებული.

ზაფხულის შუადღის გაგანიით მოთენთილი მოქალაქენი მდინარიდან ახლად ამოსული, ნაჭყუმპალავები იხვებივით დინჯად მიბაჯბაჯებდნენ სავალი გზის შუაწელზე და არსაიდან ხიფათსა და უბედურებას არ ელოდნენ. კვერთხისმპყრობელის ეტლი კი მოწმენდილი ცისკიდურიდან მოვარდნილი მეხივით ატყდებოდათ თავზე და ზარდაცემული ფეხით მოსიარულენი მხოლოდ პირისახის შემობრუნებას და მსრბოლავი სიკვდილის თვალებში შეხედვასღა ასწრებდნენ.

როგორც ჩანდა, ეტლში შებმული ბედაურებიც მიჩვეულნი იყვნენ ამ სუსტი არსებების — ადამიანების ფლოქვებით თქერას და წამითაც არ ყოვნდებოდნენ. ამ ამბის შემსწრეთა და გათელილ-დაჩეჩქვილ მსხვერპლთა კივილი და გოდება სადღაც მიღმა, უკვე განვლილ გზაზე რჩებოდა და ეტლში მყოფთა სმენამდე სუსტ, შორეულ მოძახილადღა აღწევდა.

ყოველი გაოგნებული სახის დანახვა, ბორბლებით დალეწილი ძვლების ტკაცანი თუ დანთხეული სისხლის შეგრძნება, ჰერისად პირველს უფრო და უფრო ახელებდა, სიშმაგეს მატებდა, პირზე დუქმორეული უმეტესი დაუზოგავობით უკაპუნებდა შოლტს ისედაც გაშმაგებულ რაშებს და ამოკის სნებაშეყრილივით ღრიალებდა—ჰილ... ჰილ... ჰილ!

მუხლებჩაკეცილი და ფირფიცარს კიბორჩხალასავით ჩაბღაუჭებული დრიოდე დაბლიდან ასცქეროდა ფეზზემდგომი მბრძანებლის პროფილს, მოელვარე ჭრელ თვალს, კისერზე ამობურცულ ძარღვს, წინგაწვდილ, დაძაბულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვენას და ხვდებოდა, პერისად პირველი არა მხოლოდ ბოსფორის დედაქალაქში მიაგელვებდა ეტლს, არამედ ანთებული გონების წარმოსახვით, ცეცხლოვან რაშთა სადავეები ეპყრა და სამყაროს თაღზე მიაფრენდა მათ.

ქალაქები, ქვეყნები და უდიდესი სახელმწიფოები ეცემოდნენ მის ფერხთა წინაშე, ინგრეოდა, იწვოდა და იღვლეფებოდა ყოველივე, პირისაგან მიწისა იშთობოდა ყველა და ყველაფერი, რაც კი დედამიწაზე არსებობდა — სულიერიც და უსულოც.

უბრალო მოკვდავი მეფე კი არ სჩადიოდა ამას, არამედ თვით მაღალ ღმერთთა თანასწორი და თანამდგომი — პერისად პირველი და პერისად უკანასკნელი.

ვის შეეძლო მანათობელი მზის
შეჩერება? — არავის.
ვის ხელეწიფებოდა მისი თუნდაც
შეყოვნება? — არავის.
ვინ შეჰყურებდა ზეკაცის
სრბოლას? — ყველა!
ვინ მორჩილებდა ახალ
ოლიმპოელს? — ყველა!

როდესაც ქალაქის კარიბჭეს გასცდნენ და აღმოსავლეთის მიმართულებით განაგრძეს სრბოლა, შარაგზიდან ოდნავ მოშორებით, ყვავილებით მორთულ მინდორში, დრიოდემ ახლად წამოჩიტული ბავშვების მოზრდილი ჯგუფი დალანდა. ბიჭუნები ჯოხის ცხენებზე ამხედრებულიყვნენ, უკან თანატოლი გოგონები შემოესხათ და ხის ხმლების ჯახაჯუხით და ყიჟინით ერთიმეორეს ებრძოდნენ და ეტოკქებოდნენ.

როდესაც ლარივით გაჭიმულ შარაგზაზე კიდეე მეტად ქანაღებული ეტლი მიუახლოვდათ, უეცრად პერისადმა მოიმოქმედა ის, რასაც არათუ საკუთარ, სხვის სახელმწიფოშიც კი უდეესპოტესი მტარვალიც არ ჩაიდენდა — აღვირი ოდნავ, ცალმხრივ, მოზიდა ცხენებს გეზი აცვლევინა და მისი ნება-სურვილის ბრმად შემსრულებელი ბედაურეიც დაბარებულ სიკვდილივით შეიჭინ ბავშვებში.

ბერძენმა ხუროთმოძღვარმა [illegible] უნებურად იღრიალა, ფეხზეც კი წამოიმართა, იმწამსვე თავი შეაბრუნა და ამ უდიდესი ბოროტების შედეგს გახედა.

სიმარი ეტლის უკან მას ყოველმხრივ მოულოდნელი, არაბუნებრივი და დაუჯერებელი სურათი გადაეშალა.

სრულიად უვნებელი და საღსალამათი ბავშვები გარინდებულნი იდგნენ და გოცებით მისჩერებოდნენ თავაწყვეტით მიმქროლავ ბედაურებს.

რა იყო ეს — გარდაუვალი ტრაგედიის გონებისმიერი უარყოფა, ჰალუცინაცია თუ რეალური ფაქტი? — ამას მოხუცი არქიტექტორი ვეღარ მიხვდა.

ლაბირინთის შესასვლელ ყელს მეფემ ისეთი გაშმაგებით მიაგდო ცხენები, რომ იქ მოფუსფუსე მონებმა გაცლა ძლივს მოასწრეს, წიწილებივით მიმოიფანტნენ, რამდენიმე მათგანს დაშლილი კედელ-ტიხარის ქვის უკანასკნელი ფილები ეპყრათ ხელთ.

უფროსი კირითხურო ეტლთანვე მიეგება მბრძანებელს და ფერდაკარგული მუხლებზე დაემხო.

პერისად პირველი მოკლე ულვაშს ნერვიულად იწიწკნიდა და თვალებს გაავებული ფოცხვერივით აკვესებდა.

— როდის უნდა ყოფილიყო შესასვლელი თავისუფალი? — ისე იკითხა, რომ დაჩოქილისათვის მზერა არ მოუცილებია.

უფროსმა კირითხურომ კისერი მხრებში ჩაიგდო, დამფრთხალი ზღარბივით მოირკალა და შუბლი გავარვარებულ მტკრის ფენას დაადაჯინა.

— შუადღისათვის, მბრძანებელო, — ამოილუღლუღა და ნათქვამს კვნესაც ამოაყოლა.

ხელმწიფემ მცველებს გახედა და ეტლთან გართხმულის თავზე ცერი დაადაპირქვავა. ოთხი კაცი თვალის დახამხამებაში ჩამოქვეითდა და ვიდრე დრიოდე ეტლიდან ფეხს ჩამოდგამდა, კირითხურო გაბაწრეს და მუჯლუგუნების კვრით დასაკლავი ცხვარივით წინ გაიგდეს.

— ყველანი გვირაბში! — ბრძანა პე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისადმა და უკვე მიმავალმა დაურთო:
— მონებიც!

ლაბირინთში გრილოდა, თითქოს საიდანღაც ნიავიც კი ჭროდა, თუმცა ეს შეუძლებელი იყო, ხუროთმოძღვარმა ღრმად ჩაისუნთქა მაცოცხლებელი ჰაერი და სული მოითქვა, გაზუნებული გიმატიის სახელო მელოტ თავზე გადაისვა და შვებით ამოიქშინა.

მგზავრობას მეტისმეტად მოექანცა, დაეძაბუნებინა, უფრო მორალურად მოეშალა, იმედიც აღარ ჰქონდა, ცოცხალი თუ მოაწევდა აქამდის. თავაწყვეტილმა ბედაურებმა. პერისადმა რომ შოლტის ცემით ლამის ტყავი გახადა, რამდენჯერმე კინაღამ ეტლი გადააბრუნეს და მეფის მოხერხება რომ არა, თანატოსთან შეხვედრისაგან ვეღარაფერი იხსნიდა.

ასამდე ნაბიჯი განვლო ლაბირინთში დრიოდემ, მხარმარჯვნივ შაკკანიანი მონა მიჰყვებოდა და გზას უნათებდა, სიღრმეში კი მეფის წინ წასული თანმხლებთა მაშხალების შუქი კიაფობდა და ფეხთა ხმაც გარკვევით ისმოდა.

მთავარ შესასვლელს ორივე მხარეს ექვს-ექვსი განშტოება ჰქონდა, ამათგან თერთმეტი ყალბი იყო, ერთიმეორეში იხლართებოდა, იქსაქსებოდა და ადამიანს წლობითაც რომ ებორიალა იქ, დიდი-დიდი — უკან გამომავალი გზისათვის მიეგნო და საწყის წერტილს დაბრუნებოდა.

მხოლოდ ხელმარჯვნივ, მეოთხე შესასვლელით იწყებოდა მეფეთა სამარხისაკენ მიმავალი ლაბირინთი და ეს საიდუმლოება ქვეყნად ორად ორმა სულერმა უწყოდა. და დრიოდეს უცნაური სიამაყის გრძნობა დაეუფლა, როდესაც ამ შესასვლელს ჩაუარა და გასცდა.

ბოსფორის მბრძანებელს მთავარი გვირაბის გადამკეტი კედლისთვის მიეღწია და, ჩანდა, მას ელოდებოდა, გუნება კვლავ გამოჰკეთებოდა. მალიმალ იფშვნეტდა ხელებს და თითებსაც მონაცვლეობით ატკაცუნებდა, ესეც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ახალი სიავკაცე ჰქონდა განზრახული.

დრიოდეს მიახლოვებისთანავე სწრაფად შებრუნდა და მარცხენა, უკანასკნელ გვირაბში აჩქარებული ნაბიჯით შევიდა, მეჩირაღდნენი, მცველები, ხელებდაბორკილი კირითხურო და მონები კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ და ხუთასამდე ნაბიჯი ისე გაიარეს, კრინტიც არავის დასცდენია.

ბერძენმა ხუროთმოძღვარმა მშენებლობის დასაწყისში ერთი პირველთაგანი ეს განშტოება გაიყვანა და აქვე მოჭრილი ქვით ყალბი სამარხი-ყორღანი ააგო. მას შემდეგ ერთხელაც აღარ მობრუნებია აქაურობის, რადგან ამის არავითარი საჭიროება არ არსებობდა. და მხოლოდ გონებაში აღბეჭდილი ნახაზითღა ახსოვდა მისი მიხვეულ-მოხვეული და აბურდული სქემა.

სრულიად მოულოდნელად და მისდა გასაოცრად, მთელი პროცესია კლდეში გამოკვეთილ უზარმაზარ დარბაზში აღმოჩნდა. საკუთარ ხელზე მეექვსე თითის აღმოჩენაც ვერ გააკვირვებდა იმდენად დრიოდეს, როგორც ამ ფაქტმა განაცვიფრა. რვა წლის განმავლობაში იგი ყოველდღიურად ლაბირინთში იმყოფებოდა და არასოდეს შეუნიშნავს ამ გვირაბიდან გამოსული სულიერი, მისი ნებართვის გარეშე კი ვერც ხელოსანი და, მით უმეტეს, მონა განზე ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა, აქ კი ისეთი სამუშაო იყო ჩატარებული, ასი კაცი ერთ წელიწადშიც რომ ვერ მოამთავრებდა.

„როდის და როგორ მოახერხა ტირანმა ყოველივე?“ — გაიფიქრა დრიოდემ და მხრები სასწაულის მხილველივით აიჩეჩა, მაგრამ მას წარმოდგენაც არა ჰქონდა, რომ უმეტესი საოცრება და სასწაული სწორედ ახლა უნდა ეხილა.

ბოსფორის მბრძანებელი პირისახით შიდა კედლისაკენ დადგა, სამჯერ ძალუმად შემოჰკრა ტაში და მკლავები საფრენად გამზადებულ წეროს ფრთებივით გაშალა. იმავ წამს დარბაზის კუთხეებში დატანებული შემოსასვლელებიდან, ორთავე მხრიდან, ერთიანდ შა-

ვებში გამოწყობილი თორმეტი კაცი შემოვიდა, რომლებსაც თავზე მკერდამდე ჩამოშვებული ძაბრისებური ქუდები ეხურათ და მხოლოდ სამზერად გაჭრილი ფოსოებიდან ელვარებდნენ მათი თვალები.

სახელმწიფოს ფიქტიურ განმგებელ ქურუმთა ეს კასტა პერისად პირველის ნება-სურვილის უსიტყვო აღმსრულებელი იყო და ნებისმიერ დიდებულს, ვეზირსა თუ მხედარმთავარს მათ ხსნებაზეც კი ელეთმელეთი ემართებოდა, რადგან მზისქვეშეთში არ არსებობდა პიროვნება, რომლის გაკრობასაც ისინი ჩაიფიქრებდნენ და ვერ შეასრულებდნენ.

შავოსნები მეფისა და უპირველესი ქურუმის გაშლილი მკლავების გასწვრივ განლაგდნენ, ხელები ზეაღმართეს და ისე რომ დათქმული ნიშანი არავის მიუცია, ხმამაღლა და ხმაშეწყობით აღმოთქვეს — კ ი ა ნ ფ ა!

ეს მაგიური სიტყვა კედლებმა და ჭერმა ექოს გამოცემით რამდენჯერმე გაიმეორა, თითქოს მიწისქვეშეთის სულები ეხმიანებოდნენ მათ ძახილს, და ყოველ იქ მყოფს ქრუანტელი მოჰქვარა.

კედელს იქით ყრუ ხმაური გაისმა, რაღაცამ გაიჟღრიალა, გაიჭრაჭუნა და უმძიმესმა ქვის ტიხარმა, რომლის წინაც ხელებგაშლილი ხელმწიფე იდგა, ნელ-ნელა დაიწყო ჭერში ასვლა-აზიდვა.

დრიოდე თვალისდაუხამხამებლად მისჩერებოდა ტიხარქვეშ გაჩენილ ღრიჭოს, რომელიც თანდათანობით ფართოვდებოდა და იზრდებოდა.

დარბაზში საზიზღარი, გულის ამრევი სიმყრალე შემოიჭრა, ათასი ხრწნადი გვამიც რომ ვერ გამოსცემდა — იმდაგვარი, შემდეგ კედელ-ტიხარმა უფრო თავისუფლად, სწრაფად განაგრძო ზესვლა და როდესაც სამი კაცის სიმაღლეს მიაღწია, შეჩერდა.

ერთიანად ჩაშავებულ, ჩაბინდულ იქითა მხარეს თავდაპირველად არაფერი ჩანდა, თუმცა რაღაც სივრცე უდავოდ იგრძნობოდა, შემდეგ მაღლა რაღაც საგანი გადასწიეს, გაარაბრახეს და ჭერში დატანებული რამდენიმე ხვრელიდან დღის სინათლე სვეტებად ჩამოეშვა.

ლითონის უმსხვილესი გისოსებით გადატიხრული ქვაბურის შუაგულში, სხეულმორკალური საშინელი ურჩხული იწვა და ორთავე შემაზრზენი თავის ოთხივე სისხლისფერი თვალით დარბაზში მყოფთ შეშოკ(ქ)ეროდა.

მეფისა და ხელაპყრობილ ქურუმთა გარდა, თვითუნებლიეად ყველამ უკან დაიხია, დრიოდემაც სცადა ფეხის გადადგმა, მაგრამ გახვევებული, გაძაგრული სხეული და კიდურები არ დაემორჩილა და იატაკსშეზრდილივით ადგილზე მიჯაჭვული დარჩა.

ბოსფორის სახელმწიფოში ჩამოსვლისთანავე, როდესაც მან პანტიკაპონის ამფითეატრონის არენაზე ქვესანელის ეს საფრთხობელა იხილა, ერთი ღამეც აღარ ჰქონია ისეთი, იგი რომ არ დასიზმრებოდა. უკლებლივ ყველა—დიდებული, რიგითი მოქალაქე თუ მონა, ვისაც ბერძენი ხოროთმოძღვარი ორთავიანი დრაკონის შესახებ ეკითხებოდა, სრული დარწმუნებით უმტკიცებდა, რომ კიანფა ბოსფორის ტატის მპყრობელთა მებრძოლი სულის ხორციელი ანალოგია იყო უძველესი დროიდან და მას საჭიროების შემთხვევაში არა მხოლოდ შემოსეული მტრის განადგურება, არამედ ნებისმიერი ქვეყნის იავარქმნა და მიწასთან გასწორება შეეძლო, მაგრამ ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, რაშიც დრიოდეს საფუძვლიანი ეჭვი ეპარებოდა, მაშინ ვერც ლეკკონ პირველს და, მით უფრო, მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე მის მემკვიდრეს ვერავითარი ძალა ვეღარ შეაკავებდა.

თავად პერისად პირველმაც ასეთივე განმარტება მისცა, როდესაც იგი გაკადნიერდა და არენაზე ხილული ურჩხულის წარმომავლობაზე და შესაძლებლობებზე ჰკითხა, ხოლო ბუნდოვანი, მიკიბულ-მოკიბული მონათხრობის შემდეგ მეფემ მრავლისმთქმელად გაიღიმა და ქირქილით მიანიშნა — დადგება დრო, როდესაც ყოველი ცნობის-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოყვარე უძლეველ დრაკონს პირადად გაეცნობა და ყველაფერს მაშინ მიხვდებაო.

საყოველთაო აზრისა და რწმენის მიუხედავად, ბერძენი არქიტექტორი მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კიანფა ადამიანის მიერ შექმნილი მექანიკური ქმნილება უნდა ყოფილიყო.

ახლაც, პირველყოფილი შიშით გახეებული, ყოველმხრივ ცდილობდა თვითშთაგონებით თავის დაწყნარებასა და დამშვიდებას, სრულად მოიშველია განმსჯელი გონება და არსებული ნებისყოფა, ძალისძალად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ხელმწიფის ზურგს ამოეფარა და დაკვირვებული მზერით გისოსებს იქით გართხმული დრაკონის თვალთვალსა და შესწავლას შეუდგა.

ამ საქმიანობას, როგორც აღმოჩნდა, იმდენად ჩაუღრმავდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გამორჩა და როდესაც დარბაზში ჩოჩქოლი და გაწამაწია ატყდა, მაშინღა გამოერკვა და გარშემო მიმოიხედა.

ზურგზე ხელებგაკოჭილ უფროს კირითხუროს წინააღმდეგობის მიუხედავად, ციმცმ მიარბენინებდა მეფის ორი გოლიათური აღნაგობის მცველი და როდესაც გისოსებს შორის დატანებულ პატარა კარში ძალისძალით შეჩურთეს, დროიდეს ძველებურად სულის ხუთვა და გულის გამალებული ძგერა დაეწყო, თუმცა ერთხელ აზრმოკრებილი გონება მაინც წვრილმანებში და სრულად აღიქვამდა ყოველივეს, რაც მის წინ ხდებოდა.

კირითხურო შუახნის ჯანმაგარი და ნაჯაფარი კაცი ჩანდა, ზარდაცემული და მომხდარში ჯერაც სრულად გაუცნობიერებელი, თავდაპირველად რეტდასხმული ცხვარივით იდგა და მალიმალ უკან იხედებოდა, თითქოს ამ ამბის მხილველთ ანიშნებდა — ყოველგვარ ხუმრობას აქვს ზღვარიო, მაგრამ შემდგომ ნელ-ნელა გამოერკვა, ყველაფერს მიხვდა და თითქოს კეფაზე კასრით აქაფქაფებული წყალი გადაესვა-სო, ერთიანად ოფლად გაიხვითქა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ურჩხულის ერთი წყვილი თვალი მეფეს შესცქეროდა, ხოლო მეორე მომავალ მსხვერპლს მისჩერებოდა.

პერისადმა გაშლილი მკლავებიდან მარცხენა ძირს დაუშვა, ხოლო მარჯვენა მკვეთრად აიქნია, შემართა და მთელი ხმით ილრიალა: — კიანფა... ჰილ!

ურჩხული მისი სხეულისათვის შეუფერებელი სისხარტით რვავე ფეხზე ერთდროულად წამოიმართა, ორივე უშველებელი ხახა დააბჩინა, სამ წყეებად ჩაწყობილი ხანჯლებივით ღოჯები გამოაჩინა, არაამქვეყნიური ნეტარებით დაიღმუვლა, დაიხრიალა და მსხვერპლისკენ დაიძრა.

უფროსმა კირითხურომ ჯერ უკუსვლით დაიხია, თვალს ვერ აცილებდა მისკენ მომავალ საშინელებას, შემდეგ, ბეჭებით თეჯირს რომ მიაწყდა, შემობრუნდა, დარბაზში მყოფთ სასოწარკვეთილი მზერა მოავლო, მოიხარა, დაიძაბა, ხელები კუნთების დახეთქამდე დაძაგრა, მაჯებზე შემოხვეული თასმა გაგლიჯა და თვალის დახამხამებაში გისოსებზე მაიმუნის სიმკვირცხლით აცოცდა.

კიანფას ორთავე თავს მეწინავეობა სურდა, ამიტომ ნალისებურად მორკალური მოაბიჯებდა და გზად შემხვედრ, იატაკზე მიმოფანტულ ჩონჩხებს ლიწინ-ლიწინით ამსხვრევდა. როდესაც თეჯირს მიუახლოვდა, თავები აიღერა, აცოცებულს ჩასისხლიანებული თვალებით ახედა და ლაშებიდან მოყვითალო-მოყავისფრო დუჟი გადმოაწუწა. ჭერქვეშ შეყუჟულმა კირითხურომ ციდაზე დაშორიშორებულ გისოსებს შორის თავის გამოტმასნა სცადა, ლოყები თითქმის ზედ შეახია, თან მალიმალ პირს აღებდა და, ალბათ, ღრიალებდა, მაგრამ ყელიდან გაბმული ხავილის გარდა, არაფერი ამოსდიოდა, ბოლოს, დაბლა ჩაიხედა და ფეხები გავარვარებულ ნაკვერჩხალზე დადებულივით სწრაფად შეიკეცა, დრაკონის თავებიდან ხორთუმებივით გრძელი ენები

ამრსასვაგებულიყვნენ და მის კოჭებზე შემოსალტვას ლამობდნენ.

რამდენიმე ცდის შემდეგ ურჩხული დარწმუნდა, რომ მაღლა მყოფს ვერ შესწვდებოდა და უკმაყოფილომ ორთავე თავით გამაყრუებელად, გაბოროტებით დაიღრიალა. ამ ჰეკა-ქუხილისებრ ხმაში სისხლისა და მსხვერპლის ისეთი ჯოჯოხეთური წყურვილი იგრძნობოდა, რომ დარბაზში მყოფთა უნებლიე, პანიკური შეძახილი გამოიწვია.

პერისად პირველმა ყელთან გამონასკული თასმა შეიხსნა ქარვისფერი მანტია მხრებიდან გადაიგდო, რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგა და თეჯირის მეტისმეტად სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა. გაავებულ ურჩხულს იქითა მხრიდანაც თავისუფალ ენების გამოტარება, მისი შეპყრობა, გაგლეჯა და ნაწილ-ნაწილ შიგ შეთრევა, მაგრამ რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო, ამას არ სჩადიოდა.

დარბაზში ყველამ სუნთქვა შეიკრა, გაოცებულები უმზერდნენ ხელმწიფის წარმოუდგენელ სიმამაცეს.

— კიანფა! — მბრძანებლურად, როგორც გაწვრთნილსა და თვინიერ ცხოველს, ისე უხმო პერისადმა და როდესაც მისი ყურადღება ვერ მიიქცია, ხელები ქარის წისქვილის ფრთებივით აიქნია და მხრის სახსრებში დაატრიალა.

ურჩხულმა მსხვერპლს მიჩერებული თვალები ნელინელ დახარა, ორთავე თავზე მსხდომი, პატარა, თითქოს მახვილით წაკვეთილი ყურები აამძრავა, წინ მოაქცია და მაშხალების შუქზე მზისფრად მოელვარე ხელმწიფეს შეაცქერდა.

— დაფიქრდი და იმოქმედე, — დამრიგებლურად, როგორც უგულისყურო მოწაფეს, ისეთი ხმით უთხრა პერისადმა, შემდეგ ტუჩები მოამრგვალა და წყალში ჩაშვებული გავარვარებული ლითონის მაგვარი შიშინა ბგერები წარმოსთქვა.

ურჩხულმა თითქოს რაღაც იაზრა, თვალები გაუფართოვდა და ლანჭიფრად გაუბრწყინდა, უკუსვლით ოდნავ დაიხია, თავები კვლავინდებურად აიელვარა, ორივე ხახა დააღო და საბერველივით მძლავრად ამოიქშინა.

შემოდგომის ფოთოლივით აცახცახებული, ერთიანად მოკრუნჩხული კირითხურო ხან მეფეს ჩამოსცქეროდა და ხანაც დრაკონის გახსნილ ყბებს, იმდენად იყო დაზაფრული, რომ ყვირილსაც ღარ ცდილობდა. პირველ ხანად არაფერი შეემჩნა, მაგრამ შემდეგ კიანფას ამონაგვრემი რომ შეისუნთქა, ჯერ ფერი ეცვალა, ნელ-ნელა გათეთრდა, გაყვითლდა და შემდეგ კანკალი აუტყდა, სხეულითაც დაიკვართა, დაიღეღრეჭა და უეცრად მარჯვენა ხელი ყელზე იტაცა, ფრჩხილებით ხორხს ჩაფრენდა და ლამის გამოიგლეჯა. ხუნაგშეყრილივით ხიხინთა და ხავილით სუნთქავდა, ნათლად ემჩნეოდა, უჰაერობისაგან იხრჩობოდა, შოშიის ბარტყივით აღებდა პირს და კისერიც მალების გაწყვეტამდე ეჭიმებოდა. ბოლოს სანახევროდ გაგუდულმა, მარჯვენა ხელს მარცხენაც შეაშველა, ყრონტის გამობღღვნა სცადა, ამ დროს ფეხებმაც უმტყუნა, გისოსებს მოსწყდა და თავდაყირა გადმოეშვა.

მსხვერპლს დადარჯებულმა კიანფას მარჯვენა თავმა მარცხენას დაასწრო, კირითხურო ჰაერშივე ხერხემლიდან დაიჭირა, მძლავრ ყბებში მოიგდო, მომუწა და ფუჭი კაკალივით გამსკდომა ადამიანის თავის ქალამ, თითქოს მეხი გავარდაო, ისეთი გამაყრუებელი ხმა გამოსცა.

ხახამშრალად დარჩენილი ურჩხულის მარცხენა თავი იმწამსვე წაეტანა მარჯვენას, მაგრამ დამსწრეებმა უგანა და კისერი მიიქცია. ერთი ყვინჩილა რომ მეორეს ჭიაყელას წართმევას დაუპირებს, ისინიც იმდაგვარად დატრიალდნენ წრიულად, მხოლოდ იქ, ფრთოსნებში, ერთ-ერთი აუცილებლად უნდა განმარტოვდეს ნადავლის შესასანსლად, აქ კი სრული შემობრუნებაც ვერ მოასწრეს, რომ უფროსი კირითხუროს დაქუცმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებული სხეული ურჩხულის სტომაქში აღმოჩნდა.

როგორც სიამის ტყუპებს, კიანფას თავეხსაც მუცელი და, ალბათ, კუჭიც საერთო ჰქონდათ, მაგრამ მარცხენამ მეტისმეტად იწყინა მარჯვენას თავხედობა და საკბენად წასწვდა, იმანაც, ყბებგათავისუფლებულმა, აღარ დაუთმო და ღოჯებდაკოჭილებმა თავზარდამცემი ღრიალით ერთიმეორეზე მიიწიეს.

იმ ხანიდან მოყოლებული, როდესაც პერისადმა „დაფიქრდი და იმოქმედე“, თქვა, დრიოდეს გონებაც, დრაკონის მსგავსად, ორ ნაწილად გაიყო და განცალკევდა. ერთი გამუდმებით და დარწმუნებით ამტკიცებდა, „ის ცოცხალი არსებაა... უდავოდ ცოცხალი არსება!“ ხოლო მეორე უარყოფდა „ეს შეუძლებელია... ყოვლად შეუძლებელი!“ სწორედ იმ დროს დრიოდემ ორთავე მკლავზე მძლავრი ხელისტაცება იგრძნო და ვიდრე რამეში გაერკვეოდა, მთელი სხეულით ჰაერში ატატებული აღმოჩნდა.

აქეთ-იქიდან ამომდგარი ხელმწიფის მცველები მას თეჯირის გასწვრივ მიარბენინებდნენ და როდესაც დაუშვეს, პირველი, რაც შენიშნა — მის წინ გამოღებული, ქვაბურში შემავალი კარი იყო.

თვალებმინაბული და მზაკვრულად მოღიმარი ბოსფორის განმგებელიც იქვე იდგა და ფრჩხილებით მოკლე ულვაშს იწიწკნიდა.

— დიდად ვწუხვარ, მაგრამ კიანფას ერთი თავი მშიერი დარჩა, — ქირქილხითხითით ამცნო გაფთრებულ დრიოდეს, — ყოველისშემძლე აპოლონმა კი იგი იმ პირობით დამითმო, არასოდეს დამემშია, ასე რომ ჩვენს სპასტიო სტუმარსა და უახლოეს მეგობარს დღეს მისი უპირველესი მფარველი ღმერთის ნება-სურვილის აღსრულება მოუწევს.

მოხუცმა ხუროთმოძღვარმა მხოლოდ ამ სიტყვების მოსმენისას შეიგრძნო სრულად, რასაც უპირებდნენ და იმავ წამს ბარძაყები გაუთბა, შემდეგ ქვის იატაკიდან წვეთების წკაპაწკუპაც შემოესმა და გვერდით ამომდგარი მცველების ხელის ჩაჭიდებაც ხელმეორედ განიცადა, რადგან მუხლებმა უღალატა.

— მბრძანებელო, — ძალაწართმეული ხმით ამოილუღლუღა. — ნუთუ ერთგული სამსახურისათვის ხელოვანი ასეთ დაფასებას იმსახურებს?!

პერისად პირველს სახე შეეცვალა, თვალთა კაკლებმა გუგები გადაშალეს და მრისხანებისაგან ისე გადმოკარკლნენ, ლაბის ქუთუთოებს გადმოკიდნენ.

— სამსახურისათვის მოწვეულმა ხუროთმოძღვარმა გასამრჯელო უხვად მიიღო, — სისინით შეახსენა, ორთავე ხელით ყურებში წასწვდა, ჩაჰქაჩა, ჩაამუხლა და თავზე მდგომი ჩააცქერდა, — მეორე სიტყვა კი რომელი მომესმა? — ხავილით ჰკითხა და მზერა გარშემო მიმოატარა — ერთგულება?!

ცრემლმორეული დრიოდე, როგორც სიცოცხლის მომნიჭებელ ღმერთს, ისე ასცქეროდა მბრძანებელს და ამჟამად ასეც იყო, ყოველივე ხელმწიფის ნება-სურვილს ექვემდებარებოდა.

— ერთგულება?! — ღრიალით გაიმეორა პერისად პირველმა, მარცხენა ხელი ყურს უშვა და ღია კარისკენ მიიშვირა, რომელსაც კიანფას უმსხვერპლოდ დარჩენილი თავი მოსდგომოდა და ლაშებზე დუქმორეული წილხვედრს ელოდა.

— შეხედე იმ ერთგულების საზღაურს, რომელსაც მძარცველი იმსახურებს, — უეცრად დამშვიდებულმა უთხრა, — შეხედე იმ ფერის თვალებში, რომლის გამოც ღმერთების რჩეულის გაქურდვა განიზრახე, ოქროსფერ თვალებში!

დრიოდეს მოკვეთილივით ჩამოუვარდა თავი, სუსტ კისერს აღარ შეეძლო მისი სიმძიმის შეკავება.

— მომიტევე მბრძანებელო, — ილაჯწართმეულმა ამოიკვნესა, — დიდმა იდეამ შემაცდინა, მომიტევე. — ამოიღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუცლა და გონდაკარგული სულგაცლილივით მოიმჭვარა.

ბოსფორის განმგებელმა ცოტა ხანს დაეჭვებით უცქირა მცველთა ხელებზე მონადირებული თახვივით ჩამოკიდებულ ხუროთმოძღვარს, თავს ხომ არ იმკვდარუნებსო, შემდეგ სხარტად შებრუნდა, უახლოეს მეჩირაღდნესთან მიიჭრა, სანათური წაჰგლიჯა და გასასვლელისაკენ გაიქნია.

— ყველამ დატოვოს დარბაზი, — იყვირა და მაშინვე მოთმინებადაკარგულმა დაურთო. — სასწრაფოდ!

იქ მყოფნი კატის ჩხავილით დამფრთხალი თაგვებივით თვალისდახამხამებაში გაუჩინარდნენ და როდესაც იატაკზე ჩვარივით დაგდებული ხუროთმოძღვარი გონს მოეგო, ირგვლივ საოცარი და უჩვეულო სიწყნარე სუფევდა.

დროიდეს თვალის გახელისაც ეშინოდა, დარწმუნებული იყო, ქვაბურში იმყოფებოდა და პირდაღებული დრაკონიც თავზე ადგა, შემდეგ რაღაც ტკაცანის მაგვარი ხმა ჩაესმა, ცალი ქუთოთო აზიდა და დარბაზი მოათვალიერა.

პერისად პირველი თეჯირთან იდგა და ჯერს მისჩერებოდა, მან განმეორებით, ახლა უფრო გამეტებით შემოჰკრა ხელისგულები და ამ ხმაზე ათამდე რკინის გისოსმა, როგორც თავდაპირველად კედელ-ტიხარმა, მაღლა იწყო აზიდვა.

ბოსფორის განმგებელი ურჩხულის სადგომში შევიდა, იქვე შეჩერდა და გამართული მარჯვენით მაშხალა წინ გაიშვირა.

— კიანფა, — ხმამაღალი ბრძანებით უხმო, — მომყევი!

ცოცხალი კოლოსის მარჯვენა თავი მონუსხულივით შესცქეროდა სანათურს და მისი შუქით ერთთანად აბდღვრიალებულ ხელმწიფეს, მარცხენა, დამშეული თავი კი შემოღებული კარის წინ გართხმულ ადამიანს უმზერდა, შემდეგ, ალბათ, მანაც იგრძნო ძახილი და პერისადისაკენ შებრუნდა.

დროიდემ ჩვილი ბალღივით იხვანხვალა, გაჭირვებით წამოჯდომაც მოახერხა და გაოგნებული მიაჩერდა იმას, რაც ქვაბურში ხდებოდა.

ურჩხულმა საზარელი თავები დამნაშავე ფინიასავით იატაკზე დაუშვა და მუცელზე ხოხვით მიუჩოჩდა მბრძანებელს, სამ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, გაინაბა და თვალები მიბლიტა.

— მომყევი! — დაყვავებით უთხრა პერისადმა, შემობრუნდა, მაშხალა თავზემოთ შემართა და აუჩქარებელი ნაბიჯით ქვაბურის გამოსასვლელს მიაშურა.

კიანფა წამოიმართა, მეწინავეობა მარცხენა თავს არგუნა და აუდელვებლად მიმავალ მეფეს კვალში ჩაუდგა.

ძალაგამოცლილ ხუროთმოძღვარს თითქოს ცეცხლი შემოენთო, „ჩემს შესაჭმელად მოჰყავს!“ დაფეთებულმა გაიფიქრა, იდაყვებს დაეჯინა, დაინთხა და რადგან წამოდგომის ილაჯი აღარ ჰქონდა, ასე, მუხლებზე ხოხვით დარბაზიდან გამავალი გვირაბისაკენ წავაგლახდა.

ჩირაღდნით ხელშემართული ბოსფორის მბრძანებელი თითქოს ვერც ამჩნევდა წინ, სელაპვივით ფოროთვით მიმავალ ადამიანს და დინჯად უახლოვდებოდა, უკან კი დგანდგარა. მძიმე ნაბიჯებით დედამიწის უსაშინელესი არსება მოჰყვებოდა.

როდესაც აქოშინებულ ხუროთმოძღვარს წამოეწია, ჯერ გვერდი აუარა, გაუსწრო კიდეც, შემდეგ სწრაფად მოიხარა, ქეჩოზე დასწვდა და წამოაყენა.

— ვისაც ოცნებით ფრენა სურს, მან ჯერ სიარული უნდა შეძლოს, — დამცინავად ჩაიხითხითა, აბანცალებული ხუროთმოძღვარი ფერდზე მიიკრა და იღლიაში ამოჩრილი თან გაიყოლა.

ასე შევიდნენ გვირაბში, ჯერ ხელმწიფე და მისი პირველი არქიტექტორი, შემდეგ კი მუხლუხო მატლივით რვა ფეხზე შემდგარი ორთავიანი კიანფა.

თითქოს ძილიდან და კოშმარული სიზმრებიდან გამორკვეულ დროიდეს

ნელინელ დაებრუნდა საღი აზროვნების უნარი. ცოტაოდენი ძალაც მოეცა, უფრო მყარად დადგა ფეხზე და ნაბიჯის აჩქარებაც სცადა. ურჩხულის ხიხინნარევ სუნთქვას ხერხემლის ყოველი ნერვით გრძნობდა, მაგრამ უკან მიხედვისა ეშინოდა, ვაი თუ კიდევ შემოდონდეს გულიო.

კარგა ხანს იარეს ასე, შეყვარებულებივით ჩახუტებულებმა, სრული ხუთასი ნაბიჯი მოიტოვეს უკან და ცენტრალურ შესასვლელს რომ მიაღწიეს, დროიდემ ხელმწიფის მკლავიდან თავის დაღწევა და გაქცევა სცადა, მაგრამ იმან კიდევ უფრო მძლავრად ჩაბღუჯა და დაიოკა.

— სიმხდალეს ერთი დადებითი თვისება აქვს, იგი მორჩილია, — გვირაბი რომ განვლეს, მაშინ თქვა პერისად პირველმა, — შენ კი, ესოდენ მშიშარამ და მფრთხალმა, როგორ გაბედე თუნდაც იმ აზრის გულში გატარება, რომ მე ღმერთების რჩეულს, გონებას დამბინდავდი და დამაბრმავებდი?!

ბერძენმა ხუროთმოძღვარმა უმკაცრეს პასუხს ბრიყვული დუმილი არჩია, ანდა რითღა შეეძლო თავის მართლება, როდესაც განაზრახი თავადვე აღიარა, ახლა უმთავრესი დროის მოგება და ურჩხულის ყბებიდან თავის დაღწევა იყო. თუმცა საბოლოოდ მაინც ვეღარაფერი იხსნიდა, რადგან ბოსფორის განმგეფილი ლმობიერებითა და მიმტევებლობით არასოდეს ყოფილა გამორჩეული.

პერისად პირველი მეფეთა მარადიული განსასვენებლისაკენ მიმავალ ლაბირინთის ყელთან შედგა, შემობრუნდა და დროიდეც ნაძალადევად შემოტრიალდა.

კიანფაც მათგან სამიოდე ნაბიჯის მოშორებით შეჩერდა და თავები კვლავ მორჩილად იატაკს დააბჯინა.

— სად იწყება ის საიდუმლო ხვრელი, რომლითაც უძღებმა არქიტექტორმა მამაჩვენის დიდი ლევკონის აკლდამის გაძარცვა განიზრახა? — გულღრძოკმაყოფილებით დაინტერესდა მბრძანებელი და ურჩხულის მიმართულებით ოდნავ უბიძგა დროიდეს.

— აქ არა, აქ არა. — ხელები წამოაფარა შემოხვია დროიდემ და ფერდზე ტკიპასავით მიეკარა.

— ის გარეთაა, ქვის კარიერთან... თხემზე... ჩემს გარდა ვერავინ მიაგნებს, ვერც ერთი სულიერი.

— ვერც თუტუ? — დაინტერესდა ხელმწიფე.

მოხუც ხუროთმოძღვარს ტირილნარევი სიცილი წასკდა, ცრემლები სცვიოდა და თანაც ხითხითებდა, მბრძანებლის თავისუფალი მარცხენა მკერდში ჰქონდა ჩაკრული და მალიმალ ლოშნიდა.

— ვინ მისცემს თუტუს ასეთ გამჭრიახობას, — თითლობაზობით იკითხა, — იმას კი არა, თვით ჰადესსაც გაუჭირდება... უჩემოდ ისიც კი ვერ მიაგნებს, ვფიცავ მაღალ ღმერთებს.

პერისადმა ხელი ზიზღით გამოგლიჯა, ხვლიკის კანივით დანაოჭებულ კისერში წასწვდა და ღონივრად შეაჯანჯღარა.

— ამასაც ვნახავთ, — კბილებში მუქარით გამოსცრა, — ერთად ვიხილავთ, და თუ დიდთავა გომბეშომ ლაბირინთს თავი დაღწია, რაც ათასჯერ უფრო რთულია, ვიდრე მისი შექმნა, გონიერი უგნურის ადგილს დაიჭერს, უგნურს კი — ცერბერის ყბა.

კისერი რომ მძლავრი მარწუხებით არ ჰქონოდა გაკავებული, ბერძენი ხუროთმოძღვარი ყსიხარულისაგან იქნებ შეკუნტრუშებულიყო კიდეც, ლაბირინთის გავლა და საიდუმლო ხვრელის პოვნა ადამიანის გონებისათვის არათუ შესაძლებელი, წარმოუდგენელიც კი იყო.

პერისად პირველმა ხელის ერთი გაქნევით დროიდე ჭინჭის ბუთთივით ზურგსუკან მოისროლა, მაშხალა ლაბირინთის ყელს მიუშვირა და ხმამაღლა, მარცვალ-მარცვალ, წარმოთქვა.

— კიანფა, იქ ორი ადამიანია... იპოვე და მოსპე!

თქმისთანავე რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ურჩხულს გზა დაუთმო.

ქვესკნელის საფრთხობელა ნაბუღალებული დაიძრა, მეწინავე თავმა გვირაბის ყელთან ჰაერი დაყნოსა, სისხლმოწყურებულის ნეტარებით დაიხავლა და ლაბირინთში გაუჩინარდა.

მტკვნეულად დაცემული ხუროთმოძღვარი მხოლოდ ახლა მიხვდა, რატომ აიძულებდა ბოსფორის გამგებელი ყოველი გვირაბის, ცრუ გასასვლელისა და საიდუმლო კარის ორჯერ იმაზე მეტი სიფართით გაჭრას, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა და, იმასაც, რომ ორთავე დრაკონი გონიერი არსება იყო.

ვიდრე კიანფა ცოცხალი იყო. მეფეთა სამარხის ხელყოფას ვერავინ შეძლებდა.

●

— ისინი გაზების შემოშვებას აპირებენ!.. ისინი მხუთავი გაზების შემოშვებას აპირებენ... ფაშისტები გაზებით გვიპირებენ გაგუდვას!

უფარაჯო ჯარისკაცი ამ სიტყვების ღრიალით გვირაბში რომ გარბოდა, მისგან სამოცოდ ნაბიჯის დაშორებით, პარალელური გვირაბის ქვაბურში, კაპიტანი მანოხინი კამეშ-ბურანელ დედაბერს, ბაბა შურას, ქათმის თაოსბაზე ეტოკებოდა. იმას კი — ბაბა შურას, ჭრელი, ქოჩორა დედალი გვერდზე ჰყავდა მიკრული და არაფრისდიდებით დათმობას არ აპირებდა.

— ძალიანაც კარგად მესმის, რომ დაჭრილებისათვის გინდა და არა შენი სტომაქისათვის. — აუღელვებლად ეთანხმებოდა და ხელისგულს დაყვავებით მკლავზე უთათუნებდა, — მაგრამ რაც აქ ვართ, უკვე ექვსი კვერცხი დადო და უკლებლივ ყველა ლაზარეთს ჩავაბარე, აკულინას კი დღეში ერთის მეტი არ შეუძლია, ძალას ხომ ვერ დავატან! ანდა, გინდაც თან გადავაკვდე, გამოვა რამე?

— მჯერა დედილო, ყველაფერი გასაგებია, — კვერს უკრავდა მანოხინი. — ოღონდ ეს ამიხსენი, რა ვაჭამო ასზე მეტ დაჭრილს, მათ ხომ ხორცი სჭირდებათ, სხვაგვარად როგორ გამოჯამრთელდებიან, მშივრები და მისულ-ფერებულები ძალას რითი მოიკრებენ?

ბაბა შურამ ლოყაში გამეტებით იტკიცა ხელი, ფრჩხილებით ღაწვიც ჩამოიხოცა და მანოხინმა გაიფიქრა, როგორც იქნა, ყოველივე შევაგნებინეო.

— ეს კაცს ხომ აკულინას ხორცი არც ღრძილზე მოხვდება და არც კბილზე, — გაიოცა დედაბერმა. — აი, კვერცხი კი სულ სხვაა, ყუთიანია, გულის დამჭერი, ყველას თითო შეხედება, მხოლოდ სამთვე-ნახევარი დასჭირდება, აკულინა მეტისმეტად ყოჩაღია და საიმედო.

მანოხინმა ყურებზე ხელისგულები მიიჭირა, თავი გახეთქაზე ჰქონდა.

— ხანინთან წაგიყვან, — დამშუქრა, — იქ გიჩვენებენ სეირს!

— სწორადაც მოიქცევი, — მოუწონა ბაბა შურამ, — ხანინი გონიერი კაცია, ალღოიანი, ყველაფერს მიხვდება.

ამ ყოფაში იყო მანოხინი, მეთვალყურემ რომ მოაკითხა და პაექრობა შეაწყვეტინა.

— რაღაცას საეჭვოდ ჩირთიფირთობენ, — საიდუმლოდ ამცნო, — ძილდანვე მიდიმოდიან, ჩხირკედელაობენ.

— საღ? — ჰკითხა კომისარმა.

— ჩამოსასვლელებში, ოთხკუთხედი შავი ყუთები მოათრიეს, მიწას თხრიან და შიგ ფლავენ.

— წავიდეთ, — შეფუცხუნდა მანოხინი და ბაბა შურა გზიდან ჩამოიცილა. — მერე მოგელაპარაკები, ახლა შენთვის არა მცალია, — დაექადნა და გასასვლელისაკენ გაემართა.

— აკულინა დღეში ერთზე მეტ კვერცხს ვერ დადებს, — მიაწია დედაბერმა, — ეგრე გადაეცი იმ ჩვენს უფროსს, ჭკვიანი კაცია, გაიგებს.

ქვაბურიდან რომ გავიდნენ, კაპიტანი წამით შედგა, რკინიგზელის ფარანს პატრუქი ამოუწია.

— დროშები თუ გამოჰკიდეთ? — ჰკითხა მეთვალყურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ კი გამოვფინეთ, — მიუგო ინამ, — მაგრამ იწყინეს, ეგენი არ მოგვწონს, თეთრები გამოიტანეთ, დანებებისაო...

მანოხინმა გაგულისებით ამოიქშინა, ხრიალი ამოაყოლა.

„კაცობრიობა მაშინ დაბრმავდა, თეთრი ფერი რომ დამარცხებისა და დამონების სიმბოლოდ აღიარა“, — გაიფიქრა და კბილები გაიღრჭიალა.

ზურგის მხრიდან ჩექმების ბრაგუნი შემოესმა, ვიღაც ნაგიყარი ამ ყიამეთში თავქუდმოგლეჯილი მორბოდა და რაღაც გაურკვეველს გაჰყვიროდა. მანოხინმა დროულად უგანა, კედელს აეკრა, გვერდით რომ ჩაუქროლა იმ ფეთიანმა, რაღაც შემოსძახა თუ დაუბარა, მხოლოდ ერთი სიტყვა გაარჩია: „გაზი!“

— ალბათ, შეირყა, — აღნიშნა მეთვალყურემ, — ახლა ალარაფერია გასაოცარი, ყველა თავთავისთვის ერეკება.

— რა იცი? — მკაცრად ჰკითხა მანოხინმა.

— დარწმუნებული ვარ, — მაგრად დაუხვედა ის, — ეშვიც არ მეპარება, შერეკილია.

გარნიზონის „თვალს“ და „მსახვრალ მარჯვენას“ რაღაცნი არ მოეწონა ეს დაქმომებული კაცი, თითქოს ეცნაურა კიდეც.

— ასეთ სიტუაციაში იმის თქმა, მე დარწმუნებული ვარო, სიბრიყვის პირველი ნიშანია, — აუხსნა მეთვალყურეს და გზა განაგრძო.

ვერც უფარაჯო ჯარისკაცმა იცნო მანოხინი, როგორც ყველა შემხვედრს, მასაც გააგებად გამოსძახა, ისინი გაზების შემოშვებას აპირებენო, მაგრამ ამ საშინელ ცნობაზე რეაგირებას, რატომღაც, არავინ ახდენდა, ყურსაც არავინ იბერტყავდა, მას კი ახსნა-განმარტებების დრო არ ჰქონდა, გარნიზონის უფროსთან მიიჩქაროდა, უპირველესად მისთვის უნდა ეცნობებინა ეს საშინელი ამბავი.

შტაბისაკენ მიმავალ ვიწრო გვირაბში რომ შეუხვია, ვიღაცას მთელი ძალით შეასკდა და როგორც ფეთეხი, ისე გადაეცია, თავადაც რაღაც მკვრივს ხეთქა შუბლი და ყურიალა ხმა გამოაცემინა. წაქცეულმა დამფრთხალი საქონელივით დაიზმუვლა, წამოიჩოქა, ასანთი გაჰკრა, კიტელის ჯიბიდან კარტოფილის სანთელი ამოიღო და მოუკიდა.

— სად ოხრობაში მიაქშეილებ, — დუდღუნა ხმით გაუწყრა, — ანდა რას ღრიალებ, ტყეში ხომ არ გგონია თავი?!

სანთელი აანთო თუ არა, უფარაჯომ იმწამსვე იცნო, ბაგეროველი გლეხი იყო, მეტსახელად „მოდი, გავცვალოთ“, მიწისქვეშეთში უკვე ~ყველაზაგან ყბადაღებული, რადგან ის იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდა, უპატრონოდ დაგდებული ქინძისთავისთვის ექსპრესს რომ გაიჩერებენ და ამ ქინძისთავს გულისპირზე ამაყად მიიბნევენ, ახლაც სადღაციდან ძველებურ სამოვარს მოთრევედა, რომელიც გაცვლით მოეპოვებინა, მაგრამ შიგ რა უნდა ჩაესხა. ამდენზე ალარ ეფიქრა.

— ფაშისტები მხუთავი გაზებისა შემოშვებას აპირებენ! — პირდაპირ მიახალა უფარაჯომ და გვერდის აქცევაც სცადა, მაგრამ წამოზლაზნილმა გლეხმა ხელის ტაცება მაინც მოასწრო.

— ადამიანური ენით ვერ მეტყვი?— დაუტატანა, — რა ჭოტივით გაჰკივი!

უფარაჯო ჯარისკაცი შეცბა, შუბლზე გამეტებით იტკიცა ხელისგული, ახლოა მიხვდა, ჰოსპიტალიდან გამოვარდნისთანავე ერთსა და იმავეს მშობლიურ ენაზე რომ გაჰყვიროდა, ამტოოამაც არავინ აქცევდა ყურადღებას.

— ამოხრჩობას გვიპირებენ-მეთქი, — იმწამსვე უთარგმნა.

— რითი, წყლით? — გაეხარდა „მოდი გავცვალოთს“, ჯარისკაცი ხელი უშვა და სამოვარს დააცხრა, მერე კი სიბნელეში გაუჩინარებულ უფარაჯოს სხვა კითხვაც მიაწია: — როდის შემოუშვებენ?

თენგიზ ჩალაშარი

...და არ იყო ჩვენს შორის ბგერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი გვირაბის თავშესაყართან, პატარა ღრმულში, ოთხი დედაშობილა კაცი ქვის ნამტვრევებიდან სახელდახელოდ შეკოწწიებულ სადგარზე შემოდგმულ კასრს შემოსხდომოდა. შიგ ტანსაცმელი ჩაეყარათ. შარდით სანახევროდ შეეგსოთ და ყოველგვარი ხარახურით ცეცხლის ბაჩაღებას ცდილობდნენ. ერთ-ერთი მათგანი „დოღრიალა“ ხარიტონიჩი იყო და ის რომ წინ არ გადასდგომოდა, ბრმად დაოთხილი უფარაჯო უეკველად კასრს შეასკდებოდა. შიშველმა გოლიათმა დროულად შეაშველა ხელები და ჯარისკაცი არენაზე ჩამოვარდნილი ტანმორჩილი ტაკიმასხარასავით მკლავებში ჩაიწვინა.

— ფაშისტები მოწამვლას გვიპირებენ, — მკლავებში აუფართხალდა უფარაჯო და ხელის მოსაკიდი რომ ვერაფერი მოიძია, მკერდზე შამბნარივით მოდებულ ბანჯგვლში სწვდა და წამიმართა.

— გესმის? — ნესტოებში შეჰყვირა — გაზებით უნდა გაგვეუდონ!

— როგორ? — გაიოცა დოღრიალამ. — სამართალი აღარ არის, ეგეთები ხომ ჰააგის თუ რაღაც ოხრობის კონვენციით აკრძალულია, — მართალი იწყინა. — თუმცა ტრიუმის იმ ვირთხას — ჰიტლერს, ზედ ხიშტის წვერზე ჰკიდია იმათი კონვენცია, მაგრამ ჩემთან ეგეთები არ გაუვათ, დამაცადონ, — დაიქადნა, უფარაჯო გაათავისუფლა და ურისავით მუშტები მკერდზე დაიბაგუნა, — რწყილებივით ამოვეუფავ!

— ვისაც ხმა მიგიწვდეთ, გააგებინეთ, — გამოსძახა წინ გაჭრილმა ჯარისკაცმა, — აირწინაღები გაამზადონ და წესრიგზე მოიყვანონ!

●

ქვეყნის დასაბამიდან ჯერაც არ შობილა ნორმალური გონების ადამიანი, ნათელს რომ ბნელი ერჩივნოს, არა ბინდი და რიბირამბი, არამედ სრული უკუნი და წკვარამი.

ამიტომ იყო აჯიმუშკაინ მიწოდებული შეთელთა დიდი უმრავლესობა, დაჭრილთა და ლაბირინთის სიღრმეში მოვალეობის შემსრულებელთა გარდა, კატაკომბების ამოსასვლელებს რომ მისჯარავოდა და მიტმასნოდა. წამიერად გამომკრთალი მზის სხივი და გვირაბთა ყელში ჩამომავალი დღის შუქი ხალხს იმ ნეტარ დღეებს აგონებდა, როდესაც დედამიწის გულზე ლაღად თავის ნებაზე დაამიჯებდნენ, მინდვრებში, ზვრებსა თუ ბაღ-ბაღჩებში ფუსფუსებდნენ, ქალაქის ქუჩებში დასეირნობდნენ და წარმოდგენაც არა ჰქონდათ, თუ რაოდენ ბედნიერნი იყვნენ თუნდაც იმით, რომ ნათელის ჭვრეტა და მნათობის ცეცხლოვანი დისკოს აღქმა უშიშრად შეეძლოთ.

ახლა კი უსინათლობის და ჩინის დაკარგვის განცდა შიშილზე და წყურვილზე არანაკლებ მტანჯველ გრძნობას ბადებდა და რაც მეტი დრო და ხანი გადიოდა, დღის შუქი მით უფრო სანატრელი და საოცნებო ხდებოდა.

ლაბირინთის ის ჩასასვლელი, რომლითაც კაპიტანმა მანოხინმა და უფარაჯო ჯარისკაცმა მაიორი იარცევი მიწრისქვეშეთში ჩაიყვანეს, ყველა სხვა ჩასასვლელზე განიერიც იყო და მაღალიც, და მიმღები ქვაბურიც გაკილები. ვრცელი ჰქონდა, ადგილობრივ ლტოლვილთა დიდი ნაწილი ამ დარბაზისებურ სამყოფში, მისგან გამავალ გვირაბებში, ახლომდებარე ღრმულებსა და საკნებში იყო დაბინავებული. უკვე მთელი კვირა სრულდებოდა, რაც ყოველდღიურად აქ ალამებ-ათენებდნენ, მაგრამ ყოველი მათგანი განთიადს იმ იმედით ხვდებოდა, ჰა და ჰა, ჩამოსასვლელში ჩვენი ჯარისკაცი გამოჩნდება და ღიმილმორეული ჩამოგვძახებს, — ხალხო, გეყოფათ მანდ ყოფნა, ფაშისტები რა ხანია გავაპანღურეთ, მაღლა ამოდითო.

მაგრამ, სამწუხაროდ, მის სანაცვლოდ ყოველ რვა საათზე, გერმანული პუნქტუალობით, კატაკომბების შორიახლო რუხი ფერის მანქანა ჩნდებოდა,

ხიხინებდა, თითქოს ხრიწწს იწმენდდა და გაწვრთნილი თუთიყუშივით მონოტონური ხმით იწყებდა ყბედობას: -

„მოსკოვი ჩვენს ხელთაა, სტალინგრადი დავაქციეთ, კავკასიას კარები შეგუღეწეთ, უკრაინაში კოლმეურნეობა დავშალეთ, ქერჩში ონკანებში რძე გაგუშვით, მაღაზიები დავხსენით, სურსათ-სანოვაგეს და ჩასაცმელ-დასახურს უფასოდ ვარიგებთ, ხალხი აშენდა, გამდიდრდა და თქვენ რა უბედურება გჭირთ, თავებს რატომ იღუპავთო“.

ვიდრე უფარაჯო ჯარისკაცი მთავარ ქვაბურს მიაწწედა, საიდანაც შტაბამდე და ხანინის სამყოფამდე ორიოდე წუთის სავალიღა იყო, მარჯვენა მხრიდან მძლავრი აფეთქების ხმა შემოესმა, რომელმაც მიწისქვეშეთი ერთიანად შეარყია და შეაზანზარა, შემდეგ იმ ერთს ყოველი მხრიდან სხვა აფეთქებებიც მოჰყვა და თუმცა ამ ზათქს უფარაჯო არ შეუშინებია, რადგან უარესსაც იყო ნაწვნევი, ამ ბათქაბუთქმა მაინც გააოცა და შეაკრთო.

პირველი გრგვინვა რომ გაისმა, ხანინმა ოპერატიულ თათბირზე მოწვეულ ბატალიონთა უფროსებს გადახედა და დაწყებული სიტყვა განაგრძო, მაგრამ შემდეგ ხალდაკრული კაკალივით აქეთ-იქიდან რომ მოუხშირა, წამოდგა, ოთხსავე მხარეს ყური მიუგდო და სახეზე შეშფოთება დაეტყო. ასეთი საოცრება კი ჯერად არავის ეხილა.

— ამოსასვლელებს ქოლავენ, — თვალებმოწკურულმა აღნიშნა, — ცუდი ამბავია, — მრავლისმთქმელად დაუმატა. — ძალიან ცუდი.

მეოთხე ბატალიონის უფროსმა, ცალფეხა კალნიშმა მაინც სცადა მისი დამშვიდება.

— ისე მაინც ვერ დაგმანავენ, რომ ჰაერმა არ შემოაღწიოს, — ნაძალადევი გულდამშვიდებით უთხრა, — ეგეც არ იყოს, შემოსასვლელების გარდა, ხომ ათასი ხვრელი და ჭუჭრუტანაა.

— არა, — დაბეჯითებით უარყო ხანინმა, — ეგ იმთაც ეცოდინებათ, — თქვა და ღრმად ჩაფიქრდა. იმ წამს მისი გონება ჭადრაკის დიდოსტატის სისწრაფით ითვლიდა სხვადასხვა ვარიანტს, ყოველ დასაშვებს, ლოგიკური მსჯელობით უარყოფდა, ბოლო ჩანაფიქრი კი ხმამაღლა განაცხადა.

— გაზი, მხუთავი გაზი!

ამ დროს უფარაჯო ჯარისკაცი ძარეც გვრიაბში მიბანცალებდა, სირბილი და ჩქარი სიარული უკვე აღარ შეძლო, გული თავწწყვეტილი ფრინველივით უფართხალებდა ყანყარატოსთან და მძლავრად რომ დაეხველებინა, იქნებ გადმოეფურთხებინა კიდეც, ახლა უსათუოდ დავეცემიო, გაიფიქრა და ამ დროს მაღლიდან მომავალი ლანდი შენიშნა, უცნაურად მოდიოდა, თითქოს ნაბიჯსაც არ ადგამდა, ისე მოცურავდა გვრიაბში. ის ლანდი ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა, ცალ ხელში წვრილი და მაღალი სანთელი ეპყრა, მეორეთი მძინარე ბავშვი ეკავა, ღმერთქალივით მშვიდი და თავაღერილი მოაბიჯებდა.

— დაიკო, — ქოშინით ამოიხრიალა უფარაჯომ, — ილაჯი აღარა მაქვს, გაიქეცი და ყველა გააფრთხილე, ფაშისტები მხუთავი გაზების შემოშვებას აპირებენ-თქო, ხანინსაც მიაწვდინე ხმა, ბავშვს მე დაგიჭერ.

ქალმა უსაშველოდ გაფართოებული თვალები მიაპყრო, მაგრამ მას სრულებითაც არ უმზერდა, იქით, უსასრულობაში იცქირებოდა, თითქოს უფარაჯოს ზურგს უკან უსამანო ჰორიზონტი და ჩამავალი მზე ეგულებოდა, ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ მისი თვალის გუგებში სანთლის თითო კი არა, სამ-სამი ანარეკლი კიაფობდა.

— ჩუ, — დატუქსვით უთხრა, — მე შენი დაიკო არა ვარ, მარია მქვია, თანაც ხომ ხედავ, იაშკას სძინავს, ისე იცის. როდესაც მოშივდება, იძინებს ხოლმე, — თქვა და ბავშვს სიყვარულით დახედა, — ახლა კი ბაგაში მიმყავს, იქ მეტი სიწყნარეა... დიდი სიწყნარე.

უფარაჯო მძინარე ბიჭს დააცქერდა, პატარა ანგელოზს ჰგავდა, მეტისმეტი სიხშირით სუნთქავდა, შუბლიც ცივი ოფლით დანამვოდა, უდავოდ ტიფით იყო დაავადებული, დიდი დღე ალარ ეწერა.

— წავიდეთ, შვილო, — უხმოდ დაიჩურჩულა ქალმა, — დიდ სიმშვიდეში წავიდეთ.

— მოიცადე, — შეაჩერა უფარაჯომ, ჯიბე მოიქექა და წითელი ქინაქინის უკანასკნელი ტაბლეტი გაუწოდა, — გადაყლაპე, იქნებ უშველოს.

ქალმა სანთლიანი ხელი შეაგება და მისი გაწვდილი მარჯვენა მოიშორა.

— ბავშვები სიყვარულმა უნდა იხსნას და არა წამალმა, — მრავლისმთქმელად უთხრა თუ შეაგონა: — დაიხსომე, მხოლოდ სიყვარულმა!

●

როდესაც შტურმბანფიურერ გეინეციუსს, რომელიც ლაბირინთებიდან ორასიოდე ნაბიჯის მოშორებით მდგომ აჯიმუშკაის პატარა ეკლესიის სამრეკლოზე მოკალათებულიყო, აცნობეს, რომ კატაკომბების ყოველი ხვრელი, ცენტრალურის გარდა, ამოქოლილი და ამოგმანული იყო, სიამისაგან პირზე ნთელი მოეფინა.

— ხომ შეგპირდით, პატალა თეთრი თაგუნებივით, ზღვის ფუმფულა გოუტბივით ამოგხდით სულს-მეთქი, — ჩვეულდნაქცევი ენის მოჩლექით აქირქილდა, — ხომ ვამბობდი... სლავსა და ებულეველს, დიდსა თუ პატარას, უკლებლივ ყველას...

შემდეგ აპარატთან მიყუნცულ უნტერ-ოფიცერს გასძახა, ფელდფებელ ფისნერს, დამაკავშირეთო, და როდესაც ყურმილში ჰანსის ღაღვავა ხმა გაიგონა, ამაღლებული და საზეიმო ტონით უბრძანა, სასწრაფოდ შეუდექით ოპერაცია „სისხლის მისტერიის“ შესრულებასო.

●

მკედამ დაუდგრომელმა და ანცმა მარისკამ, რომელსაც ვერც ფაფარ-ალცლიდა ძალას და ვერც წაურვილი, მოჰკრა თუ არა თვალი უფარაჯო ჯარისკაცს, უფროს დას ხელიდან დაუსხლტა, ასაინკილით მისკენ გაქანდა, ქამრის ბალთაზე ჩამოეკონწიალა და ხელის მიშვერით შემოსასვლელზე მიანიშნა.

— შეხედე, ფრიცებმა რამხელა ხორთუმი ჩამოუშვეს, — ატიტინებულმა ამცნო, — სპილოსაც ასეთი აქვს თუ უფრო დიდი?

ქვაბურში თავშეყრილი ხალხი მეტისმეტად მშვიდად, ერთგვარი ინტერესითაც კი შესცქეროდა მოყვითალო რეზინის გოფრირებულ მილს, რომელიც ნელ-ნელა იბერებოდა და მატლივით იტიკნებოდა, შემდეგ უზარმაზარი გორგოლაჭივით პირველის ანალოგიური მეორე მილიც ჩამოგორდა და უხსენებელივით გაიშალა.

— ხალხნო, — იღრიალა უფარაჯომ, — გაეცალეთ, სიღრმეში გაიქეცით, ფაშისტები მომწამლავ გაზს უშვებენ!

ფეხი არავის მოუცვლია, პირდაღებულები ისე შემოაცქერდნენ, როგორც მეორედ მოსვლის მქადაგებელს, მაგრამ როდესაც ორთავე მილიდან შიშინითა და შხუილით მოყვითალო-მოყვითალო ღრუბლის მსგავსი მასა გამოიჭრა, ყველა დაფეთდა, აირ-ღაირია, ერთიმეორეს მიაწყდა, თავზარდაცემული აკივლდა და დასაკლავივით აბღავლდა.

ჩამოსასვლელთან ყარაულში მდგომმა მეზღვაურმა, სხვა რომ ვერაფერი მიიფიქრა, ავტომატი მიუმარჯვა და ორთავე მილი დაცხრილა, მაგრამ ამით უარესი ქნა, ახლა ნატყვიარებიდანაც, როგორც შადრევანიდან, ისე იფრქვეოდა მბრჩოლავი გაზი.

მთელ ქვაბურში დამპალი თივის და აშმორებული ჩალის სუნი დატრიალდა, დამყაყებული ჰაობი რომ გამოსცემს, იმდაგვარი, მოყვითალო-მოყავისფრო ღრუბლის მასა კი როგორც უზარმაზარი ანაკონდა, ისე მოსრიალებდა

ქვაბულის ფსკერზე, მხოლოდ მასზე გაცილებით საშიშიც იყო და დაუნდობელიც. შემდეგ, პანიკური შიშით დაბრმავებულმა ხალხმა იმ მცოცავში რომ გაირბინ-გამოირბინა, ღრუბელიც დანაწევრდა, ერთიმეორეში აიხლართა და აიბურდა.

ყოველივე გიგანტური უხსენებლების ქორწილს დაემსგავსა, რომელსაც ესესელი შტურმბანფიურერის ტერმინოლოგიით, „სისხლის მისტერია“ ერქვა.

უფარაჯო ჯარისკაცმა, „გაეცალეთ, თავს უშველეთო“, ერთხელაც იყვირა, მარისკას ხელი სტაცა, ვიღაცის ცხვირმოუხოცავი ბიჭი „დედიკო... დედიკოს“ ღნავილით რომ გამორბოდა, ქეჩოთი დაინირია, ცინდალივით აიტაცა და იმ გვირაბით, რომელსაც თავად ამოჭყეპა, ორივენი კატაკომბების სიღრმეში გაიქანა.

სამი გვირაბის თავშესაყართან თმაწვერაშლილი ალექსი ბონდარენკო შემოხვდა, მღვდელს ანაფორის კალთები აეკაპიწებინა, ხელში საზამთროსავით გაბერილი ნავთის ლამპა ეჭირა და წყევლა-კრულვით მოუსავლეთისაკენ მიაბიჯებდა.

— მართალია, შვილო, რასაც ეს თხის არვესავით დამფრთხალი ხალხი უბნობს? — ხავერდოვანი ბანით ჰკითხა, — ნუთუ მთლად გაგვწირა უფალმა?

— ასეა, მამაო, — დაუდასტურა უფარაჯომ, — მხუთავი გაზები შემოუშვეს!

მღვდელმა თავისუფალი ხელი ზეცისკენ ამართა და უნებლიედ გვირაბის ჭერს მიაჯინა.

— ო, სატანასთან წილნაყარნო, ქრისტეს კანჭის მკვნტელნო, მოყვასთა თვისთა სისხლისმწოველნო, თვალდაკვლილ ღრიანკელნო, თესლნო ბოროტისანო...

უფარაჯო ჯარისკაცმა გულზე ჩამოკონწიალებულ ჯვარზე დაჰკრა.

— ფაშისტების ანათემაზე გადაცემას მერეც მოასწრებ, მამაო, — დაბეჯითებით უთხრა. — ახლა ეს ბალღები წაასხი, აქაურობას გაარიდე და ბინ-ბორებით სადმე შემაღლებულ ხაროში დასხი, ნამდვილად ღვთისნიერ საქმეს ჩაიდენ.

— შენ საღღა გაგიწევია, შვილო? — ჰკითხა იმან და ბავშვებს ხელი გაუწოდა.

— უკანვე მივბრუნდები, ხალხს მივეშველები.

მარისკამ და ცხვირმოუხოცავმა ბიჭმა, ახლაც რომ მონოტონურად ღნაოდა „დედიკო ...დედიკოო...“ მორჩილად დაულაგეს თითები გაშლილ ხელისგულზე წმინდა მამას.

— ამათ რომ დავამყუდროვებ, მერე ვიღას მოვეხმარო? — ჰკითხა ალექსი ბონდარენკომ უკვე ზურგმიშვერილ ჯარისკაცს.

— აქეთ ლაზარეთია, იქით — ბავშვთა ბაგა, — მკლავები ჯვარივით გაშალა უფარაჯომ, — შველა ყველას სჯირდება! — თქვა და ეგრევე ხელებგაშლილი გაიქცა, მღვდელმა გონებაში ირჯვარი გადასახა ახალი ჯოჯოხეთისაკენ თავისი ნებით მიმავალს.

ხანინი მთავარ ქვაბურში ჯერაც არ იყო შესული, რომ შორდანვე შენიშნა ნაირფერად ამღვრეული მოძრავი ნისლი, რომელიც უკვე მკერდამდე იდგა და მორევივით ტრიალებდა.

ვიღაც თმაჭაღარა, სახეშეშლილი ქალი, რომელიც ორომტრიალს გამოქცეოდა, გარნიზონის უფროსს პირდაპირ მიეჯრა, დაიხავლა, ალბათ, რაღაც უნდა შეეჩივლა და ყელიდან წამსკდარი სისხლი პირისახეში შეაშხეფა.

— დისფოგენია, — დარწმუნებით აღნიშნა ხანინმა, ქალი უკანმდგომს გადაებარა და ბატალიონთა უფროსების გასაგონად თქვა: — ყველას საკუთარ ნაწილებს მიხედოს, ესესელებმა ასეთი ამბების ბოლომდე მიყვანა იციან, მოწმესაც არ დატოვებენ, ამდაგვარი უბედურება ყველგან იქნება.

მორევი კი თვალდათვალ მატულობდა, ამასთან, ვუულკანიდან ამოხეთქილ ლავასავით გვირაბსაც მიჰყვებოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯებირმორღვეულ მდინარესავით ყოველ განშტოებაში მიედინებოდა.

განსაცდელის ჟამს ადამიანის ყველაზე დიდი მტერი უმოქმედობა, დაბნეულობა და სასოწარკვეთაა. თვით ბიბლიური წარღვნის დროსაც ხომ რომელი დღე-ღამე წვიმდა, მაგრამ ნოეს გარდა, არათუ კიდობნის, ტივის შეკეთრაც ვერავინ მოიფიქრა და ამ უძველეს და ძნელად დასაჯერებელ ამბავში უეჭველი სიმართლე და სინამდვილე ის არის, რომ არარსებობის შიში ნებისმიერ სულდგმულს აძაბუნებს, ძალას აცლის და გონებას უჩლუნგებს, განსაკუთრებით ადამიანებს, თუმცა მათ შორისაც მოიპოვებიან ისეთები, ვინც უდიდესი გაჭირვების ჟამს სიმშვიდესა და განსჯის უნარს არათუ ინარჩუნებს, არამედ უმეტესი და უსწრაფესი სრულყოფით იყენებს.

ჯიმუშკაის გარნიზონის უფროსიც ასეთ იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, მაგრამ თვალნათლივ ხილულმა თვით ასეთი რკინისა და ფოლადის კაციც კი, როგორიც ხანინი იყო, სულხორციანად შეძრა და შეაძრწუნა.

ქვაბულის ჭერთან მიმაგრებული ჭრაქებისა და თაღოვანი გასასვლელიდან შემომავალ დღის შუქზე, ყოველივე, რაც მის თვალწინ ხდებოდა, ბუნუსით მოცული სიზმარეულ კოშმარს უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილს.

ბავშვებიან ქალებს, ვისაც დროულად ვერ მოესწრო ამ ახლად შექმნილი სტიქიიდან თავის დაღწევა, ანხვლებული, ჩაბჟირებული ბალღები გამართულ ხელებზე აემართთა, თავს ზემოთ აეზიდათ, თავად ყელამდე შხამსა და სამსალაში ჩამდგარნი უაზროდ დაბორიალებდნენ და ეგონათ, ამ თავგანწირვით უდიდეს განსაცდელს აიცილებდნენ თავიანთ მონაგარს, უბედურებმა ის კი არ იცოდნენ, რომ უმთავრესი საშიშროება მხუთავი გაზის ნისლივითა და ღრუბელივით ხილული მასა კი არ იყო, რომელშიც კისრებამდე იყვნენ ჩაფლულნი, არამედ ის ოხშივარი და სუნი, ჰაერი რომ გაეელამებინა მოეშალა.

ჩვილებს და ბალღებს უკვე მოესწროთ უფერული სიკვდილის შესუნთქვა, თოთო ბრონქები მინდობით გაეხსნათ მისთვის, სულის ხუთვაც დასწყებოდათ და ახლა დედების ხელებში სხმარტალებდნენ, უმწეო ბარტყებივით აღებდნენ პირს და სუსტი, უძლური თითებით საკუთარი ხორხის გამობდღვნას ცდილობდნენ. ქალებსაც იგივე დღე ადგათ, ფილტვები რკინის ნახერხით ჭქონდათ ამოვსებული, ხოლო ყელში ეშმაკთაგან უბოროტეს მაჯამდე ჩაეყო კლანჭებიანი ხელი და ხორხიდან ადამის ვაშლის ამოგლეჯას ცდილობდა, მაგრამ ამქვეყნად უძველესი და უძლიერესი მცნება — დედაშვილობა, მაინც აძლევდა მათ ძალას ფეხზე მდგარიყვნენ და იქამდე არ წაქცეულიყვნენ, ვიდრე სასიკვდილო კონვულსიით აფართხალებული ჩვილები ხელებში არ გაუცივდებოდათ და გაუქვავდებოდათ.

რამდენიმე წამის განმავლობაში ხანინმა იმდენის დანახვა და აღქმა მოასწრო, რაც ას კაცს ას წელიწადს ეყოფოდა სატანჯველად.

გარნიზონის უფროსი გარკვევით ხედავდა, როგორ შერბოდნენ პირტტველი ჯარისკაცები სიკვდილის მორევში, როგორ იხსნიდნენ აირწინაღებს, როგორ უწვდიდნენ დედებს და მის სანაცვლოდ ძალისძალით გლეჯდნენ ხელიდან ჩვილებს, ყოველი ამის ჩამდენი, როგორი ფიზიკური ძალისაც არ უნდა ყოფილიყო, განწირული იყო, თვით ყოვლისშემძლე ღმერთიც ვეღარ იხსნიდა და თავიდათავი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველაზე უკეთ მათ თავად იცოდნენ ეს, მაგრამ უძველესი ვალი მამრისა, რომელიც გენში და სისხლში ოდითგანვე ჭქონდათ გამჯდარი და სიკეთის ქმნის მორალი, ბალღობიდანვე რომ ჩაენერგათ მათში აღმზრდელებს, ავალდებულებდათ საკუთარი სიცოცხლის ფასად შთამომავლობა და მომავალი ეხსნათ.

უბედურ დედათაგან კი ვერც ერთი

ვერ ხვდებოდა, რომ მათი შვილების მშველელნი საკუთარ სიცოცხლეს შეგნებულად სწირავდნენ და ტანჯვა-წამებით სულის ამოხდომას უდრტვინველად ისევე ეგებებოდნენ, როგორც ხატს მიგვრილი ზვარაკები. ქალებს იმის შეგნება და გაახრებაც აკმაყოფილებდათ, რომ მონაგარნი საიმედო ხელებს სამშვიდობოს გაპყავდა, შვებით შომზარალთ მუხლი ეკვეთებოდათ და მამრთა უკანასკნელი საჩუქრით — აირწინაღებით ხელებამშვენებულნი, არყოფნის ბურუსში ინთქმებოდნენ და იძირებოდნენ.

სასიკვდილო მორევიდან გამონაპირებული ჯარისკაცები აჩხავლებულ პატარებს ახალი ეპოქის ნობათებივით აბარებდნენ თანამებრძოლებს და ისინიც, როგორც ოლიმპოდან ცეცხლის მომტაცებელი, ბოღმითა და საკუთარი ღირსების შეგრძნებით აღვსილნი, ლაბირინთის სიღრმისაკენ მიარბენინებდნენ მათ, ხოლო უპირველესნი — შუბლზე სიკვდილის შავყავილდახატულები, უკანვე ბრუნდებოდნენ, სუნთქვაშეკრულნი მიიჩქაროდნენ, რათა კიდევ ერთი ნერგის ხსნა მოესწროთ, ვიდრე თავად ეზიარებოდნენ გარდაუვალსა და მარადიულს.

ამ უბედურების თავზე გვირგვინად მდგომი უბედურება კი ის იყო, რომ არავინ, არც ერთმა სულიერმა არ უწყოდა, ესოდენ დიდ საზღაურად ფონს გაყვანილნი გააგრძელებდნენ თუ არა არსებობას და სიცოცხლეს, თუნდაც რომელიმე მათგანი ერთხელ კიდევ თუ იხილავდა გვირილებით მოჩითულ ველს და ოდესმე თუ ეღირსებოდა აყვავებულ ალუბლის ტოტზე შემომჯდარი ბულბულის გალობის მოსმენას.

მაგრამ თუ ბუნებას მართლაც დედა ერქვა და თუ კაცობრიობა მისი კანონიერი შვილი იყო, ამ ბალღთაგან თუნდაც რამდენიმე, სიკვდილის დაუნდობელი წესის საწინააღმდეგოდ, მაინც უნდა გადარჩენილიყო, მრავალ გაზაფხულს შესწრებოდა, დავაჟკაცებულიყო, დაქალებულიყო და შთამომავლობაც ებარტყვინა.

და თუ მზე მზეობდა და სამყაროც უკუღმა კი არა, წაღმა ბრუნავდა, ეს ყოველივე უცილობლად ასე უნდა მომხდარიყო.

გარნიზონის უფროსი დაბადებით რეალისტი იყო, „დედის მუცლიდანო“, რომ იტყვიან, ისეთი, სხვათაგან გაცხადებულს და დამაჯერებლად ნათქვამს ერთხელ საკუთარი თვალით ხილული ერჩივნა, ამიტომაც „ის წამი მთელ საათს გაგრძელდაო“, ვინმე რომ იტყოდა, სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა, მაგრამ ახლა კი მიხვდა და, ამასთან სრულყოფილად, რომ დრო და ჟამი არითმეტიკა და თვალთა დახამხამებას, შესაძლოა, საუკუნეთა მონაცვლეობა დამეთხვეს.

„უნდა ჩავისუნთქო, — გადაწყვიტა ხანინმა, — მე ვალდებული ვარ ეს მოვიმოქმედო, რადგან ჩემი განუსჯელობით და განჭვრეტის დაქვეითებით ხალხი დავღუპე, ბავშვები, ქალები და უმწეო, დავრდომილი მოხუცები გავწირე, დამნაშავე ვარ იმით, რომ მათი თავკაცი ვიყავი და ალღო დროულად უნდა ამეღო, უნდა მეგრძნო, რომ ფაშისტები ასეთ საშინელებას მოიმოქმედებდნენ. გარდა ამისა, როგორც კომუნისტი, ვალდებული ვარ პირადად ვიწვნიო ყოველივე... სხვაგვარად ადამიანიც არ მერქმევა და არც ღირსი ვიქნები...“

იგი მშვიდად და თითქმის აუღელვებლად შევიდა მოყვითალო-მოყავისფერო ღრუბლის მასაში, მხრებში მოიხარა, მოიჩუტა და მთელი მკერდით, არსებითა და შეგრძნებით შეისუნთქა დისფოგენის მომაკვდინებელი ოხშივარი.

„ახლა ხველება უნდა დამეწყოს, — გაიხსენა აღრევე წაკითხული და დასწავლილი, — მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან მე იმ პარტიის წევრი ვარ, სხეულის ნერვი და ხორცის ნაჭერი, რომელსაც ფაშისტთა მიერ დამზადებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმა საწამლავმა ვერ უნდა სძლიოს. ეს ასეა, მე რწმენა მავალებს!“

„შენ უნდა შეძლო! — უბრძანა ხანინმა თავის მეორე, უკვე შემკრთალ „მეს“. — სხვაგვარად მხოლოდ ჭიაყელა იქნები. უნდა შეუძლებელი შეძლო, ამაშია შენი შეგნების ძალა!“

დახავლება ათ სიცოცხლეს ერჩივნა, ერთ სულისმოთქმას, თუნდაც სასიკვდილოს, ყოველგვარ პირადულს ანაცვალებდა, დაუნანებლად გასწირავდა და გასცემდა, მაგრამ ბეჭებზე ხელებდაბჯენილი და დამფრთხალი ქალივით ზურგზე მიკრული მეორე „მე“ ეშინოდა, ვისაც მთელი შეგნებული ცხოვრება უმტკიცებდა და არწმუნებდა, რომ უდრეკი, უძანგავი ფოლადისაგან იყო ჩამოსხმული.

„უნდა გაუძლო!“ — ერთხელაც უბრძანა ახლა პირველმა პირველს და ხანინმა ისეთი სიმძლავრით მომუწა ყბები, იმდაგვარი ზეადამიანური რისხვით დაიძაბა, რომ ყველა კბილი, როგორც თბილ წყალში დამბალი შაქრის ნატეხი, ისე ჩაიფშვნა პირში, ენის ბოლოში მოიქცია და გადაყლაპა.

ნისლა და ღვინა. ათილას ტირილი

ეს ციხეები აღარ გვჭირდება.
ისინი, ვინც ამ ლოდებს აწყობდა
თავის ჟამს ჩაჰყვნენ.

ამ ძველ ციხეებს შევყურებთ და თავს არ ვუტყდებით,
რომ გავემეჯნენთ იმ მზესავით ამოსულ ბიჭებს,
ვინც თავის სული ჩააყოლა ვრემის ლიბოში.

ჩვენ მაინც ვამბობთ:
— იმ დეკეკაცების
სისხლი თქრიალებს ამ ჩვენს ძარღვებში.
ჩვენ მაინც გვჯერა, რომ გადატეხილ
შუბის ნატეხიც ფოლადია,
რომ ჯიშიან ხეს
ჯიშიანი ნაფოტი სცვივა...
ეს ციხეები აღარ გვჭირდება.
ჩვენ სხვაგვარ ციხე-კოშკებში ვცხოვრობთ —
ოროთახიან, სამოთახიან, ოთხოთახიან ციხე-კოშკებში
ბობიკრობს ჩვენი მაჯისცემა და ვნებათ ღელვა.

პაპაჩემს ორი რქამაღალი, მანძილა ხარი ჰყავდა:
ნისლა და ღვინა.
ჩვენ მთებში ვიყავით და ისინიც მთებსა ჰგავდნენ —
ნისლა — დანისლულ მაღალ ჭიუხებს,
ღვინა — ღვინობისთვეს, ღვინობისთვის ჩაქანგულ ქედებს.
მათი ყვირილი არავის გაუგონია,
მხოლოდ ბუბუნებდნენ,
წინა ფეხებით ჩამოღადრავდნენ ხოლმე მიწას
და ისე დაიბუბუნებდნენ, თითქოს მიწას ელაპარაკებიანო,
თითქოს მთებს რაღაცას ეუბნებიანო.
მთებიც ბუბუნით პასუხობდნენ —
თითქოს ისინი გარდაცვლილი ხარები იყვნენ
და მათი სული გამოსცემდა გუგუნს და ბუბუნს.
პაპაც მაგარი კაცი იყო,
განთქმული იყვნენ ათილა და მისი ხარები.
უხდებოდნენ ერთმანეთს,
უყვარდათ ერთმანეთი
და ერთი ძალით მიარღვევდნენ დაგოლვილ მიწას
და ერთი ძალით მიათრევდნენ ქვით სავსე მარხილს.
...და როცა ავადობა შემოეჩვია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სიბერეც გამეტებით მოაწვა კარებს —
ორივ გაყიდა:
— მე მაგ ხარებს ვეღარ მივყვები,
სხვა მკლავი უნდა და სხვა მუხლი მაგათ მიყოლას.
მე ვეღარ ვუქცევ გუთანს,
სახნისი
ხან ქვას ედება, ხან ხის ფესვს და უღელი ტყდება.
მწარე ღიმილით დასრულა ეს ლაპარაკი:
— ჩემსავით ბეჩავ ხარებს ვიყოლებ,
ზეზეურ მოვხნავ, უღელსაც ვერ გამიტეხავენ.
როგორ იტირა პაპაჩემმა,
როგორ ვიტირეთ,
ის ხარები რომ გაირეკეს ვილაც ვაჭრებმა...
ჩვენი ხარები — ჩვენი ღვინა და ჩვენი ნისლა.

დროს მიჰყავს ჩვენი ანანური, ჩვენი ხერთვისი,
ჩვენი გრემი და ჩვენი ოშკი, ჩვენი სურამი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

შენს სურათს ვხატავ

ჩემს ბნელ ნაპირზე
როგორც ვინმე ალქიმიკოსი
შენ შექმნას ვცდილობ უთვალავი ფოთლის ჩრდილიდან.

მდინარეების შორი შხუილი...
ჩიტის წიაქი.
წვიმის წვეთი.
ფოთლის ჩრდილი.
ცის ნამტვრევები...

მასალა,
რომლითაც შეიძლება ანგელოსის შექმნა.

მაგრამ შენ ხომ სრულიად სხვა ხარ,
შენ ხომ ფრთები არა გჭირდება!

ორი გაშლილი მკლავი გინდა...
და მხრები, მხრები —
ზედ მზის თმები რომ დაგეფინება...

და ჯანმრთელი,
ხორბლისფერი ფეხები,
რომლებიც ხარბად შეიგრძნობენ ლორთქო მიწის მშვენიერებას.

და ბაგეები,
რომლებსაც შეეძლებათ
რომ იმღერონ სიყვარულის ძველისძველ შხამზე...

და თვალები —
სივრცეებში
საიდუმლო გასასვლელები...

და გული, გული —
რომ დაიტევს ყველა ცოდვას ამქვეყანაზე,
ყველა კვნესას
და ყველა ქვითინს,
ყველა სიმძიმილს...

და კიდევ გლოვის ხმა გჭირდება,
კიდევ
მწარე ცრემლი გჭირდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შორით ყორანი მეძახის: წამო!..
სად მიხვალ, გზაო, საით ვიდინოთ?
პირდაპირ გულში მოწვეთავ: შხამო.
პირდაპირ გულში: ქარის ქვითინო...

მშვიდობით, ჩემო მიწავ და წყალო,
განუწყვეტელო გულის ტკივილო,
უკან რომ მომდევ და სისხლს რომ მიშრობ,
ჭანგებს რომ მასობ, როგორც მიმინო...
ვერ ამოგთხარე გულიდან: შიშო...
ვერ გაგაჩუმე: გველის წივილო...

ტანზე შავეთის ვიზომებ სამოსს!..
შენც წვეთწვეთობით გამოგცლი: შხამო...
შენც მოურჩენელს დაგტოვებ: წყლულო...
შორით ყორანი მეძახის: წამო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მჭედლური

ჩვენი ფიქრები

შენ ისევ მოხვედ უფსკრულეთიდან,
ველებზე ფრთები ისევ მოჰფინე,
ჩვენი ფიქრებიც ერთად შეყრილან
და ზამთრის ქარი თავს დაგჰფოფინებს.

ისევ გვწყურია ველად ყიალი,
მარად თოვლის და ბალახის თელვა,
ჩვენ ნაადრევად ბუნების საშოს
ამოგვარიდა ბოროტმა ხელმა.

ვერ გამოვფრინდით ცისქვეშეთიდან,
ვერ გავარღვიეთ გარსი მბჟუტავი,
უცხო ლაფით ვართ უკვე შესვრილი
დის ოხშივარი სულის მხუთავი.

გადნა ზნეობა, სამშობლოს ქარებს
დასჩემდათ შიში ვიწრო სარკმელის,
ახლა გულში გვჭირს არა ნასროლი,
არამედ ასჯერ ჩუმად ნაკბენი.

ვერ აღმოფეთქა, ვერ აღმოხეთქა,
ვერ იღორძინა მორჩმა მოჭრილმა,
ველარ ჩამოგვწვდა მისი შრიალი,
ვერ აგვამხედრა, აგვაღორძინა.

ვერ დაგიბერტყეთ მტვერი სულიდან,
ვერ განვიბანეთ დროის ტალახი,
ვერ ავაჟღერეთ ძველად ჩვეული
სამრეკლო სიტყვა და იარაღი.

...ჩამორღვეულან მთებზე თოვლები
და ჩვენც მოსულნი უფსკრულეთიდან
ერთურთს დავეძებთ, წინ-წინ წასული
ჩვენი ფიქრები უკვე შეყრილან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ამირეჯიბი

სადაც არ შნდა წახვიდე

მოთხრობა

●

ნესტანი სიამოვნებით უყურებდა არჩილისა და თორნიკეს ტრაპეზს. გემრიელად ჭამდნენ, მოსწონდა დაღლილი დამშეული კაცების ცქერა.

— შენ აქ საიდან გაჩნდი? — როგორც იქნა, მოიცალა არჩილმა სალაპარაკოდ.

— საიდანაც სხვები, — მშრალად და უკმაყოფილოდ უპასუხა ზურაბმა.

არჩილმა არად ჩააგდო ასეთი პასუხი და კითხვა შეასწორა:

— უკაცრავად, აქ რა გინდა, შენც მოწყენილი ხარ? — გულღია სიცილით ჰკითხა.

— აქ არავინაა მოწყენილი. ქალბატონ ნესტანს შეეშალა, განცხადებაში მოწყენილები კი არა, დაბნეულები უნდა დაეწერა.

— მით უმეტეს, შენ და დაბნეულობა?

ეს მოულოდნელი ნაცნობობა ისეთი ცნობისწადილის აღმძვრელი გამოდგა. ჭამა-სმა მიატოვეს და გაფაციცებული შეაჩერდნენ მოსაუბრეებს.

— შენ მზეთუნახავი ქალებით ლენინგრადისა და მოსკოვის საუკეთესო რესტორნებში უნდა იჯდე და გრიალებდე. მაინც, აქ რამ წამოგიყვანა?

— ამ ქალებს რას ერჩი, რომელია გონჯი და უსახური...

— ჩემი ურგები მაწონი ძაღლსა, ქოთანი — ქვასაო.

— რა იცი, რომ ურგები! შენ ეს მითხარი, თვითონ რამ შეგაწუხა.

არჩილი სულ ოდნავ შეცბა, ერთი წამით მარეხს ჰკიდა მზერა, მშვიდად იჯდა, სახეზე განურჩეველი გამომეტყველებით, სამაგიეროდ თიკა იყო ცოტა გაკვირვებული და დაბნეული.

— რამ მოგატოვებინა შენი ტურფა... თბილისი? — ისევ ჩაესმა ზურაბის ხმა. არჩილის თვალებში ბრაზმა გაიელვა.

—შენი შეკითხვა ჩირადაც არ მიღირს, როცა მინდა მაშინ გიპასუხებ.

— ჩანს, ვისაც ტკივილს აყენებ, არცის გიღირს ხოლმე ჩირად.

მარეხი ადგა, პურის თეფში აიღო და სამზარეულოსაკენ წავიდა, პროტესტი სიარულში ეტყობოდა. არჩილმა მზერა გაადევნა, თვალებში ბრაზი ჩაიქრო. ზურაბს არაფერი გამოჰპარვია, მიხვდა, მარეხი არ დაუშვებდა არავითარ უსიამოვნებას, არჩილიც თავზე არ გადაახტებოდა, რადგან მის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა.

— ჩემდა საბედნიეროდ, თუ ვინმეს ტკივილს მივაყენებ, პატიების თხოვნაც შემიძლია, მყოფნის ამისთვის კაცობა

— პატიების თხოვნა რა კაცობაა! ჯერ გააკეთო, თქვა ის, რაც კმაყოფილებას განიჭებს, ასე ვთქვათ, შენი აისრულო, და მერე პატიება ითხოვო, ეს ძალიან ადვილი საქმეა. მოკალი ადამიანი და მერე ბოდიში მოუხადე, რა კარგია?!

— მარტო პატიების თხოვნა ნამდვილად არ ნიშნავს ვიკაცობასო, გულწრფელი მონანიებაც უნდა ახლდეს თან და დანაშაულის ჩადენის პროცესის წვრილად აღიარებაც, მერე გამოჩნდება ხოლმე პატიება ხერხდება თუ არა, — თქვა ბატონმა ლუკამ. იგი ამ ხნის განმავლობაში ჩუმად აკვირდებოდა არჩილსა და მარეხს და ცუდ ბოლოს წინასწარ ხვდებოდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 5, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც ყოველთვის, ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ბატონო ლუკა! — გაიხარა ზურაბმა.

— სინდისიერი ადამიანისათვის მონანიებაა სასჯელი და არა მუხლის მიყენება. მე პროფესიით იურისტი ვარ და არ შეიძლებოდა ამაზე არ მეფიქრა, განებავთ ხანგრძლივი დაკვირვების გამო. სხვათა შორის, მუხლი არსებობს ასეთი, 38-ე — პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, ამათგან მეცხრე აბზაცია: — „გულწრფელი მონანიება ან გამოცხადება ბრალის აღიარებით“.

— ჩვენს კოდექსში ყველაფერი სწორად მიგაჩნიათ, ბატონო ლუკა? — ინტერესით ჰკითხა დათომ.

— ყველა არა. ჩემი ნება რომ იყოს, რამდენიმეს შევცვლიდი. მიმაჩნია, რომ ზოგიერთი მეხლი მეტად გამძაფრებულია, ზოგი შერბილებული.

— ბატონო ლუკა — შესძახა გაკვირვებულმა თიკამ.—ასეთი სასტიკი ხართ?

— მე ვიტყოდი, რომ სამართლიანი.

— ბატონო ლუკა, — ხმის კილო დაიწყნარა თიკამ. — აბა, გვითხარით ერთი-ორი მაგალითი.

—გეტყვით. მაგალითად, მუხლი 96 „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით გატაცება“ — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 10-დან 15 წლამდე, ან ისჯება სიკვდილით“.

— და ეს შერბილებულია?

— დამაცადე, შვილო, ადამიანისათვის პატიმრობა ან სიკვდილი გამოსავალი არ არის. ასეთ მუხლმიყენებულ ადამიანს არც ციხეში ჩავსვამდი და, მით უმეტეს, არც სიცოცხლეს წავართმევდი. მრავალნი დანაშაულისთვის ჩაჯდებიან და როცა გამოდიან, თვლიან, რომ ვალი მოიშორეს და სინდისის უქენჯნელად იწყებენ მზადებას ახალი დანაშაულისათვის. მცირედნი, მოიხდიან სასჯელს, გამოვლენ და მაინც გაწამებულნი არიან ჩადენილი საქციელის მიზეზითაც, მიზნითაც და შედეგითაც. მოვაგროვებდი იმ ხალხს, ვის განასაბვრებლად და კეთილდღეობისათვის იყო მიტაცებული ქონება: დედ-მამას, მეუღლეს, შვილებს, და-ძმას, ახლო მეგობრებს — ქალებს და კაცებს და დაკაცისრებდი კეთილისმყოფელისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეხადათ განსაზღვრული თანხა... საკუთარი ხელფასიდან. მაშინ ვნახავდი, ვის როგორ და რამდენ თანხას ეყვარებოდა კეთილისმყოფელი. აბა თქვით, მეტი სასჯელი იარსებებდა მფლანგველისათვის? ან იმ ადამიანებისათვის, ვისაც თავისი ნაქურდალით ახარებდა? ასეთი წესის შემდეგ კიდევ იარსებებდნენ სხვისი ქონების მფლანგველნი და გამტაცებელნი? რა თქმა უნდა, ცოტა რომანტიკულია, მაგრამ შეუძლებელი ალბათ არაა. დანაშაული ვერ უნდა გამოისყიდოს ადამიანმა.

— მართლაც რომ ყველა სასჯელზე უარესი იქნებოდა, — ჩაილაპარაკა დათომ.

— ციხეში უსამართლოდ მოხვედრილებზე რაღას იტყვით, ბატონო ლუკა, — არჩილი ზურაბს უყურებდა თვალმოუცილებლად.

— ხანდახან გამზადებულ დამნაშავედ გამოდის იქიდან.

— მერედა, რატომ სვამთ ციხეში?

— ზოგჯერ ჩვენც მოგვდის შეცდომა.

— და თქვენი შეცდომის გამო, ვიღაც რწმენას კარგავს, ვიღაცას დაუმსახურებელი პატიმრობა ერგება წილად, — არ მოეშვა არჩილი.

—აკი ამიტომაც ვამბობდი, ციხე გამოსავალი არ არის მეთქი, — მშმუნვარედ თქვა ბატონმა ლუკამ — ზოგი დამნაშავე როცა სასამართლოში ჰყვება თავის დანაშაულის ამბავს, დავკვირვებივარ, ათჯერ მეტად განიცდის და კვდება, ვიდრე განაჩენის გამოცხადების შემდეგ. განა ასეთი ადამიანი ციხეში უნდა ჩაჯდეს?

—ტყუილია. ეგეთი შთაბეჭდილების მოხდენა უმრავლესობას ხელს აძლევს. სიმულიანტები არიან, მელოდრამაზე გაგიყვებულებს უგებენ მახეს. — თქვა ზურაბმა და კატას ფეხი წაჰკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენს ხმას რომ ასეთი გამაღიზიანებელი კილო არ ჰქონდეს, რომელიმე ჩვენთაგანი აუცილებლად დაგეთანხმებოდა. — მიმართა დათომ; — რა გვირს, კაცო, რა როყეო ხარ, სევდა არ იცი? ნიჭი გაქვს, ყველა შენს წინააღმდეგ უნდა განაწყო.

— ზუსტად არ მაგონდება, სევდა დიდი კაცების ხელობააო, რომელიღაც პოეტს უწერია, — თქვა არჩილმა.

— მე მახსოვს: „სევდა იგი უკვდავ“ და მარადია, ნურვინ ჰგონებს — ზადია ხიჩ! სევდა იგი პოეტების ტალანტია და მეფეთა ოდენ დიდთა ნიჭი!“ — ჩაარაკრაკა თიკამ.

— მაშ ბაალურზე დიდი კაცი არ არსებულა. სევდა! წყალივით უფერო და უსუნოა ეგ თქვენი სევდა! — ზურაბის ნათქვამს რომ პასუხი არ მოჰყოლოდა, ვითარება უარესად რომ არ დამძიმებულიყო, მარეხმა სასწრაფოდ იკითხა:

— მაშ არსებობენ ადამიანები, ვისაც თავის ჩადენილ დანაშაულზე ლაპარაკი უფრო უჭირთ, ვიდრე განაჩენის მოსმენა? — მერე ჩუმად გახედა არჩილს.

— კი, არსებობენ... ალიარება მათთვის ნამდვილი გოლგოთაა ხოლმე.

— მერე, თქვენში, სასამართლოს მოხელეებში, ასეთი ადამიანი, სიმპათიას იმსახურებს?

— აუცილებლად. ალალად ვინც ყვება, კი! ხოლო თუ ხმის კილოში მსმენელმა შენიშნა, მაშინვე გულს აიყრის ხოლმე. ჩემი დარდის უდიდესი ნაწილი, იმათ ეკუთვნით, ვინც გულწრფელად ინანებს დანაშაულს, ვინც გოლგოთაზე ადის, ვინც თანალმობას იმსახურებს. ყველა მახსოვს, არავინ დამეწყებია ასეთი. როდესაც თავისუფლდებიან, როგორც შემიძლია, მზარში ვუდგებავრ. შეძლებით კი — ბევრი რამე შემიძლია... ადამიანობა მხოლოდ პრინციპულობაში როდი გამოიხატება, თანადგომასა და მიტევებაშიც. ვისაც ეს არ შეუძლია, სხვის ტანჯვას არად აგდებს, გინდაც პრინციპული იყოს, ისიც დამნაშავეა, ჩემი აზრით.

მარეხი რატომღაც აიწურა, ამოდგო. ბატონ ლუკას ეს შეუმჩნეველი არ დარჩა.

ყველა გრძნობდა, რომ აქ ზურაბი არაფერ შუაში იყო. არჩილი დაბნეული და ოდნავ გაკვირვებული ჩანდა ვითარების მოულოდნელი შეტრიალებით. მიხვდა, რას თხოულობდნენ მისგან, ყველა სათითაოდ ჩამოათვალიერა. ნესტანის გამამხნევებელ მზერაა წაწყდა, თორნიკეს თანადგომას მიხვდა, თიკას — მუდარა იგრძნო. არჩილი უხერხულად შეირხა, შუბლით ნაწვიმარ მინას დაემსგავსა.

— ჩვენს სინდისზე იქნება—ორმოში ჩავარდნილი კაცის განსჯა — თქვა თორნიკემ.

— ზევით ამოსასვლელად, პირველად ორმოში ჩავარდნილმა უნდა იზრუნოს, — მტკიცედ თქვა ბატონმა ლუკამ.

შეჭირვებულმა არჩილმა საყელოს ღილი შეიხსნა, მარეხის თვალებს შეეფეთა, უცხოსავით უყურებდა. დაბლა დაიხედა, კატა მის ფეხებზე დასკუპებულიყო და ძილში კრუტუნებდა.

თავი დაღუნა და ოდნავ მოგუდული ხმით დაიწყო:

●

— რამდენიმე თვის წინ, ერთი მეგობრის ოჯახში გავიცანი. რამდენჯერაც გამოვიწვევ საცეკვაოდ, იმდენჯერ გაწითლდა. ცეკვავდა ოდნავ შებოჭილად, მდუმარედ და მე უცბად ვიგრძენი, რომ ქალს მოვეწონე. გამიკვირდა, მეგონა კარგახანია გადაეცედი იმ ასაკს, როცა მამაკაცი ახალგაზრდა ქალის ყურადღებას იქცევს, გამიხარდა ასე რომ არ აღმოჩნდა. კარგად დავაკვირდი: ახალგაზრდა იყო, სანდომიანი, ზომიერად ექსტრავაგანტური. სახლში რომ მივაცილე, მანქანიდან მაშინვე არ გადამხტარა. ვაკოცე, იღიმებოდა და თვალებში შემომცქეროდა. ნებართვა ვთხოვე დამერეკა, დამეთანხმა. ერთი თვე გავიდა, არ დამირეკია...

მარეხს თვალებში წყრომა გამოეხატა.

— ...თუმცა მუდამ მახსოვდა და ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირებდი კიდეც. ხელება რაღაც მიბორკავდა. ერთი თვის მერე თვითონ დამირეკა.

„ვიცანი?“, ეუბნებოდა.

„არ ბრალი ხართ?“

„მე გახლავართ?!“

დუმილი გაგრძელდა.

„მერე?“

„ვინ ბრძანდებით?“

„მე კი მეგონა, მიცნობდით...“

„აბ, გიცანით. გიცანით! როგორა ხართ“.

„კიდევ გახლავართ?“

„რა თქმა უნდა! მაშ ხმით როგორ გიცნობდით“.

„ცუდად გახსოვართ თუ კარგად?“

სევდიანი ხმა ჰქონდა...

„რა თქმა უნდა, კარგად! სადა ხართ, როგორა ხართ?“

„სახლში, თქვენა გამო გაციებული“.

„რატომ ჩემს გამო“. — დაბნეული და გაკვირვებული კილოთი ვკითხე.

„ბეშნ მანქანაში მინა დამრჩა ამოსაწევი. ქარი სახეზე, კისერში, ყელზე მცემდა. ორპირი ქარის მეშინია, ადვილად ვცივდები, თავს ვარიდებ-ხოლმე. ბეშნ თქვენზე ვფიქრობდი გამალებული და დამავიწყდა მინა ამეწია. ახლა ყელი მტკივა...“

„ანგინა გაქვთ?“.

„ჯერ არა, ყელი მტკივა მხოლოდ“.

„მითხარით თქვენი მისამართი“.

მითხრა.

— ყურმილი დავდე, აფთიაქში წამლები ვიყიდე და წავედი.

ისევი ხმით ლაპარაკობდა არჩილი, უმალ დარწმუნდნენ ბატონი ლუკას ნათქვამის სიმართლეში მათ შესახებ, ვინც დანაშაულის აღიარებითა და მოყოლით გოლვითაზე ადის.

— კარი თვითონ გამიღო. მუნჯებივით ვისხედით კაი ხანს. მერე მითხრა:

„ჯერ ვიფიქრე მოვა-მეთქი, მაგრამ რადგან კითხვები არ დამყარეთ, მარტო ხართ თუ არაო, თუ შეიძლება მოვიდეო, უხერხული ხომ არ იქნებაო, — ალბათ, არ აპირებს მოსვლას-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარ“.

ტანწვრილი, მოლისფერ ხალათში ჩაფეთქილი, ხორბლის თავთავსა ჰგავდა.

„ხო, წინდაუბედავად მოვიქეცი“.

„მე კი მომეწონა, ასე ჯიქურ რომ მოხვედით, ჭაბუკივით“.

„არც მიფიქრია, როგორ გამოვიდოდა“.

„იმიტომაც მომწონხართ ძალიან“.

— იმ დღიდან რამდენიმე თვე გავიდა. სულ ვზეიმობდი, ერთხელაც არა ყოფილა რაშე არ მომწონებოდა მისგან ნათქვამი ან გაკეთებული. ბეშნწინ გადავწყვიტეთ ფეხით გაგვესეირნა. რუსთაველზე, ტროლეიბუსის გაჩერებასთან ვიდექი და ველოდებოდი. იმდენად კარგ ბეშნებზე ვიყავი, დიდ ხეებს შორის ჯუჯად დარჩენილ ხეს ვეფერებოდი, თან მიწისქვეშა ამოსასვლელისკენ ვიყურებოდი. ბული შემიქანდა. ძალიან შვენოდა გრძელებწვა ყავისფერი ქურქი და ყვითელი კაშნე. თვითონ ვერა მხედავდა. სიცოცხლითა და სიხარულით სავსე თვალებს, ხან საით მიაპყრობდა, ხან საით. მეძებდა. ვიღაც ნაცნობი შეხვდა. ცმუკავდა, აქეთ-იქით იყურებოდა, უგულოდ ელაპარაკებოდა, უნდოდა მალე მოეცილებინა. თვალი მომკრა, სწრაფად დაემშვიდობა ნაცნობს და ნაბიჯს აუჩქარა. ღიმილით გაბრწყინებული თვალები აღარც მოუშორებია ჩემთვის. ხელი მოვხვიე, ჯუჯა ხისკენ შევაბრუნე.

„ეს ხე შეგიმჩნევია“?.

„არა. რა პატარაა...“

„ორმოცი წელიწადი ვიცნობ, რაც სკოლაში სიარული დავიწყე, მის მერე თითქმის ყოველდღე ვხედავ. ეს ჭადრები რომ დაურგეს აქეთ-იქით, მაშინაც ამხელა იყო. ახლა ამასთან გოლიათებივით არიან. ჩემი ქვეყნიდან სადმე რომ ვარ წასული, ყველასა და ყველაფერთან ერთად ესეც მენატრება. სულ მეშინია, მოჭრილი არ დამხვდეს. რომ დავინახავ, მიხარია ხოლმე“.

„მაჩუქე რა, ეს ხე...“

„გაჩუქებ და, თუ საღმე წავალ, ორივე ერთად მომენატრებით“.

ზანანა ამირეჯიბი

„ორივე და მეტი არავინ, კარგი?“.

დიდხანს ვიხეტიალეთ, ერთმანეთს ვაჩვენებდით და „ეჩუქნიდით“ ჩვენთვის საყვარელ ქუჩებს, შუკებს, სახლებს, ადგილებს. მერე კაფეში ვისხედით. თითქოს სხვა ქალებივით იჯდა, ფეხი-ფეხზე გადადებული, წელში გამართული, ხელში შამპანურიანი ჭიქა ეჭირა, თვალები ოდნავ მოეჭუტა და მეუბნებოდა:

„არა, აჩი, მე უფრო მიყვარხარ“.

— ბოლოს სახლში წამოვიყვანე, ჯერ უარზე იდგა, მერე დამყყა.

მარეხს სახეზე არაფერი ეტყობოდა, ლოყა მაგიდაზე დაყრდნობილ ხელზე ჩამოედო, მზერაც ქვევით ჰქონდა მიმართული, თითებით პურის ნამცეცებს კრეფდა და ამრგვალებდა.

— ჩემს კაბინეტში შევიყვანე. კედელს მიეყრდნო, ჯერ ალერსიანი თვალები მოტარა ირგვლივ, მერე საწოლს მიეახლოვდა და ბალიშს აკოცა. მის ყოველ მოძრაობას და საქციელს პოეზიის ან ფერწერის ნიმუშად ვთვლიდი.

დილით შხაპის მისაღებად გავიდა. თბილი მზერა გავაყოლე მის მკვრივ სხეულს, ფიქრით აბაზანაში შევყევი და წარმოვიდგინე, რა გრაციოზული მოძრაობით იბანდა თავის მშვენიერ ტანს. მერე სიხარულით სავსე, ბედნიერი ვიწექი და ველოდი, როდის გამოჩნდებოდა.

გამოჩნდა კიდეც, ნარინჯისფერი ხალათი ეცვა, თმას იშშალებდა და იღიმებოდა. სიცილით მითხრა:

„შენი ცოლი მსუქანი ყოფილა, მისი ხალათი ანაფორასავითა მაქვს“.

ჯერ თითქოს დენმა დამკრა, გულიდან საფეთქლებამდე მოულოდნელმა სიბრაზემ გამიელვა და ისევ გულთან დაბრუნდა, მერე ჩემი სხეული და სული უცბად მოვარდნილმა გაკვირვებამ მოიცვა. ცოლი! მთელ დღეს არ გამხსენებია ცოლი. წინა დღეებში კიდევ მახსოვდა, მახსოვდა ნაღვლიანად, როგორც ძვირფასი ნივთი, რომელიც არ მჭირდებოდა, მაგრამ ვერც ველეოდი. ახლა, როცა ასე მოულოდნელად, მეხივით დამკრა მისმა ხასენებამ, ისეთი ეიშმაკა, მეცა, თითქოს ვიღაცამ გამიტეხა ხელ-ფეხი დამიგდო. ამაკანკალა. უცბად წამოვხტი და მის ოთახში გავედი. კარადის უკნა გამოვწიე, წერილი კიდევ ერთხელ წავიკითხე: „არჩ... მე ძალიან დავიღალე, ჩემს მეგობრებთან ერთად მივდივარ დარჩენილი შვებულების გასატარებლად. არ იღელვო, ასე სჯობია, რათა ყველაფერი უფრო უკეთ იყოს, ვიდრე არის“.

სარკის წინ მჯდომ ქალს გავძახე, ჩაიცვი-მეთქი.

„მე კი მეგონა, კიდევ ჩაგეხუტებოდი“.

„სხვა დროისათვის გადავდოთ“.

„არა დღეისათვის, არა ხვალისათვის, არამედ სხვა დროისათვის?“

არ მიპასუხია, როგორც ზღაპრულ წყლიან ჯამში, ისე გამიელვა თვალებში, კოტა ხნის წინ, ჩვენთან ახლო მდებარე ტაქსის გაჩერებასთან ჩემი ცოლი იდგა და ბოძზე მიკრული განცხადებას კითხულობდა, მერე ბლოკნოტში რაღაცა ამოინიშნა. გულმა რეჩხი მიყო, ბინის გაცვლა ხომ არ მოისურვა-მეთქი.

მანქანაში ჩავსხედით, ქალს თავის სახლთან ვუთხარი, ქალაქიდან გავდივარ, როცა ჩამოვალ, დაგირეკავ-მეთქი. თითქოს ექიმი ვიყავი და მძიმე ავადმყოფთან მიგვიანდებოდა, ისეთი სისწრაფით მოვბრუნდი უკან. მრავალნაირი განცხადებები იყო: ვცვლი, ვყიდი, ვაქირავებ. ბოლოს ამ განცხადებასაც მივაგენი, გულმა ამოირჩია, ნომერი ამოვიწერე, ლიფტის არსებობა დამავიწყდა, მთელი შვიდი სართული ფეხით ავირბინე და კარიც არ მიმიხურია, ისე ვეკი ტელეფონს. ნესტანის დედამ მომასწავა აქეთ.

არჩილი გაჩუმდა. დიდხანს არც სხვებს დაუღლეგვიათ დუმილი. ბოლოს დათო ალაპარაკდა.

— ბატონო ლუკა, ძალიან დავინტერესდი თქვენი შენიშვნებით კოდექსის გამო, იურისტს არავის ვიცნობ და ახლა ისეთი ცნობისწადილი აღმეძრა თქვენს

მიმართ, თავს ვერ ვიოკებ. ბოდიშს კი გიზდით, მაგრამ იქნება გვითხრათ, კიდევ რა მიგაჩნიათ შერბილებულად?

— ჩემი სიცოცხლე, გაჭირვების ტალკვესი, — მიეალერსა თიკა დათოს.

— მუხლი 121-ე, „მამათმავლობა, რომელიც ჩადენილია არასრულწლოვანის მიმართ, ან ფიზიკური ძალადობით, ან მუქარის, ან დაზარალებულის უმწეო, ან დამოკიდებული მდგომარეობის გამოყენებით — ისჯება თავისუფლების აღკვეთით 8 წლამდე“.

— თქვენ როგორ მიიჩნევთ?

— დახვრეტა. სწორი არა ვარ?

— რასაკვირველია, სწორი ხართო, დაუდასტურეს.

— შვილად აყვანის საიდუმლოების გამქოლვენება? — იკითხა ისევ არჩილმა.

— ჯარიმა ორასი მანეთი, — თქვა ბატონმა ლუკამ და გაფაციცდა, ყოველ სიტყვას ჩაუსაფრდა.

— მეტი არაფერი? — იკითხა ბაადურმა.

— „ოგივე ქმედება, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა, თავისუფლების აღკვეთა ერთიდან სამ წლამდე“.

— მძიმე შედეგში თვითმკვლელობა ან სახლიდან გაქცევა იგულისხმება, არა? — ჩაერია თორნიკე.

— სწორად მიგაჩნიათ? — იკითხა ისევ არჩილმა და სიბრაზისაგან გამწვანებულ ზურაბს შეხედა.

— ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ბატონმა ლუკამ ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით თქვა:

— სამშობლოდან მუდმივი გადასახლებით შევცვლიდი.

„არ მითქვია!“ — ისე მოულოდნელად დაჰკრა მუშტი მაგიდას ზურაბმა, რომ ქალებმა წამოიკივლეს.

— რა გაკვირვეს, — ზიზღით, ხმის აუწევლად თქვა არჩილმა, — ხომ დაემუქრე, შენი საქმე იცოდა, გეგონა იტყოდა, შეგეშინდა და დაასწარი, ჯერ უნდობლობის ეჭვით შეურაცხყავი და მერე დაემუქრე.

— იქნებ უნებურად წამოსცდა სიმთვრალეში, — შეწუხებული ხმით თქვა მარეხმ.

„უნებურად არაფერი ხდება. კაცებს როცა ხელს გვაძლევს, ხშირად ვამბობთ-ხოლმე, მთვრალი ვიყავი, არაფერი მახსოვსო“, — გაწყვეტინა თორნიკემ მარეხს.

— ძმაკაცი გამოგვიდა ციხიდან და იმალება? კარგად აგირჩევია ადგილი, აქ ნამდვილად ვერ მოგაგნებს, — არ ზოგავდა არჩილი.

ზურაბს ხელები მომუშტული ჰქონდა, ტუჩები გალურჯებული. მარეხმა წყრომით რომ ვერაფერი გააწყო, ახლა მუდარით შეხედა არჩილს. ქმარმა თვალი აარიდა.

— ეს დაემუქრა და ციხეში ის ჩასვეს? — გაიკვირვა თორნიკემ.

— კი, იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის ჩასვეს.

— როგორ გაიგეს, რომ იარაღი ჰქონდა, ესროლა ვინმეს? — იკითხა ბაადურმა.

— გაიგეს. გააჩერა მილიციამ ერთხელ ქუჩაში და გეგონებოდათ, თვითონ შეინახეს მის მანქანაშიო, ისე ადვილად მოძებნეს. რამდენი ისჯება, ბატონო ლუკა, კაცი ამისათვის?

— ხუთი წლით. შეგწყვიტოთ ეს ლაპარაკი, ქალებს შევაწუხებთ.

— ქალბატონო მარეხ, სახლთან გაუქმებული ჭა შეგნიშნე, გამომყევით მოწმედ, იქ უნდა ჩავაგდო, თორემ, როგორც ვატყობ, ხუთი წელი არ ამცდება, — ირონიული ღიმილით თქვა ფეხზე წამომდგარმა თორნიკემ. — მაინც უნდა გადამეგდო, უკეთესი შემთხვევა არ მექნება.

მარეხი ადგა და თორნიკესთან ერთად გარეთ გავიდა. მიხვდნენ, ეს შიშის გამო რომ არ უთქვამს თორნიკეს.

ამ ხნის განმავლობაში ნესტანი გამტკნარებული იჯდა. შეწუხება და დაბნეულობა ემჩნეოდა სახეზე, რის გამოც სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო და უჩვეულოდ ლამაზი ჩანდა. დათო სიხარულის შუქით სავსე თვალებით უყურებდა ნესტანს, მერე გვერდით მჯდომ ბატონ ლუკას რაღაც გადაუჩურჩულა.

მანაც ნელა მიატრიალა თავი ნესტანისაკენ.

თიკამ, კრავაის დავხედავო, ოთახიდან გავიდა.

ბაადურმა ზურაბს მალულად შეხედა. თავდაღუნული ისევ მომუშტული ხელებით იჯდა.

მარეხი და თორნიკე შემოვიდნენ.

— რამსიღრმე ჭა ყოფილა, რომ ჩაავდო, კაი ხანს ველოდეთ დაცემის ხმას.

— მოკლედ! მე ეს ლაპარაკი იმიტომ წამოვიწყე, რომ ენას კბილი დააჭირო. ნურც იმ კაცს დაღუპავ და ნურც საკუთარ თავს, გასაგებია? მიდი და მუხლებში ჩაუვარდი, გაპატიოს.

— ნუ მელაპარაკები დამრიგებელმასწავლებელივით, თუ კაცი ხარ. — ადგა ზურაბი და ოთახში გავიდა. ცოტა ხანში შემობრუნდა, წასასვლელად ჩაცმული ხელში ჩანთა ეჭირა.

— მე წავედი, კარგად იყავით, არ მოიწყენთო, მოუყვეთ ერთმანეთს საკუთარი საგმირო საქმეები. შენ კიდევ, — მიუბრუნდა თიკას, — ტყუპის შეძენას გისურვებ — ამის გაგონებაზე თიკამ გულიანდა გადაიკისკისა.

— ცუდი გზაა, — უმისამართოდ, თავისთვის ჩაილაპარაკა თორნიკემ.

— შენი ამოსათრევი არ გავხდები, ჩავალ როგორმე, — თქვა ზურაბმა და გავიდა, კარიც კი არ გაიხურა.

●

ხანგრძლივი დუმილი ჩამოდგა, სხვადასხვა წერტილზე მიშტერებული მზერა ყველას წუხილიანი ჰქონდა. ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში ბატონი ლუკა იჯდა, აქეთ და იქით ბაადური და ნესტანი იდგნენ, სამივენი ნაღვლიანად იყურებოდნენ გარეთ და ისე შვენოდნენ ერთმანეთს, როგორც ხე და ტოტები.

— გახსოვთ, რა თქვა სევდაზე, — სიჩუმე დაარღვია თიკამ. — ეგ თქვენი სევდა წყალივით უფერო და უსუნოაო. გესლიანიც იმიტომ არის, ეგეთი სევდა რომ ჰქონია. ისე, რა საინტერესოა, რა ფერია სევდა. დათო, რა ფერი [illegible] სევდა?

დათომ ღიმილით უპასუხა:

— ძალიან სიყვარულის ფერი, თიკა.

— შენი ბაადურ?

— ციცრის კვერცხის ფერი, — რატომღაც, თიკას ნაცვლად ნესტანს შეხედა და უპასუხა ბაადურმა.

— ციცრის კვერცხის ფერი... როგორ შეუჭამიხარ, შვილო, სევდას... ჩემი მკვდრის მზესა ჰგავს, — ბატონი ლუკა სავარძლიდან ადგა.

— ჩემი კი რაღაცით თქვენსას ჰგავს ბატონო ლუკა. ორივე ჩამავალ მზეს გულისხმობს. ფანჯრიდან ვხედავ ხოლმე, აპრილის ბოლო კვირაში, ორ მრავალსართულიან სახლს შორის ჩადის მზე, სულ ოდნავაც არ ეხება სახლის კედლებს, მაგრამ ბეწვისოდენი ადგილიც არ რჩება. ნელ-ნელა ეშვება ნაცრისფერ სახლებს შორის გაჩხერილი ყვითელი დისკო და თან მიაქვს ჩემი თვალის ჩინი, გულისძგერა, ხოლო, როცა ჩადის, ასე მგონია, სიცოცხლეც თავდება, ამ დროს ცრემლსა ვნატრობ ხოლმე, ამაოდ. სახელიც კი დავარქვი, „მზის საღამო ქალაქში“.

— ახლა წარმოიდგინე ეგივე სურათი, ოღონდ როდესაც მზე ამოდის ორ სახლს შორის გაჩხერილი, რა გამოგნებელი სილამაზითა და სიდარბაისლით ამობრძანდება ცაზე, რა წუთი იქნება ის წუთი, ნაცრისფერ გზას რომ ათავებს და მთელი სისრულით მოეფინება ცასა და მიწას. ადამიანსაც რა მსუბუქად, ტროროლას გალობასავით აიყოლებს თან. თუკი ინებებენ, ნესტან, მე დაგიხატავ სურათს, რომელსაც ერქმევა „მზის დილა ქალაქში“.

— დიდი მადლობა, ბაადურ, — ათრთოლებული ხმით თქვა ნესტანმა — სურვილისათვისაც დიდი მადლობა. ერთმანეთს უყურებდნენ ნესტანი და ბაადური. ნესტანს, ნათელი რომ ეფინება დილას, ისე ამოუდიოდა სიწითლე ყელიდან სახეზე. თავის განცდა რომ დაემალა, თიკას მიუბრუნდა: — შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევდა რა ფერია, ბარემ დანარჩენებმაც ვთქვათ.

— ცალის ან კენტისფერია, — უპასუხა თოკამ.

— მიტოვებული სახლის სუნი აქვს, — ფიქრიანი ხმითა თქვა მარეხმა.

— მე სევდისთვის ვერ მოვიცალე. იმ ხელა დარდი და ბოღმა ვატარე ორ ათეულ წელზე მეტხანს, რომ ეგ ბედნიერება მოვაკელი ჩემს თავს.

— სევდაზე ამდენი ლაპარაკი არ შეიძლება, გაგვიწყრება, — ხუმრობანარევი სერიოზულობით თქვა არჩილმა და დააყოლა; — ჩემს სევდას მარეხის თმის სუნი უდის და ძალიანაც მომწონს. — არჩილი უცებად გაჩერდა და შუა კარს მიაშტერდა. კართან კედელზე მიყრდნობილი კრავი იდგა და გაკვირვებული უყურებდა თორნიკეს. — აბა, ახლა ამ ბეკეკას ვკითხოთ, რა ფერის სევდა აქვს, — არჩილი წამოდგა, კრავი მაგიდასთან მოიყვანა და დასვა.

— წვიმაში გაგდებული კნუტისფერი, — თქვა კრავიმ.

— რა მეშველება, თქვენ რომ ვეღარ გნაზოთ, სევდა მერე იკითხეთ, ციცრის კვერცხის ფერი მოგონილი იქნება, — წაიწუწუნა თიკამ.

— ჩემი ტელეფონის ნომერი და მისამართი ყველამ იცით. თუ ღირსად ჩამთვლით, და თქვენს ამბებს გამაგებინებთ, გამიხარდება...

— რატომღაც მეტირება და მშია ერთდროულად, არ ვიცი, როგორ მოვიქცე, — ცრემლნარევი სიცილით თქვა კრავიმ. — დეიდა ნესტან, თქვენ რას იზამდით?

— რა თქმა უნდა, ვჭამდი, — უმალვე გაეპასუხა ნესტანი, და გვერდით მიუჯდა. — თუკი ისეთი უყურადღებო ადამიანები, როგორიც ჩვენა ვართ, გაიმეტებდნენ რამეს.

— დეიდა მარეხი ხაჭაპურს შემინახავდა, ხომ ვიცი.

— სწორია, შეგინახა, ახლავე გაგიფიცხებ, — წამოხტა თიკა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— სულ მგონია, თქვენც ჩემნაირადა ხართ, რაღაც მიხარია და მედარდება ერთდროულად, გული საგულეში არ მეტევა, — თქვა ბატონმა ლუკამ.

— მეც ეგრე ვარ, რომ დავდივარ, თითქოს მეცეკვება, — თიკამ ხაჭაპურიანი თეფში მაგიდაზე დადგა.

— მე კიდევ დიდი ხანია გულში, ხოხბისყელივით ლამაზ ქალზე ვმღერი.

— ვგიჟდები მაგ სიმღერისთვის, მიდი რა, დათო, ხმამაღლა იმღერე. მეტი არავინ მღერის? — კითხვის თვალი ჩამოატარა მარეხმა.

— მეორეს ვიტყვი, — შესთავაზა თორნიკემ.

— ბანი მეხერხება, — სიტყვა ჩაურთო ბატონმა ლუკამ.

სუფთა პირველით დაიწყო დათომ, სევდიანი მეორე უთხრა თორნიკემ, ხავერდოვანი ბანი მისცა ბატონმა ლუკამ. დანარჩენები გარინდებულები ისხდნენ. კრავიის მოკბეჩილი ხაჭაპური თეფშზე დაედო და მდუღარე ცრემლებითა და ღიმილით ტიროდა. სიმღერა რომ დამთავრდა, ბაადური წამოდგა, კონიაკი გამოიტანა და მაგიდაზე დადგა.

— არა, ახლა არ დალევა სიგიჟეა. უნდა ვიქეიფოთ და პირველი სადღეგრძელო ბედნიერებისა ვთქვათ.

— ბარელამ შენ თქვი, ბაადურ, — მიმართა არჩილმა, მერე თავის უტაქტობაზე შეცება და ბატონ ლუკას მოკრძალებით შეხედა.

— მხოლოდ ბაადურს მოვუსმენ, მოკლედ ლაპარაკი იცის, თუ სხვას დაასახელებთ, დასაძინებლად წავალ, მოხუცი კაცი ვარ, მალე ვიღლები, — შეუვალი ღიმილით თქვა ბატონმა ლუკამ.

რაღას იზამდნენ, სიტყვა აღარავის უთქვამს.

— კარგით, — წამოდგა ბაადური, — ბედნიერებისას ვიტყვი. ჩვენ ნამდვილად არც ერთს არა გვაქვს ისეთი ბედნიერების მიზეზი, როგორც ეს უმრავლესობას ესმის, ვინც კმაყოფილება და ბედნიერება ერთმანეთს გაუთანაბრა. აქ რამდენიმე წუთი იყო, როცა არაფერი და არავინ გვახსოვდა ერთმანეთის გარდა. ერთად და ერთნაირად მაღლა იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სული, ყოველის შემოქმედთან და მის სიდიადეს ვერა ვგრძნობდით, რადგან იგი თავად ჩვენს სიდიადეში იყო. მისი და ჩვენი სული ერთმანეთს შეერია და, ჩემი აზრით, ეს იყო დიდი ნეტარება, რომელსაც ბედნიერება ჰქვია. ასეთი წუთების გულისთვის ღირს ეს ტანჯული სიცოცხლე. აი, ამისა დავლიოთ.

დიდხანს ისხდნენ და ამბობდნენ მზის საკადრის სადღეგრძელოებს, ნელ-ნელა წრუპავდნენ კონიაკს ქალებიც. შუადამე გადავდა, მაგრამ არავის ეძინებოდა, ერთმანეთს ვერა თმობდნენ.

ბატონმა ლუკამ თქვა:

— გადაწყვეტილება შევცვალე, აღარ გავდივარ პენსიაზე. მთელი სიცოცხლე თურმე იმათ ვემსახურებოდი, ვინც ტელეფონის ზარითა და გალენიანი ნაცნობებით იგვარებდა საქმეს, თუმცა სინდისისთვის არასოდეს მიღალატია, მაინც იმათ უფრო მეტად ვემსახურე, ვინც უჩქმოდაც ფონს გავიღოდა. თქვენისთანები კი უპატრონოდ დამიტოვებია. ახლა თქვენნაირებს უნდა მივხედო.

— ბატონო ლუკა, — ეშმაკური ღიმილით მიმართა თიკამ. — მართალია, „მოხუცი ხართ და მალე იღლებით,“ მაგრამ მაინც უნდა გვიამბოთ იმ ქალზე, ახალგაზრდობაში რომ იცნობდით, თქვენნაირი იყოო, რომ თქვით.

— რა ინტრიგანი ვინმე ხარ, საიდან გაგახსენდა, — შეჰღიმა დათომ თიკას.

— თავს ვერ მოგაწყენთ, ჩემთან შედარებით ძალიან ახალგაზრდები ხართ, იქნებ ვერც გამიგოთ. ახლა ყველაფერი სხვანაირად არის, ვიდრე ჩემს ჯველობაში იყო. სხვა დროისათვის გადავდოთ, — ხელი გადაუსვა ბატონმა ლუკამ მის სავარძელში ჩასკუპებულ კატას.

— არა, ახლა, ბატონო ლუკა, ახლა გვიამბეთ, საყვარელო, — თიკას მხარე დაიჭირა ნესტანმა.

— გვიამბეთ რა, ბაბუ, თქვენი ჭირიმე.

— კარგით, ოღონდ პირობა მომეცით, რომ მოგგებზრდებათ თუ არა, მაშინვე მეტყვით.

— აუცილებლად გეტყვით, — ერთ-ერთ ლით დაუდასტურა მარეზმა.

●

— დიდი ხნის ამბავია, მაშინ დათოს ტოლი ვიქნებოდი. უფრო ადრე, სტუდენტობისას ჩემს კბილა გოგოს მივწონდი თურმე. ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში. მე ისტორიის ფაკულტეტზე, — მესამე კურსიდან იურიდიულზე გადავედი, — ის ფსიქოლოგიურზე. ძალიან იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს ან ალპინიადაზე ან ქუჩაში. რამოდენიმეჯერ სუფრასთან შეკვხვდით, ქარაფშუტად ვთვლიდი. ასეთებთან ურთიერთობა კი არ მეხალისებოდა. ერთხელ ლუსთაველზე გადამეყარა, ამ წუთში შენზე ვფიქრობდიო. გულში ჩამეცინა, რაღა მაინცდამაინც მაშინ შეგხვდი, ჩემზე რომ ფიქრობდი-მეთქი. როგორა ხართ, გრიპის ეპიდემიას გადაურჩითო? მე — კი, მაგრამ ნანის გაურთულდა-მეთქი. ტაში შემოჰკრა: რა კარგია, ჩემს ქმარსაც გაურთულდა, მეტად საშიში გრიპი ყოფილა, შეიძლება დაქვრივება და მერე ერთმანეთზე დაქორწინება არ აგვცდესო. წამით არ შეყოვნებულა, — ძალიან გამახარე, აზრი რომ მომიწონეო, მიტრიალდა და წავიდა. — ერთხელ კიდევ მეტროში ვნახე, ჩემი თავი ამხანაგს ისე გააცნო, სირცხვილით დავიწვი.

„იცი ეს ვინ არის? ჩემი ნოველის მთავარი პერსონაჟია. ნოველას ჰქვია — „რა არის ცხოვრება, ლამაზს არაფერს დაგიტოვებს, გაგძარცვავს, გაგახუნებს“.

ერთი გადაიკისკისა და მოყოლა დაიწყო.

„ვხვდები ნაცნობს, ჩუმად რომ მიყვარდა და მისი დანახვისას გული საგულედან მივარდებოდა. ვეუბნები, როგორ გამხდარხარ!!! ასეთი სიმპათიური სტუდენტობისასაც კი არ იყავი. ჰო, მპასუხობს, რა ვქნა, იძულებით დიეტაზე ვარ. რა გჭირს? — ვეკითხები. კოლიტი მაქვს და... უიმე, რას ამბობ, შენ ვიცი ადგე, ვიცი, რა საშინელებაც არის. არა, მე პირადად არ მჭონია, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე შვილზე გამოვცადე. რომელი გჭირს, ყაზბობა თუ... — ყაზბობა, — მპასუხობს, ძირითადად ბოსტნეულის კერძებზე ვარ გადასული. — დიდი ხანია? — ვეკითხები. — საკმაოდ, — მპასუხობს. ერთხანს კიდევ გატაცებით ვილაპარაკეთ კოლიტზე და დიდად კმაყოფილები დავშორდით ერთმანეთს".

ხომ კარგი ნოველაოო, შემომცინა. მართალი იყო, მაგრამ თუ ასე გამაჭილავებდა, არ მოველოდი. მისი მეგობარი ისე გულიანად იცინოდა, კინაღამ მეც ამიყოლია. ამის შემდეგ ქუჩაში თვალს ვარიდებდი, წრეგადასული არც ხუმრობა მიყვარს.

თითქმის შეჩვეული ვიყავი მის უბოდიშო ქცევებს, მაინც გამიკვირდა, ერთხელ შუადამისას რომ დამირეკა და ვინაობა არ უთქვამს, არც დასტურს ან უარს დალოდებია, ისე მითხრა, ხვალ, პირველი ავტობუსით ცხინვალში უნდა გამომყვეო. სულ თავისუფლად შემეძლო უარი მეთქვა, ისე ახლობლად არ ვთვლიდი, ანგარიში გამეწია, მაგრამ როგორღა! უარი გვიანი იყო, მერე კიდევ, საქმე არაფერი მქონდა და გადავწყვიტე გავყოლოდი. აი, ასეთი ჩერჩეტ ქალთან უნდა შემგზავრა, ყველაფერი რომ სასაცილოდ ჰქონოდა აგდებული. გაიგო, ალბათ, მანქანა რომ ვიყიდე და ამიტომ გავახსენდი-მეთქი, ვიფიქრე.

ავტოსადგურში რომ მივედი, მოსაცდელ დარბაზში ისე მოკალთებულიყო, კაიზნის მოსულს ჰგავდა. რა იყო, რა მოხდა-მეთქი. გულგრილად შემომხედა, ვიცოდი შენი კეთილი გულის ამბავი, მაგის საკითხავად მაინც მოხვიდოდიო, ისეთი კილოთი მითხრა, თითქოს მე ვთხოვე გაყოლა და არა მან. რომ გაიგო, მანქანით ვიყავი, გაკვირვებით შემომხედა. ლამის ნახეკარი გზა ისე გავიარეთ, ხმა არ ამოუღია. რა ნაპისათისაკე იყო, ისეთი ფერის ტანისამოსი ეცვა, შავი, ნაცრისფერი, თეთრი. მუნჯებივით რომ არ ვმსჯდარიყავით, ერთ ნაცნობზე ეკითხე, მისი ლექსების წიგნი გამოვიდა, ხომ არ წაგიკითხავს-მეთქი. წავიკითხეო. როგორია-მეთქი. როგორც ყველასიო. როგორ თუ ასეთი, გორც ყველასი-მეთქი.

„თუ ავტორის გვარი და სახელი არ იცი, ვერ მიხვდები. ქალის დაწერილია თუ კაცის".

მეუცხოვა ეს აზრი.

„ყველაში რომ არ შედის, ისეთ პოეტს თუ იცნობ?".

„როგორ არა: ბესიკი, ვაჟა, ილია, პაოლო, ტიციანი, გალაკტიონი, გოგლა... სხვებიც..."

„ახლები?"

„შიგდაშიგ ახლებიც არიან. ვის სახელსაც ამბობენ, გვარს — არა, მაგრამ მაშინვე მიხვდები, ვისაც გულისხმობენ. მათი ლექსებიც ისეთია, ხელად იგრძნობ, რომ კაცი წერს".

„ქალებთან როგორ არის საქმე, შენი აზრით?".

„კაცებს გადაეცი, ანას თავისი სამყარო დაანებონ".

„კარგი, აუცილებლად გადავცემ. პროზაში რას იტყვი, აქაც სახელებით არჩევ?" ჩემდა უნებურად ხმის კილოში დაცინვა გავურიე, ვითომც არ შეუმჩნევია.

„მანდ ცოტა ვერ ვერკვევი, მაგრამ მე ისეთი პროზა მიყვარს, საინტერესოდ რომ იკითხება, სულსაც ხვდება, გულსაც და მოყოლითაც შეიძლება ვინმეს მოუყვე. ახლანდელ პროზაში ხშირად მსჯელობაა, ამბავი, არა".

მისი თავდაჯერებული ლაპარაკი მაღიზიანებდა.

„რა გაეწყობა, სანამ უკეთესს არ მოვისმენ, შენი შეხედულებებით უნდა ვიცხოვრო".

„გმადლობთ", — თვითონაც გაურია ხმაში დაცინვა და თვალებიც ეშმაკურად აუცინცინდა. მერე მკითხა:

„შენი არქეოლოგია რას შვრება. იმოვე ოთხი ათასი წლის წინ დამზადებული კალიანი ბრინჯაო, რომელიც მაშინდელი ქართული მეტალურგიის მაღალ დონეს დაამტკიცებდა?".

„მაგაშიც ერკვევი?". არ სცოდნია და არც მითქვამს, პროფესია რომ შევიცვა-

ლე და მთლიანად იურისპრუდენციაში ჩაეფიალი.

„იმდენად, რამდენადაც შენ — ჩინური ანბანის წარმოშობაში. შენი ათი წლის წინანდელი ნათქვამი გავიმეორე“.

„აი. მეხსიერება!.. ვერა, ვერ ვიპოვე“.

„ძალიან რომ გდომებოდა, იპოვიდი“.

„ძალიან მინდოდა“.

„მაშ უფრო მეტად რაც გსურდა, ის უნდა დაგეთმო და აუცილებლად იპოვიდი. არაფერი გსურს უფრო ძლიერად“.

„არ ვიცი, არ მიფიქრია. მაგ გამოგონების ავტორი შენა ხარ“.

„კი. ნაცადი მაქვს ერთხელ და გამიმართლა“.

ოდნავ წინ გადაიხარა და მითხრა:

„ხურგზე ხელი დამისვი, ქურქის ბეწვი დალაგდეს, მიყუდება მინდა. აშლილი ბეწვით რომ მოვეყუდო, ცუდი შესახედავი გახდება“.

გამეცინა, ხელი დავუსვი და ვკითხე:

„ალბათ, ძალიან ძვირი დაგიჯდა, ასე რომ უფრთხილდები“.

„ისევე, როგორც შენ უფრთხილდები მანქანას, ღუმელი რომ არ ჩართე“.

„არ მუშაობს, მოშლილია“.

„მაშინ უკაცრავად. რაც შეეხება ქურქს — ამან შეჯამა მამას ნაჩუქარი ტყავის პიჯაკი და ჩემი მრავალრიცხოვანი და-ძმის ას-ასი მანეთი. სამაგიეროდ ლაზათიანი იერი და ერთი წლით ტრამვაით ჩიქჩიქი მომიძღვნა. ამით განვახორციელე ბებიაჩემისაგან მრავალგზის მოსმენილი სიბრძნე: „წარსდექ მშიერი, არა შიშველი“. ნეტავი სადა წერია? კარგი რამე კია, არა?“.

„მაინც ძვირი დაგჯღომია, თან შენს გემოზეც ვერ ხმაობ...“

„სხვათა შორის, ჩემთვის როდი ვუფრთხილდები...“

„ამა, ვისთვის?“.

„თქვენთვის, კაცებისათვის, დიდხანს რომ იყოს ლამაზი. გაუბედურებული პალტო რომ მეცვას, უფრო სასურველი იქნებოდა ჩემთან მგზავრობა, თუ ახლა?“.

„მართალი გითხრა, ჩემთვის ერთია“, — მივუგე დაუდევრად.

„ალბაცერად გადმომხედა.

„უცნაურია, ხმალი აღარ გეჭირდებათ და ცხენი. ერთი ისღა დაგრჩენიათ ყურადღებიანი და ზრდილები იყოთ. თქვენც მოგიხდებოდათ და ქალსაც ეამებოდა...“

„ქალების უმრავლესობა მხოლოდ ერთმანეთის გასაგიჟებლად იძენთ ლამაზ ტანსაცმელსა და სამკაულს, და არა ჩვენი თვალისა და გულის სასამებლად“.

„ნაცონი სიტყვებია. ეგ ნაწილობრივ მაინც თუა მართალი, მხოლოდ იმიტომ, რომ კაცების უმრავლესობა ან ჭამით და სმით ფუვდება, ან წოლით და ძილით. სხვა არაფერი აინტერესებთ“.

კარგად შევამკეთ ერთმანეთი.

დიდხანს ხმა არ ამოგვიღია. თითქმის შევდიოდით ცხინვალში, რომ ოდნავ გაღიზიანებული კილოთი მკითხა:

„შენ? შენც ძვირი დაგიჯდა მანქანა? გეტყობა, ფულის შოვნა არ გიჭირს“.

მივხედი, გუნება რომ გაუფუჭდა და რბილად ვუპასუხე:

„რიგმა რომ მომიწია, ფული არ მყოფნიდა. მივდექ-მოვდექ. მივისესხმოვისესხე. კიდევ ათასი მანეთი მაკლდა. ვეღარ ვშოულობდი. ერთი ყოფილი თანაკლასელი გამახსენდა, აი, ვინ შოულობს ფულს. დავურეკე, ათასი მანეთი მასესხე, ხუთასს მალე დაგიბრუნებ, მეორე ხუთასს ერთი წლის მერე-მეთქი. კარგა ხნის დუმილის შემდეგაა მითხრა, იმ ხუთასს გასესხებ, ძალიან მალე რომ დამიბრუნებ, მეორე ხუთასს — ვერა, რა ვიცი, ერთ წელიწადში რა გვემართებაო“.

ჩემდა მოულოდნელად სიცილი აუვარდა.

ბაზარში შევიარეთ, ყვავილების ყიდვა უნდოდა. განგებ აღარ ვეკითხებოდი, ვისთან ან რატომ მივდიოდით. შევამჩნიე, ყველა მას უყურებდა, განსაკუთრებით კაცები. მალულად შევათვალიერე: ნაცრისფერი ქურქი და თეთრი ჩექმა ეცვა. ხშირი შავი თმა ჰქონდა. ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობ პეწიანი იყო. ჩემთვის უჩვეულო: ვითარებაში ჩამდგარმა აღმოვაჩინე, რომ ხანდახან კაცების შურიანი მზერაც სასიამოვნო ყოფილა. მიხაკები ვიყიდეთ, მანქანაში ჩავსხედით და ერთ გრძელ ქუჩას გავუყევით. მაღალ შენობასთან გამაჩერებინა. მანქანიდან რომ გადმოვედით, მომიახლოვდა, დამნაშავის თვალებით შემომხედა და მითხრა:

„თუ იქ რამე მოისმენო შენზე ნათქვამი, არ დაიჯერო და არ დაიმახსოვრო, გთხოვ“.

მიმღებში ექთანს ჰკითხა, ხორბალიძე ისევ წევსო? მეორე სართულზე აგვასწავლა. პალატაში შევედით. უცნაურად გრძელი ოთახი იყო. იქვე, კართან სკამი იდგა. თვალით მანიშნა, დაჯექი. ფანჯარასთან მდგომ საწოლთან სამი ადამიანი იჯდა. ერთ-ერთმა დაიძახა, აქეთ, ციცინო, შვილო. ციცინომ ხანშიშესული ქალი გადაკოცნა და საწოლს დახედა.

„ლელა! კარგი, კარგი ახლა, არ იტირო, თორემ იცოდე, მოვიწნევ კაბის ბოლოს და ახლავე უკან გავბრუნდები. ხომ იცი, არ გამიჯრიდება“.

ამოხავილოვით რაღაც მომესმა, მგონი, როგორ მენატრებოდიო. აჩქარებული სუნთქვის ხმა ჩემამდე აღწევდა.

„გამაგებინე, რამ გაგასივა ასე, რა დაგემართა“.

„უამრავ წამალს ვსვამ და იმის ბრალია. რა კარგია, რომ მნახე, თორემ მთელი სიცოცხლე ინანებდი, ვინ იცის, როგორ ვენატრებოდი და ვერ მივესწარიო. ამათ ჭკნნიათ, ვიცოცხლებ, მე კი ვიცი, რომ გაწყრიხული ვარ. ჩემი დანახვის ეშინიათ, მაინც მეუბნებიან, კარგად გამოიყურებიო. ფარდები სულ ჩამოშვებული მაქვს, მეტისმეტად თვალში საცემი რომ არ ვიყო. შენი სიმართლე უფრო მიმიდებს, ვიდრე სხვისი ლამაზი ტყუილი“.

„ძალიან დაგიშვებია, ავად რომ გამხდარხარ. ვინა ხარ ვითომ, ასე რომ მოიცალე შენი თავისთვის, მხოლოდ ავადმყოფობაზე ფიქრობ. მოგბეზრდა ყოველდღე რეცხვა, კერვა, ცხობა, სადილების კეთება, ექიმებთან, ექექილებთან, მასწავლებლებთან სიარული. არა? გინდა მოისვენო დედამთილის, ქმრის, მეზობლებისაგან. არ გამოვა! შენს მაგვარად ვერავინ ვერაფერს გააკეთებს, თანაც არც ისე უცოდველი ხარ, ღმერთმა საგზური გამოგიგზავნოს, დასასვენებლად წამობრძანდიო. სხვი გზა არა გაქვს, უნდა მორჩე!“

ჩემამდე ჯერ ცრემლნარევმა სიცილმა მოაღწია, მერე სიტყვებმა:

„ქუჩაში გაიხადე, ასე მგონია, გაქცევას აპირებ“.

საწოლის თავზე გადაპკიდა. ასაკს ჯერ ვერაფერი დაეკლო მისთვის, ტანი ოცი წლის გოგოსი ჰქონდა.

„ესენი ვინ არიან, რატომ არ გამაცნობ?“

„ჩემი მეგობრებია, იალა და მისი ქმარი, გედეონი“.

„კი, იალა ვიცი, გითქვამს“.

„შევიკალი ხელში, დედაჩემი თავზე მადგას, ყოველდღე დიეტური საჭმელების კეთება და ჩემი შვილების მოვლა კი სულ იალას კისერზე გადადის“.

„ოტა ხანს კიდევ გაგიძლებ, მალე ადგები და თვითონ გაუძღვები ყველაფერს“, — სიტყვა ჩაურთო იალამ.

„მე რომ ავდგები...“ — სიცილს დააყოლა ლელამ.

„ლელა, მე აქ მარტო არ ჩამოვსულვარ. აბა, თუ გამოიცნობ, ვინ იქნება?“.

გოცებით გამომხედეს.

ოტა ხნის ფიქრის შემდეგ ჰკითხა:

„ქმარს შეურიგდი?“

„ფუჰ! მაგას ხომ ყველა იტყოდა. კარგად დაფიქრდი“.

„ანზორი?“

„შტერო, ლოგინში მწოლიარე ავადმყოფ ქალთან, მის ბავშვობისდროინდელ მოტრფიალეს ჩამოვიყვანდი? თანაც პოეტს! სხვათა შორის, დიდი მოკითხვა შემოგვიალა, მალე მორჩი, შე ხეპეპეტეროო. ვერ გამოიცანი, შე ლაყე, შენგ“.

„ლუკა, ლუკა!“

„სწორია, ყოჩაღ! მოდი, ლუკა“.

ოთახი გავიარე და საწოლთან გავჩერდი.

„უი, შვილო, ნეტავ ვინ არის ეს უცხო კაცი-მეთქი, გულში ვამბობდი“, — გაიცინა ლელას დედამ.

თოთქოს მზად ვიყავი, მაგრამ ავადმყოფს რომ შეეხედე, მაინც შევკვეთ.

ლელას ისევ ცრემლი შეერია ხმაში და მითხრა:

„როგორ მიხარია! ძალიან მიხარია ასე რომ მოხდა. ჯერ კიდევ ორი წლის წინ მეუბნებოდა, სულ მგონია, ბოლოს მაინც ერთად ვიქნებითო. ახლა მაინც უნდა გითხრათ: თავის ქორწილში სულ ტიროდა, ლუკას მოეთხოვოს ჩემი საქციელის პასუხიო. ქმარს რომ გაეყარა, ლუკას კისერზე იყოს ჩემი შვილების ცოდვაო. ხომ ხედავთ, იმდენი ეხვეწა — შეასმინა“.

„კარგი ახლა, ნუ გააჭენე, ეგენი საიდანღა მოიგონე...“

„განგებ გამომწვევად და უზრდელად იქცეოდა, იქნებ ასე მაინც დავანახო თავიო“.

„ეჰეჰეჰეჰე! რა მაგრა გააქროლე! გაგაცინებ მე შენ... ერთი ეს მითხარი, ამდენი წიგნი სულ ახლა წაიკითხე?“.

გაშტერებული ვიჯექი. მართალია, მე და ჩემს ცოლს ერთმანეთი დიდი ხანია აღარ გვაინტერესებდა, მაგრამ, ერთმანეთს შვილების გამო ვეგუებოდით. ციცინო კი განაგრძობდა:

„რამდენი მნახველი მოგსვლია დღეს... ნეტავი რა მოგიტანეს? როგორ მიყვარს შეფუთული რამეების გახსნა. ამას წინათ ერთ მეგობართან მივედი, შინ არ დამხვდა. აიკაწზე, კართან, პატარა მაგიდა უდგას. მაგიდაზე ფაქიზად გახვეული რაღაც საგანი იდო, სულო ცოდვილო, გავხსენი და ძველი ელექტროქურა შემრჩა ხელში“.

„შენ გაიხარე, შვილო, შენ“, — მუხლზე ხელს უსვამდა მეგობრის დედა, მერე ადგა შეფუთულები რიგრიგობით მიაწოდა.

ათასნაირი ნუგბარი იყო, ციცინომ ერთი ამოირჩია, ჩაკბიჩა, მერე ჩვენც მოგვაწოდა.

„გასინჯეთ, რა გემრიელი ნამცეცია“, — ლუკა, გასინჯე, რა“.

ნამცხვრის ნაჭერი ავიღე და უნდილად დავუწყე ლოდნა.

„თბილისში რომ იწვეკი, მაშინ უფრო კარგი იყო. გამოვვარდებოდი შესვენებაზე, მივირთმევდი ნაირ-ნაირებს და ჰერი, ისევ სამსახურში“.

„იმიტომაც გადმოვწვეკი აქ, ყველაფერი რომ გადამიჭამე“.

ორიავემ გადაიკისკისა.

„გაგახაროს ღმერთმა, შვილო, ღიმილი არ მინახავს ამის სახეზე“. დალოცა ციცინო მეზობელ საწოლზე წამომჯდარმა ავადმყოფმა.

„ღიმილი იმიტომ არ გინახავთ, დეიდა, რომ ზარმაცია. დაივიწყა იმაზე ფიქრი, რაც ლამაზი, საინტერესო, საესაცილო უნახავს, მოუსმენია ან გაუკეთებია. ადამიანმა თავის თავს თვითონ თუ არ უშველა სიტყვით, რწმენით თუ არ უმკურნალა, წუწუნით ვერაფერს გახდება. ერთი ჩემი მეზობელი მიწასაც უცვლის, მზესა და ჰაერს არ აკლებს, მისი ყვავილები მაინც ყვითელი და ჩამომჭკნარია, მხოლოდ იმიტომ, რომ გაუთავებლად წუწუნებს. სხვათა შორის ამასაც დაუჭკნება“.

„როდის მიყვარდა წუწუნი, მაგრამ... ძნელია უძრავად წოლა, თავის მიტრიალებაც კი არ შემიძლია“.

„ახლა შეგყვარებია ნამეტნავად. არა, რატომ, მაშინვე გეტყობოდა, ელბაქიძეზე რომ წაიქეცი და მანამ არ ადექი, სანამ ჩანთა არ გახსენი, ფუტლიარიდან მზის სათვალე არ ამოიღე და დათვალიერე, ხომ არ გატყდაო, მერე უკან არ ჩადე. ისე, ათი წუთი კი იქნებოდი წამოწოლილი, არა?!“.

ლელამ ისევ გადაიკისკისა:

— აბა ის მოყევი, დათვი რომ გამოგეკიდა...

„შენ მოყევი, რა“.

„საკუთარ თავზე არ გეხალისება ქილიკი?.. მისაღები გამოცდები ჩავაბარეთ და ჩვენი თავით კმაყოფილებმა გადავწყვიტეთ არაგვის ხეობიდან, ლომისის ქედის გადავლით, ქსნის ხეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავსულიყავით. ამისთვის ჯერ ჩემი ბებო უნდა მოგვენახულებინა, რომ მოკლე გზა ესწავლებინა, რომელიც მზის ჩასვლამდე ოსების პირველ სოფლამდე ჩაგვიყვანდა. პირველივე ფილბინდზე დაგვიწყო გაღვიძება. დღეს არ მივდიავართ, ბებო, ძილი გვაცალეო, ვეხვეწებოდით. ადექითო, დაგვიჩემა, რაღაც უნდა გაჩვენოთო. ფანჯრიდან დაგვანახა, ეზოს ბოლოში დათვი პანტის ხეზე ასულიყო და სანუკვარ საჭმელს მიირთმევდა".

„დღემდე მადლიერი ვარ, რომ ის მშვენიერი სურათი მაჩვენა. წყალი ხომ არ მოგასმევინეო?".

„ჰო, რა, ციცო... მადლობთ. საღამო ხანს წამოვედით, ის ღამე მახლობელ სოფელში, ნათესავთან უნდა გაგვეთია და მეორე სისხამ ძილით შევდგომოდით გზას. შემოგვაღამდა, ერთმანეთს ვამაგრებდით, სასაცილო ამბებს ვყვებოდით, განგებ ხმამაღლა ვლაპარაკობდით. აღმართი, ოროგრიც იქნა, აეიარეთ. ძალიან აღარ გვეშინოდა, დაღმართით უცბად ჩავირბენდით სოფელში. რაღაცამ გაიფაჩუნა, გაფაჩუნებას გაშლიგინება მოჰყვა, გაშლიგინებას ჩვენი კივილი, გვიშველეთ, დათვი. რისი გზა, რა წაქცევის შიში, დაფეთებულები მივქროდით. ციცინომ ნახა შესაფერისი დრო და წაიქცა. წაიქცა და აღარ ადგა..."

— „თვალებზე ხელი ავიფარე, უცებ რაღაც მძიმე დამეცა და შიშით ენა ჩამივარდა. გონს რომ მოვედი ლელა მკოცნდა და ტიროდა" — ჩაეშველა ციცინო, „რომელიღაც წამში აღმოიჩინა, რომ მის გვერდით აღარ მიექროდი და უკან გამოქცეულა. თურმე ბავშვებმა შეგვნიშნეს. აი, ასეთი ლელა გვყავს, ასეთი სიყვარული იცის".

„მაშ ასეთი სიყვარული იცის, არა? ისეთი შეშინებული ვიყავი, შენი სიყვარული კი არა, თავი არ მახსოვდა. როგორ მინდოდა შენთვის ოდესმე მეთქვა, მე მაშინ სინდისმა უფრო მომაბრუნა, ვიდრე სიყვარულმა. დათვმა ის რომ შეჭამოს და მე არა, რაღა ვქნა-მეთქი, აზრმა გამიელვა".

„ნათქვამია, სინდისიც კარგი საქონელიაო". გაიცინა ციცინომ, რომ მორჩები მაინც გადავიდეთ არაგვიდან ქსანზე, მაშინ ხომ ჩემმა ფეხმა ჩაგვიშალა..."

„ეს გასიცვებული თავ-ყბა თუ შემომრჩა, ძალიან გამოვდგები რამეში".

„ნურც მაგაზე იდარდე, მედუდუკეთა ანსამბლი შეგვეხვეწება კიდეც".

ისევ გადაიკისკისეს.

იალა და გედეონი ადგნენ, პირობა ჩამოგვართვეს, რომ აუცილებლად შევკუვლიდით და წავიდნენ. ლელას დედამ უთხრა ციცინოს:

„ღვთისნაერი ადამიანია, გედეონი, შვილო. მერაბს ხომ ის ამბავი შეემთხვა, მანქანის ყიდვას აპირებდა, მაშინათვე გადაიფიქრა, ახლა მაგის დრო არ არისო. რაც მერაბი დაიჭირეს, ლელას ოჯახზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე საკუთარზე. ამის ბავშვებზე უფრო გადაყოლილია, ვიდრე თავისაზე. დაუფასებელია მაინც ამდენი ამაგი".

ლელას ისევ ჩაუქრა თვალები. შეენშნე, დედამისს დაამდგება არ ეხერხებოდა, შვებას ვაების განცდას ამჯობინებდა. ციცინოს ისეთი გამომეტყველება ედო, როცა ადამიანმა აღარ იცის, რა ქნას.

„ლელა, მეორე კვირიდან უხელფასო შვებულებას ავიღებ და ათი დღით მაინც შევცვლი დეიდა მარიკას, ამასობაში შენც ადგები".

„მერე, ლუკა გამოგიშვებს?" — სიხარულით აევსო ხმა.

„გამოუშვებ, აბა რა!" — უცბად ვუპასუხე.

ციცინომ თვალი მოჰკრა ლელას გულაჩუყებული დედის სატირლად გამზადებულ სახეს, ლელასკენ გადაიხარა და წყნარი, იდუმალი ხმითა და ღიმილით უთხრა:

„მე კიდევ ჩამოგიყვანე ერთი თეთრი, ნაზი და ოდნავ ნაღვლიანი ვიღაც".

სამივემ გაკვირვებით შეეხედეთ.

ადგა, ფარდა ბოლომდე გადასწია და ლელას შეჰღიმა. ყველამ ფანჯრისკენ

Digitized by Google

გავიხედეთ. მშვიდად, ხვავრიელად ბარდნიდა. ლელას ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე და ფანჯრისკენ თვალმიპყრობილმა თქვა:

„ამ წუთში ასე მგონია, მეც ფიფქივით მსუბუქი ვარ, მეც შემიძლია ასე ფარფატი“.

ვეღარ გავჩერდი, სიგარეტის მოწევა მოვიმიზეზე და პალატიდან გავედი. კარგა ხნის მერე ციცინოც გამოვიდა. გამოფიტული, ხიბლწართმეული იყო. მანეკენს ჰგავდა. შემებრალა, ხელი მხრებზე გადავხვიე, ოღნავ მივიზიდე და მანქანისკენ წავიყვანე. დაღლილი ხმით მითხრა, ცოტა ხნით იალასთან შევიაროთო.

სუფრა გაეშალათ. მაგიდას რომ მიეუსხედით, გამკენწლა, საშენო საკმელებიაო. ლობიოსა და კომბოსტოს სალათი მომხვდა თვალში და გამეღიმა. იალას უთხრა, რაც ლელამ თქვა, არაფერი დაიჯერეთო, გუნება ოღარ გავუფუჭე, თორემ მე და ლუკა მხოლოდ ნაცნობები ვართ და სხვა არც არაფერი ვიქნებითო. შეფიქრიანებულმა იალამ ბოდიშის კილოთი გვითხრა, მირჩევნია, გედეონმაც ისევე იცოდეს, როგორც ლელამ... თუ შეიძლებაო, თხოვნით დააყოლა. ამ დროს გედეონიც შემოვიდა, ღვინო შემოიტანა. ციცინომ იკითხა, თუ ღმერთი გწამთ, დაწვრილებით მომიყვით, ექიმები რას ამბობენ.

„ამა, რა მოგიყვეთ, სერიოზული მდგომარეობაო. ერთი თვის წინ ხერხემალიაც უმტყუნა. ლოგინიდან ვეღარ დგება. საშინელებაა! მოდით, ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, სტუმრები ხართ, დროებით დავივიწყოთ უსიამო ამბები“.

გედეონმა ღვინო დაასხა.

„ერთი სადღეგრძელოს მერე დავიწყოთ. თქვენი ჩამოსვლის მიზეზს გაუმარჯოს. ადამიანი ძლიერია, ჩვენი ძალაც შემატებოდეს და ლელას უძლურებისთვის ეჯობნოს, გაუმარჯოს“.

ყველამ მოვსვით. კრიჭაშეკრულები ვისხედით.

„გედეონ, ამ სურებს შენ აკეთებ?“ — ჰკითხა ციცინომ.

„კი. ხანდახან, როცა გვიჭირს, ეს მარჩენალი ხდება“.

„დაღონებულ ქალებს ჰგვანან“.

გედეონმა მადლიერი თვალებით შეხედა:

„ამოირჩიეთ, რომელიც მოგეწონოთ“.

ციცინო ადგა, სურები დაათვალიერა, აირჩია, გამოაცალეკვა და ისევ დაჯდა. შეეამჩნიე, დახვეწილი მიმოხრა ჰქონდა.

„იალაც შენ დახატე?“

„კი. დიდი ხნის წინათ, ლამაზი იყო...“

„ისევ ისეთია“.

გედეონმა ღვინო კიდევ ჩამოასხა და სტუმრებსა და მასპინძლის სადღეგრძელო თქვა, ოსი და ქართველი ხალხის სიყვარული და მეგობრობა გაიხსენა, ქალებსაც დაეძალა, ცოტა დალიეთ, დარდს გაგიქარვებთ, გაგახალისებთო.

„იალა, აი, იმ ყვავილის ტოტს ხომ გამატან? რამდენი ყვავილები გქონია, ის ზამბახისფერი განსაკუთრებით მომეწონა“. იალა მივიდა, ყვავილს ტოტი შეატეხა და ამორჩეული სურის გვერდით დადო.

„ეგ დიდი ხნის წინათ რაჭიდან ჩამოვუტანე“.

ციცინომ შეჰღიმა:

„გადასარევი კაცი ხარ, გედეონ!“.

„კი, ნამდვილად“, — ღიმილით დეთანხმა, თან საქმე, საქმეო, თქვა და ჭიქები შეავსო.

„აქეთ რომ მოვდიოდით, ერთ ეზოში ხე დავინახე, დაკლაკნილი ტანი ჰქონდა, მსხვილი ტოტებიც ძალიან დაკლაკნილი, წვრილი — კიდევ უფრო მეტად. საინტერესო ხე იყო, მაგრამ მე მას ეზოში არ დავრგავდი. გაანრხლებულ ქალსა ჰგავდა. ხომ არ იცით, რა ხეა?“

არ ვიცოდი. თურმე ამ ყველაფერს მაშინ ხედავდა და ფიქრობდა, როცა ლამის დავჭამეთ ერთმანეთი. მე კი მეგონა, ეს ქალი საკუთარი თავის მეტს ვერაფერს ხედავს-მეთქი.

„გაგიგებთ, რა ხეა“, — დაჰპირდა გედეონი.

„დიდი მადლობელი ვიქნები შენი, გედეონ“.

ციცინო „შენობით მიმართავდა, გედეონი „თქვენობით“ ელაპარაკებოდა. მეუცნაურა, რომ ეს ყურს უშნოდ არ ხვდებოდა, პირიქით, რაღაცნაირი სიფაქიზე დაჰკრავდა ქალის და კაცის ასეთ დამოკიდებულებას.

„როგორც იტყვიან ხოლმე, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, თქვენს გვიან და სამუდამო შეერთებას გაუმარჯოს. შეგაბეროთ და გაგიმართლოთ. ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს, ეს კი იმის პირობაა, რომ ბოლომდე ბედნიერად იცხოვრებთ. თქვენ გაგიმარჯოთ“.

ციცინოს ეკიდე მზერა და უცბად ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ბნელ ოთახში შუქი აანთესო. ალმურმოდებული იყო და მაგედრებელი თვალებით შემომცქეროდა. ჭიქა ღვინოს მისი სახის ნაკვთები შეერბილებინა, თვალებში სითბო ჩასდგომოდა. რაღაცას უხმოდ მთხოვდა. მიეუხედი. რატომღაც ფეხზე ავდექი, ჭიქა ავიღე და სამადლობელი დიდი სიამოვნებით დავლიე. იღიმებოდა, სხივივნი თვალების გამო ციცინათელას ჰგავდა. განცვიფრებული ვფიქრობდი, ეს რამდენნაირი ციცინო ვნახე-მეთქი! ციცინომ უხმოდ მოსვა. იალა რაღაცაზე გაფაციცდა. ჩვენც მივაყურეთ. კარს იქიდან ჯერ ფეხების ბაკუნი მოისმა, მერე კარი გაიღო და სიცივისაგან აწითლებული ბავშვის სახე გამოჩნდა. თოვლი მეცხვარის ქუდივით ედო თავზე. იალა წამოხტა, სადა ხარ აქამდეო. დათოვლილი პალტო გახადა, კარს იქით გადაფერთხა, თმა შეუმშრალა და შინ შემოიყვანა. ლამაზი, შვიდიოდე წლის ბიჭი იყო, მამას ჰგავდა.

„ეს ჩემი მირიანია“, — სიამაყე გაერია გედეონის ხმას. ბიჭმა თავი დაგვიკრა, მაგიდას მიუჯდა. ახლა მე ჩამოვასხი ღვინო ჭიქებში და მასპინძლის ნებართვით, ბავშვების სადღეგრძელო ვთქვი მირიანის თამადობით. ბიჭი ციცინომაც ადღეგრძელა და დააყოლა:

„ბავშვები თუ ასე გიყვარს, შენებსაც ნუ დაივიწყებ. უკვე დაღამდა, ღვინოზეც უარს არ ამბობ, წასვლის დროა“.

„რა დაშავდება დილით რომ წახვალ, დედო. ხვალ კვირაა. ვისხდეთ. თქვენ იქორაავეთ, ჩვენ ღვინოს დავლევეთ, ვისაუბრეთ“, — თქვა გედეონმა.

იალამ მოსწრებულად შენიშნა:

„ქალების ლაპარაკს ჭორაობა ჰქვია და კაცებისას საუბარი, ხომ?!“ მერე მე მომმართა:

„მართალს ამბობს გედეონი, დარჩით რა, გთხოვთ...“

„არაფერი დაშავდება. მასპინძელი გადასარევი გვყავს, ღვინო მშვენიერი, დიდი სიამოვნებით დავრჩებიან“, — უმალ, დაუფიქრებლად დავეთანხმე.

„მართალს ამბობენ კაცები, ციცინო, ვისაუბროთ. ლუკა სვამს, საქესთან ჯდომაც სახიფათოა“.

„ლუკა, ძალიან მინდა წასვლა“.

„სულ შენს ჭკუაზე რომ დამატარებ, ერთხელ ჩემიც დაიჯერე. ძალიან მინდა დარჩენა!“ — შევუტიე მე.

ციცინო გაჩუმდა. თვითონ მიკვირდა, ისე მოხერხებულად ვადგენდი ამ წინადადებებს. მე და გედეონმა სმა განვაგრძეთ. ქალები ბუხარს მიუსხდნენ. მალმალ გაეხდადედი ხოლმე ციცინოს. მის ყოველ დანახვაზე გულში სითბო მეღვრებოდა და თვალებზე რატომღაც ცრემლი მადგებოდა. ცეცხლის შუქზე, თეთრ ზედატანში უჩვეულო სანახავი იყო. მეგონა, მთელი ცხოვრება ვიცნობდი. სადღაც დიდი ხნის წასული შვილი რომ დაუბრუნდება მშობელს, მისი შემხედვარე ისეთ ნეტარებას განვიცდიდი. ძალიან მოყვარდა! იალა რაღაცას უამბობდა, ორივენი იღიმებოდნენ. იქვე, ბუხართან, გასაშლელ საწოლზე მირიანს ეძინა. მეგონა, ეს ყველაფერი ოდესღაც ნანახი და განცდილი მქონდა.

შუაღამე გადასული იყო, სუფრიდან რომ ავდექით. საწოლ ოთახში შევედით, ფანჯარასთან დავდექი და გარეთ ცქერა დავიწყე, თოვდა და თოვდა. ისეთ საამურ ფერისცვალებას განვიცდიდი, ისეთ გენებაზე ვიყავი, სათითაო ფიფქი მიყვარდა. ციცინოს ველოდი, მაგრამ სულსწრაფი არ ყოფილა ჩემი მოლოდინი — ტკბილი და იმედიანი

ეროვნული

იყო, არ მეჩქარებოდა. იალა შემოვიდა, ლოგინები გაშალა, დიდი შუქი ჩაქრა, ბრა აანთო, ციცინოს ბალიშზე ღამის პერანგი დაუდო, ბოდიშიანად შემომღიმა, ძილი ნებისა მისურვა და გავიდა. ღია კარიდან თვალი მოვკარი, ციცინო ფიქრიანი სახით მაგიდას ალაგებდა. ცოტა ხნის მერე კარი გაიღო, სანამ შემოვიდოდა, უკვე მის წინ ვიდექი. თვალებში შშვიდად შემომხედა. კარს ზურგით მიეყრდნო. შემოვეხვიე და მაგრად ჩავიკარი მკერდში. თვითონ არ მომეხვია და ამის გამო, საკვირველია, უფრო მეტად ჩემი გახდა, უფრო მეტად სანატრელი. დიდხანს ვიდექით ასე, მერე ჩუმად ვუთხარი:

„მგონია, მთელი სიცოცხლე ერთად ვიყავით“.

საწოლთან მივიყვანე, დავსვი, მე იატაკზე დავჯექი, მუხლებზე მოვეხვიე და თავი კალთაში ჩავუდე.

„ხომ მართალია, რასაც ლელა ამბობდა?“

„მართალი იყო.“

„ახლაც ხომ მართალია?“.

„ახლა არა“.

წყნარად თქვა, მაინც მივუხვდი სიამაყეს. გვერდით მივუჯექი, ხელი ნიკაპზე მოვკიდე და ჩემკენ მოვატრიალე. შემომხედა. შეუმღვრეველი სიმშვიდე ედგა თვალებში.

„რად მიმალავდი, რატომ არ მიმახვედრე?“

არ გინდოდა და არ მიხვდი. ადამიანს თუ არ უნდა, ხომ იცი, რიყეზე ქვას ვერ დაინახავს. ლუკა, მე აქ მახის დასაგებად არ ჩამომიყვანიხარ...“

„რიყეც მე ვარ და ქვაც“.

ისევ მოვეხვიე, გამიძალიანდა.

„რატომ იქცევი ეგრე?“

„არ გინდობი და იმიტომ“.

„სულელო, ვის არ ენდობი, მე და შენ ხომ ერთნი ვართ, შენს თავს არ ენდობი?“

„არც ჩემს თავს ვენდობი“.

გამეცინა. ისეთი ახლობელი იყო, ახსნა-განმარტება ზედმეტად ჩავთვალე. თავზე ხელს ვუსვამდი, ვეფერებოდი. შევატყვე, კი არ შევატყვე, ისევ ადგებოდა ვიგრძენი, ოდნავ მოლბა. ისევ იატაკზე დავჯექი, მუხლები დავუკოცნე. ჯერ თმაზე გადამისვა ხელი, მერე საყელოში ჩამიყო. გლუვი, სალუქი მტევანი ჰქონდა, მსუბუქი თითები. გავყუჩდი. ასეთი ნეტარება არც ერთი ქალის გვერდით არ მიგრძვნია. მკერდში ისევ მაგრად ჩავიკარი, მერე ტუჩებში ვაკოცე ხანგრძლივად. გვიან მიპასუხა. მეხი რომ დამცემოდა, ვერ გავიგებდი. საფეთქლებს ბათქაბუთქი გაუდიოდა, გული ამოვარდნაზე მქონდა. კატასავით მოქნილად, რბილად დამიძვრა ხელიდან. ფანჯარასთან იდგა, ფიფქებს უყურებდა, მე კი მხარზე ისევ ვგრძნობდი მის თავს, ზურგზე მის თითებს. წამოვწექი, ხელები თავქვეშ ამოვიდე და მეტად კატეგორიული გადაწყვეტილება მივიღე. სულ, სამუდამოდ ჩემი უნდა ყოფილიყო, ერთად უნდა გვეცხოვრა. ჩემი თავის მიკვირდა, სულ არ მეჩქარებოდა მისი ლოგინში ჩაწვენა, მისი სიყვარული უფრო მინდოდა, ვიდრე დაპყრობა. ჩუმად გავძახე:

„მოდი, დაისვენე, შუალამე გადასულია“.

შემობრუნდა, დამაცქერდა. თვალებით რაღაც მთხოვა. ავდექი, საწოლთან მივიყვანე და დავსვი. ფეხსაცმელი გავხადე, ფეხები საწოლზე ამოვუყეცეს, საბანი წავაფარე და ზურგით კედელს მივეყუდე. ალბათ, მადლობის ნიშნად, ცხვირით მხარზე ოდნავ მომელამუნა. თავს ვეღარ ვერეოდი, რაღაცით იგრძნო და მშვიდი ხმით ასეთი რამე მკითხა:

„მაშ ამბობ, რომ კალიანი ბრინჯაოს პოვნაზე უფრო სანატრელი არა გაქვს რა?“

„მაქვს, ნამდვილად მაქვს“.

„ჰოდა, შესწორე და გაპოვნინებს“.

კინაღამ ხმამაღლა ვთქვი, ვერა-მეთქი. შენ ყველაზე ძვირფასი ხარ და ვერაფერს შეგწორავ-მეთქი.

„ძალიან მინდა ლელა რომ მორჩეს. მეც შევწორავ ღმერთს ყველაზე სანუკ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარ ნატვრას, იქნებ მოარჩინოს. ხომ ძალიან გენანება ლელა?“

კი, ძალიან-მეთქი.

„ბავშვებიც ძალიან მენანებიან. წედან იალა მეუბნებოდა, გაკვეთილებზე რომ სხედან, ცოდვით ვერ ეუყურებ, ისეთი დარდიანი თვალები აქვთო“.

გაეგზარა და ცრემლით აივსო ხმა.

„ბიჭები ჰყავს თუ გოგოები?“

„ქალ-ვაჟი, — ათის და თორმეტის“.

ახლოს ვისხედით, ერთმანეთზე მიყრდნობილები, მაგრამ ვიგრძენი, ამჯერად ისე სამუდამოდ გამეპარა ხელიდან ციცინო, როგორც სიცოცხლის ბოლო წუთი ადამიანს.

ფანჯარა დარდისფრად ჩამუქებულიყო, რიჟრაჟის წინ რომ იცის ხოლმე, ისე.

დიდხანს ვიყავით ჩუმად.

„გეძინება?“ მკითხა.

„არა-მეთქი“. არც მეო, ადგა, ფეხზე ჩაიცვა. კარადიდან ქურქი გამოიღო, მეც მომაწოდა ქურთუკი, ჩაიცვიო. ფურცელზე რაღაც დაწერა და მაგიდაზე დადო. ხელი ჩამკიდა და წინა ოთახისაკენ ფეხაკრეფით გაემართა. სურა და ყვავილის ტოტი აიღო. გარეთ რომ გამოვედით, ჭიშკართან ხმამაღლა მითხრა:

„სულ ერთია არ გვეძინება, სჯობია, ნელ-ნელა ვიაროთ“.

შუაგზაზე ჩაეძინა. ფრთხილად მივდიოდი და ვგრძნობდი ვერასოდეს დავივიწყებდი ამ ქალს, გვერდით რომ მეჯდა და ისიც კარგად ვიცოდი, ბევრჯერ მომენატრებოდა საკუთარი თავი ისეთი, იმ წუთს რომ ვიყავი...

●

დილით, ჩემი ათი დღე ამოიწურაო, თქვა დათომ და ბარგის ჩალაგებას შეუდგა. ჭიშკრამდე მიაცილეს. თბილისში შევხვდებით, აქ თქვენც არ დარჩებით დიდხანსო, სათითაოდ გადაკოცნა ყველა და დიდმართზე დაეშვა. დაბაში მძღოლი ნახა, კაცური სიტყვა ჩამოართვა, სოფელში ასულიყო, თუ ვინმეს წამოსვლა მოუნდებოდა, ჩამოეყვანა.

მეორე დილით თორნიკემ, თიკამ და კრავამ მოულოდნელად განაცხადეს, სადმე სხვაგან გვინდა წასვლა, თქვენ რას იტყვითო და წავიდნენ.

მესამე დილით, ავტობუსის ხმა რომ გაიგონეს, ბატონი ლუკა, მარეხი და არჩილი აფორიაქდნენ წასასვლელად, სამსახურიო, ბავშვებიო. ბადურიც წამოიზლაზნა და თავის ნივთებს აუჩქარებლად დაუწყო თავშეყრა. თვალი მოავლო ოთახს, კედელს მიყრდნობილ ნესტანსაც ჰკიდა მზერა, მერე ჩანთა იატაკზე დადო, ნახევრად ჩამქრალ ბუხართან ჩაიმუხლა, შეშა მიუმარჯვა, წაშოდგა, ჩანთა ისევ აიღო და ოთახიდან გავიდა.

ნესტანი ჭიშკრის გარეთ სერზე იდგა და წასულებს თვალით მიაცილებდა. სახლისკენ გაიხედა, კუშტი მოეჩვენა, ულაზათო. იპოქონდრიის შეტევისას შექმნილ ნახატსა გავდა. ამავალი კვამლიც კი უძრავი ჩანდა. ისევ ქვევით გადაიხედა, ხელს უქნევდნენ. უეცრად საკუთარი თავისადმი სიბრალული იგრძნო და ეუცხოვა. თითქოს მარგალიტის მძივი შეაწყდა ყელსო, ისე მიჰყვა კურცხალი კურცხალს. ტირილი არ ერქვა, რადგან ვალალი და ქვითინი არ ახლდა — ეს მდინარება მიეცა სიცოცხლეს.

ცრემლი უშლიდა, გაერჩია, ოთხიდან ერთი და ნამდვილად მოტრიალდა, აღმართს ამოუყვა თუ მოეჩვენა.

დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო დარბაისელი

ერთი ნაბიჯი

ბებო და პაპა,
როგორ გვაკლიხართ, რომ იცოდეთ,
რამდენჯერ განატრობთ.

თქვენი წასვლით ერთმანეთთან უცებ დავზაეადით,
თქვენმა სიკვდილმა გადაგვაჭდო,
როგორც თქვენი თბილი ხელები.

როცა ხიფათი გვითვალთვალებს ბნელი კუთხიდან,
ჩვენ კი, ნაბიჯსაც არ ვანელებთ,
უდარდელად,
მიწისკენაც არ ვიყურებით,
ველარ ისვენებთ,
კი არ მოდიხართ, მოგსწრაფით ჩემი სიზმრისკენ.

მაგრამ
სიზმარი მოსაცდელია
სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა,
მნახველებს შიგნით არ უშვებენ,
ავადმყოფს — გარეთ
და ყველა უკან უნდა გავბრუნდეთ.

ახალდედები

ჩვენ,
ნაცარივით გარედან მშვიდნი,
ჩვენსავ წიაღში
ნაკვერჩხლების შემნახავები,
კი არა ფუფეართ,
ცოდვაახსნილნი
ვასვენივართ
ქვეშაგების ფაფუკ ღრუბლებში
და
პირმშოების ნასუნთქი სიო
სვენებ-სვენებით
კვლავ სიცოცხლისკენ
მოგვერეკება.

გათხოვილის ლეკსი

დედი,
დედამთილო,
დაგნებდებით...
ჩვილის პერანგი —
— ჩემი თეთრი ალამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ტაბიძეს

როდესაც სახლი სავსე არის მთელი მილეთით
და შენ ათასჯერ უფრო მარტო ხარ,
გამოერიდე!

აიღე წიგნი და შეეცადე ამოიკითხო:
„...“
ვიდრემდე მწყობრი ასოები გალღვებიან და
სიტყვის ღრმულებში ჩაიღვრებიან
და მთელი გვერდი,
მერე წიგნი,
წიგნთან ოთახი
და ბოლოს კი მთელი სამყარო
ნელა შეცურავს შენს ცრემლებში.

წიგნი აიღე!

სახელი

როცა თვალები იპოვნიან
უახლეს საგანს,
ბაგიდან
ახლადმოწყვეტილი
ბგერებისაგან
ანაზდეულად მოიწვნება
მისი გვირგვინი,
რომ ერთი წამით შემოევლოს,
მერე
დამორდეს
და დარჩეს ასე,
თავის თავში
ჩარინდებული.

მიდი,
შეეხე,
დაუყვავე,
იქნებ უკვე
სულმთლად მარტოა,
აღარ არსებობს
ქვეყნად
იგი,
რასაც დამორდა,
რასაც ვერ ხედავს,
მაგრამ
რასაც მუდამ
გულისხმობს.

შენ, მიმავალი

რა ავდარია!
ფანჯრიდან გხედავ.
მიხვალ და პირქარს მიაპობ ურჩად.

უსიხარულო
და უკაცური
ამავსე, როგორც ნაბიჯმა ქუჩა.

გადაგიყვარე
დიდი ხანია,
მაგრამ მაინც ვეღარ გელევი!

თვალს მიეფარე.
ფანჯრის მინაზე
მისისინებენ წვიმის გველები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ სამადაშვილი

დრო

გაგიუცხოებს ცისფერ სხივებს მზე მიღმიერი,
თუკი გაგართობს ბრბოს ყიჟინა ბასრი ჰანგებით
და ხელისგულზე დაეტევა თვალსაწიერი,
როცა მორჩილად თავდახრილი
განზე გადგები.
ისე მყარია ისტორია კაცობრიობის,
რომ თვითონ აწმყოც ვეღარაფრით შეცვლის მომავალს, —
მოლაყბეთათვის მთავარია ფაქტი
გმირობის,
შემსრულებელს კი ბედისწერა სწრაფად მონახავს.

თურმე საწუთრო — მოკიაფე თეთრი ემბაზი,
შორიდან მოჩანს ბობოქარი ყოფის ზვირთებად,
ახლოს მიხვალ და
მაზოხისტის მუნჯი ექსტაზით —
შენში ჩაკლული ფუფუნება
გაგიკვირდება.

მტვრიან სივრცეში ჭრელი მასის თვითდაჯერება
გააფეტიშებს რომელიმე უსულო საგანს
და თუ ნაყოფით შენი ფიქრიც გადამწიფდება
გადათელავენ ცვრიან ბაღებს
და ყოველ მათგანს
მოეწონება ის, რაც თვითონ ხელეწიფება.

თავს დაიმშვიდებ, —
ქარის ფრთებით მწვანე გაზონი
სველ დედამიწას სამყაროში მიაფრიალებს, —
დრო გაივლისო, — გაიხსენებ სხვისგან გაგონილს,
მაგრამ დრო კვლავ დგას, რადგან სივრცე
მასში ტრიალებს...

გაგიუცხოებს ცისფერ სხივებს მზე მიღმიერი,
თუკი გაგართობს ბრბოს ყიჟინა ბასრი ჰანგებით
და ხელისგულზე დაეტევა თვალსაწიერი,
როცა მორჩილად თავდახრილი
განზე გადგები.

ფერენტი გრანელი

მზეზე ელვარებს სარკის ნატეხი, —
ცა უერთდება მაღლობს.
ქალაქი დნება, როგორც სანთელი
და ღვენთის სუნით მახრჩობს.

ბაღში ეცემა გუნდი ფოთლების, —
ვფიქრობ გაწყვეტილ სიმზე
და მგლოვიარე წუთისოფელი
ქვის ქანდაკებით მიმზერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი წამი ერთადერთია, —
ჩემს სულში დრო ხრავს ტაძრებს,
გარშემო ისევ საგიუეთია
და ბრბო ქვეყანას ანგრევს.

ვიღაც დამეძებს თეთრი ხელებით, —
ბარათს ვაგზავნი ცისკენ, —

ეს დედამიწა ციხეს მაგონებს,
ღმერთო მაღალო, მიხსენ.

ღმერთო, სიკვდილშიც არ არის შვება—
გულიდან სისხლი წვეთავს,
ასე დავდივარ ნაცნობ ქალაქში,
ასე ვშორდები ზეცას.

ჰაერის ფერი

ქარავანი კი მიდის...

ბ. ბალარჯიშვილი

მიდის გნიასით ქარავანი ხრიოკ მხარეში, —
ბეტონის ტვინი მიაბიჯებს თუჯის ფეხებით,
ტორტმანებს სივრცე ჯოჯოხეთზე უმხურვალესი,
ატომგულებში ჩამარხული ცეცხლის ზხეფებით.

მიდიხარ შენც და მზის სხივს ეძებ
შიშველ მთვარეში,
თუმცა ზეცაზეც ასისინდა ლანდი კაენის,
ცხრაკლიტულებით ამოგმანულ თვალთა თარეშში
დაუმარხიათ ქარხნის მილებს
ფერი ჰაერის.

ბრბოს ლრიანცელში ზღაპარს თხზავენ
ჩინურ სინდრომზე
და აღარ ისმის დედამიწის ღერძის ჭრიალი, —
ტრაქტორებისგან ნაჩქარევად ათხრილ მინდორზე
ბიბინებს სუნთქვა გარდასული
ადამიანის.

ბეტონის ტვინი უცხო მიზანს უახლოვდება
და რასაც ფიქრობ, იმას უკვე ვიღაც აკეთებს, —
გამოქვაბულში ზის სამყარო
პირველყოფილი
და ატომური ცეცხლით ითბობს
ყვითელ საცეცებს.

ავდარი

ეს უსაშველო დელგმა და თქეში
სიცოცხლეს ექცა ჭირვეულ ჩვევად
და არსებობის ყრუ ყიამეთში
ქარით გაწყვეტილ
ღრუბელსა ვგავარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი ცის ტატნობს იმგვარად იქნევს,
ქარი იმგვარად აწყდება ზეცას,
თითქოს სამყარო
საკუთარ ფიქრებს
ამ ჩემი ხარბი თვალებით ხედავს.

აწვიმს ცხოვრების დელგმა და თქეში
გაუცინარი დღეების სევდას
და უსამანო ქვეყნის წინაშე
ვდგევარ მარტო და
ვარსებობ ყველგან.

ორის ნახევარი

ცარიელ ქუჩაში
არ ხდება მკვლელობა,
ცარიელს არც ქურდი გაჭურდავს ბინას,
საათი ვერ შეცვლის დრო-ჟამის
მსვლელობას
და სადღაც |კუთხეში
საათსაც ძინავს.

სხვის დაუხმარებლად ცოდვას ვერ
ჩაიდენ,
ვერც ეშმაკს იწამებ,
ვერც ღმერთს და ადათს,
იღვრება გუმბათი მდუმარე ზეციდან
და ჩემი ვარსკვლავი ამ ცაზე არ ჩანს.

უმთვარო ღამემაც დაკარგა ლაზათი, —
სამარეს მაგონებს სამყარო მთელი,
კვლავ ორის ნახევარს აჩვენებს საათი,
მე კი |რა ხანია
განთიადს ველი.

სასაფლაო

წუთისოფელი
არ მოგაკლებს ქარსა და წვიმას
და საბოლოოდ ყოველივეს
გააიგივებს, —
მოცისფრო ბილიკს, მზისფერ მოლს და
სხვა ათას წვრილმანს
ეშილიკება სასაფლაოს მწვანე სიგრილე.
თითქოს იცოდეს
მოფართქალე ფრინველთა ტალღამ,
რომ სამარეში
აღარ სტკივათ ადამიანებს, —
მსუყე სიმშვიდე გაწოლილა საფლავებს
მიღმა
და საფლავის ქვებს
ჩიტის სკორე ანაგვიანებს.

მზის ამოსვლა

მოთხრობა

ავედი წინიდან. ავტობუსი თითქმის ცარიელი იყო. კონდუქტორი გვერდულად იჯდა. რატომღაც არ მომივიდა თვალში. ჩანს, არც ის დარჩა ჩემით აღტაცებული, ცივად გადმომხედა. მარტო კონდუქტორმა კი არა, მძღოლმაც ღიმილით ჩამათვალიერა, არა! ასეთი თვალით არასოდეს შესცქერიან უცაბედ შემხვედრს; ეს იყო მომზადებული მზერა, მზერა, რომელსაც ავი განზრახვა უძღოდა წინ. რა ვქნა? თუმცა რაც არ უნდა ვქნა, უკან მაინც ვერ დავიხევ. კარი ჩაიკეტა. ნახევრად ბნელი, მონაცრისფერო ქალაქი ფანჯრის მიღმა დარჩა. ავტობუსი ისე რბილად მისრიალებს, ვერ ვგრძნობ მის სვლას, მხოლოდ სახლები გარბიან. ნეტა ფეხით გამესეირნა! მგზავრები თვალს არ მაშორებენ. უცნაურობა მათ გამოხედვაში კი არა, მათ ერთსულოვნებაშია! რომ ისინი, მართალია თანაგრძნობით, მაგრამ ერთნაირი, შეთქმული თანაგრძნობით მიმზერენ! ამ სალოწში ერთი აზრია შექმნილი ჩემზე და ყველა ერთსულოვანია ჩემს წინააღმდეგ. ვაზვიადებ? იქნებ არაფერს მიპირებენ და თავისი გზით მიდიან? მთელი დღე დაქოქილივით დავრბივარ, ათასი საქმე გადავაგორე, გულში კი არაფერი დამრჩა უსიამო, მძიმე ნალექის გარდა, სადაც ფესვებს იდგამს ყოვლისმომცველი ეშვი. მე თვითონ ვარ დამნაშავე იმაში, რაც მემართება, რადგან მისი შიში და მოლოდინი მაქვს, რადგან არასოდეს დამემართება ის, რაც რწმენამ და თავდაჯერებამ ამაცილა. ნეტა სულ არ ამოვსულიყავი ავტობუსში? სახლიდან მაღაზიამდე ერთი გაჩერებაა! გამოსავალი უნდა მოვნახო! ჯერ-ჯერობით საბაბს არ მაძლევენ ჩხუბი ავტეხო, თუ უმიზეზოდ ავტყდი, გიჟად ჩამთვლიან და მათ ძალადობასაც გამართლება ექნება. არხეინად უნდა დავიჭიროთ თავი, ვითომ ჩასვლას არც ვაპირებ, მათი გულისყური მოვადუნო, რომ გავჩერდებით თუ არა, კარი გავგლიჯო და მოვცოცხო აქედან! მაგრამ ისინი? ნუთუ ვერ ხვდებიან ჩემს ეშმაკობას? კუნთიც კი არ დასთამაშებთ სახეებზე. კონდუქტორი თვალს მარიდებს და ფანჯარაში იყურება. მე ხომ ვიცი, რა უდევს გულში! მე ხომ ვიცი, რომ ჩემი ქცევა თავწაგლეჯილი ქაძის გაბრძოლებას ჰგავს! რომ მათთვის ნათელია, მანქანის დამუხრუჭებისას რატომ ვერ შევიმაგრე თავი და რატომ მივასკდი მაინც და მაინც უკანა კარს, სადაც მიუწვდომელი ვარ. თუმცა როგორც მე ვიცი, რომ ვერ მოვატყუებ, ასევე ისინიც უნდა გრძნობდნენ, რომ არ მოვტყუვდები, რომ მათი შინაგანი მზადყოფნა აშკარაა ჩემთვის. ამიტომ სჯობს კიბეზე ჩავიდე და კარს ჩავაფრინდე, რომ მათ ეშმაკობაში თუ არა, სისწრაფეში მაინც ვაჯობო! ახლა კი ნამდვილად ვეღარ მწვდებიან, კონდუქტორს ჯებირი უშლის ხელს. მგზავრები კი წინა სკამზე სხედან. მძღოლი თვალს არ მაშორებს სარკიდან, მაგრამ რა უნდა ქნას? გაჩერებაზე უნდა გაჩერდეს და მე როგორც მგზავრს, უფლება მაქვს ჩავიდე. ის კი თან მაცქერდება, თან ყურადღებას არ მაქცევს, თითქოს დარწმუნებულია, რომ ვერ გავექცევი და უკვე აღარ ვაინტერესებ. წინ ოპერის თეატრი გამოჩნდა. დაკოდილ ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა რიგით წამოვიდა ჩვენსკენ. მალე გაჩერება იქნება! თუ ამ წუთს რამე არ მომიწყვეს, მერე ხელშეუხებელი ვარ!

ავტობუსი გაჩერდა. კარი მიიკეცა. ერთი ჩაბიჯება და თავისუფალი ვარ! რატომ არ ინძრევიან? ნუთუ საქმე არა აქვთ ჩემთან და თავისი გზით მიდიან? თუ ავტობუსის გარეთ დამიგეს ხაფანგი? უნდა ჩავიდე. მაგრამ ბილეთი? ბილეთი დამავიწყდა! ახლო კონდუქტორს უფლება აქვს წამოდგეს და როგორც უბილეთოს ქეჩოში მწვდეს. იმიტომაცაა გატრუნული, რომ ჩემს დაძვრას უცდის, რომ ჩასასვლელად ფეხს დავდგამ თუ არა, დამაკავოს. არც ისეთი სულელი ვარ, რომ შაურის გულისთვის თავი გავიფუჭო! ბილეთს ავიღებ, ხელშეუხებელი გავხდები და შემდეგზე ჩავალ! რა მარშრუტიც არ უნდა იყოს, მოედანზე უეჭველად გაჩერდება. ალბათ, ქალაქის მიყრუებულ უბანში მიდის, რადგან არავინ ამოდის. უნდა როგორმე ამოვიყვანო ხალხი! ღრიალი ავტეხო? საღრიალოდ კი მაქვს საქმე, მაგრამ ღრიალის საფუძველი არა მაქვს. მოვიფიქრე! ვიითმ ნაცნობს ვუყვირი! თავი გავყავი და დავიძახე:

— სანდროოო...

ყვირილზე ვიღაც სანდრომ მოირბინა ავტობუსთან, მაგრამ მარშრუტს შეხედა თუ არა, დამცინავად გამიღიმა და ხელი დამიქნია.

საით მივდივართ? ფანჯარაში ისევ გაიელვეს შენობებმა; შეუჩერებლივ ჩაიქროლა სკოლამ, სასახლემ, უნივერმაღმა. მოედანს ისე შემოვუარეთ, გაჩერებას ვინ ჩავის, სვლაც კი არ შეგვინელებია; ამაოდ ვეჭიდავე კარს, ამაოდ ვურტყი მუშტები კედელს, მძღოლი თვალს არ მაშორებდა სარკიდან და თავის მანქანას შუა გზაზე მიაქანებდა!

— რატომ არ აჩერებთ?! — ვეცი კონდუქტორს. ჩემი აფორიაქება და შიში მგზავრებსაც გადაედოთ, სკამი აუჭრაჭუნეს და აქეთ-იქით წრიალი დაიწყეს.

- თქვენ ხომ ოპერასთან ცხოვრობთ, რატომ არ ჩახვედით? — გამიღიმა ...ლ დუქტორმა.

— რა თქვენი საქმეა! — ვეღრიალე. — უნივერმაღში მინდოდა შესვლა!

— ეს მარშრუტი ყველგან არ ჩერდება. — თავი იმართლა მძღოლმა.

მგზავრებმა წრიალს თავი ანებეს და ისევ ფანჯარაში გაიხედეს.

ვერც შემდეგზე ჩავედი. როგორც კონდუქტორმა ამიხსნა, „ბაზართან ზღვა ხალხი ტროიალებს და გაჩერებას აზრი არა აქვს, ამომსვლელთა ტალღა მაინც უკან შემოგგდებსო“.

სანაპიროზე გავედით. მშენებლობიდან ქარმა შემოუბერა და ცემენტი შემოგვაყარა. გარეთ უკვე ღამე იდგა. სულ რომ ჩამობნელდა, ერთ-ერთმა მგზავრმა წამოიწია და სინათლე აანთო. მეორემ ბოლთის ცემა დაიწყო.

— როდის ჩავალთ? — გასძახა პირველმა მგზავრმა მძღოლს.

— მზის ამოსვლას მივუსწრებთ — უპასუხა მან.

— ღმერთმა ქნას, — ჩაილაპარაკა კონდუქტორმა, — ერთ რამედ ღირს ცხრაწყაროზე მზის ამოსვლა.

როგორ! ბაკურიანში მივდივარ? რა ჯანდაბა მინდა? მე ხომ პუერის საყიდლად გამოვედი შინიდან! სადილი ცივდება! ყველა მშიერია და ჩემს მობრუნებას ელოდებიან. ალბათ უკვე გაუწყდათ მოთმინების ძაფი და ფანჯარაში გადმოყუდებულან! სადილის შემდეგ პანაშვიდზე ვარ გასაქცევი. ათასი საქმე მელოდება, მე კიდევ ამ ჯამბაზების ხელში ჩავარდნილი, სადღაც დასაკარგავში მივქრივარ! ვინ არის ეს ხალხი? რა უნდათ? ფიქრი ამეზნა. მგონი ჩავთვლიმე კიდევაც, მაგრამ ეს არ იყო ძილი, ეს არ იყო მოსვენება, ეს იყო გარდამავალი მდგომარეობა, სასიცოცხლო ძალების უკუქცევა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ახალი აღზევება და ჯანყი. ცხადია, რომ მომიტაცეს, მაგრამ რისთვის, რა მიზნით, წარმოდგენა არ მქონდა.

— მიშველეთ! — ამოვიხრიალე, კარი გავგლიჯე და თავი ბნელში გავყავი — მიშველეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრებმა დამიჭირეს და უკან შემათრიეს. ახლოდან შევნიშნე, რომ მომწვანო სახეები ჰქონდათ და რაღაცით ქოთნის ყვავილებს ჰგავდნენ, თუმცა ამ ნაზ, მცენარეული სახის არსებებს ცხოველური ძალა ალმოაჩნდათ და ისე გამაკეკეს, ხელიც ვერ შეეგბრუნე.

— იქნებ გავუშვათ? ძალით ხომ არ შეეახედებთ? — შემიბრალა მეორე მგზავრმა.

— არავითარ შემთხვევაში! — უპასუხა პირველმა, ბაბუაწვერას რომ მიუგავდა თავი. — ხომ ხედავ, ნებით აღარავინ მოგაყვება.

მეორემ ფეხი წამკრა, „ბოდიშო“ მითხრა, გადამაბიჯა და თავისი სკამი დაიკავა.

ახლა როცა ამ ამბავს ვიგონებ, მიძნელდება მისი ყოველი წვრილმანის აღდგენა, მიძნელდება განა იმიტომ, რომ გულმავიწყი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ერთი და იგივეს სხვადასხვანაირად ვიხსენებ, რომ აღდგენის დროს ყოველი ფრაგმენტი იცვლება, რადგან თავის დროზე ის ბუნდოვნად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღვიქვი.

რამდენი ხანი მეძინა, ვერ გეტყვით. მესიზმრებოდა ჩემი ეზო, ჩემი სახლკარი. მესიზმრებოდა ჩემი მანქანის კარბურატორი, რომლის ჟიკლერებში ჭუჭყი იყო გაჭედილი, რაც ბენზინის მიწოდებას აფერხებდა. მესიზმრებოდა, რომ ხელოსნისთვის მისაცემი ფული სახლში დამრჩენოდა და ახლა ბორბლებზე შემდგარი, ვეებერთელა „ბოჭსი“ გასასრესად მოგვდევდა...

ასეთ ტანჯვაში გამომეღვიძა. ავტობუსში შუქი ოდნავ ბეუტაავდა. მგზავრები, ვეება ჩრდილებად ქცეულნი, გაურკვეველი ფორმის მცენარეებივით მოსდებოდნენ კედლებს. ოფლში ვცურავდი. გარეთ კვლავ ღამე იდგა, მაგრამ ღამეს უკვე ფერი ჰქონდა წასული. ისევე როგორც დღე თენდება, აღწევს ზენიტს და ღამდება, ასევე ღამესაც ჰქონია თავისი დილა, შუადღე და საღამო. წინ სხივშეპარულ ბნელში მთები გამოჩნდნენ. უკან კი წყვდიადი იდგა. წყვდიადში ქალაქს ეძინა, რომელსაც ძალით მომწყვიტეს. არასოდეს გავსულვარ მის გარეთ. მართალია, მივლინებები მქონდა, მაგრამ გავვარდებოდი აეროდრომზე, ჩავჯდებოდი თვითმფრინავში და ორსაათიანი გრუხუნის შემდეგ თავს ამოვყოფდი ისევ ქალაქში, ტყუპისცალივით რომ წაგაგავდა ჩემსას. ჩემი მანქანისა და სახლის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო. ერთადერთი, რაც მაღიზიანებდა, ქოთნის ყვავილები იყო. გადავუშვებდი ერთ-ორს ფანჯრიდან, დედას კი ახალ-ახალი მოჰქონდა. ეს ყვავილები რაღაცით ძალიან წაგაგვნენ ჩემს გამტაცებლებს.

გარეთ ფოტოფირივით მეღვიძებოდა მიდამო. მუქწითელი ცა ფერსა და ფორმას უბრუნებდა ბურანიდან გამორკვეულ სახლებს. მანქანა მკვეთრად დამუხრუჭდა. წინკარი გაიღო და გლეხმა ტომრები ამოათრია. ამ გლეხს ხშირად ვხედავდი ჩვენ ქუჩაზე, „ყვავილების მიწა“ დაჰქონდა.

— როგორ იარეთ? — ჰკითხა მძღოლს, რომელმაც ჩემზე ანიშნა. გლეხმა თავი ამიწია, თვალებში ჩამხედა. ყვავილების გულისამრევი სუნი ასდიოდა. სახე შეეგბრუნე და ფანჯარაში გავიხედე. ცა ტელეეკრანივით ციმციმებდა. ლურჯი ფერი ანათებდა იმ შავ ფხვნილს, რაც ქოთნებში გვეყარა და რასაც დედაჩემი მიწას ეძახდა. მე ის არაერთხელ მენახა კინოეკრანებზე, ტელევიზორში, ერთხელ ბოტანიკის ლექციაზე სლაიდებშიც კი გვაჩვენეს, ის ძალიან წაგავდა აგურის ფხვნილს კულტურისა და დასვენების პარკში, ოღონდ წითელი არ იყო. აქა-იქ მიწის მწვანე თმებსაც მოვკარი თვალი, ხშირად რომ შემინიშნავს გაზონებზე, სკვერში, მაგრამ ასე დიდი რაოდენებით ვერც კი წარმომედგინა. იმედიანად შევეცქეროდი ასფალტის ზოლს, ჩემს ერთადერთ საყრდენს, უცხო გარემოში, მაგრამ ისიც მღალატობდა, ვიწროდებოდა, იგრიხებოდა და ამ სიმწვანეში მითრევდა.

— ადრეა ჯერ გარეთ ცქერა, — შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჯანჯღარა ბაბუაწვერამ. — ამას შეაჩვიე თვალი.

ამ სიტყვებით ნახატები დამიყარა.

დავაკვირდი ერთს, ვერაფერი გავარჩიე; მოტორის ხუფივით გლუვ ტრაპეციას ფერადი უჯრები ეხატა. სურათს ერქვა — იმერეთი. მეორე ნახატზე წყალი მოედინებოდა, თუმცა ონკანი ან წყალსადენის გახეთქილი მილი არსად ჩანდა. წყალს რქოსანი არსება სვამდა. თვალი მოვწყვიტე სურათებს და ისევ ფანჯარაში გავიხედე.

ასფალტის ზოლი შეწყდა. მანქანა მკვეთრად დამუხრუჭდა და, გვერდზე გადახრილი, გაქვავდა. რიერაფის მღვრიე ქსოვილში რენტგენოგრამასავით გამოჩნდა მთის კონტური, რომელსაც მგზავრები „ცხრაწყაროს“ ეძახდნენ. კონდუქტორმა ხელები გამიხსნა და ძირს ჩამომაგდო. გადასახედზე ფეხით უნდა ავსულიყავით.

წინ თოვლიანი მთა იდგა — ბეწვნაჭლაქასავით აჭრელებული სხივთა თამაშით. ახლა შემიძლია შემოვბრუნდე და გავიქცე, ოღონდ ჯერ უნდა გავიგო, რას ნიშნავს მზის ამოსვლა. მართალია, ქალაქში უთენია ვდგები, მაგრამ გარეთ გახედვას ვერ ვასწრებ. თუმცა, რომც გავიხედო, რას დავინახავ? ფოსტა-ტელეგრაფის ცად აზიდულ შენობას.

ალმართს შევუდექი. ქვევით დარჩა ზიში და სიბრაზე. ნელ-ნელა გაღვივდა, გავარვარდა ალმოსავლეთი. ცეცხლისფრად შეიღება ცა და მის ჟანგმოდებულ კიდეზე მოკვეთილი [illegible] დაეკიდნენ სისხლიანი მწვერვალები. ცამ რიდე მოიხსნა და დილის მოლოდინში ფერიცვალება დაიწყო.

უეცრად ცაში გამდნარი ქედიდან კი არ ამოვიდა, ამოხტა წითელი მზე, მთის კონტურს მოსწყდა, აელვარდა... სინათლის სხივმა ბნელს გამოსტაცა ხავერდოვანი ველი და ზედ შუქ-ჩრდილებით მოფენილი სოფელი.

— ახლა შეგვიძლია დავბრუნდეთ. — გაიღიმა გლეხმა და ავტობუსისკენ იბრუნა პირი.

ჩამოვდიოდი ქვევით და ვეძებდი სიბრაზეს, რაც ველის შხამივით ძირს დამრჩა, მაგრამ სიბრაზე არ იყო. იყო სიხარული, სიმსუბუქე, სიმშვიდე და მაშინ მივხვდი, რომ არაფერი ვიყავი ამ სიმშვიდის, ამ თავისუფლების გარდა, რომ არსებობდა მხოლოდ ეს ჩუმი, მზის აბლაბუდებში გახვეული სოფელი, საიდაც არ იყო არც მოგონება, არც მოლოდინი, არც მღელვარება, არც შიში. რაღა მინდოდა იმ შორ, ხალხით გაჭედილ და მაინც უკაცრიელ ქალაქში? აღარ გავაგრძელე მანქანის გზა, მინდორში გადავუხვიე და პირდაპირ, უგზო-უკვლოდ გავწიე მწვანე ხავერდში ჩაქსოვილი შენობებისაკენ.

— საით! — ყურში ჩამიდგა მდევარის შეშფოთებული, შიშით გაბზარული ხმა.

— მაგას ვეღარაფერი მოაბრუნებს. — ფარავდა ამ ხმას ბაბუაწვერას რბილი, ყოვლისმომცველი ჩურჩული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ გურგენიძე

ბედი

სიცოცხლე —
ლამაზი წამია,
ბეწვზედაც
მრავალჯერ ეკიდე...
შენ —
ბედი გქონია, ძამია, —
ვიღაცას უყვარხარ ჯერ კიდევ!..

●

უერთგულესი მეგობარია
გული,
რომელიც
ამ ბოლო დროს
ხშირად მღალატობს.

ფარდა, მეგობრებო, ფარდა!

ყველაფერი ზღვამ წაიღო,
ყველაფერი ზღვას ჩაბარდა;
თავსხმა წვიმამ გადაიღო...
ფარდა, მეგობრებო,
ფარდა!

ყველაფერი ზღაპარ იყო,
ქველაფერი სიზმარს გავდა,
გათენდა და აღარ იყო...
ფარდა, მეგობრებო,
ფარდა!

მზეი სხვისთვის ამოვიდა,
მთვარე სხვისთვის გაიბადრა,
აღარც ერთი ამ ორიდან...
ფარდა, მეგობრებო,
ფარდა!

ყველაფერი სხვამ წაიღო,
ყველაფერი სხვას ჩაბარდა...
ყველაფერი წარსულის და
სიყვა...
სიყვარულის გარდა!

ფარდა, მეგობრებო,
ფარდა!

ჩემო ტაო და კლარჯეთო

„დასაბამიდან გვტანჯეთო“, —
დღესაც გამჩენთან დაობთ,
ჩემო და სხვისო კლარჯეთო,
ჩემო და სხვისო ტაო!..

ვინა თქვა, — ასე დავრჩეთო,
ღვიძლო ძმაო და დაო, —
ჩემო და სხვისო კლარჯეთო,
ჩემო და სხვისო ტაო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბადრი ქუთათელაძე

●

ეს ზამთარიც ჩაილია
უთოვლოდ და უშენოდ...
და გაზაფხულს შევეთვისე
იმედებით წრფელით...

●

ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი...
(საკუთარ სულსაც სჭირდება მოვლა...)
ეს მეშვიდეა,
მეშვიდე წელი
თითქოს არა ვარ და თითქოს რომ ვარ...
ქუჩაში ქარი დაეძებს ბინას
და უმიზეზოდ აწვალებს ფოთლებს,
მე გული არა.

●

საქართველოს
სიყვარულში
უტკივილოდ
ვერ იცხოვრე...

●

ასე უბრალოდ
დავშორდით ერთურთს.
ასე უბრალოდ
ვიბრუნეთ პირი,
საკვირველია
ცხოვრება ჩვენი,
როცა ადვილად
ვგლოვობთ და ვტირით,

მინდა, ისევ საალერსოდ
მოგენდო და გიჩვენო —
ცრემლით გამოზამთრებული
სიყვარული ჩემი!..

ნეკნები მტკივა
გარდაცვალების ჩემის ვარ მოწმე!..
ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი...
და პატიებას ვერ ითხოვს გული,
რადგან დაკარგა ამ ქუჩამ ძველი
ალუბლის ფერი
და ვარდის სუნი!..

დავით გურამიშვილს

გავხარ სიზმრად
გადახვეწილ
საქართველოს
მ ე ც ი ხ ო ვ ნ ე ს!..

ნ. ჯ-ს

როცა ადვილად
ვიტანთ სატკივარს
და არაფერი
აღარ გვაოცებს...
ნაცნობ ქუჩებში
ისე დავდივართ,
დავდივართ როგორც
სასაფლაოზე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია ჩხეტიანი

დრო საშურია

შენ მძიმე ფარდას რად ეფარები,
რად გეძალება გულს კაეშანი,
როცა მწუხრისას რეკენ ზარები,
შენ სადღა გიხმობს
ჩუმი ეკვანი.
ჩუმი ეკვანი —
ხმა სინდისისა,
უჩინო, მაგრამ გაუბზარავი,
რად გიხმობს ხოლმე ყოველ ბინდისას,
რომ გაგიშალოს ფიქრის კარავი:
დღესაც თუ დაგრჩა რაღაც სათქმელი —
ცაგაუხსნელი ვაზის ლერწები,
ერთი კვალი და
ერთი სანთელი —
ამ გაფრენილ წამს სად დაეწევი!
შენ ამ დღეს რითი ემახსოვრები,
ეს წვა, შენება ვისი ხვედრია?!
აბა, რას ეტყვი ტოლებს,
რომლებიც
ურაკეიცივით ქარებს ხედნიან!
აბა რას ეტყვი ტოლებს, რომელთა
დღეებიც მზეზე უფრო ანათებს,
ბამბა და კოლხიდას ვინც შემოენთო
და ვიზეპირებთ მათ მისამართებს.
აბა, რას ეტყვი ჭაბუკს, რომელმაც
შენ დაგილოცა მზეც და მთვარეცა,
მზისკენ რომ მერანს მიაქროლებდა
და დროშით ხელში
უხმოდ დაეცა!
მას უელავდა ქუდზე ვარსკვლავი —
მაღალი ფიქრი,
თავდავიწყება
და დაუხუჭეს თვალი კანკალით
მებრძოლ მეგობრის ცივმა თითებმა...
დრო საშურია,
უნდა იცოდე —
დღეს შენი ხელი იქნებ მიაკლდათ,
სულ უნდა ენთო,
უნდა იწვოდე
და მამულს მხარში უდგე ნიადაგ!

მაპატიე

შენ გაუფრთხილდი, შვილო, იმ
ლექსებს,
აქ,
ამ ჭერქვეშ, რომ თრთოლვით დავწერე,
ტკივილებს,
მე რომ ამოვიკვნესე,
ფიქრებს,
იმედებს წლობით ნაფერებს.
ეჭვებს,
უცეცხლოდ წვას და წვალებას,
ანთებულ გულის ჩინჩხლებს უცაბედს,
და მაპატიე,
შენს დაქალებს
თუ ვერ შევძელ და
ვერ დავუცადე!

გზაზე

სიყვარული იყო თუ რა —
უფლის კვალი აჩნდა კბოდეს!
ეღერტულებდა რიკოთული
გაზაფხულის სამადლობელს.
რას გალობდა ვიგრძენ სხივიც,
ჩიტუნებიც რასა ხმობდნენ,
ქვიდან ქვაზე თიკნებივით
ტალღები რად გადარბოდნენ.
გაეშალათ ალებს თმები
(თქვენ მათ ლაციცს იფერებდით),
თავს კი უხმოდ გვადგნენ მთები —
ზრდილი,
გმირი იმერები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ნუ გამახსენებ,
გეყოფა, გულო!
ეს ხსოვნა თითქოს შხამებს გამოსცემს!
ნურც —
სიყვარულის ვარდისფერ ბურუსს,
ნურც —
სიძულვილის მსუსხავ სამოსელს!
რა ვუყოთ მერე!
ხომ ხედავ, როგორ
აყვავდა ისევ ეს ალუბალი!
როგორ კისკისებს მეზობლის გოგო —
ყვინჩილა ბიჭის მზე და უფალი!
როგორ ეშვება რძისფერი ნისლი
მთების კალთებზე მშვიდად, ნებივრად
და საიდანღაც ის ჰანგიც ისმის,
ცეცხლს რომ გიკიდებს დაბადებიდან!
მოვა წვიმაც და
მტვერსა და ქვიშას
ზღვისკენ გაატანს მდინარეს შეშლილს...
იყოს ტკივილიც! —
ეს იმას ნიშნავს,
რომ არ ჩამქრალა ღვთის სული შენში!
იყოს ტკივილიც!
და ნატვრა მხოლოდ:
რომ ყოველივე გაგრძელდეს ასე,
საწუთროს ცეცხლმა დაგვწვას,
გვათრთოლოს ;
და არა —
ცეცხლმა პლანეტის თავზე!

●

ნუ გამახსენებ,
როგორ მიწყდა ის ბოლო ჩქამიც —
ბრძოლის ყიჟინი,
ბრძოლის ჟინი
როგორ მინელდა!
ან —
როგორ დგება
შერიგების ბეჩავი წამი
ამ წუთისოფლის სიმუხთლესთან
და ტკივილებთან.
ნურც — ყალბ ღიმილში
წვეთ-წვეთობით გარეულ შხამებს —
არ არის გული
მოსაცვლელი კბილი, სარძევე!
უმჯობესია:
იმ ქარებზე მითხარი რამე,
მარად რომ ბრძოლის
მოელვარე დროშებს არწევენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტან ველთაური

ვერაფერს ვხედავ გიჭირს თუ გილხინს,
ჩვენს შორის უკვე წყვდიადი გაწვა,
ეგ ხმაც ჩაუნთქავს ცხოვრების ხრიგინს
და თუ სიმართლეც გაბედა კაცმა...
შენ რა ბრალი გაქვს,
ეს მე მოგდევდი,
განგების ნებით ჩრდილ-ჩრდილ და
მზე-მზე,
მე ვიყავ მწეც და შარის მომდებიც,
ამაღლების თუ დაცემის გზებზე.
ურწმუნო იყავ, მიმზერდი ეჭვით,
ვერ ასცდი მიწას ერთი მტკაველით,
მოვდივარ, ამ სვლას ვერავინ შეცვლის,
აწ ღმერთი იყოს შენი მფარველი.

„წაკრა მეცხვარეს ეშმაკმა ქისტი
და წაპყარა პირიდან ლაგამი...
მეცხვარემ დაინახა თავისი სიმდიდრე".

„ეშმაკის ლაგამი" (ქართული ზღაპარი)

დედაც მყავს, მამაც,
ქმარი, შვილი, ძმები, მოყვრები,
მაქვს საქონელი,
ფარაც ცხვრისა დამიდის მინდვრად,
კიდევ რა უნდა,
რას ინატრებს განა მოკვდავი,
სიცოცხლე მრთელი
და სახლ-კარიც ნაგები მკვიდრად.

მაინც ქარს მივსდევ
ცრემლთა ფრქვევით, ქარს ცრუს და
მზაკვარს,
უქონელივით
ზღვარი არ აქვს ამ გულის კვნესას,
ნეტავ, ეშმაკო,
მეც წამყრიდე პირიდან ლაგამს
და მაჩვენებდე სიმდიდრეს ჩემსას.

ისევ მეწვია ცრემლი და სევდა,
მთლად უმიზეზოდ ისევ ვღონდები,
გარეთ კი მზეა კაშკაშა მზე და
ქარში ცეკვავენ ალვის ტოტები.
ღმერთო, მიშველე, მომხედე ცოდვილს,
ბნელი ფიქრები გამიმზიანე,
რაღაც ტკივილი უღმერთოდ მკორტნის,
უკვე პირშეკრულს მიხსნის იარებს.
მაგრამ ამოდ, ზღუდეს ვერ გავცდი,
მაღალს ვით შესწვდეს მდაბლის
გოდება,
გარეთ კი მზეა, კაშკაშა მზე და —
ქარში ცეკვავენ ალვის ტოტები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

გებრალებოდეს არაკაცი ყველაზე
მეტად,
მხდალია შვილო. განირჩევა ხალხში
მაშინვე,
მტრად ეკიდება საკუთარი თავიც და
კენტად
დაძრწის. საბრალოს ყოველივე წმინდა
აშინებს.
ებღაუჭება საცოდავი ცხოვრების
ბზინვას,
იხვეჭს ცოდვის პურს,
ცოდვით ფეხქვეშ მიწა ერღვევა
და ის სინდისიც ბულკანივით მაშინ
რომ სძინავს,
ვინ იცის, როდის ამოეფრქვევა.
კაცს კი რა უჭირს,
მართლა კაცს და ღმერთივით მაღალს,
უშიშარია და არც ქომაგს ითხოვს
თავდებად,
ხელს აკრავს სოფლის ხარა-ხურას
წლების ცრუ ნადავლს
და სიმართლისთვის ფეხზე დადგება.

დასატყვილ ვაშლის ხეს

შენს პირველ ყვავილს ცა რისხვით
შეხვდა.
შენს პირველ ღიმილს, პირველ
სიყვარულს,
გაცახცახებდა გრუხუნით მეხთა,
თავზე გახვევდა ქარება გრიგალურს.
ჩემო ვაშლიახე, ეს მართლა შენ ხარ —
თუ ღვთისმოკავი დამდგარა ლოცვად?
დაბლა ხრი სეტყვით დაჩეჩქვილ
ხელს და
ბდღვრიალა ნაყოფს მთავაზობ
მორცხვად.
აფერუმ! მაინც რომ ინარჩუნებ
მადლიაქმნის უნარს, სითბოს და
ხალისს,
მე შენთან რა ვარ, მცირე წყენა და —
მტრად ვეკიდები ქვეყანას ლამის.

●

დუმილით ვხვდები
მრუდედ ნათქვამს, მზერას ალმაცერს,
დუმილით ვხვდები
თუმცა ზოგჯერ ცრემლიც მერევა,
დამარცხდებიო — ხშირად მესმის.
დაე, დავმარცხდე.
დამარცხებული უკეთ ხედავს
ქვეყნიერებას.

შურისძიება

დაუნდობელი ყოფილხარო, თქვი და
გავქვავდი,
ჩემი ბუნების უეცარი გამზეურებით,
ვინ დაგიჯერებს მაგ აიმართლეს, თუკი
აქამდე —
დავალ ლოყებზე დამჩნეული
ნათითურებით.
რა შვილი ვიყავ, მოძმისაგან მოქნეულ
მახვილს
ავრიდებოდი — თვინიერად ვუწვდიდი
კისერს,
გულუბრყვილობაც ზედმიწევნით
ვიცოდი ხალხის,
დიდსულოვნებად ჩამითვლიდნენ.
ვიცოდი ისეც.
მე კი ვერაგად, ჩაბრუნებულ
ცრემლებთან ერთად
გულში ჩამქონდა შურისგება, მერე
რამხელა,
მომხდურს სამსჯავროდ მივაგდებდი
მხოლოდ იმ ღმერთთან,
სულს რომ გვიკაწრავს და სინდისი
ჭქვია სახელად...
ამ სასჯელისგან ძნელად ვინმეა
ვანთავისუფლებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე ერთი

მოთხრობები

„თებერვალი დადგა...“
ხალხური

თებერვალი იდგა. თუმცა, კარგად არ მახსოვს, შესაძლოა, იანვარი იყო, ან თუნდაც — მარტი: ის დღე მე სულ სხვა რამის გამო დამამახსოვრდა... მაგრამ იმას, რის გამოც დამამახსოვრდა, ამ პატარა ამბავს რომ მოგიყვებით, მერე გეტყვით. ისე კი, კაცმა რომ თქვას, არც მოსაყოლია მაინცდამაინც დიდად საინტერესო, აი, მოსმენისთანავე გოცებისაგან შუბლზე რომ აზიდავს კაცი წარბებს, ან კიდევ — სიცილისაგან ლოყებს ჩამოიხეკს.

ზუგდიდიდან მოვდიოდით ჯვარში, ენგურჰესის მშენებლობაზე. სადაც ოთხივენი ვმუშაობდით. უფრო ზუსტად, ოთხივენი კი არა, ხუთივენი. მეხუთე მძღოლი იყო. ასეთ დროს, როცა მიქრიხარ არც მთლად გადასარევად ფარფოდ გაშლილ შარაზე, გულისგამაწვრილებელია, რომ იტყვიან, ისეთ ამინდში, თანაც „ვილისის“ სპიდომეტრი სადღაც, ოთხმოცს მიღმა რომ ყანყალებს, მძღოლი განა დასავიწყებელია?!

ესე იგი, მძღოლზე უკვე ვთქვით და, მის გვერდით რომ იჯდა, ის, რიგითი მუშები „ხაზეინს“ რომ ეძახიან, იმ თანამდებობისა უნდა ყოფილიყო. ორნი კიდევ, მე რომ გვერდით მესხდნენ (თუ მე ვიჯექი მათ გვერდით), მაღლივი კაშხალის მშენებლობის მუშები იყვნენ: ერთი უფრო ახალგაზრდა, შავგვრემანი, ულვაშიანი (ტიპიური სამხრეთელიაო, რომ ამბობენ, იმდაგვარი). და მეორე — უფროსი, ჭაღარაგარეული (შემხვედრი მანქანების შუქზე შევამჩნიე).

ეს ყველაფერი გავიგე მათი საუბრიდან, რომელშიც, თუ არ ჩავთვლით მანქანაში ჩაჯდომისას თქმულ „გამარჯობა-გაგიმარჯოს“, არ ჩავრეულვარ.

მე შემთხვევით დამგზავრებული ვიყავი. თბილისის ავტობუსმა ნახევარი საათით გამაყრო. ალალბედზე გამოვლილი ვინმე ნაცნობის ან კიდევ მშენებელთა გვიანი ცვლის გადამყვანი ავტობუსის (თუ იქნებოდა ასეთი) იმედზელა ვიყავი. გამოიარა მანქანამ. რას ვკარგავდი? — ავეწყე ხელი, მართლაც არ გამიჩერეს?! ეს იყო და ეს. მშენებლობაზე მუშაობა ახალი დაწყებული არ მქონდა, მაგრამ იქ, სადაც ათი ათასზე მეტი, ორმოცამდე ეროვნების კაცი მუშაობს, ძნელია, ალბათ შეუძლებელიცაა, ყველა ერთმანეთის ძმაკაცი იყოს: მე მათ არ ვიცნობდი, მით უმეტეს — ისინი არ მიცნობდნენ მე.

ჭაღარაგარეულ მუშას რაღაც შეხვეული ედო მუხლებზე. თურმე რომელიღაც საწყობში ეშოვნა. სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა (ამის დასანახავად შემხვედრი მანქანების შუქი არ იყო საჭირო). სხვებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რა ეშოვნა და რას გაებედნიერებინა ეს კაცი ასე. მეც შემეძლო, ცხადია, მეკითხა. ეს არავითარი უტაქტობა არ იქნებოდა. პირიქით, ალბათ, დიდადაც ვასიამოვნებდი, მაგრამ თავი შევიკავე. იოლნდ, რა თქმა უნდა, არა გულგრილობის გამო. თითქოს სიხარულის ნატეხი გაგინაწილესო, ისეთსაირად გაგითბება კაცს გული, როცა ხედავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შენს გვერდით ვიღაცას რაღაცა უბარია ღერძთანაში, რა ადგილია ამასა! თუ დამიჯერებო, ვულგრფელად გეუბნებით.

სრულიად უცნობებმა რომ უყიყმაწოდ დამიმგზავრეს, მე ისედაც სიხარულით ვიყავი აღვსილი და ახლა სენტიმენტალურ თუ რომანტიკულ (რა ვქნა, ასეთი ბუნებისა ვარ) გრძნობებს თავმინებებული, განსაკუთრებულ, თითქმის სიმბოლომდე აყვანილ მნიშვნელობას ვანიჭებდი ჩემი თანამგზავრის სიხარულს (თუ სიხარულს იმისას, ვისი თანამგზავრიც მე გავმხდარიყავი; შემთხვევით — რა თქმა უნდა. „მაგრამ ყოველ შემთხვევითობაში ხომ გარკვეული კანონზომიერებაა, თვით შემთხვევითობაც ხომ კანონზომიერებაა?!“ — ეფიქრობდი უკვე მე...) ჰოდა, რაღა გასაკვირია, თუ არ მინდოდა იმ ჰაღარაგარეული კაცის სიხარული დამეკონკრეტებინა. „გამეშიშვლებინა“ (როგორც მაშინ ეფიქრობდი): ვინ იცის, რა შემრჩებოდა ხელთ?

— იმ საწყობში ჩემი სკოლის ამხანაგი მუშაობს, — ამბობდა თვალებგაბრწყინებული ჰაღარაგარეული კაცი და მე ვამჩნევდი, რომ ჩემი ნებისაგან დამოუკიდებლად ერუანტელმიმგვრელ სითბოდ მივლიდა სხეულში მისი სიტყვები. და მახსენდებოდა შორი, ძალზე შორი საღამო, როცა წლებისა და თოვლის სიმძიმისაგან ტოტებდამსხვრეულ მუხას იქით, ათასწლოვანი გორაკის თავზე, სავსე ბადრი მთვარე ჩამოეკიდებოდა (მასზე არეკლილი დედამიწის გამოსახულება მუდამ დედას მაგონებდა) და რომ სუფთად, კოხტად დაბანილ-დავარცხნილს გაქათქათებულ ლოგინში ჩამაწვენდა ბებია, თან გვერდით მომიჯდებოდა. მომიჯდებოდა და, საოცარი სიყვარულით ნაზად მისვამდა ხელს თავზე („ეჰ, ბეჩა, შვილიშვილი შვილის სიყვარულს დაგავიწყებს თურმე“). მისვამდა თავზე ხელს და ხელისგულებიდან გადმოსულ სითბოს ჩემში შემოქონდა ყოველივე — დედის სახეაღბეჭდილი მთვარეც, ასწლოვანი მუხის ხეც, ათასწლოვანი გორაკიც, ფახჯრის ჩარჩოებიც, საიდანაც ჩანდა ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ჩემი ათასწლოვანებელი ბებიაც და ყველაფერი, ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო. თანდათანობით ეს ეოთ გამოუთქმელ, უფრო სწორად, მოუხელთებელ მთლიანობაში ერთიანდებოდა და როცა ამ მოუხელთებელი მთლიანობის გამო გაოცებული, მეორე დილით თავს წამოვწევდი, აკაშკაშებული, აბდღვრიალებული მზე შემომაჭყიტდა თვალებში.

— ...ის სკოლის ამხანაგი და მე, — ამბობდა თვალებგაბრწყინებული ჰაღარაგარეული კაცი, — ერთად გავიპარებოდით. ხოლმე გაკვეთილებიდან და ნანახივროდ სახურავჩამონგრეული კლუბის სხვენზე სიგარეტს ვეწეოდით... ძლივს არ ვიშოვე, კაცო?!. ფულს არ მართმევდა, თითქმის ძალით ჩავუყუჭე ჯიბეში ოცდაათი მანეთი! აბა!.. ადრე ათი მანეთი ღირდა, შემდეგ — ოცი, ახლა ოცდაათ მანეთამდე ასულა. თანაც, თუ არ გენდობიან, კი არ მოგცემენ!..

— შე კაი კაცო, — წინა სავარძელში მძღოლის გვერდით მჯდომმა თქვა გაღიზიანებულისმაგვარი კილოთი, — თუ მასეთი ძმაკაცი იყო შენი და თანაც ფულს არ გართმევდა, რაღას უკუჭავდი ძალით?... თუ პატივისცემაა, პატივისცემა უნდა იყოს! ასე არ არის? — სხვათა შორის იკითხა.

— ძალით ჩავუკუჭე, არაფრის დიდებით არ მართმევდა! — გაიმეორა ოდნავ შეცბუნებით, მაგრამ მაინც სიამაყეგარეული ხმით ჰაღარაგარეულმა.

— მაგარი ძმაკაციც ეგა გყოლია! — ჩაიხითხითა მძღოლის გვერდით მჯდომმა.

— ძალით ჩავუკუჭე, კაცო!

— რა თქმა უნდა, ძალით ჩაუკუჭავდი, მაშ რა იქნებოდა!

აქ საუბარში უცბად (თუმცა, ცხადია, არა მოულოდნელად) ახალგაზრდა ულვაშიანი მუშა ჩაერია და ისეთი რამ თქვა, გაოცებისაგან, როგორც გაფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხუულ თითებს შუა წყალი, ისე გაიპარა საღდაც ჩემი სენტიმენტალურ-რომანტიკული ვანწყობილება, გაიპარა თავის მთავარან-მზიანად, ასწლოვან მუხიანად, ათასწლოვან გორაკიანად, ერთი სიტყვით — ყველაფრიანად...

ახალგაზრდამ თქვა:

— გადაუხდიდა ფულს, აბა, მონად ხომ არ დაუდგებოდა?!

თუმცა, გაოცება კი არა, თითქოს ცივი წყალი შეესხათ სახეზე, ისე გამომაფხიზლა სიტყვა „მონობის“ გაგონებამ. ეს გაოცება კი მერე მოვიდა, რადგან ვერაფრით დავაკავშირე ჩვენი მგზავრობა, მათი საუბარი, ახალგაზრდა მუშის ნათქვამი და მოყვითალო, უხეშ ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთი (რაც მთავარია, სიხარულის მომგვრელი!) ერთმანეთს.

ჰოდა, დავიძაბე, ლამის სუნთქვა შეშეკრა. ერთი სული მქონდა, მომესმინა, რას უპასუხებდა წინა სავარძელში მჯდომი. მაგრამ ამ დროს მანქანა გაჩერდა. წინა სავარძელში მჯდომი გამოგვემშვიდობა და ჩავიდა.

ღმერთმანი, ამ უპასუხოდ დარჩენილმა კითხვამ უცნაურად ამაფორიაქა (ასეთი უცნაური ბუნებისა ვარ-მეთქი, გითხარით უკვე). შეგხვედრიათ ასეთი რამ: საზოგადოებაში ვიღაცას რაღაცას შეეკითხები, ის კიდევ, რაღაცის გამო, ამ ხმამაღლა ნათქვამ კითხვას ვერ გაიგონებს და ზურგს შეგაქცევს. ხვდები, რომ ის, ვისაც კითხვა დაუსვი, არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც საოცრად უხერხულ მდგომარეობაში ვარდები. ლამის შინაგანი წონასწორობა დაკარგო.

ახლაც, ამ მოჯაყჯაყე მანქანაში მჯდომს და ამ მოჯაყჯაყე მანქანას მინდობილს, ლამის მეფიქრა, შინაგან წონასწორობას ვკარგავ-მეთქი.

ეს გავიფიქრე და, ხელმეორედ გაჩერდა მანქანა.

ამჯერად თურმე ეს ახალგაზრდა მუშა ჩადიოდა.

გამოგვემშვიდობა და, რომ ჩადიოდა, მარცხენა ხელის ორი თითით წინა სახელურს ჩაეჭიდა — ტანი ისე წამოსწია წინა, აქ ჩემდა უნებურად, მეორედ დამეუფლა გაოცება: შევამჩნიე, რომ სწორედ ამ მარცხენა ხელში „მცხეთური ხელნაწერი“ ეკავა (ეს წიგნი მაშინ ახალი გამოცემული იყო, მაგრამ ძალზე მცირე ტირაჟით და ვერ მოვახერხე შოვნა). არ დავიწყებ ახლა იმის მტკიცებას, შემხვედრი მანქანის შუქზე დავინახე ეს თუ მთვარის შუქზე, მაგრამ კისერი გაწყვეტაზე რომ მქონდა, მაშინ ვიგრძენი, როცა მან, თითქოსდა ინტუიციით, ჩემი მზერა დაიჭირა და გაოცებული შემომაცქერდა. სხვა დროს, ვისაც გინდა გამოვეტყირე ასეთ არამკითხე ცნობისმოყვარეობაში, კანფეტის ქაღალდზე წასწრებული ბავშვივით შევცბებოდი, მაგრამ ამჯერად (წარმოგიდგენიათ!) კიდევ მესიამოვნა და ისე, თითქოს რაღაც დიდი, უსაშველო და უსარგებლო ტვირთისაგან გავთავისუფლებულყავი, ვკითხე:

— მაინც, რატომ დაუდგებოდა მონად, აა?!.

ჩემი სხვა თანამგზავრებისაგან განსხვავებით, ოდნავადაც კი არ გაოცებულა (ანდა, შესაძლოა, ამ სიბნელეში ვერც შევამჩნიე წამიერი გაოცება, რომელიც, ახლა რომ ვუკვირდები ამ ამბავს, მართლაც შეიძლებოდა დაუფლებოდა მას). ოღონდ ეს იყო, რომ უფრო ყურადღებით დამაკვირდა და, ცალი ფეხი მანქანის საფეხურზე ედგა ჯერ კიდევ, ისე მკითხა:

— ნუთუ არ შეგხვედრია ცხოვრებაში ისეთი რამე, როცა შენთვის კარგი საქმე გაუკეთებიათ და ამაზე ფიქრს უფრო გაუწვალებიხარ და წაუხდენიხარ, ვიდრე იმას, ცუდი რომ შეემთხვიათ?

ამ დროს ჩვენი მანქანაც დაიძრა, მაგრამ, მე მგონი, ის კაცი არც მოითხოვდა ჩემგან რაიმე პასუხს, რადგან, თუ არ ვცდები (თუმც ვერც ამის მტკიცებას დავიწყებ მაინცდამაინც დაბეჯითებით), იმან მანქანის კარი წამის მეათ-

ედით თუ არა, მეჯაედით მაინც უფრო ადრე მოაჯახუნა, ვიდრე ჩვენი მძღოლი გაზის აქსელერატორს დაფწვებოდა.

— ეჰეე?! — წამოვიძახე უნებურად, რითაც როგორც მძღოლის, ასევე ჭაღარაგარეული მუშის ყურადღება მივიპყრე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: რაღაც საოცარი სიცხადით შეეგიგრძენი (რანაირი ბუნებისა ვარ მაინც?!) თითქოს რაღაც დავკარგე და, იმის შიშით, რამე ხომ არ აბოძივარდა-მეთქი, ჯიბეები უჩუმრად, გულდასმით მოვიჩხრიკე.

— შენ მაგას ყურადღებას ნუ მიაქცევ! — თავი მოაბრუნა და სიცილით მითხრა მძღოლმა. — ეგ ისეთია, ცოტა მაღლა რომ დაფრინავენ ხოლმე.

— სად დაფრინავენ?—ვიკითხე ანგარიშმიუცემლად, თან: „იქნებ იქ დამრჩა რამე და ვერ ვიხსენებ?“ — გავიფიქრე.

საპასუხოდ მძღოლმა, მანქანა მეოთხე სიჩქარეში რომ ჩაადგო, თითი მიიკაკუნა შუბლთან.

— აბირებული კაცია ნამეტანი. თურმე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მესამე კურსიდან გავიდა: ლექტორებზე უფრო მეტი ვიცოდი და აბა რაღა უნდა მესწავლა მათგანო? — თქვა სიცილით ჭაღარაგარეულმა.

— კაი, კაცო! — ჩემდა უნებურად გავიოცე. თუმცა, ალბათ, უფრო ზუსტი იქნებოდა მეთქვა: რაღაც ინერციით გავიოცე-მეთქი (სხვათა შორის, უკვე დაღმართზე მივდიოდით, მძღოლს ძრავა გამოერთო და ჩვენც მართლაც ინერციით მივქროდით).

— მგონი, ახლა გეპეეში აპირებს ჩაბარებას, არა? — ჭაღარაგარეულს მიუბრუნდა. — თუ ფილოსოფიურზე? — გაიცინა.

— მაგას რომ დიპლომი ჰქონდეს, ჩემსავით მუშა კი არ იქნებოდა, უბნის უფროსად დანიშნავდნენ! — თქვა ჭაღარაგარეულმა. შეხვეული მუშტარი ედო და ცალი ხელით იჭერდა. მეორე ხელი კიდევ საზურგესთვის ჩაეგლო და თავს იმაგრებდა.

— ეგ რატომ? — ვიკითხე. მაგრამ ამ დროს მძღოლმა წამოძახა:

— ხედავ, კაცო, აქ ისევ თოვს, რა უცნაური ადგილია, ქვეყანას რომ ხანძარი ეკიდოს, აქ მაინც თოვს!

— ვაბ, მართლაც თოვს! — გაიოცა ჭაღარაგარეულმაც.

ასე რომ ჩემი კითხვა უპასუხოდ დარჩა, მაგრამ, მართალი გითხრათ, ახლა ამას სულაც არ შევეწუხებივარ. ამ დროს მანქანა კიდევ ერთხელ გაჩერდა. ამჯერად, ჩემი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მძღოლი ჩამოვიდა, თან თეთრი პლასტმასის ბოცა ჩაიტანა.

გზის პირას, ოდნავ შეწეული, რიყის ქვებით ლამაზად გაფორმებული წყარო იყო. აქეთ-იქით, გვერდებზე, მოძველებული, სიოს ოდნავ შემოქროლვაზეც მოყანყალე ლამპიონები იდგა. ამ ლამპიონების შუაზე ისე ლამაზი და მიმზიდველი ჩანდა უკუნეთიდან ფიფქების ცვენა, რომ სახლში, ფარდულის კუთხეში მიყრილი, ზამთარს გადარჩენილი შეშა თუ არ გაგახსენდებოდა კაცს, ღმერთმანი, სიხარულისაგან აგიჩქროლდებოდა გული.

●

ჰოდა, სანამ მძღოლი თავის თეთრ ბოცას აავსებდა, ლამპიონებისაგან ოდნავ მოშორებით, გზის პირას ვიდექი, ციდან ფიფქების ცვენას შეეყურებდი და რამდენიმე წამით თანამგზავრებისაგან განშარტოებული, იმ ულვაშიანი ახალგაზრდის ნათქვამის გამო რაღაც უცნაურ განწყობადაუფლებული, ბუნების იმ მარად ამოუხსნელ საიდუმლოებაზე ვფიქრობდი, რომლის ნაწილიც ჩვენ, ადამიანები, მიუხედავად ყოველი ჩვენგანის პიროვნული რაობი-

სა, გავმხდარიყავით და რომელიც ამოუცნობი დარჩებოდა მარად, მაგრამ, არა როგორც ადამიანის სისუსტის და-მადასტურებელი ნიშანი, არამედ, როგორც მისი არსებობის გამართლების უტყუარი საბუთი.

მაინც, რა საოცრად თოვდა! თოვლის თხელი ფენა სიფრიფანა ზეწარივით გადაფარებოდა მიდამოს და... ლამის გავიფიქრე, მოჩვენებაა-მეთქი: წყაროსაგან ოდნავ მოშორებით, ფერდობზე, ლამპიონების შუქზე ენძელა დავინახე. თუმცა, მართალი გითხრათ, ზუსტად არ ვიცი, შეიძლება, ენძელა კი არა, ია ყოფილიყო, ან თუნდაც — ყოჩივარდა, ან კიდევ... მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო: ნამდვილი, ახლად ამოსული, ცოცხალი ყვავილი იყო (თუმცა, ახლად ამოსულიო, რომ ვამბობ, არც ამაში ვარ მთლად დარწმუნებული: შესაძლოა, შარშანდელი, იმ ზამთარს რაღაც სასწაულით გადარჩენილი, ყვავილი იყო. რა ვიცი? ხდება კი ასეთი რამ? იქნება ხდება და სულაც არ არის ეს სასწაული?)

ათოვდა (რა თქმა უნდა, ლამაზად ათოვდა!)... ფიფქთა სიმძიმისაგან წელში მოიხრეოდა და ის იყო გაიფიქრებდი, აჰა, ერთი-ორი ფიფქიც და, თოვლში ჩაიკარგებაო, მაგრამ ამ დროს, ბედად თუ, პატარა ნიავი წამოუბერავდა („არაფერი სჯობია ზაფხულში ამ წყლის პირას ჯდომას, ქვეყანა რომ სიცხით იწვებოდეს, ნიავი მაინც უბერავს და გრილა“) ენძელა ერთი შექანდებოდა აქეთ-იქით და წელში გაიმართებოდა.

რაღაცნაირმა სიხარულმა მომიცვა. მაგრამ განა მარტო იმიტომ, რომ, როგორც უკვე გითხარით, სახლში სიმწრითა და დიდი ვაი-ვაგლახით ნაშოვნი შეშა თითქმის უკანასკნელ ნაფოტამდე იყო ჩაფერფლილი ძველ, მამაპაპურ ბუხარში... — აქ უფრო სხვა ამბავიც იყო, თუმცა თავისთავს ძალა არ დამიტანებია და არ ჩავიფიქრივარ: ხომ არის რაღაც განსაკუთრებული, იდუმალი გრძნობა, რომელიც თავის სიმშვენიერეს, თავის სიმაღლეს ამ განსაკუთრებულობაში და იდუმალებაში აღლენს ხოლმე (მგონი, ესეც გითხარით უკვე) და რომლის სიტყვებად ჩამოსხმა ისევე უხერხულია, როგორც, ვთქვათ, საჯარო გამოსვლაში დედის სიყვარულზე თავის გამოდება.

მყის, ამ სიხარულის შეგრძნებისთანავე, რაღაცნაირი შეშფოთებაც ვიგრძენი. ეს ლამის ისეთნაირად იყო, აი, სანუკვარი და თითქმის მიუღწეველი ნატიფ სიმბოლო-ნივთს ხელში რომ აიღებ — აჰა, როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს! — და იმწამსვე რომ დაფრთხები, ხელიდან არ გამივარდესო.

და, რა თქმა უნდა, მაღლა ავიხედე! (ვიგრძენი, როგორ დამადნა თოვლის ფიფქების გახურებულ სახეზე).

მე მგონია, უკვე მიხვდით, თუ რატომ დამამახსოვრდა ეს დღე. იმათ, ვინც „რეალურად (და მაშასადამე: უფრო საღად!) უყურებენ ამ ცხოვრებას“, სასაცილოდ არ ეყოფათ ეს ამბავი. სადღაც მართალნიც არიან, კაცმა რომ თქვას, — უნდა ვიყოთ გულწრფელნი!

ხოლო ისინი, ვისაც ჩვეწში „რომანტიკოსებს“ ეძახიან (ხანდახან შუბლზე თითის მიკაკუნებითაც კი) შეშფოთდებიან ამ უწყინარი ამბის მოსმენისას და ერთგვარი გაბრაზებითაც გაიფიქრებენ, ალბათ, ჩემზე: რატომ იმას არ ლაპარაკობს (ან არ გვიმბელს), ამინდის რა პროგნოზზი გამოაცხადა იმ დღეს ტელევიზორმაო?

მეც თქვენთან ვარ, მეგობრებო, მაგრამ, რომც მეთქვა, განა დამიჯერებდით? რა თქმა უნდა, ჩემს თავზე არ მოგახსენებთ, პროგნოზზე ვამბობ ამას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაია

„ყოველთვის არის რაღაც ამის მსგავსი, —
— თქვა ქალმა, — ყოველთვის არის რაღაც,
რაც ეზი ეყოს“.

ე. ჰემინგუეი. „ვის უბრიბს ზარი“

გოგოს ნაია ერქვა სახელად, ესენი-ნი უყვარდა ძლიერ. კაცმა რომ თქვას, თავიდანვე მიუწვდომელი ჩანდაო, არ იქნება მართალი. არც ისეთი ლამაზი იყო, რომ დანახვისთანავე გეფიქრა, ამის გულისთვის ღირს, ალბათ, თავზე ხელის აღებაო. მაგრამ მის სილამაზეს ახლდა რაღაც უცნაური, ჩაუწვდომელი და, თუ გნებავთ, — მიმზიდველიც, თუნდაც ის, რომ ერთი შეხედვით იქნებ ვერც გაგერკვია, ლამაზი იყო თუ არა...

„არა, შეუძლებელია, ლამაზი არ იყოს!“ — ყოველ შეხვედრაზე რატომღაც ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური აზრი აეკვიატებოდა ხოლმე ბიჭს, რომელსაც გოგოსთან ურთიერთობისას (ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ურთიერთობისას) ეჩვენებოდა, რომ ორ ნაწილად იშლებოდა მისი შინაგანი სამყარო: ერთი გოგოსკენ მიილტვოდა, მიისწრაფოდა, მეორე კი აიძულებდა ირონიულად მოჰკიდებოდა მას. ზოგჯერ გაიფიქრებდა: ეს ირონია შიში ხომ არ არისო, მაგრამ საბოლოოდ მაინც უარყოფდა ხოლმე ამ აზრს. ჯერ ერთი, ბიჭი იმდენად გონიერი კი იყო, რომ იცოდა, თავის თავს ვერაფერს დაუმალავდა; მეორეც, იგი იმ მიზნიდან და იმ ასაკიდანაც კი, ასე თუ ისე, შორს იყო, როცა მსგავს შემთხვევაში პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას გაურბიან ხოლმე და „ვაჟკაცობის“ თუ „ძველბიჭობის“ თამაშით ცდილობენ, ინიციატივა მას არ მიაწერონ.

„არა, შეუძლებელია, არ იყოს ლამაზი!“ — მარტო სიტუაციიდან გამომდინარე ახირებული გაფიქრება კი არა, ერთგვარად ის თოკიც იყო, უნებურად, ბრმასავით რომ ჩაეჭიდა ბიჭს ხელი. თოკი თითქოსდა ყოველ გაფიქრებაზე მოკლდებოდა, მაგრამ მერე, როცა ბიჭი გამოდიოდა გოგოს ბინიდან, ან, როცა გოგო გავიდოდა ბიჭის ოთახიდან, ირკვეოდა, რომ თურმე ისევ იმავე სიგრძისა დარჩენილიყო, ადრე რომ იყო. სხვა დროს და სხვაგან ისინი თითქმის არ ხვდებოდნენ ერთმანეთს: გოგო ლექციებზე დადიოდა, ბიჭი მუშაობდა. კვირა დღეს კი ბიჭი სახლიდან დილიდანვე გარბოდა მეგობრებთან, ან თავად ისინი მოადგებოდნენ ხოლმე მანქანით... მაგრამ ბიჭს ეჩვენებოდა, რომ ეს მომქანცველი, ხშირად უმიზნო ხეტიალი მანქანით, კარტის, ნარდის, ჭადრაკის თამაში, კამათი ათასგვარ საკითხზე თუ სახელდახელოდ გაჩაღებული „ქეიფი“, რომლითაც არც თუ იშვიათად მთავრდებოდა დღე, სულ უფრო და უფრო ერთგვარი საბაბის სახეს ღებულობდა. უბრალოდ, აუტანელი ხდებოდა ოთახში მარტო ჯდომა მაშინ, როცა იცოდი, თუმცა იცოდი კი არა, გრძნობდი, რომ მეზობელ ოთახში „ის“ იმყოფებოდა. ზოგჯერ უბრალო გაფაჩუნებაც კი აკრთობდა, ნერვებს უწეწავდა და სუნთქვაშეკრული თავისდაუნებურად მიაყურადებდა. წამის შემდეგ თავადვე აბრაზებდა მისი ეს უნებური ქცევა და ცდილობდა ისე თავისუფლად მოქცეულიყო, თითქოს არაფერი „ეს“ არ აინტერესებდა და თითქოს საერთოდ არაფერი მომხდარიყო. კაცმა რომ თქვას, სინამდვილეში მართლაც არაფერი მომხდარა, მაგრამ რად სჭირდებოდა ამის დამტკიცება, ანდა მისი ასეთნაირად წარმოდგენა, ვერაფერით აეხსნა. სიყვარული არ ერქვა ამას, ხატზე დაიფიცებდა. აბა, რა იყო ის უცნაური ძალა, მათ შორის რომ ჩამდგარიყო და თითქოს არც ახლოს უშვებდა ერთმანეთთან და არც აშორიშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა?! ერთი-ორჯერ კინოში თუ თეატრში წასვლა შესთავაზა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც არც უნდოდა მასთან ერთად სადმე წასვლა. ისე გამოდიოდა, ზრდილობის გულისთვის აყეთებდა ამას. გოგომ, თითქოს მიხვდაო, ცალუბად რომ ეპატიებოდა, რაღაც საქმეები მოიმიზეზა. ბიჭს არც სწყენია და არც გახარებია. იგრძნო კი, რომ ოდნავ თუ დაატანდა ძალას, სულ ოდნავ, გოგო გაჰყვებოდა, მაგრამ ეს არც უცდია. ისეთი შეგრძნება ჰქონდა თითქოს მთავარი იყო, დაეპატიჟნა (ამით ვითომ მისთვის გაუგებარი, გაუცნობიერებელი, რაღაც ვალი მოიხადა, თორემ წამოვიდოდა გოგო თუ არა, არ ჰქონდა მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა.

ერთ საღამოს ბიჭი ქუჩაში შემთხვევით გაცნობილ ქალს შემოუდგა ოთახში. თუმცა სიტყვა „შემთხვევით“ მთლად ზუსტად ვერ გამოხატავს საქმის ვითარებას. ბიჭს წინდაწინ ჰქონდა ყველაფერი ნაფიქრ-გაანგარიშებული. თავს ნება მისცა ამ შემთხვევისათვის შამპანური და კონიაკი ეყოდა (სხვა დროს იაფფასიანი არყითაც იოლად გადიოდა). ქალის სურვილისამებრ, შამპანური გახსნა და თან მაგნიტოფონზე მეგობრისაგან — ისიც ამ შემთხვევისათვის — ნათხოვარი კასეტი დაატრიალა.

ქალი რამდენიმე დღე დადიოდა. ამ ხნის განმავლობაში თითქოს მართლაც არ არსებობდა „ქედელ მიღმა მყოფი გოგო“. არც რამე ჩამიჩიუმი ისმოდა „იქიდან“. რომც გაფაჩუნებულიყო იქით რამე, ამ ოთახში მაინც ვერ შემოაღწევდა ხმა. აქ მაგნიტოფონის დისკო ტრიალებდა და დინამიკებიდან გადმოღვრილი ხმა ისე სრულყოფილად აყენებდა პატარა ოთახს, რომ დანარჩენი ყოველივე ზედმეტი ჩანდა. ქალის უზადო სრულყოფილება საოცარი, თითქმის დამმონებელი ძალით აოკებდა იმ შინაგან ფორიაქს ამ ბოლო დროს, უფრო ზუსტად, ამ ოთახში გადმოსვლის შემდეგ რომ დაუფლებოდა. ახლა საოცარ თითქმის სიხარულისმომგვრელ კმაყოფილებას გრძნობდა და ოდნავადაც არ გასჩენია სურვილი შეეღო მეზობელი ბინის კარი. ანდა თავისდაუნებებურად მოლოდინით დამუხტულს, ერთხელაც არ გაუფიქრებია: ნუტრა რამე დასჭირდებოდეს, რომ შემოვიდესო (მთავარი მიზეზი იყო, თორემ შემოსვლის ან წასვლის შემდეგ დროის მდინარეობას არსი ეცლებოდა და, ვინ იცის, საუბარში გართულებს, შეუმჩნევლად თავს დასთენებოდათ, კარზე გოგის დეიდის ფრთხილი მოკაკუნება რომ არა).

ისე კი, მოლოდინი ამჯერადაც აოაებობდა, უფრო მძაფრიც — თუ გნებავთ; ოღონდ ეს მოლოდინი სულ სხვა განწყობას ბადებდა ბიჭში. უფრო კონკრეტულიც იყო. იმის გააზრებაც კი შეიძლებოდა, რა მოხდებოდა და როგორ მოხდებოდა. მერე, როცა ამ ამბავს იხსენებდა, ფიქრობდა, რომ ამ მოლოდინით, სასიამოვნო განცდად რომ ჰქონდა ჩასახლებული სხეულში, ანგარიშს უსწორებდა იმ მოლოდინს, მანამდე რომ იპყრობდა მას, სანამ „შემთხვევით“ გაცნობილ ქალს ამოიყვანდა შინ. ანგარიშს უსწორებდა იმ უცნაურ, დაძაბულ ურთიერთდამოკიდებულებასაც, მეზობელ გოგოსთან მიმართებაში რომ გაჩენილიყო, თითქოს არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა რამე განსაკუთრებული გრძნობის აღძვრა, ოთამედ საკმარისი იყო მეზობელ ბინაში გადასახლებულიყავი (ან თუნდაც გოგო გადმოსახლებულიყო) და მერე, რამე სამუშაოთი ან ფიქრში გართულს, რაღაც დისონანსად შემოგჭროდა მეზობელი ოთახიდან გამოსული ფაჩუნი.

ჰოდა, მაშინ, როცა ბიჭს ეგონა, მე რომ მივხვდი, ეგრე ყოფილა ყველაფერიო, მოხდა ისეთი რამე, რამაც ისევ საგონებელში ჩააგდო, ჩააგდო და თან ისეთი საფიქალი-გამოცანა გაუჩინა, რომლის ახსნა შეუძლებელი ჩანდა.

„ყველაფერში“ ბიჭი იმ უცნაურ დამოკიდებულებას გულისხმობდა, გოგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთან მიმართებაში რომ ჩნდებოდა; „მაშინ მომხდარ ამბავში“ კი — იმას, რომ: ერთ საღამოს გაზეთების ამოსატანად ძირს მიმავალი ბიჭი მოულოდნელად კიბეზე გოგოს შეეფეთა. შეეფეთა და, რაღაცნაირი მოულოდნელობისაგან დაბნეულს, გასაღები გაუვარდა ხელიდან. გასაღები ფილაქანზე დაეცა და ისე უსიამოო ჭახანი გაიღო, ისე უსიამოდ გაიყრიალა, თან ამ ხმამ ისეთნაირად გააპო თითქოსდა ამ წამისათვის საგანგებოდ გარინდებული და, მიყუჩებული სივრცე, თითქოს რამე განსაკუთრებულად უძვირფასესი სამახსოვრო რელიქვია გაბზარულიყოს. უნებურად ალმურმა აჭკო. ჯერ გაოცდა, ხოლო შემდგომ, რაც უფრო ცდილობდა გაეღიმა და „ძველებურად“ გახუმრებოდა, მით უფრო სკდებოდა გულზე გაუგებარი ბოღმისაგან, რომლის მიზეზს შემდგომაც ვერ დაადგენდა, ვერც იპოვიდა. სახეზე კი სულ უფრო ეძალებოდა სიწითლე. კიდევ კარგი, გამოძახებული ლიფტი მალე ამოვიდა და გუნებამოშხამული შიგ „შეიმალა“.

როცა ლიფტი დაიძრა, ბიჭი კარს მიეყუდა, თვალები დახუჭა და ატკივებული შუბლი მოისრისა.

„რაღაც არ გამოდის?!“ — თითქოს გარედან მოვიდა ეს გაფიქრება და საფეთქლებთან, სწორედ იმ ადგილას, სადაც ბიჭმა თითები მიიჭირა, დაუპატიჟებელ, უსიამოვნო სტუმარივით ჩასახლდა. ამ თითებითვე გრძნობდა, როგორ აჩქარებით და უკიდურესი დაძაბვით ფეთქავდა თვალის უპეებთან ზომაზე მეტად ამობერკული ძარღვები.

თავბრუდახეული და „შინაგან წონასწორობადარღვეული“ (როგორც თვითონ ფიქრობდა) ბიჭს რამდენიმე წამით ისიც კი დაავიწყდა, რაზე ჩადიოდა ძირს და, როცა მოულოდნელად ლიფტი გაიშეკა, რაც იშვიათად როდი ხდებოდა, არც კი უფიქრია თითი დაეჭირა ღილაკისათვის, რომელსაც „წითელი ოთხკუთხა ასოებით ეწერა „ВИЗОВ“, ანდა მუშტებით ბრახუნი აეტეხა ლიფტის კარზე...

„რაღაც არ გამოდის?!“ — ამბობდა იმიერბდა გუნებაში, როცა ოთახში შემობრუნდა და დივანზე გაიშლართა. — „რაღაც არ გამოდის?!“. — ამბობდა და, თან, რატომღაც, — იმ წუთას თითქოს სარკეში ჩაეხედოს — თავისი ღიმილისაგან დაღმეჭილი სახე დაუდგა თვალწინ, რომელიც რაღაც „მიუწვდომელ ძალას“ უხეიროდ ჩამოქანდაკებინა, გაექცევებინა მაშინ, როცა გოგოს წინ იდგა და „სიტუაციისაგან“ თავის დასახსნელად სახუმარო სიტყვებს ეძებდა.

— რა მოხდა?! — ჰკითხა ქალმა. ის დერეფანში გამავალ კარში წითელი ხილაბანდით თავწკარული იდგა და საპნიანი, იდაყვამდე ქაფმოდებული ხელები ერთმანეთზე გადაეჯვარედინებინა.

ბიჭმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— რა უნდა მომხდარიყო? — გაეპასუხა. — უბრალოდ, კიბე ფეხით ამოვირბინე! — და სასწრაფოდ დაუმატა: — მთელი დღე ოთახში ყოფნა, უმოქმედობა, აყეყეჩებს კაცს!

უცბად იგრძნო, რომ სიტყვებმა „კიბე ფეხით ამოვირბინე“, რომელიც უნებურად მოადგა ბაგეზე („წყალწყლიანებული ხავსს რომ მოებღაუჭება, ისე“), შინაგანი წონასწორობა დაებრუნა და გაოცებით გაიფიქრა: „იქნებ ეს ამბავი — (უცნაურ ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობდა) ჩემსა და ნაიას შორის კი არა, ჩემსა (ლამის გაიფიქრა — „ჩვენსა“) და ვიღაც „ბესამეს“ შორის ხდება, რომელიც ისე “უთვალთვალებს“ ჩვენს ურთიერთობას, როგორც, ვთქვათ, სინდისი — ჩვენს მოქმედებას?!. ჰა?!. იქნებ, პიესა უკვე დაწერილია და ჩვენ როლები გვერგო მხოლოდ?!“.

ეს უკვე აღმოჩენას ჰგავდა, ცხადია, — გარკვეული თვალსაზრისით. ბიჭს შესამჩნევად გამოუკეთდა გუნება. „როცა ფიქრში ირონია გაერევა, დარდი გვიმსუბუქდება ხოლმე. ეს ისე ხდება, აი, თითქმის ქანცგაცლილი მოჭიდავე რომ მოიგდებს ქვეშ — ღმერთო, როგორც იქნა! — მოწინააღმდეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეს და ზედ მოეკვეცა“.

გამთენიისას, როცა ქალი წასასვლელად მოემზადა და მცირე ყოყმანის შემდეგ იკითხა, ხვალ მოკვიდე თუ არაო, ბიჭს არ გაკკვირვებია, მიუხედავად იმისა, რომ მას ადრე არასოდეს უკითხავს ეს (ბიჭი პირდაღმა იწვა და, ქუთუთოებდაძმძმებულს, თვალის გახელაც კი საშინლად ეზარებოდა). პირიქით: ამ კითხვამ გაუცნობიერებელი შვება მოჰკვეარა. მოეჩვენა, რომ ქალის ნათქვამი მას რაღაც ვალდებულებისაგან, თუ ეშმაკმა იცის, რისგან — ათავისუფლებდა, ოღონდ ისეთი რამისაგან, რომლისაგანაც ერთბაშად კი არ უნდა გათავისუფლებულიყავი, არამედ ნელ-ნელა. ისე, როგორც შემხმარი სისხლის ქერქს მოიცილებს კაცი ჯერ კიდევ მტკივნეულ ჭრილობაზე.

— მე თვითონ დაგირეკავ! — გაეპასუხა ბიჭი ისე, რომ არც გატოკებულა, ოღონდ ეს იყო, ცოტა ძალდატანება მოუხდა თავის თავისათვის, რათა ბაგეები აემძრავებინა. ისე კი, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, არც გაპასუხებოდა, მაგრამ სადღაც, სულის (თუ სხეულის) სიღრმეში გაიფაჩუნა ეჭვმა: ისევ პირუკუ არ შემოტრიალდესო ის ამბავი, გაუცნობიერებლად რომ ღიქვამდა ბიჭი და რომელიც „რაღაც ვალდებულებისაგან, თუ ეშმაკმა იცის — რისგან“ თავისუფლებდა. ოღონდ, ამაში არ იგულისხმებოდა ის, რისთვისაც ამოიყვანა ბიჭმა ქალი და რისთვისაც დადიოდა თვითონ ქალი ყოველ მომდევნო საღამოს, არამედ — ის, რაც ამ ამბის გამო, უფრო ზუსტად: ამ სიახლოვის გამო, და ამ სიახლოვის ხასიათისათვის სრულიად შეუფერებლად, მაინც რომ გაჩენილიყო.

მერე ნახევრად მძინარეს ესმოდა, როგორ მიბაკუნდა ქალი კარებამდე... ამ დროს ბიჭი მხოლოდ ერთი სურვილით იყო გამსჭვალული — როგორც კი გაიხურავდა ქალი კარს, „ერთი ლაზათიანად“ წაეძინა. ქვეშეცნეული დაეაბეგინ ელოდა იმ ბოლო ხმას, კარის მიხურვას რომ უნდა გამოეწვია, თან იმ სიმშვიდეზე ფიქრობდა, რომელიც სიწყნარეს, უფრო ზუსტად, სიჩუმეს და ძილს უნდა მოეტანა.

მაგრამ ყველაფერი, ბიჭის გასაოცარად და გაუგებრად, ამჯერადაც სულ სხვანაირად მოხდა და არა ისე, როგორც ფიქრობდა და მოელოდა. „წკაპ!“ — ოღნავ გაიწკაპუნა კარმა. ბიჭს მოეჩვენა, რომ რაღაც გატყდა და ამ შეგრძნების გამო ინსტინქტურად (ისე, თითქოს ვინმეს წყლის წვეთები შეეხეფფებინოს) წამოიწია. მარცხენა ხელის ზურგით ქუთუთოები მოისრისა და შეეცადა თვალი შეეჩვია „ბინისათვის“, რისთვისაც ამ გამთენიის ჟამს თანაბრად შეიძლებოდა „სინათლეც“ გვეწოდებინა და „სიბნელეც“.

ქუთუთოები ისევ ისე ჰქონდა დამძიმებული, როგორც მაშინ, როცა ქალმა ჰკითხა: ხვალ მოვიდე თუ არაო, მაგრამ მისი ყოველი ცდა დაეძინა, ამაო იყო. უცბად საათის ტიკტიკი მისწვდა მის სმენას და მოეჩვენა, რომ ამ ხმამ ის ადგილი დაიკავა „მასში“, ამ ხმის გაგონებამდე სიცარიელე რომ დაჰპატრონებოდა. მაგრამ, ამავე დროს, ინტუიციით ხვდებოდა, რომ ეს ხმა არ იყო „მთავარი“, არამედ — ის, რის გამოც საათის ეს უმნიშვნელო ხმაური დაჰპატრონებოდა სივრცეს. ეს უცნაურად აფორიაქებდა ბიჭს და საწოლზე წამომჯდარმა და ამ უცნაურ ფორიაქს ყურმიგდებულმა, თავისდა უნებურად ასე გაიფიქრა: „ასეთი განწყობა, ალბათ, იმის შემდეგ თუ ექნება კაცს, როცა მეტისმეტად სიცხიან დღეს, უცხო ქალაქში სტუმრად ჩასული, ზღვიდან ამოვა და დაინახავს, რომ მისი ტანსაცმელი მოუპარავთ...“

ბალიშს ჯერ კიდევ აჩნდა ქალის თავნადები. ხოლო სადარბაზოში გამავალი კარის ჭუჭრუტანაში ნათურის შუქი ვარდისფერი წერტილივით ჩანდა. გვერდითა კედლის ისედაც ფერგაზუნებული ზედაპირი კი ამ სიბნელეში (თუ სინათლეზე) ბინდისფრად გამოიყურებოდა და თითქოს სადღაც გამქრალიყვნენ დრო-ეამისაგან ზედ გაჩენილი მტვრის ლაქები... ჯერ ადრე იყო და არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯულიეტა მილდიანი

ცა წაულეკავს უცისფრეს სიზმრებს,
მიწა, — მაისის ვარდებს!
უარი! უარი, დათალხულ ფარდებს,
— კვლავ გაზაფხულის მმართებს!

ზეცა უმეტეს არა დალზენილთ,
უფრო წამებულთ გვართმევს.
სიძულვილისა არარა მმართებს,
სიყვარულისა მმართებს!

გავეკიდები ცეცხლისფერ ცისკარს,
ცრუს გავექცევი ხლართებს;
გადავეგები სისხლიან კვართებს,
— ერთგულებისა მმართებს!

ეჭვით გავცქერი ზოგ-ზოგთა ზრახვებს,
ვუსმენ მაყივარ მართვეს;
ბოროტს სულ მუდამ კეთილის მართებს,
კეთილის ყველას გვმართებს!

გულისხმა

მაინც ნუ! სიცილ-ქირქილით
ნუ მეტყვი ბედის მსჯავრს;
ისედაც ვეღარ ვაქიმობ,
ამ ჩემს დიაცურ ჯავრს.

თუ ვფხიზლობ, შენს ძილს ვდარაჯობ
რას ვიქმ უკეთეს სხვასვ?!
ღმერთმანი, ვიცი რაც მიჯობს
მაგრამ ვერ ვიცვლი ხმას.

ვხედავ, რომ მავან-მავანი,
ყალბ ცრემლს ჩუქურთმით რთავს;
ცრუ ზიზილ-პიპილიანი,
ვერ შემოგკადრებ თავს.

მე ჩრდილში დაგრჩე, ჩამთვალე
ბალახს დაბნეულ ცვრად.
შენს მიწის გულზე ვკვდებოდე,
შენთვის შობილი ცად...

არ გადავვლიდე ვაგლახად,
შენს სამანსა და ზღვარს.
გულისხმას შენსას მივყვები,
ცა-გზის გამკვალავ კვარს.

დავიწყება

მადლობა ღმერთს, რომ
მღვიმეში მძინავს;
არცვინ მაღვიძებს,
დიდი ხანია.
მე დამავიწყდა,
ლექსებს რად წერენ,
მზის ცრემლებს
ვისკენ მიუხარიან...

მე დამავიწყდა,
რატომ ცეკვავდა,
კლდის გულზე,
თოვლში, — ედელვაისი,
რას მომძახოდა,
ან ქართლის გზებზე,
აფეთქებული
სხივი მაისის...

მე დავავიწყდი
ცისკარს, განთიადს, —
გრძნეული შუქით
მკერდს რომ მიკრავდნენ,
და საქართველოს
მცირე ღრუბლებსაც, —
რომ დავყვებოდი
ფიქრით-ფიქრამდე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეღარ ვიგონებ
ვერც იდუმალ ხმებს,
ვერც იმ ხმებისგან
მოგვრილ ფორიაქს;

მე დამავიწყდა
წრფელი ხმა მიწის,
ვეღარ ვიხსენებ
ცას რა ფერი აქვს.

თქვენგან მჭირს

გულზე ნაფეხურს რა უნდა,
ცაზე რა უნდა მღილს?!
მზეც შენგან, მიწავ შენგანაც...
თქვენგან მჭირს, რაიც მჭირს!

ანათებ, ჩემთვის ანთიხარ.
აწვიმებ... ჩემთვის წვიმს.
რა ვი... ვერ გამოგიზრდივართ,
თუ ისევ ვგავარ ჩვილს.

სულში ან მაცილს რა უნდა,
მზეზე რა უნდა ჩრდილს?!
გულო, არ დაეხრევინო
სევდის მოჩენილ ჩრჩილს.

ბალახს რომ ზეცა სწყურია, —
უძალადდება ჭირს,
სიცოცხლეევ, ცავ და მიწაო,
თქვენგან გვჭირს, რაიც გვჭირს.

ჩემს შვილებს კი არ გახსენებ,
მზეო, შენს საღვთო წვლილს;
ამით თუ ჩავესესხები,
მიწას თვის კუთვნილ წილს.

აუ, რამდენი ვიცოცხლე,
წლებს — სხივებს ვითვლი ძლივს.
ერთ ლექსსაც აღარ გავატან,
აქ მორიალე ძილს...

მზე რომ თავზე ხელს გადმისვამს,
რა ვქნა, ვემსგავსი ცვილს.
ცა რომ ტკბილ ჩურჩულს გამიბამს,
ვითარ სანუკვარ
შვილს...

...როგორ არა ვთქვა, ო, ღმერთო,
ვძლევო ყოველგვარ ჭირს.
მზეც შენგან, მიწავ შენგანაც,
თქვენგან მჭირს, რაიც მჭირს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმირა მამედოვი

(ვუძღვნი დასავლეთ საქართველოში წყალდიდობით დაზარალებული რაიონების მცხოვრებთ)

ელდა

ბზოლოდ დუმილი,
მთებს რომ სჩვევიათ დიდი ზვავის წინ,
აი, ისეთი,
მდუმარება მთებში სუფევდა
შე კი ვიდექი ვით ყუმბარასთან
და ჩემი გულის შიშინს ვისმენდი...

ქართველს რომ თოვლი უყვარს,
მიტომ მიენდო თოვლს;
თოვლი კი ზოგჯერ ვერანა
მარტის სიმწვანეს ძოვს...
ქართველს რომ წვიმა უყვარს,
მიტომ მიენდო მას;
მიენდო, როგორც სტუმარს,
როგორც ენდობა სხვას.
წვიმა კი თურმე დაგიშენს

...ჯიში დაგელოცოს რაჰიპ მამედოვო,
გურჯი ძმაი იტყვის, წამლად
მომედოვო...
მე რომ შენ იქ გაკლდი იმირ
მამედოვად,
დედა საქართველოვ, უნდა მომიტევო.

ჯიში დაგელოცოთ, გადარჩენილები,
ჯიში დაგელოცოთ, ლამაზო გურჯებო!
მართლა არწივებად მთებს
გარჩენილებო,
შორიდან, ყინვაში მთებივით
ლურჯებო...

ამ წარღვნას გადურჩით; ის რაღას
დაგაკლეთ?! —
შერჩით მატიანეს მარად სველ
ფურცლებად...

და გაოგნება,
ზვავის შემდეგ რომ სჩვევიათ სოფლებს,
ჰო, ზუსტად ისე;
ღმერთო, სრულიად წამერთვა ნება.
მე ისევ ვდგევარ, ვით ყუმბარასთან
და ჩემი გულის ჩუმ შიშინს ვისმენ...

ხან წვეთს კი არა, ქვას...
...ქართველს რომ ზეცა უყვარს,
ქართველს რომ უყვარს მთები,
ქართველს რომ წვიმა უყვარს,
ქართველს რომ უყვარს თოვლი,
ამოეფარა სიყვარულს
შავი დღე, შორ-შორ მოვლით
დაატყდა თავსა, დაატყდა
მოსიყვარულეს ყოვლის...

დედას გეფიცებით, მე პირში არ
გაქებთ,
თქვენ რომ გაუძელით, სხვა თუ
გაუძლებდა?!

ჯიში დაგელოცოს, რაჰიპ მამედოვო,
გურჯი ძმაი იტყვის, წამლად მომედოვო.
მე რომ შენ იქ გაკლდი იმირ
მამედოვად,
დედა საქართველოვ, უნდა მომიტევო.

ბევრის მნახველი დაჯდება და ასე
მოჰყვება: —
დღევანდელი დღე ხვალის ყანისთვის
მხოლოდ ხნულია;
გამომიცდია, დიდ ჭირს დიდი ლხინი
მოჰყვება, —
დიდი თოვლის ქვეშ უფრო დიდი
გაზაფხულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისარტყელა

წვიმს და ფართოდ ვაღებ ჩემი ოდის
სარკმელს,
ამგვარ წვიმას რაღაც ქვია სხვა
სახელად,
მერე წელზე შემოვიხვევ შვიდფერ
სარტყელს —
ათასეულ წლის წინ ხმობილს
ცისარტყელად.

ავენთები მერე შვიდფერ განთიადად,
ხელმეორედ ამღერებას შენსას ველი,
თორემ რუხი ფერით მიწა გატიალდა
და გადაჭნა ჩემი დიდი მწვანე ველი.

სხვას არ ვკითხავ შენს უეცარ
გამოჩენის
აზრს და მიზანს, თავს და ბოლოს,
ბნელს და ნათელს
და როდესაც შენი ნახვა გამომრჩება
მაშინ ალბათ გამოვაღებ სულ სხვა
სარკმელს.

●

ასე ეგონათ
მინდვრის ბალახებს,
ცვარ-ნამიაო
ცრემლი იისა...
რადგან მავანის
თვალში მავანი,
ვერ დაინახავს
ცრემლს ტკივილისას.

●

შხუის უაზრო აზრთა ჩანჩქერი,
შხუის, მიათრევს ქვა ღორღებს დაბლა.
სარკმლიდან ვიღაც ზიზღით დამცქერის,
ქუჩაშიც უკვე გაჭირდა გავლა.

მომკლა ქალაქის მტვერმა და ხვატმა,
გული მომიკლა ჭკნობამ ბალახთა,
ვდგავარ მოლბერტთან და რუხ ფერს
ვხატავ,
რუხს — შეზავებულს ცისფერ
ტალახთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ანანიძე

მშობლიურო სერებო

ნაკადული ისე გშვენით
ვით მზექალას ლეჩაქი,
ვგრძნობ, ფიქრები რაა თქვენი,
რას მთხოვთ და რად მეძახით.
ჯადოქრული სილამაზე,
სიუხვე და ღირსება
გსურთ რომ კვლავაც წინაპრის გზაზე
აგიმღლონ შვილებმა.

ციხე-კოშკის სათოფური
მერცხლებს იკრებს უბეში,
შევდაღადებ, კრძალვით, ვუვლი,
კვლავაც არის ნუგეში.
შუბებივით ამართული
მშობლიური სერებო,
თქვენთვის მოვკვდე საერთგულოდ,
როგორც გსურთ და გენებოთ.

●

„ისევ უკან დავიბრუნე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.

ხალხური

ქალაქში ნაცნობს
ვუსახსოვრე ლექსთა კრებული,
არც გადაფურცლა,
შეგყურებდი გაკვირვებული.
ლუარსაბს ჰგავდა,
ბრწყინვალება, განცხრომის მონა,
შიგ რა არისო
მკითხა, ნეტავ, შიგ რა ეგონა?
რისთვის წერ ლექსებს?
მაგ საქმისთვის როგორ იცლიო,
შენც ფანტაზია
გყვარებია, ვაი სირცხვილო...
დავემშვიდობე,
წამოვედი, გულდაწყვეტილი.
სოფლის ბილიკთან
შველი შემხვდა წყნარი, კეთილი.
მისმა მშვენებამ
დამავიწყა სევდა ფარული,
ღამით სიზმარი
აუტალღდა გულს კოშმარული.
თითქოს ვებრძოდი
გველეშაპებს უხმლოდ, უთოფოდ,
ჩიტის რძესაც კი
მპირდებოდნენ, თუ შეგვინდობო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათო ასობაძე

ნადირობა

მოთხრობა

დღის ორი საათია. ტრაგიკულ დილემას შეუპყრია ტახტზე წამოგორებული დათო... გავიდე გარეთ, თუ?..

დგება, შხაპს იღებს. შემდეგ იწყება მნიშვნელოვანი პროცედურა — თმის ვარცხნა; ტელეფონი წკრიალებს.

— მე ვარ. რას შვრები? — ისმის მეორე ბოლოდან. მეორე ბოლოში ამირანია.

— მძინავს და გაორებული ვარ... — პასუხის შესაბამისად ამოქარაგს დათო.

დათო მაღალი ბიჭია. მაღალი და თხელი. სულ სამოიოდე თვის წინ შეუსრულდა ოცდაექვსი წელი. უნივერსიტეტი სამოცდათექვსმეტში დაამთავრა — ფილოლოგია. შესაბამისი სპეციალობით მუშაობს ლიტერატურის ინსტიტუტში. ლამაზი, წაბლისფერი თმა აქვს, გრძელი, ოდნავ მშრალი სახეს მაღალ გუშბათად ადგას მძლავრი, გამობურცული შუბლი, დამრეცი მხრები კიდევ უფრო აგრძელებს საკმაოდ გრძელ ზედა კიდურებს. ოდნავ მოხრილი სიარული იცის. მისი ნაცრისფერი, ღრმად ჩაჭდარი თვალები თითქმის ყოველთვის გაურბიან მზერასა...

... — ლევანს არ დაურეკია?

— რაისთვის უნდა დაერეკა?

— ბიჭო, შენ... გიგას ჩემთან.

— შესანიშნავია, მერე?

— თოფი გააქვს?

— თოფი? რა თოფი?

— ვნადირობთ, შენ ჩვენო ინტელიკტო, ვნადირობთ... კახას გენიალური სოფელი ჰქონია...

— სოფელი?

— მაგარი სოფელია, ბებია... ბადრისხევი ჰქვია, სახლი, რამე, ბლომად ცხოველები...

— ოჰო!

— მაგარი ჭურისთავი... გუშინ იყო ჩემთან, გენიოსი ბებია. ხაჭაპურები, ჭყინტი ყველი, ლობიო, რამე... ვინჩესტერი გვაქვს, ერთი ტუღაც... ერთიც იშოვე და ვგრიალებთ.

— როდის მივდივართ?

— დღეს, ოთხშე.

— მოიცა, მოიცა, მგონი ჩემს ბიძაშვილს უნდა ჰქონდეს...

— ხოდა, მიდი რა... ნალდად გვინდა, გორის „ელექტრიჩკას" მივყვებით, ოთხზე გადის.

— სად იქნებით?

— პერონზე, საათთან.

— კეთილი, გავიქცევი... ოთხს რომ ათი დააკლდება, უეჭველად იქ ვიქნები... მოიცა ვინ და ვინა ვართ?

— მე, ლევანა, კახა, გიგას კიაზო მოპყავს.

—ეს კიაზო ვინღაა?

— ქეთისთან რო იყო...

— ის ძვირფასი იმბეცილი? ხო, კარგი, კარგი, წავედი...

●

სადგურზე, რა თქმა უნდა, ხალხი ირევა. კანკალებენ, ვიშვიშებენ ელექტრო მატარებლები, ღმეიან თბომავლები...

— ყურადღება, ყურადღება! მატარებელი № 4567 ათი წუთის შემდეგ გავა ლიანდაგიდან...

დათო მორბენალს მოპკრავს თვალს. ეს კიაზოა. ის „ძვირფასი იმბეცილი". თუმცა კიაზო კი არა, უფრო სწორად, ვეება რეზინის ჩექმები, ბარძაყებზე გადაკეცილი შავი, ბლაგვი უელეი, მომრგვალებული ჭვინტიით, და საკუთარი მიკროკლიმატით; ამას ზემოთ რამდენიმე ქამარია აუარებელი რგოლებით, ჩასაკეტებით, ჩასაკეცებითა და მარყუჟებით. შემდეგ მოდის ხაკის პერანგი ხამხრეებითა და უამრავი ღილით; იღლიებში ამოჩრილი საიმედო ხანეკურები, რომლებიც აკავებს ზურგჩანთაში მოთავსებულ ათასნაირი აუცილებელ ხელსაწყოს — დასაკეც დანებს, ჩანგლებს, ჭიკებს, კონსერვებს — ზღვის პროდუქტებს. აკ ვარდებიანი თერმოსიც არის და სამწვადე შამფურებიც, ესარტქურაცა და ბევრი სხვა რამ. მხარზე გადაკიდებული თოფის ლულა ჩექმების ელამუნება. დასასრულ — ფერადი ბუმბულებით შემკული ტროლული მწყემსის კუდი. მთელი ეს მონ-

სტრული მეკანიზმი დაუსრულებელ ჯაბეჯანში. ჩახჩახში და მოძრაობაშია.

ისე კი, კიაზო ძვალმსხვილი ახალგაზრდაა, მოკლედ შეკრეკილი თმა აკვს და დიდი. კვადრატული სათვალე უკეთია.

— დათო, დათო, გამაგრძობა, ამბავ ვის ვხედავ, როგორა ხარ? — კოშინების კიაზო.

— გაუმარჯოს.

— აქა ხარ, ბიბეიბს ელოდები არა? არ მოვალენ, ყველა წავიდა...

— სად წავიდა?..

...ტუუ! ტომატისფერი, მონდოლოლიდური მოკუდულპარპარიზებიანი ელექტრომაგნატებელი № 4587 ჩამოდგა პირველ ბაჭანთან, კარები დაღო და ლოდინს მოაყვა. შავოსანი დედაბრები სახურაფოდ შეკაკანდნენ ვაგონში, კუთხეებმონიკელებული შავი ჩემოდნები შეთარეს და უახლოეს ფანჯარასთან მოკალათდნენ...

— გიგაც წავიდა და ყველა... ერთი საათის წინ ლაბორეტს... ეე... არა, ერთი საათნახევრის წინ დამირეკეს. ჩვენ მივდივართო, ახლა ჩქარა თოფი იშოვეთ და ოთხ საათზე გადი პერონზეო და ერთად წამოდითო, ბებიასთან ყველა ვერ დავეტევითო... ეე... კიდევ ერთ ბინას ვიშოვითო... ლეანას მანქანა უშოვია და წასულან. ჩვენი ადგილი მაინც არ იყო, შენ სახლში არ ყოფილხარ და ვერ გაგაფრთხილეს... ეე... მე გზა მახწავლეს და ვიცი, აუცილებლად, უხაკდილოდ მივაგნებთ...

ელექტრომატარებელმა კანკალს და ვიშვიშს უმატა, კარები დახურა და ღმუილით დაიძრა,

— ძალიან კარგი ყმენო, აკ რომ დავსხედით, შუაგულში. ვერ ვიტან რესორებზე ჯანჯღარს, — ამბობს კიაზო და თან დიდი მონდომებით თავის აშუნიკიას ახარისებს თაროზე, მერე დათოს თოფსაც მიაკიდებს.

— სიგარეტს მოწევე. — ამბობს დათო და გადის.

— რას შეუუუულხარ ამ ტამბურში, ცარიელია ვაგონი... ზომიკედეო, — კარს ალებს კიაზო.

იგი ახე, ოცდაექვსი წლის იკნება. შარშან დაამთავრა უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი. კათედრაზე პროფესორ-მასწავლებლებმა ეშეშარიტად კარგი მოშავალი აღუთქვეს. მის გულის სწორ ფსიქოლოგ მარიკას ნამდვილ სანგვინიკად მიაჩნია. ბევრს კითხულობს, მაგრამ ყველფერს. მისი ინფორმაციული უნივერსალობა ჩამოსაყალიბებელი ინტელიგენციის ყაბრი ტვინის დამადასტურებელი ნიშანია. მისი გონების უკომპლექსო ფორეზმი ათასნაირი ერუდიცია გროვდება, მაგრამ სად და როგორ აზოხეთოკავს ყაბრული ფლორა, ძნელი განსაკვრეტია. წინათ ეს ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იყო, მაგრამ ახლა აკსელერაციის, ემანსიპაციისა და კიდევ ყველანაირი „ციის“ ეპოქაში ერთი ან ორი თაობის წელხვედრია.

— შე კაცო, ალარ მეტყვი რაზე მივდგარხარ? — მგელზე, ფალეზე თუ ტუროზე, — ეკითხება კიაზო და საჩვენებელი თითით თეატრალურად ალერფლებს იტაკაზე. — საშინლად მინდა რადაცის მოკვლა, პირდაპირ ხელები მეკავება!

— განდგირხარ?

...ტაბმბურის კარი იღება და მეზობელი ვაგონიდან ჭერა ტურისტი ქალები გაჩოდიან...

— ცხოველებზე არა... — ამბობს კიაზო, შემინულ კარს გაუღებს ხტუმრებს და დათოს თვალს უკრავს.

— შეგვდიო, — ამბობს დათო და შემინულ კარს გაბედავს... ბრძენი და უეშოცეთა ამ კაცის ხელი, ვაზის ლოდინში დაბრეკილებული...

— ეკაცოცავდ, ბატონო, ქვემო ბადრისხევი რომელი გაჩერებაა?

— მეოთხე გაჩერებაა, ბიბეა, ახლა რომ გაჩერდება იმის ჩათვლითა...

— გმადლობთ.

ბიბეი თავის ადგილზე ბრუნდებიან. კიაზო ვერ ისვენებს. — მუშტს ამოძრავებს სახსარში.

— ხოო. ეე... კარატეზე როგორა ხარ? „ზნანინე სილაში“ წავიკითხე, თურმე პატარა ჩიტებს კლავენ ყვირილით, არაფორმალური. მზის წნულიდან ამოხეთქილი ჩხავილით და ა.ი. სწორედ ეს არის ენერგია. აი, ახეთი, ააააა! — კიეის კიაზო და რადაც უცნო, კომიკური პოზას იღებს.

— ეგ მერე, ტუფი სცადე. — ამშვიდებს დათო და ქერა ტურისტ ქალს ეღიმის...

... — ეხეე ენი ბადრისხევი... ახლა ავტობუსი გვინდა, — ამბობს კიაზო და აკეთ-იკეთ იუურება.

— ეგერ იმ მოსაცდელში შევიდეთ, — ამბობს დათო. ბეუკისფერი და შმორიანია მოსაცდელი ფარდული. რამდენიმე უპატრონო ძაღლს შეუფარებია თავი. ცოტა მოშორებით გაურკვეველი წლოვანების შავოსანი ქალი ჩამომჯდარა უშველებელ ტომარაზე.

— ქალბატონო, ბადრისხევში აკედან ავტობუსები დადიან? — ეკითხება კიაზო ქალს.

— კი, შვილო, აგერ იქ, სადგურის უკან მოლისფერი ავტობუსი როა, ისაა ბადრისხევისა.

კიაზო პირველი შეაფრინდება ავტობუსის საფეხურს.

— გაგიმარჯოთ, თუ გინდათ!

— გამარჯობათ, — პასუხობს სალამზე კახური ბუდანინ ბანშეშესული კაცი.

— გაგიმარჯოთ, — იკრიბება პატარა სოფელი ბიბეი...

რის ვაი-ვაგლახით და კვნესით დაფარა ავტობუსმა მტვრიანი და ღორღიანი სერპანტინები და, როგორც იქნა, ზემო ბადრისხევის სახოფლო საბჭოსთან ამოისუნთქა. ამბობენ ბინდი სულ გაიისამნისფრდა და სოფელი მირაკეიით ჩამოიღვენთა საკონლის ენასავით დაბორკილი რელიეფზე.

— ბიძაქემო, შენ ეს მითხარი, გაგნიძეები სად

ცხოვრობენ, სანადროდ ჩამოვედით ბიქები... — ეკითხება კახურჭუდიანს კიაზო და იზმორება.

— არ ვიცი, შვილო, გაგნიერები, სტუმარი კაცი ვარ თქვენსავით.

— ბიქო, გაგნიე კახაა, ბებიამისი რა გვარია? — უსაბამოდ აურეოლებს დათოს.

— წარმოგიდგენია, სულ არ გამხსენებია, რომ მეკითხა. არა უშავს, უეჭველად მივაგნებთ. — იხტიბარს არ იღებს კიაზო.

მიდიან დაუსრულებელ ორლობეში, ჭრიჭინები ბაკაიოქ უკვე ბოლოვრცელიერად ემზადებიან. ნაგაზებმა თვალი მოჰკრეს თოფიან ბიქებს და იხტერიული ჯაჯაანი ატეხეს.

— კახაა, გიგაა, კახაა, კახაა! — იკივლება კიაზო.

— ავტომუსს მაინც დახვედროდნენ ის იდიოტები, — ბრაზობს ძილმორეული დათო.

— კახაა, გიგაა, კახაა! — ისევ იკივლება კიაზო. ძაღლებმა ჯაჯაანს უმატეს, მთელი სოფელი ეეფიდ იქცა.

— რომელი ხარ, კაცო? — ისმის ზორიდან.

— ვინაა ეს ოხერი? — ისმის უფრო ახლოდან. — გაჩუმდი, ძაღლო!

— მასპინძელო, მითხარი, თუ კაცი ხარ, კაცა გაგნიძის ბებია სად ცხოვრობს... ეე... ხო, რა ბებია? — ეკითხება კიაზო და თან ძაღლისაკენ იყურება.

— გაგნიძეებია, არა ეგეთები აქ არ ცხოვრობენ. — ღობეს მოადგება თმაშეგრცხლილი მასპინძელი.

— ბატონო, ხომ არ გაგიგონიათ, ან ხომ არ დაგინახავთ, ბიქები უნდა ამოსულიყვნენ ბილლისიდან, ერთ-ერთის ბებია აქაურია, გვარი არ ვიცით, — ნერვიულად მარცხლავს დათო.

— არა, შვილო, არც გამიგონია და არც მინახავს. ერთი ეგეთი მარტოხელა დედაკაცი ავერა ცხოვრობს, ჩემს გვერდით, მაგრამ იმ ქალსა პრაფესორი შვილი ჰყავს და ხმა არ ვიცი.

●

ბოჩოლას ბღვალითია და სადღაც სულ ახლოს ჩასაფრებული, გაბღენძილი მამლის ყივილით გათენდა დილა — დილა საოცარი, მზოლოდ შენ საამბლოლში რომ იცის ისეთი დილა... ადგები... არა, არა. თუ ადექი და გააცნობიერე, რაც ხდება, ვერ გიიგებ. უბრალოდ, უნდა გაახილო თვალი და გაინახო. ჯინჯილებიანი, ძველი მოყვითალო-მოთეთრო ნაკერგი ფარდისაკენ უნდა გაიპარო მზერა და ფანჯრის ზედა კუნკულში უცისფრეს ცას მოჰკრავ თვალს. მიწის სურნელებაკი ვეღარ დაკავებს ეს ძველმანი ფარდა. გაიხედ-გამოიხედავ, მონიკელებული საწოლის ზედა მსხვილი ბურთულას გასწვრივ ბრტყელი ავერი ნაგებ ბუნარსაც დაინახავ, იქვე, ახლოს ძველ ჭრიჭინა საკმელა სავარძელსაც და ახე ალმოჩნდები სასწაულებრივი მისტერიის მოწმე... არა, არა, რაც გინდა, ის დაარქვი — მამული, სამშობლო, ფესვები — არ ვიცი... მერე, უნდა ადგე, დიდხანს ვერც გაჩერდები საწოლში. და გარეთ გაბვიდ... მერე გინდა. მართლა დილა მშვიდობისა უთხრა კაცს, ანდა კარ გამარჯობა, ნამდვილი გამარჯობა უსურვო... მერე, მერე გინდის საგანგაშო იმპულსებიც დაიწყებენ აღლუმსა... აკ რა მინდა?.. კახას არავითარი ბებია არ ჰყავს!.. ბიქებმა გაგვაშაერეს!

— ...بببببب

— უჰ, რა უბედურებაა ეს, კაცო, უჰ! — ემანეკეს სახე კიაზოს.

— ორნახადია და...

— გუშინ გვიან ჩამოვედით და ვერ კი შევნიშნეთ აჭაურობის სილამაზე, — უხერხულად ავსებს პაუზას დათო.

— ოო, ბუნება იოცებლე, ბუნება კი კარგი გვაქვს...

— შენ ეს მითხარი, მზეცი თუ იცის მაგ თქვენს ტაეში? — დედლის ბარკალს შეიქცევა კიაზო.

— ნადირი ბევრია, ზამთარში მოსვენებას არ გვაძლევს...

— დათვი თუ იცის?

— დათვიც იცის, მელაც იცის, როჭო, მაჩვი, ბევრია ღორი, თხა...

— დათო, დათო, იცი, შესანიშნავი აზრი მომივიდა, რა იქნება, დათო, სანამ ეს ჩვენი ავტომუსი ჩამოდგებოდეს, ხომ არ გაგსულიყავით ტყეში და ერი-ორი ვაშნა ხომ არ დაგვეცალა, ბადრისხევის ფაუნაც მოგვესინჯა, მით უმეტეს, რომ ჩვენ განკაოგულებაშია მთელი რვა საათი?

— რა გეჩქარებათ, ახალგაზრდებო, აგერ აქ იუავით, მოისვენეთ.

— აბა, დიდი მადლობა, ისედაც შეგაწუხეთ, გავისეირნებთ...

— რა თქმა უნდა, აქამდე ამოვსულვართ და, როგორც იტყვიან, აჭაურობას კბილსაც მოვუსინჯავთ, ნანადირეებსაც მივართმევთ, „ხაზინინ", არა, დავით?

— რასან ახეა, თქვენს ნადირობას გაუმარჯოს... ახალგაზრდები ხართ და რატომ არ უნდა ინადიროთ?.. ნადირობაში, შვილებო, კაცი გამოჩნდება. აი, მე შოთა ხარხელაურთან დავდივარ ტაეზე... სოფელში იტყვიან: ან წელიწადში ერთხელ ცარიელი თოფიც გავარდებაო... ბევრჯერ ვუოფილვარ ნადირზე, კორპოხევის გადალმაც ვუოფილვარ და გადმოდმაცა, მარა ახლობელ კაცთან, მეგობართან, შვილებო... უფრო შოთა ხარხელაურთან. უცხოს მე გზაში ვერ ვეწყობი... ჰოდა, თქვენს ძმაკაცობას გაუმარჯოს, სწორედ იმ ძმაკაცობასა, რამაც თქვენს აქ ამოგიყვანათ, — თვალები უცინის ალეს, რახს გადაკრავს.

— იოცებლეთ, იოცებლეთ!..

— არა... არიის გამოხდა მაინც არ გცოდნიათ... — ისეე იმანეკეს კიაზო.

...ხანადროდ მიდიან ბიგეი...

ვეეეხა ცაა. მხოლოდ ერთი ღრუბლის ფთილა გადმოკიდებულა თავკვე, კისერი წაუგრძელებია და მთის ნოტიო პაერით ტკბება. ნოტიოა პაერი, მცხუნვარეა მზეც. სადღაც ჩაპუტკუნებული მწყერი ჩაიქსუტუნებს უმწყვანეს ბალახში... გადახვალ გზიდან და კალიების უსიილავი ჯარი სკუპ-სკუპს ატეხს... ეხეე ეზენი ნადირობა კიაზოსთან...

— აუ, რა არის, ბიგო, რა პაერია, ხალხო, რა სიმწვანეეა, დათო. შეხედე, ამაზეც ამაზეც-მი, — „რა ლამაზია ქართული ზეცა, რა ხაამია ქართული ზვარი..."

კიაზო უეცრად ქვავდება. მისი მეტყველი ფეხები მთელი სამყაროს გაშეშებას მოითხოვს, გაჩუმდით, იბადება ახალი... ო, რა ძნელია შემოქმედება, უფრო სწორად, შემოქმედებითი მშობიარობა... ხელებს ისვამს სახეზე, მუშტს იკრავს შუბლზე...

— წამო, წამო, ბიგო.

— ქართველები ვართ შენცა და მეცა, ზეცა დაგვყურებს ჩვენ ხოცაირი! ჰა, ხომ კარგია, დათო, ეკსპრომტია!

— გადასარეკია!

— თუ გინდა მოგიძღვნი...

— უღრმესი მადლობა... გამოადგი ფეხი. გამოადგი!

—ჰო დათო, რამდენი ხანია მინდოდა მეკითხა შენთვის, ღორზე თუ გინადრია?

— რა ღორზე?

— თუ ყოფილხარ სანადიროდ, ტაეზე, ესე იგი, გარეულ ღორზე, ამბობენ, ძალზე სახიფათოაო.

— მე არა, ჩემი ბიძაშვილი დადის ხოლმე, შენ ხშირად ნადირობ?

— მე... ეე... მე ხომ გითხარი, რომ პირველადა ვარ და ისიც ახეთ პირობებში...

— ჰოო, პირობები რთულია, რაც მართალია, მართალია.

— არა, მე ვგულისხმობდი ან გამცილებელს, ან ძალლს, ანდა თუნდაც გამოცდილ მონადირეს. რა არის ეს, რა დღეში ჩავვიგდეს გიგამ და ბიბებმა, ახლა, რა იცი, როდის შეგვხვდება ეს ნადირი?

— ან შეგხვდება, ან არა... გიგა კი ნამდვილად შემხვდება თბილისში...

ტუე თანდათან ხშირდება... ლამაზია ხეები, დგანან და შრიალებენ. სიჩუმეა... სველია ხეები, სველია და სიცოცხლის წყლით არის გაჟღენთილი ყოველი ბზარი, ყოველი ნაოჭი. ტუე ცოცხალი კედელია, აუარებელი სიცოცხლეა... უნდა აითქვიფო, უნდა ჩაიძირო, ალბათ, ეს არის ერთადერთი ხაშველი... ამ კრტენს რვა საათი უნდა ვუუყოო...

მიდიან.

— დათო, მისმინე... თურმე დათვის მარჯვენა მხარი არ იმჭიდება, „ტყის მეგობარში" წავიკითხე.

— ეგ რატომაო?

— თურმე, ბეზე რომ ამობაღდება, მერე ჩამოსვლა ეზარება, პირდაპირ ხიდან ხტება და მარჯვენა ბეკით ეცემა. ისეთი დაბეგვილი, ჰკონია, რომ კბილს ვერ დაასობ.

— უუურე შენ...

მიდიან, გაუთავებლად მიდიან, ილლებიან...

— დათო, ამდენ ხიარულს და ნადირის დაფრთხობას, აგერ ამ ღრმეულში ჩავხაფრდეთ, არ

ხმობია? — კიაზო პატარა ბეგზი თავქვე ეშვება და გაზვრთნილი ჯარისკაცივით ბეგის მოპირდაპირე კალთაზე წვება.

— ჩამიდი, ჩამიდი, რაღას უყურებ?

აუცილებლად ამ ღრმულში ხომ არ ჩავსაფრდებით ორივე?... მე ეგერ, ჭკოთ... — იცინის დათო და კეკს შუბლზე გადმოიცურებს.

— ...ეკეთილი, ოღონდ არაფრის დიდებით პაპირისი არ მოსწყო, ხომ იცი, ნადირი გაბასკეცებულად გრძნობს თამბაკის ზსამიან ბოლს, აბა, შენ იცი!

იმბაები და იმუტტები კიაზო, თოფს შემართავს, კონდახს იხუტებს და... თვალებს კონდახზე ალაგებს — იცდინა! დათო ღრმულში წამოწვება და კეკს ბოლოზედ ჩამოიცურებს თვალებზე — ტუფს უსმენს...

იცდიან, მერე ისევ მიდიან, ისევ გაუთავებლად მიდიან, ისევ ილლებიან...

— დათო, რაღაც ძალიან ბეგრს მივდივართ, მოამზადა კიდევაც და მგონი კუკი ხერხემალზე მომეკრო. ხომ არ გვეკამა რამე?

— სადმე უკეთესი ადგილი მოვძებნოთ, წყალიც გვინდა.

— მოიცა, ძვირფასო, ყური ხომ არ მატკუტებს?.. თავი მომეკრი, თუ აკ სადმე წყალი არ იყოს დათო აკ სადღაც წყალია, წყალი! — ბარბის კიაზო. — ოჰო, ოჰოჰოო! ბეგრი წყალია, ჰო, ჰო, — კიაზო მიჩახჩახდება წყაროსთან და ეწყობა.

— დათო, დათო, აკეთ იჩკარე!

— ცივია?

— ნატურალური H_2O-ა, საკმაოდ ცივი... ახლა შეიძლება ვისაღილოთ კიდევაც, აბა, ერთი ვნახოთ, რა მოგვიტანა თოვლის ბაბუამ? — კიაზო ხარჩო-საგზლის ამოლაგებას იწყებს. აკ ნაირ-ნაირი პროდუქტებია; კონსერვები, „ტურისტის საუზმე", სხვადასხვა პაშტეტი, ყველი, პური, ხაკაური და ასე შემდეგ... შამფურიც და სპირტკუთაც.

— რა არის, ბიჭო, ეს?

— სპირტკუთაა, მაგრამ ტაბლეტები არა მაკვს; ხომ იცი, ამას თავისი სპირტის ტაბლეტები უნდა ჰკრნდეს, შესანიშნავია სალაშქროდ. დაფინებით ვთხოვე შენს ძმაკაცს. გიგას, იშოვეთ მეთქი, მაგრამ რაღას იზამ ახლა, ჩვენ ხომ გემბებითი აკეცილი ერთმანეთს. ვერანაფდეს წარმოვიდგენდი. რომ ასეთი საამო იქნებოდა სუფთა ჰაერზე კვება — ქმაყოფილი სახით ილლიწება კიაზო.

— უხვად მოგიმარაგებია სანოვაგე...

— დათო, შენ ძალიან ცდები, როცა ფიქრობ, რომ მაძღარი კუში ხელს შეგვიშლის ნადირობაში... რაკომ ვერ გაგიგიათ,,, რომ მაძღარმა ადამიანმაც შეიძლება მოკლას ნადირი? — უშველებელ ლუკმას ჩაულაპავს კიაზო. — ბიგეეთ, კაცო, კუში არ თამაშობს აკ მთავარ როლს, აკ უფრო ფსიქოლოგიური ფაქტორები მოკმედებენ, ვიდრე მუცლიდან წამოკრილი კოაგულაციია; ხულელი ეი არ იყო; კაცო, ეს ბემინგუეი, ხულ სისხლზე, სიკვდილზე და სროლა-გაუპატიურებაზე რომ წერდა, — კიტრს ჩაეტრნს. — იმიტომ, რომ ადამიანში ზის ეს ცხოველური საწყისი და ვერსად წაუხვალ, ჩემო დათო... თუ კაცი გინდა იყო, უნდა ინადირო — არ არის, ბატონო, ამ შავ ზღვაში ეს დიდი თევზი, თორემ მეც დავკვდებოდი და დილიდან საღამომდე დავეკონწიალებოდი ამ ვეება ზვირთებს!

— Трус не играет в хоккей... — წაიდუდუნებს დათო.

— რაო, რას ამბობ?

— მკელელობას რომ მკავს ეგ ყველაფერი, ამაზე არ გიფიქრია?

— რატომ, ბატონო, ორთაბრძოლაში მხეცსაც აკვს გამარკვეული შანსი. ეს ხომ ერთგვარი დუელია; მხეცს აკვს კლანკვები და ეშვები, მე კი — თოფი. ეს ჩემი ინტელექტით შეკმნილი ეშვები და კლანკვებია, და, ბოლოს და ბოლოს, მე ვარ ბუნების პატრონი.

— აბა, შენ იცი, პატრონო... — დათო წამოდგება, წყაროსთან მიდის და სახეს იგრილებს.

— ესეც ასე, — ზურგჩანთას კრავს კიაზო, — სიგარეტი ხომ არ გინდა?

— არა.

კიაზო ზურგჩანთას ამოიდებს ზურგს უკან და მოკალთდება.

— უნდა ითქვას, რომ ძალიან გაგვიმართლა, იმდენი ცხოველია, ხოცე და ულეტე მარჯვნივ და მარცხნივ, ბეკი არ დაგელალოს... ყველაზე მეტად სწორედ ასეთ ვითარებას ვერ ვიტან, როცა რაღაცას ელი, ელი და არ ხდება, სხვა გზა არა აკვს, უეჭველად უნდა მოხდეს, მაგრამ არ ხდება.

ღათო მოლზე წამოწვება. ღრმა ნაფაზით კუშში ჩასული საკონსერვო პროდუქტების გაენეტრალებას ცდილობს. გაუუზდება. თვალები უმოძრაო სტუპორში უშეშდება... თავისთვის ლაპარაკობს:

— მახსოვს, მამაჩემმა ცირკში წამიყვანა კიოს პროგრამაზე... რა სიხარული იყო... მამალიც მიყიდა და გრძელი, ხრაშუნა ნამცხვარიც — ენა. შერე გამოვედი კონფერანსიე და გამოცხადა — კიო ავად გახდაო, ბოდიშითო... მერე წამოვედით და ვზაში გული ამერია, მამას შავი დღე დაეყენეს ხასწში, ძველი ნამცხვარი ბავშვს როგორ აჭამეო... მე კი მგონია. გულგატეხილობის ბრალი იყო...

— რა გვიქნა, გადაგვრია პირდაპირ ის ბერიკაცმა. ახე მეგონა, აჭაური მხეცების სისხლში დავიხჩრობოდი... ...ტახი, ღორი, მელაო... — ამასობაში კიაზო სიგარეტს ჩაათვლეს და

ᲓᲐᲗᲝ ᲐᲮᲝᲜᲑᲐᲫᲔ

ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐ

ნამწვს პატარა, დალეულ ხეს ესვრის, ვერ არტყამს... — როჭოო, დათვიო, დათო, როჭო რა არის?

— რა ვიცი.

— ეს ის იქნება, მიწაში რომ ცხოვრობს, — პატარა კენჭს მოძებნის და ისევ ესვრის, ვერც ახლა მოარტყამს.

— ის თხუნელაა, როჭო მგონი ფრინველია.

— ჰო, ჰო, ჰო, ფრინველია, შენც იტყვი, რა. როჭოს ცაში რა უნდა, რა დარჩენია? — ისევ ესვრის ხეს, ამჯერად მოარტყამს.

— ბადასარეკია პირდაპირ, რაღომ არის, რომ ეს მთაში მაცხოვრებელი კაცი აუცილებლად ბრძენი უნდა იყოს? ყოველ შემთხვევაში ასე თვლიან... ხელ რაღაცას განჩენილს, — კიაზო ასანთის კოლოფს ტოტების შორის ათავსებს და ადგილზე ბრუნდება. — თითქოს ზემოდან დაგაცქერის კიდევაც! — კენჭს ესვრის, ვერ მოარტყამს. — კაცი, რომელსაც ერთი წიგნი არ წაუკითხია, აბაზანა არ მიუღია და, საერთოდ, არც კი იცის, რა არის „ბადეშანი“. — ძლიერად მოიკნეტს ხელს, ამჯერად არტყამს.

— რა გახდა, ბატონო, ეს ბუნება, რა არის, რას ასწავლის ამ მთის კაცს ასეთს, რომ წერა-კითხვაც არ სჯერდება, არც არაფერი... მოდის და გეუბნება, შენზე ჭკვიანი ვარო, რა არის, ბატონო, ეს მთა ასეთი? — კიდევ ისვრის კენჭს.

დათო წამოჯდება. თავის „ბელესას“ გახსნის, გეკოს ტაეიებს მოძებნის და თოფს დაიენის. ასანთის კოლოფს უმიზნებს, ვერ გაარტყამს.

— ოჰო, დიდებული აზრია! — კიაზო „ცენტრალკას“ მისწვდება და რვა ნომერს აძლევს ლულაში... საშინელი გრიალი შეძრავს ტყეს. არც ასანთი რჩება, ალარც ნორჩი ხე.

დათო იქვე დაგდებულ კონსერვის ქილას აუგდებს ჰაერში და ეუბნება:

— აბა, ასე გაარტყამ?

ისევ გრიალი. საფანტით დაგლეჯილი ქილა მიწაზე ეცემა. სიხარულის დაოუკებელი ტალღა ეძგერება სნაიპერს, დაბტის, ყვირის:

— ვაშაა, არის, გოოლ!

კიდევ აუგდებს დათო „ტურისტის საუზმის“ ქილას, კიდევ მოარტყამს კიაზო. — ოჰო, ოჰო-ბოო! — გაკკივის, ისვრის... კიდევ, კიდევ, კიდევ არტყამს, კიდევ უნდა, კიდევ...

— ესეც ამოგდე, დავით, კიდევ ამოგდე, აბაა!

რაღაც აღტაცებულ, გონებადაბნეულ ბიორობობად იქცევა კიაზო. თოფის გრიალში წამოსროლილი შორისდებულები თანდათან კარგავენ ნორმალურ ფონეტიკურ ფორმას და ზღვარგადასული პირველიფიელი ჩაბავლისა და ღნავილში გადადიან. დათო ვეღარ ასწრებს სნაიპერის გამოყენებას ქილებითა და ნაფოტებით...

— ყოჩაღ, ყოჩაღ, შენ აღარც ბუჩქებიანი ვისდა უნებურად ამხნევებს მონადირეს დათო. იგი ერთ-ერთი დაგლეჯილი თუნუქის ქილის ასაღებად დაიხრება და უეცრად ზედ მის ხელთან გაიზზუნებს საფანტი.

— აბა, აბა, ეგეთი ბუმრობები არ იყოს! — ისევ იხრება, ინსტინქტურად... ისევ გრიალი... ახლა თავთან ხულ ახლოს, ჩაიხტვენენ, ჩაიზუზუნებენ, კუდს მოაცლიან.

— კიაზო, მორჩი-მეთქი ხუმრობას! — ხმა ებზარება დათოს. — მორჩი ახლა, — წელში გასწორდება, კიაზო არსად ჩანს.

— კიაზო, კიაზო!

— შემოუარეთ, ტყვიებს გაუფრთხილდით! — გაკკივის კიაზო და სადღაც დაშლიგინებს, — ცეცხლი, ცეცხლი!

ისევ გრიალი, საფანტის შხუილი, სტვენა. პატარა ბეღურას მკვდარი სხეული ძირს ეცემა.

— კიაზო!

ახლა მეორე მხრიდან ისმის ყიჟინა.

— აბა, ყოჩაღად, ტყვიები ცოტაა, ეე, ოო!

— ბიჭო, კიაზო, ხომ არ გაგიფდი?! — ყვირის დათო, — მოიცა, მოიცა, აბა, გნებდები, უსიტყვო კაპიტულაცია, თეთრი დროშაა... — ჯიბეში ცხვირსახოცს მოძებნის და წელში გასწორდება. — აბა, კაპიტულაცია, მორჩი, მორჩი! კანკალებს. დაძაბული, შიშით გაფეკნთილი უაზროდ აიხვეტება პატარა ბორცეზე.

ისევ გრიალი — კიაზომ კიდევ ისროლა; სისხლიან ცხვირსახოცს საფანტი აიტაცებს, დათო ეცემა... ისევ გრიალი, ტყვიები ხის შერკვნს დაგლეჯენ. აუტანელი შიშითა და ტკივილით შეპყრობილი დათო მიწას დაკავდება. ისევ გასროლა. დათო ჭკვს დაავლებს ხელს და იქით, ბუჩქებისაკენ ისვრის. ისევ გაიწივლებს საფანტი. ბუჩქებში უეცრად გაიელვებს ტიროლელი მწუემსის ქუდი. დათო თავის „ბელესას“ მოაკრავს თვალს — ტკივილი უუნდება, შიშიც ქრება, არაფერი აღარ არის, არის მხოლოდ საშინელი გონებადაბნეული მიზანი — თოფი! მიხოხავს დათო, მუხლებს, ტანს ძაბავს. მიცოცდება, თოფს ჩაბღუჯავს და იქვე, ბუჩქებში უსაფრდება მტერს...

სიჩუმეა, სრული სიჩუმე.

— დათო, დათო, — არხეინად ამოყვინთავს ბუჩქებიდან კიაზო და თავისი ქუდის ბუმბულს ასწორებს. — აბა, მოვრჩეთ ახლა, წავედით, საცაა ჩვენი ავტობუსიც ჩამოდგება... სადა ხარ, დათო! — კიაზო მოდის და დამბნეზულ თოფის ლულას უსწორდება...

გრიალი. ტყვია დაეძგერება კიაზოს, ზევით ასწევს და გადაგდებს, თოფსაც . თოფი გვერდზე ეცემა, კიაზო — გულალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილაა. მძინარე დათოს ოდნავ არევია თმა. ლამაზად ნაკსოვი და მზის სხივების კონით გაბრუებული ფარდა თანაბარ შუქს აფილტრავს ოთახს. ხაწოლის გვერდით შეჩვეული და აუცილებელი ტუმბო დგას, თავჩაქინდრული ბრითა და წიგნით. ფანჯარაში ქუჩა მოჩანს; ლოყებდაბერილი და თვალებდაჭყეტილი ტროლეიბუსიდან მგზავრები ჩამოდიან. იქით, ზურგშექცევით, რომელიღაც ავტობუსი თავისი მარშრუტით მიდის. მარცხნივ, „ეიგული" მისრიალებს, მარჯვნივ — ფურგონი. ტროტუარზე ხალხი მიიჩქარის, ფუსფუსებს. კედელზე შაალერია ნაცნობი და აუცილებელი შტრიხებით. წიგნის კარადაში დიკენსის გაუთავებელი ტომები ჩაულაგებიათ, ქვევით — უფრო ბრელ-ბრელი. მეორე თაროზე დათოს და მისი ძმაკაცების სურათია გამოფენილი, ოდნავ ქვევით — მიკ ჯაგერის უშველებელი წითელი ბაკაი.

...და იქვე, სკამზე ტალახიანი ჯინსია გადაფენილი, სკამის ქვეშ ბუკეტიანი „ბოტახები" ურია. ხაწოლთან, კედელზე მიყუდებული ბუდეჩამოცლილი „ბელკა" ჩანს.

ტელეფონი წკრიალებს.

— ალო, გისმენთ! — იღვიძებს მძინარე.

— დათკა, მე ვარ, გიგა ვარ, ალო, ალო, გძინავს? — ავარატში ხმაური და სიცილი ისმის. — გავიგე, მაგრად გინდერიათ, ხა, ხა, ხა! რა იყო, ბიჭო, მთელი ფაუნა რომ გაგიფლეტიათ ჭადრისხევში, ჰა? ხა, ხა, ხა!.. მალაპარაკე გიგა, მალაპარაკე... ალო, ალო, დათო, დათო, კიაზო ვარ, კიაზო, დილა მშვიდობისა... ადამიანო, სად დაიკარგე, ცამ ჩაგულაპა თუ მიწამ, მთელი ჭადრისხევი გადავაბრუნე იმდენი გეძებე, ბოლოს მთელი სოფელი შენ გეძებდა, ანგია ბუზარაულიცა და ის ჩვენი „ხაზეინი" ალეც... სად წახვედი, სად დამეკარგე, შე კაცო?!. აუცილებლად უნდა წავიდეთ კიდევ სანადიროდ, მომავალ კვირას წავიდეთ, კარგი?.. ალო, ალო!

რაინერ მარია რილკე

სამი ლექსი ციკლიდან: — სარკის ანარეკლები

I

ო, სარკეების ანარეკლთა ელდა და ელვა!
თვალისმომჭრელი, რადგან აღარ გრძელდება არსად.
მის წიაღ იკლავს წყურვილს ქალთა ვნებათაღელვა,
მათ ხომ სარკენი ესახებათ სამყაროს გარსად.

ჩვენ, მამაკაცებს, სარკეებში ჩაცვენა გველის,
ვით ჩვენი არსის საიდუმლო სადინარს შიგნით;
ქალი კი თავის თავს კითხულობს: სარკეა წიგნი.
ის მასში უნდა გაორმაგდეს, რომ იყოს მთელი.

ო, წარუდექი, საყვარელო, ციალს მაგ მინის,
რომ შეძლო ყოფნა და შენსა და შენს შორის მაშინ
აღდგება ძაბვა და საზომი ყველაფერ იმის,
რაც კი რამ არის აღუწერელ-უთქმელი მასში.

შენმა ხატებამ აგამაღლა: რა განძს ატარებ!
შენივ „ჰო“ შენსკენ გიდასტურებს მაგ თმას და ღაწვებს;
თვითშეგებებით მთლად აღსავსე მზერას რომ ასწევ,
იგი გითრთის და გებინდება, როცა ადარებ.

II

სარკის მინიდან ყოველ ჯერზე სულ უფრო ქორფა
ამოწვდები საკუთარ თავს და შენში, იქვე,
როგორც ლარნაკში, აწესრიგებ, ალაგებ ორფად
საკუთარ ხატებს ნაირ-ნაირს და შ ე ნ ა დ ირქმევ.

ამ ანარეკლთა ყვავილობას, ფურჩქვნას, სისრულეს;
ოდნავ ფიქრდები, ირგვლივ მსუბუქ ოცნებებს ისევ,
ვიდრე იმათი ნეტარება არ გაიძულებს,
რომ ეს ხატები შენსავ სხეულს აჩუქო ისევ.

III

ქალთან, თავისში რომ უწყვია ხატთა კრებული,
ვით სამკაული ზარდახშაში ნაზად და ლბილად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაყუჩებულა მამაკაცი შეყვარებული,
მონაცვლეობით, თანდათან რომ შეიგრძნობს ფრთხილად.

ქალს და მის შინა სამშვენისებს... კაცი, რომელიც
თავის ხატს სულის ცხრაკლიტულის წიაღ არ ტოვებს;
შიდა სილრმიდან მას გადმოღვრის დაუცხრომელი
სამყაროული შემეცნება - და სიმარტოვე.

ეროსი

ნიღბები ჩქარა! დავაბნელოთ ეროსი ცხადი.
მის ელვარებას ვინ გაუძლებს? სახეს უმალვენ,
როდესაც იგი, ვით ზაფხულის მზედგომის ხვატი,
საგაზაფხულო შემზადებას შეწყვეტს უმალვე.

როცა ბაასში რაღაც ჩნდება უცხოსახოვნად,
თითქოს დინჯდება... უცებ ყივის და ხმას უმატებს...
და მოსაუბრეთ უცნობ თრთოლვას ტაძრის თაღოვან
შიდასივრცისებრ დაამხობს და ააგუმბათებს.

ო, დაკარგულნი, დაკარგულნი უცებ, უმეცრად!
ო, ღვთაებათა ჩახუტებავ ფიცხო და ცხარო!
სიცოცხლე შედგა, ბედისწერა იშვა უეცრად.
და სილრმისეულ წიაღებში ატირდა წყარო.

●

ო, ეს სიცოცხლე, საოცარი სიცოცხლის ჟამი,
შეუსაბამო დასაბამთა დასალიერი,
მდორედ მდინარი, შემპარავი, ცრუ და ცბიერი
და უცებ, როცა დაუდგება სილაღის წამი—
ანგელოსივით ფრთაგაშლილი და ნებიერი.
ო, აუხსნელზე აუხსნელი სიცოცხლის ჟამი.

ბევრი სიცოცხლე დაბრკოლებებს არარად იჩნევს,
მათ შორის მეტად აღენთება ნეტავ რომელი?
ვდგავართ ჯიუტად, ვებჯინებით საკუთარ მიჯნებს
და გვინდა, ჩვენსკენ მოვიზიდოთ შეუცნობელი.

მეჯვრეტელი

ხეებში ხშირად ქარიშხლების ვხედავ ხარებას,
რომელთაც ცივად მონაბერი დღეები სველი
ჩემს დამფრთხალ სარკმლებს ახეთქებენ და მესმის ძველი
ნაშორეთალი საგნების ხმა, თუმც აღარ ველი,
მათი გაძლება უმეგობროდ იქნება ძნელი
და მე ისინი, დის გარეშეც, ვერ მეყვარება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქრის გრიგალი, გარდამქმნელი, არა ძაბუნი,
წიაღგამქოლი, მან არ უწყის გზები წრიული.
უასაკოა ყოველივე, არ სურს სალბუნი,
ბუნება არის განწმენდილი, როგორც ფსალმუნი,
დინჯი და მშვიდი, ძლიერი და მარადიული.

რასაც ჩვენ ვიბრძვი. რა მცირეა, და რარიგ დიდი
ის, რაც ჩვენ გვებრძვის უნებლიედ, სახელდახელოდ.
საგანთა მსგავსად რომ გვქონოდა ბუნება მშვიდი,
დავნებებოდით გრიგალს ასე, და თუკი ვცდიდით,
ჩვენც გავხდებოდით უფრო ვრცელი და უსახელო.

რასაც ვამარცხებთ, პატარაა, მცირეოდენი,
თვით გამარჯვებაც ჩვენ გვაკნინებს ყოველთვის, ყველგან.
მარადიულს და უჩვეულოს, ჩვენთან მოდენილს,
არა და არ ს უ რ ს, დათრგუნული რომ იყოს ჩვენგან.
ეს არის იგივ ანგელოსი, აელვარებით
რომ მოევლინა ძველი აღთქმის მებრძოლთ ანაზდად:
მის მეტოქეთა დაძაგრული მშვილდის ლარები,
რომელთაც ბრძოლამ თვით ლითონის სიმტკიცე მისცა,
იმ ანგელოსის თითებს შორის ისე განაზდა,
რომ უღრმეს ჰანგთა გამომცემელ სიმებად იქცა.

ეს ანგელოსი ვისაც დაძლევს ძალისძალობით,
თუმც მას არ უყვარს შებრძოლება და ერიდება,
ი გ ი აღდგება ვით უბიწო და მას დიდება
მიენიჭება იმ მძლეთამძლე ხელის წყალობით,
რომელიც ჰქონდა ყალიბივით შემოჭდეული.
გამარჯვებები იმას უკვე არ ენატრება.
და მას ეს გაზრდის: შინაგანად იყოს ძლეული
იმ ძალის მიერ, მას რომ მარად აღემატება.

ანტი-სტროფები

ო, აქ, ჩვენს შორის ნაღვლიანად რომ იარებით,
ქალებო, მუდამ,
ბედი რომ ჩვენზე ნაკლებ გინდობთ და მაინც ძალგიძთ
ხსნა სულისა, როგორც წმინდანებს.

როგორ ახერხებთ,
შეყვარებულს თვალს რომ შეავლებთ,
უცებ აღვსებას ბევრად უფრო მეტი მყოფადით,
ვიდრე იქნება შესაძლებელი?
და ვინც კი იცნობს
თვით უკიდურეს ვარსკვლავთა შორეთს,
გაოგნებული რჩება მაინც,
როცა აწყდება თქვენს დიდებულ გულთა სივრცეებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათ როგორ ავრცობთ ამ საოცარ სივიწროვეში?
წყაროებით და ღამეებით აღვსილნო მარად.

ნუთუ თქვენა ხართ
ისინი, ვისაც ბავშვობისას უფროსი ძმები
ხელს გკრავდნენ სკოლის დერეფნებში?
ჰოი, ნეტარნო.
ჩვენ ბავშვობაში სამუდამოდ დავისახიჩრეთ
ჩვენი სულები,
თქვენ კი იყავით პურის ყანა, ჯერ მოუსვლელი.

არ დაგაშავათ თქვენ
ბავშვობის ჩამოშვავებამ.
და აქ იდექით
ღმერთში სრულყოფის უეცარი სასწაულები.
ჩვენ კი,
ისე, ვით კლდის ნაშალი, ბიჭობის ხორკლით,
გაუთლელნი თუ ოდნავ თლილნი.
ჩვენ — ქვის ღორღივით
ჩამოცვენილნი ყვავილებზე.

თქვენ კი, ქვესკნელის ყვავილებო,
ფესვებს უყვარხართ.
თქვენ, ევრიდიკეს დობილებო,
ზეაღმავალი კაცების წმიდა მობრუნებით
მარად სავსენო.

ჩვენ ვართ თვითგვემა,
სხვათა მგვემნი სიამოვნებით
და სიამისგან თვით გვემილნი კვლავაც, ყოველთვის.
იარაღი ვართ
მძვინვარების სასთუმალქვეშ ამოდებული.

თითქმის შველა ხართ,
როცა დგება უსაშველობა.
თქვენ საჩრდილობელ, მოსასვენებ ხეებად გსახავთ
მარტოსული კაცის ოცნება.

მფარველი ანგელოსი

შენ ფრინველი ხარ, რომ მოქროდი ღამით ფრთამალი,
მე ვიღვიძებდი და ვყვიროდი შენი მნახველი.
მხოლოდ მკლავებით მოგძახოდი, რადგან მრავალი
უღრმესი ღამის უფსკრულია შენი სახელი.
ეფინებოდი ჩემს ძილს ჩრდილად. ჩემს წიაღ ჩარჩა
შენი თესლი და მექცა სიზმრად თანამზრახველი, —
შენ უნათლესი სურათი ხარ, მე კი ვარ ჩარჩო,
შენი ბრწყინვალე გარემოცვის შემომსაზღვრელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე რა დაგარქვა? ბაგეები ერთმანეთს ჭამენ.
შენ ხარ საწყისთა ამოფრქვევა შეუპოვარი.
მე ვარ სულ ოდნავ გასაგონი, შემკრთალი: ამენ,
შენი მშვენების შემოვლების მსასოოვარი.

შენ მე მრავალჯერ გამიტაცე ფართხალ-ფართხალით,
როდესაც ძილი შავ სამარედ ამომიღამდა
და გულზე მაწვა უმძიმეს და დამღუპველ დაღად,
შენ ჩემი გულის წყვდიადიდან ამომიყვანდი
ზემოთ, მეწამულ დროშასავით რომ მეფრიალა
კოშკების თავზე, ლაქვარდებში უნაღვლოდ, ლაღად.

შენ, ვინც ყოველგვარ საოცრებას აღიქვამ ისე,
როგორც საცნაურს, რაც მრავალგზის გაგიგონია,
ადამიანთა არსებობა ჰანგი გგონია
და ვარდშლილობა შენს მზერაში სრულდება ისევ,
უნეტარესო, ჩვენ ოდესმე გავხდებით ღირსი,
რომ თუნდაც ერთხელ გაგვაგონო სახელი მისი,
რომლის მეშვიდე და ბოლო დღის ნათება თითქოს
მაგ შენი ფრთების მოქნევისგან მოფრქვევას ითხოვს..

მიბრძანებ, გკითხო?

შადრევანთა გამო

მე გამიცხადდა |შადრევნების არსი ფარული,
ბროლის ხეების საოცრება უცად მიცვნია,
ეს ხომ თვით ჩემი ცრემლებია ჩამოღვარული,
დიდ ოცნებებში როცა დავრჩი ხელმოცარული,
ოდესღაც მაშინ დამბნეია და დამვიწყნია.

ნუთუ მე მართლა დამავიწყდა, რომ ზეცის ხელი
ეხება საგნებს მიმობნეულთ თუ შეყრილთ გუნდად?
ნუთუ არ ვგრძნობდი სიდიადის ზეობას, ძველი
ბაღების თაღებს რომ შევცქერდი, როდესაც ნელი
საღამოების ლბილი შუქი იდგა ბინდ-ბუნდად, —
და როცა უცხო გოგონების თითქოსდა უნდოდ
წამოწყებული სიმღერები ჰანგს აგრძნეულებს
და ამ სიმღერებს, სინამდვილედ გადაქცეულებს,
თითქოს გაბელილ გუბეებში არეკვლა უნდათ?

მე მხოლოდ უნდა მოვიგონო, რაც მახსოვს მკრთალად,
მე და შადრევნებს რაც დაგვმართა დინებამ წელთა,
რომ უცად ვიგრძნო ქვედაშვების სიმძიმის ძალა
და წყლის ჰავლებთან ხელახალი შეხვედრის ელდა:
და უკვე ვიცი ამ ტოტების ქვემოთკენ წვდომა,
ხმების ციმციმი სულ ოდნავი და მთი კრთომა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუბედავი გუბეების უაზრო ნდომა,
რომ იმეორონ ნაპირების არშიის რკალი.
მიმწუხრის ცათა უცხო მზერა ჭუფრი და მჭრქალი,
დანაკვერჩხლებულ ნადაისალ ტყეების ზევით,
მოღუშულნი რომ კრავენ თალებს უცნაურ ქცევით,
თითქოს აქ მოსცლა არ ჰქონიათ აზრადაც იმათ...
რამ დამავიწყა, რომ ვარსკვლავი ვარსკვლავის მიმართ
დაზშულია და გამიჯნული? და რომ ეულნი
ეს სამყარონი, სივრცეებით ცრემლმორეულნი,
ძლივს ცნობენ ერთურთს? ანდა ზ ე მ ო თ ჩვენნა ვართ იქნებ
სხვათა ზეცაზე და ისინი თავიანთ ფიქრებს
ჩვენსკენ გზავნიან ღამღამობით ჩუმი ოცნებით?
იქნება ქებას ჩვენ გვიძღვნიან მათი მგოსნები?
ჩვენნა ვართ მათი სალოცავი ან საწყევარი,
თუმც შორზე შორი და მარადის მიუღწევარი?
იქნებ იმათთვის ჩვენ იქა ვართ, სად მიღმიერი
ეგულვით იმათ თავიანთი ღმერთი ძლიერი,
რომელიც სადღაც აქ დაკარგეს და ვერ მიაგნეს,
და რომლის ხატი, სასწაულად იელვებს თუკი,
ისე, ვით მათი მაძებარი სანლების შუქი,
ჩვენს გაოგნებულ სახეებზე გაიციაგებს.

ᲐᲠᲐᲖᲐ

რკინის წნელებმა მისთვის მზერა გახადეს ძნელი,
მათი მუდმივი რიალისგან თავგზა ერევა,
მას ეჩვენება, გარს ავლია ათასი წნელი,
რომელთა მიღმა აღარ არის ქვეყნიერება.

მკვრივსა და მოქნილ თათებს ლბილად აბიჯებს იგი,
გაბრუებული უვიწროეს და დახშულ წრეში,
თითქოს ეს იყოს ძალის ცეკვა რაღაცის ირგვლივ,
რაშიც გაოგნდა ნებისყოფის ძალუმი გეში.

მხოლოდ დროდადრო აიწევა ქუთუთოს ფარდა
და მასში თითქოს შედის ხატი უცხო და ქუში,
დაძაბულ სხეულს მიმოივლის, რომ გულის კართან
მიდგეს მდუმარი და სამარე ჰპოვოს მის გულში.

ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲔᲚᲘ

მაღროვეთ! ნელა! — ვემუქრები ბეჭდების გროვას,
ძეწკვის ყოველ რგოლს ვაიმედებ, რამეს ვპირდები:
მოგვიანებით გახვალთ გარეთ, ყველას დრო მოვა.
ვჭედავ და ვამბობ: ნივთი, ნივთი, ნივთი, ნივთები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემამდე არ სურთ, რომ იტვირთონ რაიმე ხვედრი,
რამედ რომ იქცნენ, ამ აზრისგან ყველა შორს არის.
აქ, ღვთის წყალობით, ტოლები ვართ, ყველა ვართ ერთი:
მეც, ოქროც, ცეცხლიც და თვით თვალი პატიოსანი.

იყუჩეთ-მეთქი, დაშოშმინდით! აქ ეკვის ლალი,
იქ მარგალიტი იტანჯება, ცრემლი ეღვრება,
აკვამარინში ბობოქრობს და ბორგავს ღრმა წყალი.
რარიგ ძნელია, შემზარავი თქვენთან შეხება.
ერთად ღივიძებთ! ვის რა გინდათ, აღარც კი მესმის:
ალაკვარდება ზეცისა თუ სისხლით შეღებვა?
და მთელი გროვა უსაშველო ნაპერწკლებს მესვრის.

ოქრო, ეტყობა, დამყაბულდა, მორჩილად დამყვა,
ჯერ ცეცხლის ალში გამოვაწრთე, დარბილდა, გალღვა,
მაგრამ მე მისი შეწუხება მაინც მომიხდა
ქვის გულისათვის. და რომ უნდა ჩამესვა თვალი,
ლითონისებრი გაშმაგებით უცებ მომიხტა
და თვლის სანაცვლოდ მე ჩამასო თავისი ბრჭყალი.

●

ავგუსტ და ჰედდა ზაუერებს წრფელი მადლობის
გრძნობით.

(ხაშობაო მოკითხვებით)

როდესაც ვხვდებით ბავშვობის საგნებს,
ჩვენს თავს თითქოსდა ხელახლად ვაგნებთ.
აქამდე წლები ვიდოდნენ ვითომ,
ახლა კი ვგრძნობთ, რომ მივდივართ თვითონ.

●

სიცოცხლის გზები. უცებ ფრენით გასცდები კიდეს,
ზეამაღლდები და ქვეყანა ქვემოთ იელვებს,
როცა დამსხვრეულ სურებს ჩვენსას მივტირით კიდევ,
წყარო აგვივსებს პეშვებს, ადრე უცარიელესს.

უსადავესი სმა ყველაზე ახლო თასიდან,
სადაც განგების ხაზები ჩანს წარუმართველი.
თავს ეტყვი: მე ვარ, უცოდველი ბედმა ამზიდა
და რომ ჩავცქერი, მიტომ არის ასე ნათელი.

ჩემს მორჩილ პეშვებს ვაცისკროვნებ ჩემივ ციალით,
ხოლო საკუთარ ჩრდილს ულრმესად დავაფენ გვერდით,
განა მიტომ, რომ მოვიცილო ასე იოლად,
მხოლოდ იმიტომ, რომ მიწასთან გავხადო ერთი.

გერმანულიდან თარგმნა **ვახუშტი კოტეტიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

გმირი და დრო

გვადი თითქოს გვართობს ჩვენ თავისი მზიანული თავგადასავლებით და ავტორისეული ტექსტიც საგნი ლაღი და დაუშრეტელი იუმორით, მაგრამ, როგორც ირკვევა, მას არც თუ იხე დალხენილი ცხოვრება ჰქონია, უფრო მეტიც, გვადი ერთ ეუშპარიტად ბედნიერ დღესაც კი ვერ გაიხსენებს თავისი წარსული ცხოვრებიდან. ახლა კი უკვე არა უდარდელ სიცილს, არამედ ღრმა თანაგრძნობას იწვევს ჩვენში ის კომიკური სიტუაციები, რომელშიც აღმოჩნდება ხოლმე გვადი ძველი ცხოვრებისაგან ნაანდერძები ჩვენების გამო.

გვადის ზნეობრივი სიწმინდე განსაკუთრებული ძალთა და შეამბეჭდაობით მეღალნდება შვილებისადმი დამოკიდებულებაში. გვადი ღრმად მოხიყვარულა მამაა, რომელიც ამაყობს თავისი ოჯახითა და შვილებით. იგი შეძლებულ გლეხზე, კარგ მეურნეზა და ყველასაგან პატივცემულ გოჩა ხალანდიაზე მაღლა აყენებს თავის თავს, რადგან გოჩას ერთი ქალიშვილი ყავს, გვადი კი ხუთ ვაჟაცს უზრდის სამშობლოს. არ შეიძლება მკოთხველი არ აიაღლვოს გვადის შვილებისადმი დამოკიდებულებამ, იმდენი ღირიზმი, სითბო, განუზომელი სიყვარული იფრქვევა ამ ერთი შეხედვით გაცულლუტებული ადამიანისაგან. გვადი ცდილობს შვილები იხე გაზარდოს, რომ არაფერით დაეჩვენონ მამას. ეს იმიტომ, რომ გვადის ძალიან კარგად ესმის მისი ჩვენების ავბედითობა, იგი საკმარისად ჭკვიანია იმისათვის, რომ იცოდეს თუ რას ნიშნავს შრომა ადამიანისათვის ამ ახალ ეპოქაში. გვადიც არ იშურებს ძალასა და ღონეს, რომ შვილებს შრომის სიყვარული გამოუმუშაოს. მკოთხველი შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს გვადის პატარა ბიუნეტს, თავისი ბავშვური კეთილშობილებითა და წესიერებით რომ ``ვგეიხლავენ. განსაკუთრებით გამოირჩევა უფროსი ბიჭი თორმეტი წლის ბარდღუნია, რომელსაც თითქოს თავს უდვია პატარების აღზრდა, მამობრივი მზრუნველობით უვლის და ასწავლის მათ. მაგრამ, ამასთანავე, არც ის გვრჩება შეუნიშნავი, რომ ბავშვების სწორად აღზრდის მთელი სიმძიმე მაინც ამ ზარმაც გვადის აწევს კისერზე და ისიც მთელი გულისხმიერებით და სიყვარულით ეწევა ამ მისთვის სახიამოვნო ვალსა.

ღრმად ალელვებს მკოთხველს ის სცენა, როდესაც ბარდღუნია ხეებიდან საიდუმლოდ გამქრალი მანდარინების ქურდს ეძებს. ბავშვებს ეშვიც კი არა აქვთ, თუ რა ბედი ეწია ნაადრევად დამწიფებულ მანდარინებს. რა იციან მათ, რომ გვადის მიერ სპბაზროდ გამზადებული მანდარინები არჩილ ფორიასა და მის თანამეზეურებს ერთ ლუკმადაც არ ეყოთ. ისე გადასხნილიუ, რომ არაფეი თუ ფუფი არ გადაიხადეს, მადლობის თქმაც კი არ იკადრეს. გვადი რომ სახლში დაბრუნდა, უცნაურ სურათს წააწყდა, ბარდღუნიას ძმები მწკრივში ჩაეყენებინა სიმაღლის მიხედვით და რიგრიგობით სცდიდა, რომელი მისწვდებოდა მანდარინის ხის ტოტებს, ეგვი კიტუნიაზე მიიტანეს, რადგან ის მიწვდა მხოლოდ ტოტებს. გვადი ჭერ ძალიან გაეხარა ამ ამბავმა. რა მოსაზრებულია ბარდღუნია, ,,დიდი კაცი დადგებაო ეს მამაძალი'' — გაიფიქრა. შემდეგ კი ძალზე ინანა, როდესაც დაინახა, რომ ფუანაშაფული კიტუნიას ბრალდებოდა ბის მიერ ჩადენილი ქურდობა. როდესაც კიტუნიას ყურებიც ავწიეს, ვეღარ მოითმინა, ვითომ ახალი შემოსული იყო ეზოში, ჩქარი ნაბიჯით ბავშვებისაკენ გაემართა, ატირებული კიტუნია წინ დაიყენა, თავზე ხელი გადაუსვა, შემდეგ სხვა ბავშვებიც თავისთან მოიხმო, მიეალერსა. სინდისის ქენჯნას გრძნობდა. არც ერთი ყალბი სიტყვა არ არის იმ დამრიგებლურ ხაუბარში, რომელიც გვადიმ თავის შვილებს გაუთა: ,,ბარდღუნია უფროსია, ბაბაია. უნდა გაუგონოთ ყველაფერი, ჭკუის გარიგებთ: ქურდობა არ ქნათო, ტუფილი არ ხთქვათო. არ გავიგონო, ბაბაია, თქვენი ქურდობა და ტუფილის თქმა... ირამც და ირამც გულშიც კი არ უნდა გაიკვლოთ არც ერთი და

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 4. 5, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც მეორე.... არასოდეს... თუ არა, არ გაიზრდებით, ბაბაია. ახლა, თუ მაინდამაინც გაიზარდეთ, გლახა და ცუდი კაცის სახელი დაგერქმევათ. აი, ცუდი კაცები რომ არიან, არავის უყვარს იმისთანა... ბაბაია, ჭკარი აჭაფრხახ. ცხრა მთას იქით და კიდეე ხელ იქით მატყუარა და ჭურები კაცი..." ბავშვები გულამომჯდარი იფიცებოდნენ უდანაშაულონი ვართო და ბებიისაც გული ამოუჯდა, „მუცელგამობურთული ბერიმია ახლოს მიიზიდა. სახე ბეიზე მიადო და ლოწშით აკოცა. მიეხუტა, — განა არ ვიცი, რომ არ შეგიგმანიან... გულიც ამატომ მტკივა, ბაბაია, — რაღაც უცნაური აჭურჭურებით წარმოთქვა და ბავშვის მუცელში პირისახე კიდევ უფრო ჩარგო. არ გახელა წამიც, ჩახითხითება რომ სჩვეოდა, იმნაირი ხმა ამოუშვა ბერიმიის მუცელთან, მაგრამ იგი სლუკსლუკსაც ჩგავდა".

მარტო ეს ეროთ სცენაა საკმარისი იმისათვის, რომ გვადის ხასიათი, მისი შინაგანი ბუნების მთელი სიწმინდე ერთბაშად გაიგო, აღარც მისმა მოკმედებამ შეეიყვანოს შეცდომაში, მისი ლაზღანდარობისა და თაღლითობის იქით კეთილი ადამიანი დაინახო. მას კარგად ეცნის მთელი თავისი ყოფისა და საქციელის უსაფრთხოობა, იგი თუმრე არცთუ ისე გულარხეინი და დალხენილი კაცი ყოფილა. გვადი თავის თავს დამნაშავედ გრძნობს ზეიმების, მეზობლების, თანამოფლელების წინაშე იმის გამო, რომ მთელ თავის სიცოცხლეს ასე ფუჭსავალად ატარებს. გვადიმ კარგად იცის თავის თავისა და არჩილ ფორიას ფასიც, იმასაც გრძნობს, რომ ფორიების დრო წასულია და არც თაღლითობა შეშვენის კაცს, კარგადაც ხედავს ახალი ცხოვრების მთელ სიმშვენიერეს, იმისი უნარიც შესწევს, რომ მზრამელი ადამიანი დაიფახოს. ამიტომაც იგი არ დაუშვებს, რომ მისი ზეიმები ცხოვრების ნამდვილ გზას ასცდნენ, მას წაბაძონ, მისგან ისწავლონ. თვითონ კი ველარ გაუშეიდია ახალი ცხოვრების დაწყება, საკმაოდ დროგადასულად ეჩვენება ეს, ამიტომაც მიხდეს ისევ ძველი ცხოვრების წესს, თუმცა ეს გზის უკლავს ამ გარეგნულად მზიარულ ადამიანს და ახლაც, ჭირიმიას მუცელზე აჭვითინებული გვადი თავის დაკარგულ ცხოვრებას მოსტირის,

გვადის ყველაფერი ეს მშვენივრად აქვს შეგნებული. ამიტომაც მომწიფებულია მისი ცხოვრების გარდადგომის მოგონები. მასაც სწყურია პატოსანი შრომა, დაფასება, პატივისცემა ახლობლებისა თუ მეზობლებისა, მაგრამ საამისო ძალა არ ყოფნის, უკვე ეგზიარებული ეჩვენება ახალი ცხოვრებისაკენ შემობრუნება. ერთი ძალიერი ბიძგი საკმარო ინახთვის, რომ გვადის ცხოვრების ბეშმარიტი ხალისი დაუბრუნდეს და მასში ახალგაზრდული სული შთაბეროს.

მთელი ძალით იფეთქებს გვადიში ადამიანური ცხოვრების წადილი. მასაც მოსწყურდა ნორმალური ცხოვრება, შრომა, მოკმედება, და მიუხედავად ახაკისა, სიყვარულიც კი: „ხედნერება მინდა, მარიამ,. სიყვარული და სიცოცხლე, მინდა, მარიამ... შენი მადლი... შენი წყალობა, მარიამ!"

გვადის ვერავითარი ცდუნება ველარ აიცდენს სწორ გზას, იგი ალალად, მთელი გულით ეწინააღმდეგება ახალ სოციალისტურ ცხოვრებას. გვადის ლაპარაკიც კი ალარ ხერხს არჩილ ფორიასთან, რომელმაც ჩვეულებისამებრ ღამით კვლავ მიაკითხა მას სახლში ჭურჭულად. არჩილი მაღე მიხვდა, რომ არამც თუ დავალებას არ შეუსრულებდა გვადი, არამედ იგი მის მტრადაც კი გადაქცეულიყო. როდესაც გვადიმ გიგო არჩილი სახერხი ფაბრიკიდან გამოაგდეს, ამან დააეჭვა იგი, ხოლო როდესაც არჩილის ღვარძლიან ლაპარაკს დაუგდო ყური, მიხვდა ამ გარეწარს რაღაც დიდი ბოროტება ედო გულს. წინათგრძნობამ არ უალალება გვადის. არჩილ ფორიას მასლულად უკან მიუვა და ხის სახერხი ფაბრიკის ეზოსთან წაასწრო იმ დროს, როდესაც იგი კოლმეურნეთათვის გამოყოფილი მასალის დაწვას ცდილობდა. ეგოისტური ზრახვა კი არ ამოქმედებდა გვადის, ჩემთვის გამოყოფილი ხის მასალაც დაიღუპებო, როდესაც არჩილ ფორიას შეეტრძოლა, მას უფრო ხალხის დოვლათის ხელი ადარდებდა, უფრო სწორად, მან იგრძნო, რომ არჩილი სოფლის წინააღმდეგ მიდიოდა. მოკმედების დასასრულს გვადი, ეს აკმაფე უდარეფელი და თაღლითი ადამიანი, ვგაოცებს თავისი სიმამაცითა და თავგანწირულობით. არჩილ ფორიასი მას დღემდე ეშინოდა, ახლა კი ორთაბრძოლაში შეება მას და ისე გაუპო ამ გარეწრების ნაშიერს თავი ორად, რომ ხელიც კი არ აკანკალებია. როდესაც დარწმუნდა, არჩილი მკვდარი იყო და სახლთან დოვლათიც გადარჩენილი, მხოლოდ მაშინ შეინშნა, რა დუშილიც გამოფეზულიყო ირგვლივ. ეს სიკვდილის დუშილი იყო, ღრმა მნიშვნელობისა გვადის სიტყვები, რომლითაც იგი მიმართავს მარიამს, როდესაც ეჩვენება, თითქოს მთელი სოფელი მორბის მისკენ და მათ შორის მისი ბავშვებიც: „— არა, ჭირიმე! ეს არ იქნება! გაიქეცი ახლავე! შეხედი, დაავენე! უკან ჭარგალში წაასხი ყველანი! უთხარი, ბაბაიას კაცი არ მოუსლავს-თქვა! სხვაგან არის წასული და მალე დაბრუნდება-თქვა!.. როგორ მოგიგიდა, რომ გაუშვი. მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარიამ!" სიმშოლურია ის ფრაზა, რომელითაც მოავიდება რომანი: „ცის კიდურს განთიადის პირველი სხივი მოსწყვდა, ბინდი გაარღვია და გვადის წინ მიწას გაერთხა".

ლეო ქიაჩელის შემოქმედებისათვის არ არის დამახასიათებელი ფორთო ტილეები, რომელშიც რამდენიმე თაობის ცხოვრებაა გადმოცემული. იგი ყველა რომანში ერთგული რჩება თავისი საყვარელი ხერხისა დიდი და რთული

ცხოვრებისეული მოვლენები გახსნას ერთი უბრალო ადამიანის ბედთან დაკავშირებით, არ დაახასიათებს მეიდროდ თავისი რომანები და ძირითადად მთელი ეროვნული ცენტრალური გმირნე გადაიტანს, ეს სულაც არ უშლის ხელს მწერალს ასახოს საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიოდები, გარდატეხის ეტაპებიც კი.

ამ რომანშიც ლეო ქიაჩელი უბრალოდ კი არ მოგვითხრობს ვაჟიის თავისებური და განუმეორებელი ცხოვრების ისტორიას, არამედ ამასთან დაკავშირებით დიდი მხატვრული დიაგრამებიც წარმოგვისახავს ახლის, პროგრესულის ბრძოლას ძველთან, დრომოგშულთან. ვაჟიი ბიგვას მხატვრული სახის მთელი მნიშვნელობა ამით კი არ განიზომება, რომ მხოლოდ გმირის კერძო გამარჯვებას გვიცნობს, არამედ ამასთან ერთად სოფლად ცხოვრების სოციალისტური წესის ძლევამოსილ წინსვლას ვვიხილავთ.

მწერალი დიდი შემოქმედებითი სითამამითა და ღრმა ისტორიზმით გვიხსნის თავისი გმირის სულიერ სამყაროს, ხასიათს, ფსიქიკას, გვაჩვენებს მისი სულის სიდიდესა და სიინტერესოდ გვიჩვენებს ვაჟიის შშრომელი ადამიანის პიროვნებაზე დამკვიდრების რთული პროცესს. ვაჟიი იმ მაგნე ჩვეულებიდან, რომლებიც მას ძველი ცხოვრებიდან შემორჩენოდა, ახლა აშკარად და საბოლოოდ თავისუფლდება. სწორედ იმის გამო, რომ ვაჟიი ახე თამამად და საბოლოოდ უარყოფს ცხოვრების ძველ წესს, თავისუფლდება ხასიათის ნაკლოვანებებისგან, აქტიურად ებრძვა ახალი, შემოქმედებითი შრომის ფერხულში და ნათლად გვაგრძნობინებს თავისი განვითარების პერსპექტივას, რომელიც მეიდროდ უკავშირდება საბჭოთა საზოგადოების განვითარების საერთო გზას, ვფიქრობთ, სრული საფუძველი გვეძლევა იმისა, რომ ვაჟიი ბიგვა საბჭოთა ლიტერატურის დადებით გმირად ვცნოთ და ვაღიაროთ.

20-30-იანი წლების, სოციალიზმის აშენებისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომისა და ბრძოლის პერიოდის ქართული მხატვრული პროზის წარმატებები სრულიად უდავოა. ამ დროის ქართველმა ლიტერატურამ, ისევე როგორც საერთოდ მრავალეროვნულმა საბჭოთა მწერლობამ, მხატვრულად ახახა შშრომელი ხალხის და მისი ავანგარდის — კომუნისტების ყოფა, მოკმედება, მიზნები, სიხარული თუ წუხილი... ქართველმა მწერლებმა დადებით გმირების, თანამედროვეთა მხატვრული სახეების მთელი გალერეა შექმნეს, გვიჩვენეს კომუნისტების, მახეების წინამძღოლების წარმმართავი ძალა და როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, დამპატრონებლად გაგვიხსნეს ახალი, საბჭოთა ადამიანის შეგნებისა და ხასიათის ფორმირების რთული პროცესი. ამაში ალბათ ოთ მიმოხილული რომანებიცა და გმირებიც აუკარად გვარწმუნებენ, ისინი კი მართალია მნიშვნელოვან, მაგრამ მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენენ ჩვენი ლიტერატურიანი.

ამ პერიოდის ლიტერატურის დამსახურება იმითაც იყო შეპირობებული, რომ მან საბჭოთა ადამიანების ცხოვრება გვიჩვენა მთლივის დამახასიათებელი სიძნელეებით, წარმატებითა თუ დრეობით წარმატებლობით, ის ეპოქა ახახა მთელი თავისი მღელვარებითა და შეუჯავარი ბრძოლის პათოსით. ქართულ მწერლობას შეეძლო გიგმეორებინა ალექსი ტოლსტოის სიტყვები: „ჩვენ ვიღებთ ცოცხალ ადამიანებს მთელი თავისი სისუსტითა და მთელი თავისი სიძლიერით, და ეს ცოცხალი ადამიანები აკეთებენ ცოცხალ საქმეს“.

ცხოვრებისეული სინამდვილისადმი ერთგულება, ადამიანის შინაგანი სამყაროს ღრმა და მაღალმხატვრული გახსნისაკენ მიმწოდაება, ახასხავი მახალისადმი შემოქმედებითი მიდგომა, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დამახასიათებელი ყველა ეს ნიშნები და თვისება გაჩნდა 20-იანი, განსაკუთრებით კი 30-იანი წლების ქართულ პროზას.

ოცი და ოცისშემდგომი პირველი წლების გმირი

ოცდაათიანი წლების დამლეგს ხაბჭოთა ხალხი იძულებულები გახდა ჩაბმულიყო თეთრფინელებთან კონფლიქტში, ცოტა მერე კი მისი შშვიდობიანი შრომით ცხოვრება კარგა ხნით დაარღვია გერმანიის ფაშიზმთან ომმა. საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით განმსჭვალული ჩვენი მრავალეროვანი ხალხი ერთსულოვნად აღდგა საშშოლოს დასაცავად. ომისა და ომისშემდგომ მძიმე წლებში მთელი სიცხადით და სიმშვენიერით გამომეღავნდა ჩვენი ქვეყნის მოკალაკეს ზნეობრივი სახე, მისი ხასიათის სიმტკიცე, მაღალი შეგნება, გრძნობათა სიწმინდე, მისი უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა და საბჭოურისადმი. იმ წლების საბჭოთა ლიტერატურის უპირველესი ამოცანა და წინდა ვალი ის იყო, რომ გაეხსნა მებრძოლი საბჭოთა ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ხასიათი, წარმოეჩინა პატრიოტული სულის მკვეთავი ფესვები, — ჩვენი ხალხის უძლეველობის მყარი პირობა და საფუძველი. იმ დროის ლიტერატურას ორგვარი დანიშნულება ჰქონდა, უშუალოდაც მდგარიყო ბრძოლის წინა ხაზზე და შიამომავლებისთვისაც დაეტოვა გმირული ბრძოლის მართალი სურათები.

ქართული ლიტერატურა, მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა მწერლობასთან ერთად, ხამამული ომის პირველივე დღეებიდან ჩაება ფაშიზმთან ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. მან კიდეც შეიტანა თავისი წვლი-

ლი მწერზე გამარჯვების საქმეში. გმირობის შთამაგონებელ მოწოდებად გიჰმოდა გამოჩენილი ქართველი პოეტების გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე აბაშელის, გიორგი ლეონიძის, ნიმონ ჩიკოვანის, ირაკლი აბაშიძის და ბევრთა სხვათა ბრძოლის ეონით ანთებული ლექსები. იმ დროს ლექსთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდ მხატვრული პროზის ისეთ ოპრატიულ ნიმუშებს, როგორიცაა მოთხრობა, ნოველა, ნარკვევი, ფრონტული დღიურები... ამ სახის ბევრი საინტერესო და, რაც მთავარია, ზუსტად გამიზნული ნაწარმოებები დაიწერა. ქართველი მწერლების მიერ ომის წლებში მაგრამ ეს ვერ შეეცვლიდა ფართო მხატვრულ ტალღებს, სადაც საუფუძვლიანად, ღრმად, სრულად გიიხსნებოდა ფრონტიული ყოფის მთელი ტრაგიზმი და სიდიადე, სიბეთა მეგრძოლის სულიერი სიმტკიცე და ვეფკაცური ხასიათი. ამისი უნარი და შესაძლებლობა მაინც უფრო რომანსა და ვრცელ მოთხრობას შეხწევდა. ეს კარგად ეხმიდათ ქართველ პროზაიკოსებს, მაგრამ ეპიკურ ეანრს მეტი დრო სჭირდებოდა, და ისინიც გულმოდგინედენ, გატაცებით, მაღალ-მოკალაკეობრივი გრძნობით მუშაობდნენ რომანებზე. სადაც სამამულო ომი მთელი თავისი ყოფითობითა და ჰეროიკულობით, ეეშმარტი სახითა და ხასიათით აღიბეჭდებოდა.

იმ დროის ამგვარი დანიშნულების ყველა ქართულ რომანსა და ვრცელ მოთხრობას აქ ვერც მოვიხმობ და არც არის ამის საჭიროება. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის საინტერესო დროისა და გმირის პრობლემასთან და კავშირებთან.

●

ქართულ მხატვრულ პროზაში სამამულო ომის თემაზე შექმნილი ეპიკური თხზულებების მიმოხილვის თუ ანალიზის დროს პირველ რიგში ლეო ქიაჩელის „მოისკაცს“ უნდა მივმართოთ. ამას ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპითაც აქვს გამართლება, რაკი ამ თემაზე ეს პირველი რომანი იყო და კიდევ იმ არსებითი მხრივაც, რომ იგი თავისი მხატვრული ორიგინალურობით, ომის წლების ვითარების და განწყობილების მართლად და მასშტაბურად წარმოსახვით, სიბეთა ადამიანების პატრიოტული სულისკვეთების თვალსაჩინოდ და ამაღელვებლად გამოხატვით ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად რჩება ქართულ პროზაში.

მთავარი პათოსი, რითაც არის განმსჭვალული ომისდროინდელი ფრონტული მწერლობა თუ ამ თემაზე შექმნილი უფრო გვიანდელი ნაწარმოებებიც, ესაა სიბეთა პატრიოტებზის ძალისა და მშვენიერების გახსნა. მართლაც, სამამულო ომმა განსაკუთრებით გამოაკვეთა, სრულიად უეჭველი გახადა ის ეეშმარტებანი, ჩვენი დროის და წესის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონათვალი იყო სიბეთა პატრიოტიზმის ფრძნობით ხალხის განსჭვალვა, რამაც საერთოდ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში და კერძოდ კი ფაშიზმთან გამარჯვებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია. ამ პათოსით არის განმსჭვალული ლეო ქიაჩელის რომანი „მოისკაცი“.

„მოისკაცი“ მნიშვნელოვანი და თავისებური მოვლენაა არა მარტო თავად მწერლის შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ მხატვრულ პროზაში. ნაწარმოების ღირსებას ისიც განაზღვრავს, ან ხულაც სწორედ ის განაზღვრავს, რომ ლეო ქიაჩელმა აქ ცენტრალური გმირის ბაოუ ჭარდუას ვეერდით მოგვცა მთელი გალერეა ისეთი მაღალმხატვრული სახეებისა, როგორებიცაა მანუჩა მწყემსი, სტუდენტი გოგონა ლია გარსია, სოფლის ხელმძღვანელები კირილე გორაკოვი და მაცი ზურაბაია, რომლებიც დამჭერებლად და ღრმად გვეხსნიან სიბეთა ადამიანების გმირულ ხასიათს, შეურყეველ რწმენას, უსაზღვრო ერთგულებას და თავგანწირვას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დიდი სამამულო ომის თემა მწერლის წინაშე ფართო პერსპექტივებსა შლიდა, მონუმენტალური ეპიკური ტილოების შექმნის შესაძლებლობას აძლევდა, მაგრამ ვერც ამ თემამ აიძულა ქიაჩელი ეღალატა რომანის ავეული ჩვეული მხატვრული ხერხისათვის. ცდილიყო შეექმნა ნაწარმოები რთული სიუჟეტური ხაზებით, ბატალური სცენებით, მრავალფეროვანი გმირებით, ქიაჩელი აჭაც თავისი თავის ერთგული დარჩა და სამამულო ომის მთელ სიდიადეს თუ მკაცრ სინამდვილეს რომანის ერთი ცენტრალური გმირის ბედთან დაკავშირებით გადმოგვცემს. ესაა ბაოუ ჭარდუა, მეტსახელად „მოისკაცს“ რომ ეძახიან, ვისი ხასიათის გახსნას მწერალი განსაკუთრებით ყურადღებას უთმობს და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

ლეო ქიაჩელი მისთვის ჩვეული ოსტატობით გვიხსნის უბრალო მთიელი კაცის, მეკოგე ბაოუ ჭარდუას მდიდარ სულიერ სამყაროს, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ და შევიცნოთ ამ ჭარმაგი, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული ადამიანის კეთილშობილური ხასიათი მის სულ სხვადასხვა, მრავალგვარ გამოვლინებაში. ბაოუ ჭარდუა-მოისკაცი გვიხმობს ჩვენ თავისი პატიოსანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით შრომისადმი, საქმისადმი, თავისი გულსუხმიერებით თანამოფელეებთან ურთიერთობაში, ღრმა პატივისცემით იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ახალ ცხოვრებას აშენებენ სოფლად, თავისი წრფელი და ერთგვარად გულუბრყვილო სიყვარულით ახალგაზრდობისადმი. მეგობრობის მოვალეობისა და გრძნობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალკეთილშობილური გაგებით, კიდევ ბევრი სხვა თვისებით და ჩვეულება. ამასთანავე, მთისა

ნება ერთდროულად შვილის მომავალზე გამტანჯველ ფიქრსა და შიშს შეეპყრო. ამ შიშთან ერწყვნოდა მამის სიამაყის გრძნობაც და ასე იყო ყოველდღე ამ მთის ვაჟკაცის ბუნება. ყველაზე უფრო მთიანეთს ის აშუფუნდა, რომ შვილი მფრინავად წავიდა ფრონტზე. ჯოტო ბავშვობიდანვე ოცნებობდა მფრინავი გამხდარიყო. ჯერ კიდევ მაშინ არ თოსწონდა მიწას მინდობილ მეჯოგეს შვილის გატაცება.

დიახ, თავინი ერთადერთი შვილისადმი სიყვარულით მთიანეთში ერთგვარ გაორებას წვევდეს, მასში შიშის გრძნობას ადვივებდა და მოხუც ბათუსაც არ ძალუძს მოერიოს ამ შიშს, განერიდოს ამ მომაბეზრებელ ფიქრებს, თუმცა კარგად ეხსომა ხანგოთა მოქალაქის, მით უმეტეს, ახალგაზრდობის წმიდა ვალი ხამშობლის წინაშე, ამ განსაცდელის ჟამს, მწერალი უთუოდ სწორად იქცევა, რომ არაფე თუ არ გვიმალავს თავინი გმირის ამ განწყობილებასა და მდგომარეობას, არიგად მთელი სიცხადით გვიჩვენებს მამის განცდებსა და ეჭვებს. ეს, ბიმორეს, სულაც არა სცემს ეგრის ღირსებას, რადგან მისი მოქმედება, განსაკუთრებით კი შინაგანი ღელვა, განცდები, ფიქრი, შიშიც კი ღრმად ადამიანური.

მაგრამ, რასაკვირველია, მარტო ეს არ არის ქალქელის მთავარი დამსახურება ბათუ ქარდუას სახის შექმნაში. მწერალს რომ მხოლოდ მამობრივი გრძნობის ხაზგასმა აინტერესებდეს და მისი როლული გამოვლინებისა და ფსიქოლოგიური ნიუანსების გამოხატვით იყოს გართული, იგი ვერ შექმნიდა სიმართლით სავსე ამადენვეველ რომანს სამეთოა ადამიანის ცხოვრებაზე სამამულო ომის წლებში. საქმე ისაა რომ მთიანეთი მკითხველს წარმოუდგება არა მხოლოდ ოჯიანი თბილი და მოსიყვარულე გულის მამა, არამედ, რაც მთავარია, როგორც ერთი უბრალო და დიდი მოქალაქე, პატრიოტი თავინის სამშობლოსი. ამითაა განპირობებული სწორედ ამ მხატვრული სახის მთელი სიძლიერე და მნიშვნელობა.

მოხუცი ბათუ თვითონ მიეშურება სოხუმში, რომ თავის შვილს ჩაუსწროს, ნახოს იგი ფრონტზე გამგზავრების წინ, გზა დაულოცოს, მამის დარიგებანი თან გააყოლოს, მაგრამ ჯოტოს გაუსწრია ქალაქიდან. მართალია, მათ ვერ ნახეს ერთმანეთი ომის დაწყებიდან, მაგრამ მოკმედების ფასსაოლოდ ეროთდ არიან. მოხუცი მთიელი მუდამ თავის ჯოტოს ახეს ესაუბრება და ეთათბირება, სიკვდილის წინაც კი მხოლოდ მას ხედავს. ალბათ, არც ჯოტოს დავიწყნია ვაჟკაცი მამა თვით ომიმე განსაცდელის წუთებშიც. ჯოტომ, მისმა საუკარელმა შვილმა, მამაცმა მებრძოლმა შემაკა მთიანეთს ძალა — შიში დაეძარცხებინა და ახლა უკვე შეიცვალა ოლენი, მამა ცალიერს გაუტოლდეს შვილს, არ ჩამორჩეს ვაჟკაცობაში. მფრინავ შვილზე ნაკლები გმირობა როდი გამოიჩინა ბათუ ქარდუამ. ან მასზე ნაკლები ამაგი როდი დასდო მშობლიურ ვანაჩრეკების საქმეს, თუმცა საკუთარი ნოდლიდან, სოფიდან ფეხიც არ მოუცვლია, როდესაც მტერი კავკასიონს მოადგა, ხარდოლობის განსაკუთრებით დიდ სამსახურს უწევდნენ მთის გაუვალი ბილიკების მცოდნენი. ან აქ მოიგონდათ ძველი მონადირე და მეჯოგე ბათუ, ვინც ზედმეწევნით იცნობდა ამკვეარის მთებსა და მისადგომებს. მთიანეთი მარილივა ვაკაკაცურად ასრულებს ხარდლობის დავალებას. მშობლიური სოფს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მთიანეთი ილუპება როგორც უბრალო ხაბეოთა ადამიანი, როგორც უდიდესი პატრიოტი და მოქალაქე.

თავის დროზე რომანისა და მისი ცენტრალური გმირის მთიანეთის შესახებ ბევრი აზრი გამოითქვა, მათ შორის შენიშვნებიც, თუმცა ეს უკანასკნელი ყოველთვის მართებული როდი იყო. ქრიტიკოსმა ა. ბელიკმა, მას შემდეგ, რაც „მთიანეთი" რუსულად ითარგმნა, სპეციალური სტატია უძღვნა მას. ქრიტიკოსის მთავარი შენიშვნა შეეხებოდა რომანის სიუჟეტს, მისი აგების პრინციპს. „როდესაც საქმე ეხება დიდ სამამულო ომს, — წერდა ა. ბელიკი, — იმ მოვლენებს, რომელთა შედეგზეც დამოკიდებული იყო ხაბეოთა ხალხის ბედი და ხაბოლოო შედეგზე კი მთელი კაცობრიობის ბედი, ავტორის გაზვიადებული ყურადღება ერთი ადამიანის განცდებისადმი ითის ვამო, რომ მისი შვილი მოხალისედ წავიდა ჯარში, არ შეიძლება მივიჩნიოთ მწერლის წარმატებად" ჩვენ შემოთ ვთქვით თუ მოხეოთა მამობრივი სიყვარულის ასეთი ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი რისთვის სჭირდება მწერალს. ლეო ქიაჩელი ამით იმ საყოველთაოდ ცნობილ ბეშმარიტებას კი არ გვიმტკიცებს, მამას შვილი უყვარსო, როგორც ეს ა. ბელიკს მოეჩვენა, არამედ იმაში გვარწმუნებს ღრმად და მხატვრულად, რომ სამშობლოსადმი უსაზღვრო პატრიოტიზმის გრძნობას, რაც ასე დამახასიათებელია ხაბეოთა ადამიანებისათვის, შეუძლია დაიმორჩილოს და დაიოკოს ყველა სხვა გრძნობა ადამიანისა, როდესაც საქმე მშობლიური ქვეყნის ეკეთილდღეობას და მომავალს ეხება. სიყვარული სამშობლოსადმი ამარცხებს მამას შაშს შვილის ბედზე. ან ეს არის იდეა ლეო ქიაჩელის რომანისა „მთიანეთი". რასაკვირველია, სამამულო ომის პერიოდში ხაბეოთა ადამიანების მაღალი პატრიოტული გრძნობის გამხსნა და ჩვენება შეიძლებოდა სხვადასხვა ხერხებითა თუ განსხვავებულ მასალაზე დაყრდნობით, მაგრამ ამის გამო ვანა გვაქვს უფლება დავიწუნოთ ის მხატვრული ხერხი, რომელსაც მიმართა ლეო ქიაჩელმა ამ თემის გადაწყვეტის დროს?

ასეეე მხოლოდ მწერლის შემოქმედებითი სტილით, ან ცალკეულ შემოხვევაში, მისი მხატ-

ვრული ჩანფიქრით არის შეპირობებული ის, თუ როგორი ხასიათ რომანს შექმნის, დაახასიათებს ნაწარმოების შრავალფეროვნებას გმირებითა და პერსონაჟებით, თუ ძირითად უფრადღებას ერთი რომელიმე გმირის ბედს შეალევს. მწერალმა ძირითადი უურადღება კი გადაიტანა რომანის ცენტრალური გმირის ხასიათის გახსნაზე, მაგრამ, ჯერ ერთი, ამ რომანში მან სხვა გმირებიც მოგვცა, რომლებიც ჰეტიერ მონაწილეობას იღებენ მოქმედების განვითარებაში, მეორეც, მწერალი სულაც არ არის გულგრილი და უყურადღებო სხვა, არაცენტრალური, თუნდაც ეპიზოდური სახეების გამოკვეთისადმი. მწერლის მხატვრული ოსტატობა იმაშიც მეჯავნდება, რომ მას შეუძლია ეპიზოდური პერსონაჟებიც ისეთი დამახასიათებელი, ცოცხალი ფერებით გამოკვეთოს, რომ ისინი ღრმად ინდივიდუალიზირებულები ხდებიან და დიდხანს რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში.

რომანში ბაოუ და ჯოტო ქარდუების გარდა კიდევ არის მთელი რიგი დადებით გმირების სახეები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მწერალს სრულად გახსნას საბჭოთა ადამიანების შეხანაბნავი სულიერი სამყარო, ყვირეენოს მათი შეურეველობა და თავგანწირულება ცხოვრების ყველაზე ძნიმე და გადამწყვეტ მომენტში. კირილე გორაკოვის სახე ერთ-ერთი საინტერესო და ცოცხლად გამოკვეთილი მხატვრული სახეა ქართულ პროზაში სამამული ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან. მასში ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ საბრძოლოს ფიქცია დამცველს, არამედ მასების უშიშარ, ქმედან, მტკიცე და გამოცდილ ხელმძღვანელს, საქმის კარგ ორგანიზატორს. ქართველი ქალიშვილის მიმზიდველი და ღრმად შთამბეჭდავი პორტრეტი შექმნა ლეო ქიაჩელმა ლია გარხიას სახით. მართალია, ჩვენ ლიას მოქმედების განვითარებას მანძილზე არც თუ ისე ხშირად ვხედებით. მაგრამ იგი ახერხებს თავისი მაღალი მორალური საწყისებით, სიცოცხლის წრფელი სიყვარულით, მხიარული ხასიათით, ღრმად მოხიყვარული გულით, აგრეთვე თავისი მოკრძალებითა და ქალური სათნოებით ღრმა შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე.

ლეო ქიაჩელმა რომანში მთისკაცის გვერდით შექმნა უალრესად საინტერესო სახე ახალგაზრდა მწყემსის მანუჩასი, ვინც არა მარტო თანამოფლეებში, არამედ მთელ ბზიფის ხეობაში გამოირჩევა თავისი უცნაური გარეგნობით და სულიერი სილამაზით. მკითხველს მაშინათვე ეცემა თვალში გმირის მახინჯი შეხედულობა. „გარეგნულად მანუჩა ჩია კაცი ჩანდა. ბეჭში კუზიანივით იყო წამრიალი. წვრილი წიაწოცა პირისახე, გარდა თვალებისა და ცხვირისა, შავი ბალნით ჰქონდა დაფარული, თუ არა საკვირველად გონიერი, სანდო და უალრესად კეთილი დიდრონი შავი თვალები, უცნობი პირველ შეხედვაზე უფრო ტყიურს მიამსგავსებდნ“. თავისი ფიზიკური ნაკლი რომ დაეფარა, მანუჩას მუდამ წამოსასხმული ჰქონდა ... წითელმეწვიანი ტუკვის ქურთუკი, რომელსაც შუა ადგილას დალეფილი ჰქონდა ტუკვს ბუნებრივად დაყოლილები, ქალკვთა თეფირი ფერის ადამიანნი ხელის გაშლილი ტტევანნი. ამ ნიშნით მანუჩას ადვილად სცნობდნენ შორ მანძილზე ანა მარტა ადამიანები, არამედ საკოლმეურნეო ნაბირიც კი, რომელსაც იგი მწყემსავდა. მაგრამ ეს მახინჯი შეხახედობა სულაც არ უშლიდა ხელს მანუჩას ყოფილიყო ყველასათვის საუვარელი და ყველასაგან დაფასებული ადამიანი. ასეთი განსულობა თანასოფლელებისა და ნაცნობებისა მანუჩამ დაიმახსოვრა თავისი ბატონთანი შრომით, ხაჭის ცოდნით. თვითონ მთისკაცი, ეს სუფეთესო მეკოგე. ყველაზე მეტად მანუჩას ანდობდა საკოლმეურნეო ნახირის მოვლას. მანუჩა-მწყემსი თავისი მწიგნობრობითაც იყო გამოჩენილი, თუმცა იგი სკოლაში ნახუჭავლი არ იყო, ბავშვობიდან სულ ეოფში იზრდებოდა, მაგრამ თავისი დიდი ბუნებრივი ნიჭის წყალობით იმდენს მიაღწია, რომ მას სოფელში მწიგნობრის სახელი გაუვარდა. საცა არ უნდა ეოფილიყო მანუჩა, წიგნს მუდამ თან ატარებდა. მაგრამ ყველაზე მეტად მანუჩა იმიტომ უყვარდათ კოლმეურნეებს, რომ იგი უალრესად კეთილი გულის პატრონი იყო. მანუჩას შინაგანი სამყაროს მთელი სიმდიდრე და სილამაზე იშვიათი სისრულით ვლინდება მთისკაცთან დამოკიდებულებაში. იგი დიდი კრძალვითა და სიყვარულით ეჭცევა თავის აღმზრდელსა და მასწავლებელს, მოხუც ბაოუ ჯარდუას. მოქმედების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ნაკლებ შესამჩნევი ხდება მანუჩას გარეგნული სიმახინჯე და მეკოველ თვალწინ წარმოუდგება დიდი სათნოებისა და სულიერი სილამაზის პატრონი ადამიანის სახე.

მანუჩა არ არის პირველი მხატვრული სახე ქიაჩელის შემოქმედებაში, რომლითაც მწერალი ცდილობს გვიჩვენოს შინაგანი, სულიერი სამყაროს სილამაზის უპირატესობა გარეგნობაზე. ეს პრობლემა კიდევ უფრო აფართოებს „მთისკაცის“ მსგავსებას „ტარიელ გოლუასთან,“ რომელიც მან თავისი შემოქმედებით ცხოვრების დამდეგს დაწერა. ინტერესს მოკლებული არ არის ლეო ქიაჩელის გამოსაოქვამი იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მას ჰქონია მიხეჩოდება გიგსსა სულიერი სამყაროს ფიზიკურად მახინჯი ადამიანებისა და ეჩვენებინა, რომ ხშირად ისინი უფრო ლამაზნი და კეთილშობილი სულის პატრონები არიან, ვიდრე გარეგნულად ნორმალური ადამიანები და ამით გამოეტაკა ის აზრი, რომ ადამიანის ღირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნარამ ბეკიდზეთითელი
ბმირი და ფრო

სება პირველ რიგში მისი შინაარსით განიზომება და უახლეს.

„ტარიელ გოლუაში“ ყრუ-მუნჯი ბაჩუას ტრაგიკული სიყვდილის ზემოქმედებითი სიძლიერე მკითხველზე ერთიორად იზრდება იმის გამო, რომ მწერალი გვიბნევს მის კეთილშობილურ სულს. ჩვენ გულწრფელად განვიცდით უსმენრთა ბიჭის ხვედრს. მისი ადამიანური ბუნება, ღრმა, მოხიჯარული, კეთილი გული ბოლომდე ვერ შეიცნეს თანასოფელელებმა. იგი კვდება თავის გამოფიტულ გრძნობებთან ერთად, რომელშიცაა მთელი მისი ღირსება და სილამაზე. ერთადერთი ადამიანი, ვისაც კარგად ესმოდა ბაჩუას გულისხმენა, ეს ტარიელ გოლუა გახლავთ. ამიტომაც იყო, რომ ხაწუალი ყრუ-მუნჯი ბიჭი ამ ჯარმაგ კელეს ემეგობრებოდა და, ნიშნად თავისი უსაზღვრო სიყვარულისა. კიდეც გაწირა თავი ტარიელ გოლუასთვის.

ერთგვარი მსგავსება, ერთი მხრივ, ტარიელისა და ბაჩუას ურთიერთობასა, და მეორე მხრივ, მოთხეობა და მანუჩას მეგობრობას შორის უსათუოდ შეიმჩნევა. თუმცა ახლა ცხოვრების, ადამიანთა ურთიერთობის სულ სხვა პირობებია და ამითაა გამოწვეული მათ შორის კოლოსალური სხვაობა.

მანუჩას მიეცა შესაძლებლობა არა მარტო ეპოვა თავისი ადგილი ცხოვრებაში, არამედ სრულად გამოეკვლია მთელი თავისი შესანიშნავი თვისებები ხასიათისა, თავისი უნარი და სოფლის ერთ-ერთი მოწინავე ადამიანიც გამხდარიყო. მანუჩას ფიზიკური სიმპანჭე უკვე აღარ არის გენლისა და დაცინვის საგანი, ის არც სიბრალულსა და თანაგრძნობას ადვიძებს ნაცნობებში, რადგან თანასოფელელები უბრალოდ ვეღარც კი აჩჩნევენ მის ამ ნაკლს, იმდენად ლამაზია და ძლიერი მანუჩა თავისი შინაგანი ბუნებით.

შემთხვევითი არ არის, რომ ბათუ ჭარდუა, როცა მას მტრის შემოსვლასთან დაკავშირებით საკოლეგიურნეო ნახირის ბედი აწუხებს, უყველაზე მეტ იმედს მანუჩა-მწყემსზე ამყარებს. მთხსკაცი ღრმადაა დარწმუნებული. რომ მანუჩა ყველაფერს გაკეთებს, რაც კი მის ძალასა და შესაძლებლობას ან ალემატება, რომ შეასრულოს კოლმეურნეობისა და პირადად მთხსკაცის დავალება, — გაარიდოს ჯოგი სოფში შემოკრილ მტერს. როდესაც მტრის ზურგში საგანგებო დავალებით შესული მთხსკაცი თავის საყვარელ, სახელგანთქმულ ჯოგს დაინახავს, რომელიც ჰკვეშაოის ფერფლიზე მშვიდად ძოვს ბალახს, იგი შაშინვე მიხვდება, რომ მწყემსები და მათ შორის პირველ რიგში მანუჩა უთუოდ დალუპული უნდა ყოფილიყვნენ, სხვაგვარად ჯოგი მტერს ან ჩაუვარდებოდა ხელში. და, მართლაც, „ჰეედან ნათლად დაინახეოდა, რომ ნაქვის ერთ-ერთ შეუჩერელ ტოტზე ბალეს ჩამოხრჩობილი ადამიანის გვამი ეკიდა“, რომელსაც ტანზე ტყავის ქურთუკი შერჩენოდა. „ეს თითის გამოსახვეული თეთრი დალი მთხსკაცისაკენ მოქცეული“. მართალია, მწერალი ჩვენ იმის უშუალო მოწმეს არა გვხდის, თუ როგორ დაიღუპა მანუჩა-მწყემსი, მაგრამ მკითხველისათვის ნათელია, რომ იგი გმირულად შეეწირა ხახალო საქმეს.

იღუპება მანუჩა-მწყემსი, მაგრამ ეს სულ სხვაა, ვიდრე ბაჩუას დაღუპვა. მანუჩას სიცოცხლის ბოლო მწარე და დასანანი, მაგრამ იგი არ არის ტრაგიკული, როგორც ბაჩუასი. თუ ბაჩუა კვდება ისე, რომ მას ვერ გაუგებენ და ვერ დაფფასებენ, კვდება როგორც „ზედმეტი“ ადამიანი, ვინც სხეულის ფიზიკური ნაკლის გამო ვერ ისოცა თავისი ადგილი საზოგადოებაში, მანუჩას სულ სხვა ხვედრი აქვს, იგი იღუპება როგორც გმირი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო წევრი საზოგადოებისა, ვინც ყველას უყვარს და ვინაც ყველა პატივს სცემს მისი ძლიერი და ლამაზი სულის გამო.

სხვა რომ აღარფერი ვთქვით, გასაკვირველი და ღრმად შემცდარია ის მოსაზრება, რომელსაც კრიტიკოსი ა. ბელიკი გამოსხეამს მანუჩას სახის შესახებ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ სტატიაში. ლეო ქიაჩელი რომ მართლაც იმ აზრისა იყოს, რასაც ასე დაუფიქრებლად მიაწერს კრიტიკოსი ა. ბელიკი, თითქოს კონტრასტი ფორმასა (გმირის გარეგნობასა) და შინაარსს (სულიერ სამყაროს) შორის საუკეთესო სახულეზა ბგონია დადებითი გმირის სახის შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, მაშინ მწერალი აღარ შექმნილა ისეთ სახეებს, როგორებიცაა მთხსკაცი, კირილე გორაკოვი, ლია გარსია, ჭოტო ქარდუა და სხვები. მაგრამ ეს მხოლოდ ა. ბელიკის ფანტაზიის ნაყოფია და არა ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი პრინციპი.

მანუჩა-მწყემსი ჩვენ გვიხსნის საბჭოთა ადამიანების ხასიათის ტიპიურ მხარეებს და მხატვრული დამაჯერებლობის ძალით გვაფიწყებს, რომ ადამიანის სიძლიერე და სილამაზე პირველ რიგში მისი სულიერი სამყაროთი, აზრებით, მისწრაფებებით, მოქმედებით განიხზღვრება და უკვე ამის შემდეგ გარეგნული მოხდენილობითა და ნაკვთების პროპორციულობით. მწერლის შემოქმედებით გამარჯვება სწორედ ისაა, რომ ჩვენ თანდათანობით სულ უფრო ნაკლებ ვამჩნევთ მანუჩას გარეგნულ ნაკლს და ვხედავთ მხოლოდ დიდი სულიერი სილამაზის ,,პატრნ ადამიანს. ამიტომაც არავითარ წინააღმდეგობრივ აზრებსა და განცდებს არ ინვევს ეს კონტრასტი გმირის „ფორმასა“ და „შინაარსს“ შორის. ა. ბელიკის ეს მოსაზრება გარდა იმისა, რომ მცდარია, არც ორიგინალურია. გმირის გარეგნობისა და სულიერი სილამაზის ჰარმონიულობის შესახებ მოძღვრება ერთ დროს მთელ თეორიულ პრინციპამდეც კი იყო

საკვანძო, რაშიც ხედავდნენ ანტიკური ხელოვნების კანონების გაცოცხლებას. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ნაძალადევი ცდა, მიბაძვა ძველი, გარდასული ხელოვნების კანონებისა, რასაც ეშეშარიტი რეალისტური ლიტერატურა არ იზიარებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გვექნებოდა ისეთი შუასაუკუნეები, კლასიკური მხატვრული სახეები, როგორებიცაა ლოცელი და მოუხეშავი ავგიულების კრაზანა (რივარესი) ეოინინის ისევე სახელწოდების რომანიდან, როსტანის ხირანო ფე ბერფერაკი თავისი ცხვირით, ბრმა პაკა კორჩაგინი ოსტროვსკის რომანიდან, ხეიბარი მერენეევი (პოლეეოის „ამბავი ნამდვილი ადამიანის“), და ბევრი სხვა, რომლებიც თავისი შეტ-ნაკლები ფიზიკური ნაკლით სულაც არ გვიშლიან ხელს მათში შუასაუკუნეთა ადამიანური სულისა და განცდების მატარებელი გმირები დავინახოთ. მით უფრო პრიმიტიულია ა. ბელიკის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს, თუკი მწერალი ხაბეოთა ადამიანის ხასიათის გახსნის დროს მის გარეგნულ ნაკლს შენიშნავს, ეს არ იქნება მხატვრული ტიპიზაციის მეთოდით განზოგადებული სახე, არამედ, ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ფოტოგრაფიული კოპირებასთან გვექნება საქმე. მსგავსი გაცოცხლება და მოდერნიზაცია დრო მოშეფილი მცდარი შეხედულებებისა მხოლოდ ზიანს თუ მოუტანდა ხაბეოთა ლიტერატურის განვითარებას.

ყოველ ეშეშარიტ მწერალს აქვს თავისი სტილი, რომელიც მეფავნება როგორც თემის შერჩევაში, ასევე მის მხატვრულ გადაწყვეტაშიც, ასასახავი ობელენისადმი მიდგომაში, თხრობის მანერასა, ტონსა და რიტმში, მწერლის ენაში, ცენტრალური გმირის პრობლემის გადაწყვეტაში, გარკვეული ეპარნებისა და ფორმებისადმი მისწრაფებაში, თავისი გმირებისადმი დამოკიდებულებაში, ეროვნული სპეციფიკის თავისებურ გახსნაში, ნაწარმოების სიუჟეტისა და კომპოზიციის ეგებაში და კიდევ ბევრ სხვა შემოქმედებით მხარეში.

მაგრამ საკუთარი ერთიანი სტილი როდი ზღუდავს მწერალს, არ გულისხმობს მხატვრული ოსტატობის ერთფეროვნებას ცალკეული მწერლის შემოქმედების ფარგლებს შიგნით. მხატვრული ოსტატობის მრავალფეროვნება მეღავნდება არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ვუპარისპირებთ ერთმანეთს სხვადასხვა მწერლების შემოქმედებას და ამით განვსაზღვრავთ ყოველი ცალკეული მწერლის შემოქმედების თვითმყოფადობასა და სპეციფიურობას, არამედ ერთი რომელიმე მწერლის სხვადასხვა ნაწარმოებების შედარების დროსაც, როდესაც ერთიანი შემოქმედებითი სტილის ფარგლებში იმსნება გამომსახველობითი ხერხების სიმდიდრე.

მართალია, ლეო ქიაჩელი ყველა მის რომანში ერთგული რჩება თავისი საყვარელი ხერხისა (დიდი და რთული ცხოვრებისეული მოვლენები გახსნას ერთი უბრალო ადამიანის ხედვიდან დაკავშირებით, არ დაახასიათოს მეფიდრად თავისი რომანები და ძირითადად მთელი ყურადღება ცენტრალურ გმირზე გადაიტანოს, განსაკუთრებით მკვეთრად გამოკვეთოს თავისი დამოკიდებულება გმირებისადმი), ამასთანავე ერთად მწერალი ყოველთვის ახალ თემის და ამოცანის შესახებ, ორიგინალურ მხატვრულ გადაწყვეტას პოულობს. ეს უკანასკნელი მხატვრული ოსტატობის სხვადასხვა პრობლემებს გულისხმობს, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი და გადაწყვეტილი რომანის გმირის პრობლემა.

ლეო ქიაჩელის რომანებისა და მოთხრობების გმირები ტარიელ გოლუაა და ლევანი, არჩილ დადიშიანი და ანდრო ქარიგაძე, გვადი ბიგვა და გოჩა ხალანდია, ბათუ ქარდუა და მანუჩა — სხვადასხვა ისტორიული დროის გმირები არიან, ამიტომაც განსხვავდებიან თავისი სოციალური მდგომარეობით, შეგნების დონით, თავისი ცხოვრების წესითა და თავისებურებით. ყოველივე ამითაა შეპირობებული ისიც, რომ ლეო ქიაჩელის რომანების გმირები განსხვავდებიან აგრეთვე თავისი ხასიათითა და ფსიქიკითაც. ისინი თავიანთი ზრდილობა და ფორმირებისა სულ სხვადასხვა სტადიებს გადიან. ამიტომაც განსხვავებულია თვითონ მწერლის დამოკიდებულებაც მათდამი, განსხვავებულია ის ხერხები და საშუალებები, რომლებსაც მწერალი თავისი გმირების მხატვრული პორტრეტების შექმნისათვის იყენებს.

ყოველ მწერალს აქვს გამომუშავებული გარკვეული დამოკიდებულება თავის გმირების მიმართ. ზოგიერთი მწერალი ცდილობს. უფრო „ზეიალიბოს“, მინდედამაინც არ აგრძნობინოს თავისი თავი მკითხველის მოკმედების განვითარების დროს, სხვები, პირიქით, აქტიურ კონტაქტში არიან მკითხველთან და ერთგვარი შუამავლის როლსაც ეი კისრულობენ მკითხველებსა და გმირებს შორის. ლეო ქიაჩელის უფრო მეორე სახის დამოკიდებულება ახასიათებს.

ბათუ ქარდუა თავისი ცხოვრებითა და ხასიათის მხარეებით უსათუოდ გვაგონებს ტარიელ გოლუას. მოუხდავად იმისა, რომ ისინი სულ სხვადასხვა ეპოქის გმირები არიან და ამიტომ მათ განსხვავებული ცხოვრება თუ ბედი ხვდათ წილად, მაინც ბევრ რაშეში გვანან ერთმანეთს თავისი ხასიათებით, აგრეთვე გარეგნულადაც. სულიერი ნათესაობა ტარიელ გოლუასა და ბათუ ქარდუას შორის, ეფექტორთა, ეეკს არ უნდა იწვევდეს. ისინი ჩვენ ერთგვარად ზმის ხეკნაბერებსაც კი გვაგონებენ, რომელთა ბრწყინვალე განსახიერება მოგვცეს თავის შემოქმედებაში ვეფა-ეაშვილმა და ალექსანდრე ყაზბეგმა. ლეო ქიაჩელის ტარიელ გოლუა და ბათუ ქარდუა ისეთივე დაბრძენებული, სინდისისა და პატიოსნების მატარებელი თავკაცები არიან, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა სიტყვა და საკმე შეუფალია თანასოფელ-ლებისათვის, როგორც ვაჟასა და ყაზბეგის ხელოვნებრები. უადგურები პატივისცემა საზოგადოების უხუცესი, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული წევრებისადმი განსაკუთრებით იყო ფუნგამდგარი მთელ ხალხთა შორის და არავფერი გასაკვირი არ არის, რომ ამ კეთილშობილურ გრძნობასა და მისგან გამომდინარე ჩვენებს ამეღვნებს საბჭოთა ახალგაზრდობა მთისკაცის მიმართაც. ლიტერატურა სულაც არ უხვევს გვერდს საბჭოთა კავშირის ხალხების ყოფის ტრადიციათა განპირობებულ თავისებურებებს და სწორედ ამ უკანასკნელნი მეღვიძდება ნაწილობრივ ნაციონალური სპეციფიკის ნიშნები.

ძალიან ბევრი რამ აქვთ საერთო ბათუ ჭარდუასა და ტარიელ გოლუას როგორც ხასიათის, ასევე ცხოვრების გამოცდილებისა და თვით საზოგადოებრივი მდგომარეობის მხრივაც, ამიტომაც ამ მხატვრულ სახეებს შორის პარალელის გავლება არ არის რეალურ საფუძველს მოკლებული. მაგრამ ასევე თვალნათლივია ის დიდი და ღრმა პრინციპული სხვაობაც, რომელიც მათ შორის არსებობს. განსხვავება ტარიელ გოლუასა და ბათუ ჭარდუას შორის მარტო მათ თავისებურ ბედსა და ხვედრში კი არ მეღვიძდება, არამედ, რაც მთავარია, ეს განსხვავება მეტად საინტერესოდ ვლინდება მხატვრული ხერხების სიმდიდრესა და განუმეორებლობაში, რომელსაც მწერალი მიმართავს ამ სახეთა შექმნის დროს. ეს კი თავისთავად მეტყველებს იმ ბეშმარიტებას, რომ მხატვრულ ფორმათა მრავალფეროვანებას მარტო საერთოდ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში კი არ მეღვიძდება, არამედ ერთი რომელიმე მწერლის შემოქმედების ფარგლებშიც.

საბჭოთა ლიტერატურის უმდიდრესი გამოცდილების დაგროვების შედეგად სულ უფრო პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება მხატვრული ფორმებისა და სტილის მრავალფეროვნების საკითხებს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამას განსაკუთრებით დიდი უურადღება სჭირდება იმდენად, რამდენადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მთელი რიგი კრიტიკოსები ჭიუტად ცდილობდნენ მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრობლემებისა და საკითხების რეგლამენტირებას. ეს ეხებოდა მხატვრული ფორმებისა და სტილის მრავალფეროვნებასაც. დადებითი გმირის სახის შექმნის მეთოდსა და ხერხებსაც. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი ნიშანი — რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის ორგვნელი შერწყმა, ან კიდევ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული ამოცანა — ახალი ეპოქის ადამიანის მხატვრული სახის შექმნა, ომისშემდგომ წლებში მეტისმეტი „თავგამოდებული“ თეორეტიკოსების მიერ იმდენად იყო გაუბარალოებული, ხელოვნური პროპორციებით შებოჭილი, რომ მათ საერთო ალარფერი რჩებოდათ საბჭოთა ლიტერატურის მდიდარ გამოცდილებასთან.

საბჭოთა ლიტერატურას, რომელიც მოწოდებული შექმნას ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანების მხატვრული სახეები, ასახოს საბჭოთა ხალხის მიზანსწრაფული ყოფა, გვიჩვენოს ჩვენი ნათელი იდეებით შთაგონებული ცხოვრების სიმარილე, გადმოგვცეს და გვაგრძნობინოს მისი პათოსი, არ შეუძლია გვერდი აუარის, თვალი მოუხუჭოს იმ რომანტიკას, რაც სინამდვილისათვის არის დამახასიათებელი. ამგვარად ფართოდ და არსებითად გაგებული რევოლუციური რომანტიზმით განმსჭვალულია საბჭოთა ლიტერატურის დიდი და საუკეთესო ნაწილი.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში რომანტიზმი თავს იჩენს სხვა, უფრო ვიწრო ლიტერატურული გაგებითაც, როგორც მთლიანი რეალისტური მეთოდის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, ანუ როგორც წმინდა ფორმისეული ნიშანი. ამ ნიშნით კი ბევრად ნაკლებად, ან იქნება ოშვიათადაც კია დადგასმული საბჭოთა მწერლობის ისტორიული თუ თანამედროვე ნამუშები.

ისეთი მასალაც კი ლიტერატურისათვის, როგორიცაა დიდი სამამული ომი და მისთვის დამახასიათებელი სახალხო ბერძნიზმი, სულაც არ აიძულებს მწერალს უსათუოდ მიმართოს თხრობის ამალლებულ, მით უფრო პათეტიკურ ტონს, იგი დიდი წარმატებით და მხატვრული შთამბეჭდაობით გაიხსნა უაღრესად რეალისტური ხასიათის, უფრო ზუსტადაც, ფრონტული ყოფის ამსახველ ნაწარმოებებშიც. ასე იყო თვით სამამული ომის წლებში დაწერილ ნაწარმოებებშიც კი, როცა თავად დრო მოითხოვდა გმირობის უშუალო, ნათელ მაგალითებს. მერე და მერე ამგვარი სიღრმისეული ხედვა, ფილოსოფიური წვდომა, ხასიათების სირთულეთ დაინტერესება სულ უფრო მეტად დაეტყო მწერლობას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თედო ბექიშვილი

გულწრფელი სიმართლის მოლოდინი

რაბინდრანატ თაგორის აზრია: სიმართლის თქმა ადვილია, როცა ბოლომდე გულწრფელი არა ხარო, ჩვენგან, ყველასგან სწორედ გულწრფელ სიმართლეს მოელის ხალხი და არა იმგვარს, მართალს რომ ჰგავს, და სიცრუეზე, სიყალბეზე უარესი რომაა სწორედ შენიღბული სიცრუის გამო...

მაგრამ როგორც კი ეს სიტყვები დავწერე, იმ წამს წამოტივტივდა ძველისძველი ანდაზა: სიმართლის თქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. ეტყობა, სიმართლის თქმა არასოდეს ყოფილა ადვილი, ეტყობა სიმართლე ძალმომრეობის უხეში ხელით ითრგუნებოდა მუდამ, რადგან უმრავლეს შემთხვევაში მართლის თქმელს ვეღარც შეკაზმული ცხენი შეელოდა... ასე ებრძოდა ერთმანეთს მართლის თქმის დაუოკებელი სურვილი და თვითგადარჩენის შიში...

ხან ერთი იმძლავრებდა, ხან — მეორე.

ამ თვალსაზრისით თვალი რომ გავადევნოთ ჩვენი ქვეყნის წარსულს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ მართლის ზეობის დროს ქვეყანაც მძლავრია და აღზევებული. ხოლო დაბეჩავებულ ქვეყანაში სიმართლის ნერგი ჭკნება და ნაყოფს აღარ |ისხამს...

ქმნა მართლისა სიმართლისა, ხესა შეიქს ხმელსა ნედლადო,— რუსთაველის ამ სიტყვებში როგორ გარკვევით მოჩანს მაშინდელი მძლავრი და აღორძინებული საქართველოს სული და სულისკვეთება! ძალი შესწევდათ ქადილისა, სიმართლისათვის თავლში |ყურებისა...

დიდი ხნის მერე კი თავისი ქვეყნის ბედუკუღმართობით გამწარებული დავით გურამიშვილი ოხვრასავით ამოაყოლებს გულს: „მე თუ გინდა ფავი მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად, ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მას ვერ ვიტყვი კახაბერშად...“

ეტყობა, სხვები ამბობდნენ, ეტყობა საქვეყნო სენად იქცა სიცრუე და ორპირობა და აკი ამ სენმა მიიყვანა საქართველო კატასტროფამდე. გურამიშვილმა კი ბრძანა სიმართლე, მაგრამ იგი უფრო თავისთვის გასაგონად აღმოჩნდა ნათქვამი. ვინ გაიგონებდა მირგოროდის მიყრუებული გუბერნიიდან ნათქვამ მწარე სიმართლეს? ვისაც ეხებოდა, იმათ ყურს არ მისწვდენია ქართლის ჭირისგან დამწუხრებული დიდი პოეტის მართალი სიტყვა. იგი მხოლოდ შთამომავალთღა გავიგონეთ, გავიგონეთ, როგორც დიდი წინაპრის უკვადვი ანდერძი.

ვაჟა-ფშაველამ სიმართლე ულრანში ამოსულ, ვეება ხეთა რტოებით გადაჩრდილულ იას შეადარა, უმწეო, უნაზეს ყვავილს, რომლის სულისშემძვრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერება მაინც არ კმაროდა უხეშ და ბოროტ სინამდვილესთან საბრძოლველად... თუმცა ისევ იგი ეგულებოდა „სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველად.“

წლევანდელი წელი — დიდი ილიას საიუბილეო წელი — ბუნებრივია, ძალზე ხშირად გვახსენებს ამ ერისათვის თავდადებული მოწამის სახელს! ადამიანმა, ვინც ყველაზე მწარე, მაგრამ სასიცოცხლოდ გამომაფხიზლებელი სიტყვა უთხრა თავის ერსა და ქვეყანას, სწორედ ამ დიდი სიმართლისათვის ზღო საკუთარი სიცოცხლით! საბედნიეროდ, დაჩაგრულ და ძლეულ სიმართლეს ქომაგი გამოუჩნდა. ამიტომაა ილიას იუბილე ასეთი მასშტაბური; სწორედ ილიას უკვდავი სახელი გვავალებს, რომ მისი გზა და ანდერძი არ დავივიწყოთ, არ ვანაკვალოთ პირადულს საზოგადო, სახვალიოს დღევანდელი, სიმართლის ხმალი ქარქაშში არ ჩავაგოთ და უზრუნველობის ჭაობში არ ჩავძიროთ საერო, საქვეყნო იდეალები. ქართული მწერლობის უკეთესი წარმომადგენელნი, საბედნიეროდ, არასოდეს გადასულან ამ გზიდან. „დრო და ჟამის შესაფერად“, აშკარადა თუ შეფარვით, ქართველი მწერალი ყოველთვის ერის სამრეკლოზე რეკავდა ზარებს და მისთვის ეს უფლება არავის წაურთმევია. წაურთმევია კი არა, დღეს პირდაპირ მოითხოვენ ჩვენგან — ვილაპარაკოთ ხმამაღლა, გულახდილად, საჯაროდ, ვილაპარაკოთ იმ პრობლემებზე, რომელთა გადაუჭრელობასაც არ გვაპატიებს არც დღევანდელობა და არც მომავალი.

საბედნიეროდ, დღეს მეტ აქტიურობას, ცხოვრებასთან მეტ სიახლოვეს, მეტ სიმართლეს მოითხოვენ ჩვენგან და თუ არ დავძლიეთ „შეკაზმულ ცხენზე“ შიში, „ლაფში ჩაფლული ურემი “თავისით არ ამოვა ტალახიდან. მწერალმა ჩვენი ცხოვრების ყველა სატკივარზე უნდა თქვას თავისი გულწრფელი სიტყვა, ოღონდ სიტყვა — ნამუსის სასწორზე აწონილი... აჩქარებითა სოფელი, არავის მოუკამიაო, — გვასწავლის ხალხური ანდაზა. ჩვენ კი, სამწუხაროდ, რაც თავი მახსოვს, სულ ვჩქარობთ, ვჩქარობთ ხოლმე იმ საქვეყნო საქმეების გადაჭრაშიც, სადაც აშკარად არ ეგების აჩქარება. გაივლის ცოტა ხანი და ირკვევა — თურმე „მიმდინარე მომენტს“ ფეხაწყობილნი შეცდომებს ვუშვებდით. ასე ვჩქარობდით, როცა ქვეყნად ინდუსტრიალიზაციის პროცესი დაიწყო და ქართული სოფლის უდიდესი ნაწილი ჩვენმა ინდუსტრიულმა ცენტრებმა, განსაკუთრებით კი თბილისმა, შეიწოვა.

ქართული მწერლობა ამ პროცესს ტაშისცემით შეხვდა, ლექსები და რომანები უწერა, თეატრებმა — სპექტაკლები, კინომ კი ფილმები გადაუღო...

შეეძლო თუ არა ქართულ მწერლობას ამ პროცესს წინ აღსდგომოდა? სამწუხაროდ, პასუხი უარყოფითია... იმ წლებში მწერლობა იქცა პოლიტიკის უბრალო დანამატად, მან დაკარგა თავისი უწმინდესი ფუნქცია, რადგან იგი ქვევრიანად იმეორებდა იმას, რასაც „ზევიდან“ ჩასძახებდნენ. გამოხდა ხანი. ნაჩქარევმა სოციალ-ეკონომიკურმა ღონისძიებებმა თავიანთი უარყოფითი შედეგები მალე გამოაჩინეს. მალე ცხადი გახდა, რომ საშიშროება შეექმნა სოფელს — ჩვენი ეროვნულობის ამ უმთავრეს დასაყრდენს. სამწუხაროდ, არც იმ მრეწველობის ცენტრებს მოუხდენიათ ეკონომიკური სასწაულები...

და დღეს ერთიც მისახედი გაგვიხდა. და მეორეც...

მაინც რა შეუძლია მწერალს? რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ცხოვრებისეულ პრობლემათა უშუალო გადაჭრისას? რაზე მიუწვდება ხელი? რა შედეგი მოჰყვა ჩვენს ბოლოდროინდელ ხმამაღალ ღაღადს დაცარიელებული სოფლების გამო? მართლა დაუბრუნდა ვინმე მამაპაპეულ, მიტოვებულ კერას ჩვენი მგზნებარე ლექსების მოწოდებით? სამწუხაროდ, პასუხი აქაც უარყოფითია. ცხოვრებას თავისი, ცხოვრებისეული კანონები წარმართავს. მაგრამ დუმილი მაინც არ ეგების. სასაუბრო, ხმამაღლა განსასჯელი უამრავი პრობლემაა ჩვენს ირგ-

ვლივ დაგროვილი. შეიძლება შევცდეთ, სწორედ ვერ განვსაჯოთ ესა თუ ის პროცესი, მაგრამ მაინც თქმა სჯობს არა თქმასა...

სათქმელს ყველაზე მეტად კონკრეტულობა შვენის. დღეს, მითუმეტეს, ზოგადი ფრაზებით ლაპარაკის დრო აღარაა. მაგრამ მაინც რას ნიშნავს კონკრეტულობა? მწერალი რომ ადგეს და, ვთქვათ, ერთი კონკრეტული პიროვნების ბნელი საქმეები გამოიტანოს სააშკარაოზე, ვფიქრობთ, ამით დიდი საქმე არ გაკეთდება. არ გაკეთდება თუნდაც იმიტომ, რომ, ცხრათავიანი დევივით, იმ მოქმედი თავის სანაცვლოდ სხვა, ახალი ამოვა და ამით საქმეს არაფერი ეშველება. ეს, ძირითადად, სამართალდაცვისა თუ იურისპრუდენციის საფეროა.

ვფიქრობთ, ძალზე კონკრეტული იყო ილია ჭავჭავაძე, როდესაც „კაციადამიანს“ წერდა. ლუარსაბ თათქარიძე კონკრეტულიც იყო და ათასჯერ მეტიც. ანუ ზოგადი. სწორედ ამგვარი კონკრეტული სათქმელი სჭირდება ჩვენს დღევანდელობას.

დღეს რომ ილია ცოცხალი იყოს, თავისი გამჭრიახი თვალით ალბათ ბევრ ისეთ რამესაც დაინახავდა, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ, ან ვამჩნევთ და ჩვენი უნიათობის წყალობით თვალს ვარიდებთ, — ვითომ ყველაფერი რიგზეა, ან ვითომ არ გვეხება, ან რაღა მე და არა სხვამ და ა. შ.

ილია, ალბათ, თავიდან დაწერდა „კაცია-ადამიანს“, ჩაგვახედებდა ჩვენი სულიერი ცხოვრების სარკეში და ეს ნაწარმოები, თავისი მკაცრი, მამხილებელი სარკაზმით, არაფრით არ იქნებოდა ადრინდელზე ნაკლებად აქტუალური, სასაცილო და შემზარავი! არაა გამორიცხული, რომ რომელიმე თანამედროვე ლუარსაბს მწერალზე სასიკვდილოდ გაეწია და არც ისაა გამორიცხული, რომ ქადილი სირაულეში მოეყვანა...

თითქოს შიშობდა მწერალი, რომ ლუარსაბში გაცხადებულ უარყოფით ხასიათსა და თვისებებს შეიძლება ყლორტი მომავალშიც ამოეყარა. შიშობდა, გული უგრძნობდა, და თათქარიძე უშვილძირად გადაადგა... მაგრამ, ვაი რომ, მხოლოდ მწერალის სურვილი აღმოჩნდა ასეთი! მაინც გამრავლდა ლუარსაბი, ნაპატიებ, პატიოსან ღიპზე ახლაც შემოუწყვია თავისი კოტიტა ხელები და თვითკმაყოფილი კითხულობს: — დედაკაცო, ვახშმად რა გვაქვს?

სხვა საფიქრალი, საერო, საქვეყნო, სამომავლო არც დღეს აწუხებს. ერთ-ორ შვილსაც კი თითქოსდა ვალის მოსახდელად აჩენს; იძენს ავეჯს, მანქანას, ბინას, მოდურ ჩასაცმელს, ყველაფერს წაბაძვითა და სხვათა თვალის დასათხრელად... სიმდიდრეს მიწაში ფლავს, რომ უცხომ არ დაინახოს, მოყვასისაკენ, დარიბინაკენ თვალი არ გაექცევა, თხუნელასავით საკუთარ სოროში შემძვრალი ტკბება არმად ნაშოვნი სიმდიდრით. ლუარსაბი, მართალია, პარაზიტული ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ ერთი სიკეთე მაინც სჭირდა დღევანდელთან შედარებით: ქურდი არ იყო. ეს კი, დღევანდელი — ქურდია, სულ სხვის ჯიბეში აფათურებს ხელს, პარაზს სახელმწიფოს, კერძოს, სადაც და როგორც მოიხელთებს, ნემსის ყუნწში ძვრება, რწყილს ატყაკუნებს...

ილია რომ ცოცხალი იყოს, თავის „ოთარაანთ ქვრივში“ ისევ აუცილებლად შეიტანდა „ხიდჩატეხილობის“ სატკივარს, სოციალური უთანასწორობის იმ ძველმა მოდელმაც დროის შესაფერისად იცვალა სახე. თანამედროვე კესოები და არჩილები, მგონი, უფრო ზერელედ და ფუქსავატურად ატარებენ სიცოცხლეს, ვიდრე მათი წინაპრები. ისინი ახლა ვიდეო-ტელევიზორებთან კლავენ დროს და, ხშირად, მოსაწყენი ცხოვრების ერთფეროვნებას ნარკოტიკული საწამლავით აფერადებენ...

ილია რომ ცოცხალი იყოს, აღარ დასჯერდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლის დაარსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა... მას შეიძლება მოეთხოვა იმ დაწესებულებათა დახურვა, საიდანაც ამ ... დიპლომიანი უეიცი გამოდის...

ვიღაც იგონებს: ერთხელ თურმე ილიას რკინიგზის სადგურში ბილეთი აუღია. მოლარეს ხურდა არ აღმოჩენია. დგას ილია და ელოდება. წამოდი, კაცო, გაგვასწრებს მატარებელიო, — უთქვამს თანამგზავრს. ილიას პასუხი: სჯობს მატარებელმა გაგვასწროს, ვიდრე ეს ერთი მოლარე გაირყვნასო.

ეტყობა, ილიამ მაინც შეარჩინა იმ მოლარეს ხურდა და იმისი შთამომავალნი გამრავლდნენ ისე უსაშველოდ, რომ ყოველგვარი ტრანსპორტის ყველა მოლარე მარტო ხურდის შერჩენით კი არ კმაყოფილდება, ათასგვარ ეშმაკობას იგონებს, რომ მგზავრი როგორმე გაყვლიფოს. და ეს ხდება დღეს, როცა მთელი ქვეყნიერება ბორბლებზეა შემდგარი და ფუტკრის სკასავით მოზუზუნე სალაროებთან მუშტარი არ ილევა.

ეგ კიდევ არაფერია. ხდება უარესიც.

ამას წინათ, ზამთრის არდადეგებზე, ბავშვები გავგზავნე რაიონში, დედულეთს. აქეთობას, ბავშვებს პაპამ აუღო ბილეთები (ერთი ზედმეტიც), ჩასვა კუპეში, გადაუხადა თეთრეულის ფული, გამცილებელი გააფრთხილა — ბავშვებია და მიხედეო, ხოლო ბილეთების მიცემა დაავიწყდა. როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცა გამცილებელი, შუახანს გადაცილებული ქართველი კაცი, იმ ხნისა, ამ ბავშვებს თითქმის პაპად რომ შეჰფერის? ხომ კარგად იცოდა, რომ ბავშვებს ბილეთები ჰქონდათ? თუ არა, ოთხ ადგილს ხომ მოაკითხავდა კანონიერი მფლობელი? — უბილეთოები ხართ და ფული გადამიხადეთო! წაართვა კიდეც. თითქმის ორმაგად. ორმოცი მანეთი წაართვა, რომელიც, ბედად, ბიძას ეჩუქებინა ბავშვებისათვის... იმ კაცმა, ალბათ, იმ ნაარმალი ფულით საკუთარ შვილიშვილებს უყიდა რაღაც, ან სათამაშო, ან ხილი, ან პური... ზნეობრივი გადაგვარების უფრო საშინელი მაგალითი ძნელი წარმოსადგენია. არადა, სხვას რომ ეთქვა, არც დავიჯერებდი. არასოდეს დამავიწყდება ჩემი ბავშვების შეძრწუნებული სახეები, შინმოსულნი ამ ამბავს რომ მიყვებოდნენ. ვიფიქრე, მივალ, დავადგენ, პასუხს მოვითხოვ-მეთქი. რომ წარმოვიდგინე, ერთი კი არა, ათასობით ამგვარი ზნის გამცილებელი დაჰყვება ვაგონებს აღმა-დაღმა, ჩავიქნიე ხელი...

და ვინ იცის, რამდენჯერ ჩავიქნიეთ ხელი!

და ვინ იცის, რამდენ რამეზე ჩავიქნიეთ ხელი!

და თანდათანობით შეეგუეთ და ნებით თუ უნებლიეთ ხელს ვუწყობთ გალაღებულ უზნეობასა და უხამსობას.

ძნელია ამოცანები, რომელთა გადაჭრაც დრომ ჩვენს თაობას არგუნა წილად. ძნელია გამრუდებული ფსიქიკის, ჩვეულებად ქცეული თვისებების გარდაქმნა — გაკეთილშობილება. ამ ამოცანას არცავინ გვიიოლებს. მწარეა სიმართლე, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. როცა დასმულია დიაგნოზი, ყველაფრის შველა შეიძლება, წამალი გამოინახება. დაფარული ჭირია საშიში. ჩვენ მას დიდხანს ვფარავდით, დიდხანს ვალამაზებდით სინამდვილეს, და ასასურველს რეალობად ვსახავდით. ასე აღარ შეიძლებოდა გაგრძელება. გარდაქმნაც ამიტომ ხდება, მომავალი მოდის. უკომპრომისო, სიმართლის წყურვილით აღსავსე ახალგაზრდობა ნათელი, გამჭოლი მზერით უსწორებს თვალს სინამდვილეს. ისინი ჯერ სკოლის მერხებს უსხედან, ფრთებს იმაგრებენ, საფრენად ემზადებიან. ჩვენ უფლება არა გვაქვს მათ მზერას თვალი არ გავუსწოროთ.

მოვყვები ერთ კონკრეტულ და დამახასიათებელ მაგალითს.

ამასწინათ საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით გადმოსცემდნენ რუბრიკას — „ჩვენი სადისკუსიო კლუბი“. სკოლის მოსწავლეები მსჯელობდნენ თუ როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, რა თვისებები უნდა ახასიათებდეს, რაჩაირად უნდა წარმართავდეს გაკვეთილებს, როგორ უნდა ამყარებდეს წესრიგს მოსწავლეთა შორის, მოკლედ — საუბარი იყო ჩვენი სკოლის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. სწავლების საყოველთაო რეფორმების პერიოდში ამგვარი, გულახდილი საუბრები ძალზე საჭიროა, საქართველოს ტელევიზიის ინიციატივა კი — უთუოდ მისასალმებელი სწორედ საჯაროობის, გულახდილობის ატმოსფეროში გახდება შესაძლებელი დავინახოთ ყველა პრობლემა, რაც სწავლების დღევანდელ დონეზეა დაგროვილი, ხმამაღლა ვიფიქროთ ამ პრობლემათა გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე. საკითხს კომპლექსური მიდგომა, გამოწვლილვით განხილვა ჭირდება. მე, რაღა თქმა უნდა, არავითარი პრეტენზია არა მაქვს იმ საქმეში ჩარევისა, რომელსაც მხოლოდ, ზოგადად, თუ შეიძლება ასე ითქვას — გარედან, შორიდან ვიცნობ, როგორც ერთ-ერთი რიგითი მშობელი. მაინტერესებს კი, ისევე, როგორც ყველა მშობელს, და ინტერესით ვუსმენდი იმ გადაცემას, ვუსმენდი ბავშვების უშუალო, ალალ, ზოგჯერ გულუბრყვილო, მაგრამ, რაც მთავარია, გულწრფელ მსჯელობას, ფრაზა კი, რომელმაც სულით-ხორცამდე შემძრა, ასეთია:

„მასწავლებელი პატიოსანი უნდა იყოს!“

იგი თქვა ერთ-ერთმა, მერე თუ მეცხრე კლასის მოსწავლე ბიჭუნამ, თქვა გულწრფელად, გულახდილად, თქვა თავისი უშუალო ნაფიქრი!

ამ სიტყვების მოსმენისას რაღაცამ ერთიანად შემძრა! „მასწავლებელი პატიოსანი უნდა იყოს“. როცა ამას მოზრდილნი ვამბობთ, კიდევ არაფერი, მაგრამ როცა ამას ამბობს მოსწავლე, ეტყობა, ძალიან ცუდადაა ჩვენი საქმე! რატომ უნდა გაუჩნდეს ბავშვს ამის თქმის სურვილი? მაშ, როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, თუ არა პატიოსანი? რას გულისხმობდა ის ყმაწვილი ამ სიტყვებში? რატომ, საიდან გაჩნდა ეს კითხვა? აქედან განა შორია ამის თქმამდე — დედაჩემი პატიოსანი უნდა იყოსო?! განა რომელი ბავშვი იტყვის ამას? განა ბუნებრივი არ არის, რომ დედა უნდა იყოს პატიოსანი, წმინდა, ამაღლებული?

გასაგებია, რომ მასწავლებელი შეიძლება იყოს ჭკვიანი, განათლებული, ან გაუნათლებელი, მკაცრი ან ლმობიერი... ყველას ვერ მოვთხოვთ ერთნაირ დონესა და სიმაღლეს: სადაა ამდენი, პედაგოგიური ნიჭით მადლცხებული მასწავლებელი, რომ ჩვენს აურაცხელ სკოლას გასწვდეს, სადაა ამ ფუფუნების დრო! მაგრამ პატიოსნება ზომ ის ცნებაა, რომელიც საზოგადოების ყველა წევრს მოეთხოვება და მასწავლებელს — უკლებლივ! არ შეიძლება მოსწავლე ხედავდეს მასწავლებლის უპატიოსნობას! არ შეიძლება სკოლის მერხიდანვე ბავშვი უპატიოსნობას შეეჯახოს შუბლით! ეს უდიდესი დანაშაულია ჩვენი მოთავალი თაობის, ჩვენი ხვალინდელი დღის წინაშე. აქაა იმ ზნეობრივი საფუძვლების შერყევისა და გამრუდების პირველი ბაცილა, რომლითაც მოსწავლე სკოლის მერხიდანვე ავადდება. მან უკვე დაინახა, უკვე დაუშვა, რომ ასეთი რამ შეიძლება; მას უკვე გაუჩნდა სურვილი, რომ „მასწავლებელი უნდა იყოს პატიოსანი“.

მაინც, რას ნიშნავს ეს სიტყვები?

რითი იზომება მასწავლებლის პატიოსნება? რაა მისი ზნეობის საწყაო? რანაირად შეიძლება ბავშვმა დაინახოს მასწავლებლის უპატიოსნება?

არაა მარტივი კითხვა და არც ამ კითხვის პასუხია იოლი.

თუ ძირისძირამდე ჩავყვებით მანკიერების ფესვებს, ეს საკითხი მშობლების პატიოსნებასთანაა უშუალოდ გადაჯაჭვული. როცა მავანი მშობელი თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურებრივი თუ „სოციალური პრიორიტეტის“ წყალობით ცდილობს მასწავლებელზე ზემოქმედებას, (ამ ზემოქმედების ათასნაირი ფორმა არსებობს), როცა თავისი ზარმაცი და უვიცი შვილის ნიშნების მომატებისთვის ყველა ღონეს ხმარობს, ბუნებრივია, სწორედ ამ პროცესში ეპარება ბზარი მასწავლებლის პატიოსნებას. ბავშვებმა ჩემ მშვენივრად, მასწავლებელზე არანაკლებ იციან თავიანთი მერხის ამხანაგის ცოდნის დონე. როცა ხედავენ, რომ ერთნაირი სწავლისათვის ერთი მაღალ ნიშნს ღებულობა, ხოლო მეორე — დაბალს, სწორედ ამ დროს იწყება ლაპარაკი მასწავლებლის პატიოსნებაზე, უფრო სწორად — უნამუსობაზე, რადგან უფრო დელიკატური სახელი ამ მოვლენას არ დაერქმევა. უფრო მეტიც, ჩემის აზრით, ეს იმგვარი დანაშაულია, რომ ასეთი მასწავლებელი სკოლიდან სამუდამოდ უნდა გავაძევოთ. თუ არ გვინდა, რომ ათასობით ბავშვს შევურყიოთ სამართლიანობისა და პატიოსნების რწმენა, მოშავლის რწმენა!

დღეს, ამ საყოველთაო მოძრაობის დროს, როცა დასახულია რადიკალური ღონისძიებანი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული გაჯანსაღება-გარდაქმნისათვის, ერთ-ერთი უპირველესი, ალბათ, სწორედ სწავლების, სკოლების საკითხიც არის. საყოველთაო, მასობრივი სწავლების დღევანდელ პერიოდში, თუ ციფრობრივ მონაცემებს დავეყრდნობით, შესაშური სურათი დაიხატება, მაგრამ თუ საქმესთან უფრო ახლოს მივალთ, თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, ხომ ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ თითო-ოროლა, ყოვლად უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, არც ერთი საშუალო სკოლადამთავრებული ბავშვი, თუ იგი კერძო რეპეტიტორთან არ მოემზადა, უმაღლესში ვერ ამბარებს. ამაზე არაერთხელ ითქვა საჯაროდ და ხმამაღლა. საქმეს კი, ჯერჯერობით, სასიკეთო პირი არ უჩანს.

საშუალო ის არის, რომ რეპეტიტორთა ერთი ნაწილი, სწორედ ის მასწავლებლებია, სკოლებში რომ ამრუდებენ სასწორს. ზოგიერთი, ფრიად დახვეწილი და დამუშავებული მეთოდებით, პირდაპირ აიძულებს ბავშვებს, რომ დამატებით, შინ ამეცადინონ და ასე აიყვანონ იმ დონემდე, როცა ნიშანი დასაყვედრები აღარაა. სკოლაში ამას ვერ ახერხებენ, შინ კი — მშვენივრად. ესე იგი, როცა მატერიალური დაინტერესება იზრდება, იზრდება სწავლების ხარისხი. უამისოდ კი მხოლოდ ვალის მოხდა და ფორმალურად ჩატარებული გაკვეთილები გვრჩება ხელთ, რომელზეც სხვდან ჩვენი ბავშვები და ნატრობენ „პატიოსან მასწავლებელს“.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ პატიოსანი, უმეცარი პედაგოგები არ გვყავდეს. გვყავს და საკმაოდ ბევრიც. მაგრამ როგორც ყველაფრიდან ჩანს, და უფრო კი ტელევიზიით ნათქვამი იმ სიტყვებიდან გაცხადდა ჩემთვის, რაღაც რადიკალური ზომები თუ არ მივიღეთ მდგომარეობის გამოსასწორებლად, საქმე საგანგაშოა. საგანგაშოა თუნდაც იმიტომ, რომ მასწავლებელთა მრავალათასიანი არმიაც ხომ ჩვენი ეროვნული სხეულის ორგანული ნაწილია და მის საერთო ჯანმრთელობის უცილობელი საწინდარი.

შორსა ვარ აზრისაგან, რომ ხელაღებით. განუკითხავად ყველაფერში მასწავლებლები დავადანაშაულოთ. ზნეობრივი გმირობა მასობრივი მოვლენა არასოდეს ყოფილა. ყველას ვერ მოსთხოვ, რომ ექვთიმე თაყაიშვილი იყოს. ცხოვრება თავისი ულმობელი კანონებით წარმართავს მასობრივ ფსიქოლოგიას. მარქსიზმის კლასიკური დებულება — ყოფიერება ქმნის ცნობიერებას — ყველა დროისათვის ჭეშმარიტია. მასწავლებელი, იყო დრო, მართლაც იწვევდა მოწიწებასა და პატივისცემას. მახსოვს, სოფელში, სადაც გავიზარდე, ყველაზე სუფთა, მოხდენილი ტანსაცმელი მასწავლებლებს ეცვათ. ქოლგა, ბევრს შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ამაზე გაეცინოს კიდეც, პირველად ჩვენი სკოლის დირექტორის ხელშ
დავინახეთ... წარმოუდგენელი იყო, რომელიმე მოსწავლეს მაშინ მასწავლებელზე ისეთი რაიმე გაეფიქრა, რაც ამ ღღეებში ჩემმა (და არა მარტო ჩემმა) ყურმა გაიგონა.

მერე, თანდათანობით, პედაგოგის სახელს მოაკლდა ის ძველი პეწი და მოწიწება, თანდათანობით საზოგადოების სულ სხვა ფენებმა მოიპოვეს, სოციალურად უკეთესი მდგომარეობა და, რა გასაკვირია, რომ გაჩნდა ტენდენცია ცხოვრების კვალდაკვალ მიყოლისა; რა გასაკვირია რომ მასწავლებელსაც გაუჩნდა სურვილი ცხოვრების უკეთ მოწყობისა, მისი ასპარეზი სკოლაა და აქ ამუშავდა ის მძლავრი მექანიზმი, რომელმაც თანდათანობით მრავალი ჩვენი მასწავლებელი თავის ბორბლებში ჩაითრია. დაგორებულ ქვასავით, ახლა ამ პროცესის შეჩერება, სამწუხაროდ, უკვე ადვილი აღარაა. მხოლოდ შეგონებით, ცარიელი სიტყვებით ამ საქმეს ახლა, ვეჭვობ, რომ რაიმე ეშველოს. თუ არ აღმოიფხვრა მიზეზები, რომლებიც მასწავლებლის „პატიოსნებას“ გულდაგულ, მეთოდურად არყევენ, წარმატებებზე ფიქრი ზედმეტია. ზედმეტია ფიქრი იმაზე, რომ მათი აღსაზრდელები მაინცდამაინც პატიოსანი გზით ივლიან მომავალი ცხოვრების გზაზე და თვითონაც თვალი არ გაეკცევათ აკრძალული ხილისკენ. აღზრდა, უპირველესად, შეგონებებით კი არა — პირადი მაგალითით ხდება. როგორიცაა ჩვენი ოჯახი და სკოლა, ისეთი გაგვეზრდება მომავალი თაობა, ისეთი იქნება ხვალინდელი საქართველო.

ყველას ერთად გვმართებს ამაზე ფიქრი და ზრუნვა.

საფიქრალი და საზრუნავი, საგანგაშო და თავში საცემი, რაღა თქმა უნდა, იმაზე გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე ან ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ფრაგმენტულ წერილში მოვყევი. სხვას სხვა დროს ვიტყვით, სხვა იტყვის... ერი და ქვეყანა გამოფხიზლების გზაზეა. გამოფხიზლებული აზრი ყველაფერს მოუვლის....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჭელიძე – 70

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ვახტანგ ჭელიძეს დაბადების 70 წლისთავს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

ბატონი ვახტანგ ჭელიძე

ბატონ ვახტანგზე წერა ჩემთვის ადვილია და ძალზე ძნელიც. ადვილი იმიტომ, რომ წაკითხული მაქვს ყველაფერი, რაც კი უთარგმნია და დაუწერია; თითმბერი წელიწადი მისი მოადგილე ვიყავი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში; ბევრი რამ კი, რაც ამ თითმბერი წლის მანძილზე გაკეთია, თითქმის ჩემს თვალწინ იწერებოდა; ვხედავდი მღელვარებით შეპყრობილ, გახარებულ ან დაეჭვებულ ადამიანს, რომელსაც შემოქმედებითი შრომა სახიცოცხლოდ აუცილებელ სულიერ მოთხოვნილებად გადაქცეოდა.

მაგ რადგანაა ძნელი ბატონ ვახტანგზე წერა? იმიტომ, რომ თავად არ უყვარს ზედმეტი გაშინაურება, პირში ჭების საშუალებასაც არ მოგცემს, თქმას არც დაგაცლის და ის „ტკბილ“ სიტყვები, ენაზე რომ ჭკონდა მომდგარი, სადღაც დაგეფარტება.

და მაშინაც კი, როცა თავს მის უახლოეს ადამიანად თვლი, ის შენთვის მუდამ ბატონ ვახტანგად დარჩება.

ვერ გადაგრჩები, ჩვენი პირველი შეხვედრა თუ არ გავიხსენე, მით უმეტეს, რომ ეს შეხვედრა ერთი ძალზე მცირე ნაწილია (და მაინც ნაწილი) ჩვენი თაობის ბიოგრაფიისა. ამგვარი შეხვედრა ბატონ ვახტანგთან სამოცდაათი წლების თითქმის ყველა ახალგაზრდა მწერალს ჰქონდა და ყოველი მათგანი, თუ არ ვაზვიადებ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მას.

ჩემი პირველი მოთხრობები „ცისკრის“ რედაქციაში ჩემმა მეგობრებმა მიიტანეს (მაშინ ისინი უკვე იბეჭდებოდნენ და ცნობილ ახალგაზრდა მწერლებად თვლიდნენ) და რედაქტორთან მისვლა მაშინ მომიწია, როცა მოთხრობების გამოქვეყნება უკვე გადაწყვეტილი იყო. დიდის მღელვარებით წარმადგინეს. ერთი ბეწო ოთახში, საწერ მაგიდასთან იჯდა რედაქტორი, და ახლაც ასე მგონია, რომ მაშინდელ ვახტანგ ჭელიძესა და დღევანდელს შორის გარეგნულად დიდი განსხვავება არც არის:

ჩვეული სათვალე,

გამომცდელი გამოხედვა.

სიცილი.

და შეგრძნება იმისა, რომ დღეს ამ კაცს პირველად არ ვხვდებოდი...

არც შეეხვედრივარ პირველად. შორიდან ვხედავდი თეატრალურ პრემიერებზე, რომელიმე მნიშვნელოვანი ფილმის გახსნისგზე, ვერნისაჟზე, ხალხური თეატრის რიგით სპექტაკლებზე, მწერალთა კაბინეტში, ეუნაში...

არც პრემიერა, არც ვერნისაჟი და არც სხვა რამ, მაშინ არ იყო დღევანდელივით ხალრსტიფო მოვლენა და უბრალო, დამწყები მწერლებიც ადვილად ვეხსენებოდით ყველაფერს.

მახსოვს „ცისკრის“ მაშინდელი თანამშრომლები:

ზოგი მათგანი, ჩვენდა საბედნიეროდ, უკვე წავიდა ამქვეყნიდან.

ზოგი დღეს ქართული ლიტერატურის სათავეებთან დგას.

„ცისკრის“ მაშინდელი ნომრებისთვის ავტორებს ხანგრძლივად, დიდი გულისყურით არჩევდნენ. ამ ეურნალში რაიმეს დაბეჭდვა ადვილი არ იყო. თუ დამწყებ მწერალს „ცისკარი“, ან უფრო ზუსტად — მისი ხანგრძლივი განყოფილება „ჭაშნიკი“ გაღიარებდა, ლიტერატურის კარი მერეღა იღებოდა შენთვის. ასიდან ხუთს ან, დიდი-დიდი, ათს თუ შეარჩევდნენ. კომპრომისი იშვიათობა იყო (თუკი ჩვენში საერთოდ შეიძლება კომპრომისის გამორიცხვა).

ამიტომ მოხდა ალბათ, რომ, ძალზე მცირე გამონაკლისის გარდა, „ცისკრის“ კარით შემოსულ მაშინდელ მწერალთაგან მეტაფორებად ყველამ გაიმართლა. მოგიდგა მთელი თაობა, რომელთაც

არაოფიციალურად „ცისკრელებსაც“ ეძახდნენ. „ცისკრელი“ ნიშნავდა საიმედოს, თუ გნებავთ — ნიჭიერსაც. ამაშია, ჩემი აზრით, ვახტანგ ჭელიძის „ცისკრის“ უპირველები დამსახურება, საამბოხო რედაქტორს მხარში ნიჭიერი ბალნი ედგა. ისინი ეძიებდნენ ავტორებს და, როცა ეძებ, პოულობ კიდეც. ასე მოძებნეს გურამ რჩილოშვილი. სამაგალითოდ ეხეკ ქმარა...

პირველი გაეცნობიდან ამ ჩემი პირველი პუბლიკაციიდან კარგა ხანი გავიდა.

ბატონ ვახტანგს ძალზე იშვიათად ვხვდებოდი.

და ყოველ ზამირ შეხვედრაზე ის ახსწრებდა ჩემთვის ეთქვა ერთადერთი რამ: რატომ არაფერი მოგაქვს? გელოდები...

ახე გავიდა თხუთხეამდე წელი.

ბოლოს კი ყველაფერი დაგვიგვანდა ბატონ ვახტანგის ტელეფონის ზარით: „ლიტერატურული საკმარველოს“ რედაქციაში გამოიარეო.

გავიარე.

გავიარე. და მან თავისი მოადგილეობა შემოთავაზა.

ის დღიდან ჩემს ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო, და მე, მსგავსად ჩემი ბევრი მეგობრისა, ვამაყობ, რომ მე კაცის გვერდით ვიმყოფები, რომელიც ეწეშრიტი ლიტერატურის ცხოვრებით ცხოვრობს, რომლისთვისაც ლიტერატურა დიდი სულიერი მოთხოვნილებაა და რომელიც ცდილობს ყველაზე, ვინც მის ირგვლივაა, ლიტერატორი ალზრდოს.

„ცისკრისადმე“ და „ცისკრის“ მერეც, ვახტანგ ჭელიძემ ბნელი, ლიტერატურული ბრძოლებით ალსავსე შემოქმედებითი გზა გამოიარა. როცა ამ გზის შესახებ თავადვე ლაპარაკობს, შეიძლება გარეშე კაცს მხარეული და პიკანტური ამბებით ალსავსე გზადაც მოეჩვენოს. თითქოს მხოლოდ ნაირ-ნაირი თავშესაქცევი ეპიზოდები ცვლიდნენ ერთმანეთს, თითქოს დრამატული არაფერი მომხდარა. არადა ხდებოდა, და მერე როგორი ამბები, ხშირად ყირაზე რომ აყენებდნენ დალაგებულ ლიტერატურულ ცხოვრებას... იყო მხარდაჭერა და იყო დემაგოგიაც. ყოველ კეთილ საქმეს ჩვენში ძირგამოთხრილებიც მუდამ მყავს და არც ბატონი ვახტანგის ლიტერატურულ საქმეებს აკლდა აშკარა თუ ფარული მტერი. მე მინახავს სიფრთხილით შენახული „ცისკრის“ პირველი (ალბათ ერთადერთი) ნომერი... ის „ცისკრისა“ კი არა, მთელმა მკითხველმა ხაზოგადოებამ რომ იხილა და ზეიმითაც მიიღო, არაგვად იმ „ცისკრისა“, რომელიც ფრთხილმა იდეურმა „მოღაწეებმა“ დააშლევინეს რედაქციას, რადგან გარეკანზე თორმე მოდერნისტულად შესრულებული უნივერსიტეტის შენობა იყო გამოხატული.

არა, მოდერნიზმის ნასახიც არ არის...

უბრალოდ სულ მცირედი გადახრაა მაშინდელი დადგენილი ოფიციალური შეგმპობიდან.

ამგვარად დაიწყო „ცისკრმა“ ცხოვრება. ამგვარი იყო მთელი ცხოვრება ბატონ ვახტანგ ჭელიძისა.

დადგება დრო და ყოველივე ამაზე, ალბათ, თვითონ ბატონი ვახტანგი მოუთხრობს თავის მკითხველებს და მოუთხრობს ჩვენზე, მის მოწაფეებზე ათასჯერ უკეთ, საქმის ცოდნით და ჩვეული ხილაფით. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია გავიხსენოთ, რაც უშუალოდ თვითონ ჩვენგანის თვალწინ მოხდა და რაც სათუთი ძაფებით ვგავაკშირებს ბატონ ვახტანგთან.

მისი ყველაზე დიდი ლიტერატურული სიყვარული შეკსპირია. საუბარშიც უყვარს მოსმობა შეკსპირის სიტყვებისა. სიტუაციებშიც გაავლებს ხოლმე პარალელს. შეკსპირის თარგმნას ვახტანგ ჭელიძე ახალგაზრდობაშივე შეუდგა. და მაშინაც, როცა სხვა საქმით გადაელილა, უნატრია კვლავ დაბრუნებოდა შეკსპირს და მისი უზარმაზარი მემკვიდრეობიდან (ჩვენ, მკითხველები ხომ ჭრეტენმათიულ შეკსპირს ვიცნობთ) რაიმე თარგმნა. ეტყობა, შეკსპირის თარგმნა მისთვის ერთგვარი ძალთა მომკრეფია, სულიერი ზვების მომგვრელი, შემოკმედებითი სიხარულის მომნიკეველი.

ახალგაზრდულ წლებში თარგმნა ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხე“, დიკენსის, ვალტერ სკოტის ნაწარმოებები.

შემდეგ წამოვიდნენ ბემინგუეი, სტაინბეკი, ხელინჯერი.

ეს უკვე ჩვენი თაობის თვალწინ მოხდა და საგანგებოდ უნდა გავიხსენო დრო, როცა ვახტანგ ჭელიძე ამ მწერლებს თარგმნიდა. მაშინ ქართულად თითქმის არაფერი იყო თარგმნილი თანამედროვე მსოფლიო მწერლობიდან. სახელები, რომელთაც დღეს ყოველდღიურ საუბრებში ვახსენებთ, ქართველ ახალგაზრდა მკითხველს შორიდან თუ გაგეგონა. ბემინგუეი, სტაინბეკი, ხელინჯერი ისინი იყვნენ, ვინც სადღაც შორს, ოკეანეთა გადალმა არსებობდნენ, ჩვენ კი მათ წიგნებზე ხელი არ მიგვწვდებოდა. ომამდე რუსულად გამოცემული პატარა კრებული ბემინგუეისა, ოლეანეთა ნარკვევებს ან ოროოდე მოთხრობას ალრთობენ, ამ მწერლის შემოქმედებაზე ბუნდოვან წარმოდგენას იძლევდა. ცოტამ თუ იცოდა, რომ ბემინგუეი ესპანეთის სამოქალაქო ომში ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდა და ამ ომზე რომანიც კი ჰქონდა დაწერილი („ვის უზმობს ზარი“). ვგულისხმობ მასსობრივ ახალგაზრდა მკითხველს, რომელსაც ორიგინალზე ხელი არ მიუწვდებოდა. მაგრამ ორიგინალზე ვიღას მიუწვდებოდა ხელი? ალბათ მხოლოდ იმ ოროოდე „ბედნიერს“, რომელთაც ეკადრებოდათ ამ მწერლების „შეზვალა“ და შემდეგ მკითხველის წინაშე მხოლოდ იმ მხარით წარმოდგენა, რის უფლებასაც დაკანონებული ოფიციალური ნება ითხოვდა.

ბოლოს რუსულად დაიბეჭდა მემინგუეის „მოზუეი და ზღვა“.

ეს თითქოს ნიშანი იყო იმისა, რომ გზა გაიხსნა და არც ზღვები და ოკეანეები იყო ისე ვრცელი, რომლის გადალახვა რა ხდებოდა, არავინ უწყოდა. გაიშალა ძალზე ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობა. ბატონმა ვახტანგმა ზედიზედ თარგმნა თანამედროვე ამერიკის ამ გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებები და ქართველი მკითხველი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ერთბაშად აღმოჩნდა მისთვის უცნო და დიდი იდუმალი ძალით აღსავსე სამყაროში. „მოი, ბიჭო, რა ძალლის გუნებაზე დავდექი“ — სიტყვები ვახტეი მოლდენისა (ხელისჭერის „თამაში ჭკვიის ყანაში“) ყოველდღიურ სიტყვებად იქცა. „ძალლის გუნებაზე“ დამდგარ ახალგაზრდა თაობას ახალი ლიტერატურა სურდა, ახალი იდეალები, ახალი განწყობილება. ეს იყო მოთხოვნილება მუშანიშნის, ადამიანთა ურთიერთგაგებისა. ეს იყო შიშინი მოლოდინი გაუცხოებისა, რომელიც მერე და მერე უნდა მოსდებოდა მსოფლიოს, სულის მღრღნელ სენად და წელილეკა როგორც ცხოვრება, ისე ამ ცხოვრების გამომხატველი კულტურა. იმ წლებში კი მაინც „მეინგუეის დრო“ იდგა. მან მოახდინა დიდი გავლენა ხამოკიანი წლების მთელ ლიტერატურაზე და ამის შესახებ კარგად წერს ვახტანგ ჭელიძე:

„ჩვენს ხაუკუნეში არც ერთ მწერალს, ალბათ, იმდენი მიმდევარი და წამბაძველი არა მყოლია, რამდენნიც ერნესტ ჰემინგუეის გამოუჩნდა. შეიქმნა ტერმინი „ჰემინგუეის სტილი“. „ჰემინგუეისებური წერა“, და იქნებ გადაკარბებული არ იყოს თქმა, რომ თითქმის ყველა ახალგაზდა მწერალმა სცადა თავისი მწერლური ნიჭიხა და შესაძლებლობისთვის მოერგო ეს სტილი. ახე მოხდა ყველგან, ყველა ქვეყანაში. ჰემინგუეიმ სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა კლასიკოსის სახელი, თავისი მეტად საინტერესო და დიდი შემოქმედებით იგი ათეული წლებიხ განმავლობაში ტონს ანძლევდა ლიტერატურის განვითარებას მთელ დასავლეთში და მალალი მოკალკეთბრივი პატოსნებით, დიდი მუმანური პათოსით ეხმაურებოდა ყველაზე მნიშვნელოვანსა და მტკივნეულ პრობლემებს, რაც კი მის თანამედროვე ადამიანებს აწუხებდა და ალელვებდა“.

ვახტანგ ჭელიძემ პირველთაგანმა თარგმნა ქართულად ეს დიდი ამერიკელი მწერალი.

არა იმის გამო, რომ ჩვენ, ყველას, „ჰემინგუეისებური წერა“ დაგვიწყო...

მთარგმნელმა გვითხრა:

არსებობს ერნესტ ჰემინგუეი, იცნობდეთ და გიყვარდეთ.

ვახტანგ ჭელიძის ბუნების კაცი, ცხადი, მზოლიდ თარგმნით ვერ დაკმაყოფილდებოდა. მას სხვებისთვისაც უნდა მიეცა ფართო ასპარეზი. გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მთარგმნელები, რომელთაც ხელის შეწყობა, გზის გაკვალვა ან ასპარეზი სჭირდებოდათ. დღეს ის ახალგაზრდები ჩვენში კარგად ცნობილი მთარგმნელები არიან და ბატონ ვახტანგზე თავის სათქმელს ჩემზე უკეთ იტყვიან. მე მხოლოდ ძონწ ფაქტებს შევთავაზებ მკითხველს:

ვახტანგ ჭელიძემ საფუძველი ჩაუყარა ალმანახ „ოთხლს“, რომლის საფუძველზეც დღეგანდელი „ხაუნჯე“ შეიქმნა და რომელხაც თავიხსა მოთავეს და დამპარსებელმა დიდი მიხია დაკარა: ქართველი მკითხველისათვის, შემლებისდაგვარად, გაეცნო ყოველივე ხაუკეთესო, რაც კი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში იქმნება.

ვახტანგ ჭელიძის მცდელობითა და ინიციატივით, სხვა მრავალთა შორის, დაარსდა გამომცემლობა „ხაბჭოთა ხაქართველოში“ სერია მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეულისა. შედეგ გამოსაცემ ნაწარმოებთა პროსპექტი, რომლის ერთი სოლიდური ნაწილი უკვე ცალკე წიგნებად მიიღო ქართველმა მკითხველმა.

ვახტანგ ჭელიძემ გამოაქვეყნა წერილები ქართულ მთარგმნელობით სკოლაზე, თარგმნის მეთოდიკაზე, ორიგინალის და თარგმანის ურთიერთობაზე, დედნისადმი ერთგულებაზე, მთარგმნელის შემოქმედებით თავისუფლების ხაზღვრებზე თუ უხაზღვრობაზე, რაზეც ყოველი ახალი მთარგმნელი ფიქრობს და თავისი ნიჭისა და შესაძღებლობის ფარგლებში წყვეტს.

მთარგმნელად მოვიდა ის ქართულ მწერლობაში, მაგრამ მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი უფრო ფართო ასპარეზს ითხოვდა. ახე დაიწერა წიგნი დიდ ქართველ მთარგმნელზე, ივანე მაჩაბელზე. მაჩაბელი ის კაცი იყო, ვისზეც ვახტანგ ჭელიძეს თავისუფლად, შეუზღუდავად შეეძლო ელაპარაკა. ინგლისური ენის ცოდნა ხაშუალებას აძლევდა ღრმად ჩაეხედა შეკსპირის მთარგმნელის შემოქმედებით ხაიდუმლოებანი, და ამასთან ერთად, ღრმა დრამატული სიუეტების ფონზე ეარმოედგინა მეცხრამეტე ხაუკუნის ქართული ნინამდელი, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა ღროინდელი თბილისი, გარეშო, რომელშიც იცხოვრა ივანე მაჩაბელმა, ბოლოს კი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ იდუმალებით მოცული კითხვები დაუტოვა შთამომავლობას.

ეს ძალზე რთული კითხვებია.

მათზე პასუხის გაცემა უდიდეს ტაქტსა და ღროთა ფაქტორების შეკრებას მოითხოვს და მაჩაბლის ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნის ავტორიც თითქოს თრთოლვით, მოკრძალებით შლის ჩვენი უახლოესი წარსულის ფურცლებს, რათა ყველაფერი იმგვარად წავიკითხოთ, როგორადაც მოხდა, რათა ისედაც ბძმე წარსული უფრო ბძმე და ბუნდოვანი არ გახდეს.

ბატონ ვახტანგს უყვარს ცხოვრება, სიცოცხლე. დღეგანდელი დღე მისთვის თითქოს ზეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მია, „განუყრელი დღესახსოვნია“, როგორადაც მეშინინეული უწოდა თავისი ცხოვრების ერთ დიდ მონაკვეთს. ამიტომ თარგმნა მან ამე ცოცხლად „განუყრელი დღესახსოვნად“ და „ფიესტა“. მას უყვარს ფერადოვნება და ფიესტური მხიარულება; ბაზრული სიჭრელე, როცა ცხოვრება დუღს და გადმოდუღს,' ოდნავადაც არაფერს დაკარგავ ხელოვნური იერი; როცა სიცილიც გულწრფელია, ხეედაც — ბუნებრივი და ღვინოც — ნამდვილი; როცა მეგობრებიც იმას ამბობენ, რაც გულში უძევთ; ირგვლივ კი მარადიული ფიესტაა, ოღონდ ქართული ფიესტა, მშობლიური სანახები, სიფაღლის, თელავის, ბათუმის და სხვათა. მაგრამ დღევანდელი დღის ამ სიყვარულში შედამ იგულისხმება წარსული. ეს ბატონი ვახტანგისათვის თითქოს ხაზობია, მაშინაც კი, როცა რომელიმე ნაწარმოების ადგებეს. მას არ იზიდავს დროსა და სივრცეს მოწყვეტილი გმირები და ამბები, სურს, რომ თუნდაც ბატარა ნოველის გმირში, მისი ქვეყანისა და ერის წარსულიც იგულისხმებოდეს, ჩანდეს ვინ არის ეს კაცი, სიდედან მოვიდა და რომელ ფესვებზე ადმოცენდა.

ფესვების ძიებამ მიიყვანა ვახტანგ ჭელიძე იმ დიდ წიგნამდე, რომელსაც „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ ეწოდება — ქართველი ხალხის ისტორია — მოთხრობილი ვახტანგ ჭელიძის მიერ. ეს თითქოსდა ახალგაზრდობისა-თვის შემეცნებითი მიზნებით დაწერილი ერის ისტორია ძალზე რთული და მრავალმხრივი გამოდგა. მიზანი უბრალო იყო: რაკიმ არ უნდა ჰქონდეთ ქართველ ყმაწვილებს საკუთარი ერის ისტორია ისე გასაგებად და მიმზიდველად მოთხრობილი, როგორიც, ვთქვათ, ინგლისელ ბავშვებს აქვთ. დიკენსმა მოიცალა, რათა ინგლისელი ყმაწვილებისათვის ამგვარი წიგნი დაეწერა. ვიღაცას უნდა დაეწერა ქართველი ახალგაზრდობისთვისაც ეს ამგვარი წიგნის დაწერის შუბედი ვახტანგ ჭელიძემ, მწერალმა, ეროვნული კულტურული აღზრდველმა კაცმა, საკუთარი ქვეყნის ისტორიის მცოდნემ და ანალიტიკერი ნიჭით ჯამირჩეულმა.

ამ წიგნის დიდი ნაწილი (იგი ჯერაც არ დასრულებულა) თითქმის ჩემს თვალწინ იწერებოდა. მინახავს თუ რა დიდი პასუხისმგებლობით, რა მოკრძალებით, რა დაკვირვებით ილტვის ავტორი სრულყოფისაკენ; როგორ ეძებს, ადარებს, ანალიზებს ფაქტებს და მოვლენებს. ამგვარი ძიების შედეგად მივიღეთ წიგნი, რომელიც ეურნალისა და დღემდე არსებულ მდიდარ ისტორიულ მეცნიერებას, ამასთან ერთად შეიცავს ღრმა ავტორისეულ ანალიზს, მოვლენათა შეფასებას, დასკვნებს. მივიღეთ წიგნი, რომელშიც მთლიანად გამართულდა მისი თავდაპირველი სათაური: „ქართლის ცხოვრება, მოთხრობილი ვახტანგ ჭელიძის მიერ“.

მე მიუკვირს ეს წიგნი და ვიხუროვნებდი, რომ ყოველმა ქართველმა თავისი ოჯახის ნორმალურობას: საკმაოდ ქართველის ისტორიის შესწავლა ამ წიგნით დაიწყებინოს. ჯერაც ულურნინელი ეროვნის შეგნებაში ეს წიგნი ბევრ რამეს წინასწარ გაანათებს და მეგზურად წაროდგება მრავალსახოვანთანი ისტორიის ლაბირინთებში. ეს წიგნი გზა-კვალს არ გიბნევს, მართალი, ობიექტური ნიგნია, არ გატყუებს, ოლონდ ბევრს არ გიქმნის; იგი გიფანტავს ყალბ წარმოდგენებს და გაფრთხილებს, რომ ყველაფერი, რაც კი ეროვნობის მანძილზე სხვა ერებს გადახდენიათ, არც შენი ერისათვისაა უცხო: რომ შენს მშობელ ერსაც გამოუვლია უდიდესი ღრამატიზმით ალსავე მოვლენები; რომ ჰკვეა იყო სიყვარული და სიძულვილი, ერთგულება და ღალატი, რაინდობა და სიმდაბლე, დიდი სულიერი და გონებრივი სინათლე და ღრმა უმეცრება; რომ შენმა ერმა დღემდე მხლოდ ბრძოლით და შრომით მოიტანა სიდიადე თავისი სულიერი კულტურისა, რომ ამის გარეშე არაფერი შეემნილა ჩვენს მართლაც ლამაზ, მაგრამ ანა უწყინარ მიწაზე.

ბატონმა ვახტანგმა უკვე დიდი შემოქმედებითი გზა გამოიარა. მოხაგონებელი ბევრი აქვს. შეხვედრია და მეგობრული ურთიერთობაც ჰქონია ბევრ ცნობილ ადამიანთან, ნა ალბათ, ოღონდ, მოგონებათა წიგნისაც დაწერს. ამას მაგიერ ბენინების ბოლო ხანს გამოქვეყნებული წერილები თავისი თაობის პოეტებზე, თავის განყურელ მეგობარზე — ალექსანდრე ხაჯიანზე, წერილები შალვა დადიანზე, თედო ხანოკიანზე, ლეო ქიაჩელზე, გერონტი ქიქოძეზე...

მის შემოქმედებით ეგზემპლარი ჩანდეგა ძნელია.

მარტო ვარაუდით შეიძლება თქმა: ეგზემპლარი უსაზღვროა.

მასთან მუშაობა ძალზე ძნელია და ძალზე ადვილიც. ეხეე ერთი პარადოქსია ბატონ ვახტანგის ბასიათისა.

ძნელია იმიტომ, რომ მომთხოვნია და ჯიუტეულია, თუ შეკადეო, რომ საკმე ბოლომდე არ მიიყვანე, თუ ყველაფერი არ გაკეთე. რისი გაკეთებაც კი შეგიძლია; ადვილია იმიტომ, რომ ნახეკარტნენით, ზოგჯერ სულაც უთქმელად გრძნობს რისკენ ილტვი და რას ეძებ. ამ ძებნაში ეგზმარება, თავადაც რაღაცეებს ერთთავად გითანხმებს და უბარია, თუ ორივეგ სწორედ ის სიტყვა ან დეტალი იპოვეთ, რასაც ეძებდით. უყვარს დაეკვეგა, კამათი... ზოგჯერ მაშინაც ეტეოს, თითქოს მაშინაც „გითანხმებს“ რაღაცას, როცა ყველაფერი მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. და შენ გრძნობ, რომ ამით მხლო�d თავისი გადაწყვეტილების სამართლიანობას და სიმტკიცეს ამოწმებს. გაზეთში ყველაფერი საჭკარია და ზოგჯერ ხდება, რომ მასალის წერილას ან მომზადებისას რაღაც უზუსტობა ან მდარე ლიტერატურული ხერხი გაიელვებს... შენ თვალს ხუჭავ, არ ენდეგ შეამჩნიო, მერე რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა, ჩქარობ, ქალალდი ყველაფერს იტანს... მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მასალა უკვე ბატონ ვახტანგის ხელთაა და თუ იმ წუთშივე თავიანთან მოგიხმო, დარწმუნებული ბრძანდებიდეთ, რომ ხუთრიდ ბმას „ჩაავლო", რაზეც შენ თვალი დახუჭე და თითქოს გაპარებაც სცადე.

ბატონ ვახტანგს ვერაფერს გამოაპარებ.

მან იცის სიხარულით მიღება სხვისი ნაწერისა.

ეხერხება ირონიაც („თუმცა ეს არ განეკუთვნება შენს საუკეთესო ნაწერებს...")

შეუძლია მასალის უკან გადმოგდებაც, („თავს ნუ იგდებ, წესიერად გააკეთე").

ეს ირონიაა, რომელიც ყველაზე მძიმე წუთებში მას იარაღივით ემარჯვება, განმუხტავს მოვლენის სიმძიმეს. დაფიქრებაში შემოიჭრება სიცილი და იმ წუთში შენ უკვე გჯერა, რომ ამ კაცს ადვილად ვერაფერი დაამარცხებს.

ის უდიდეს პატივს სცემს ადამიანს, თუკი მასში ნიჭის ნასახს მაინც აღმოაჩენს. იგი, როგორც რედაქტორი, დაფინებით უკრიკიტებს კრიტიკულ წერილს, უფრთხილდება სხვის პრესტიჟს, კითხულობს ერთხელ, მეორედ, მეოცედ. თვითონაც ეწამება და სხვებსაც აწამებს, ოღონდ წერილში არ დატოვოს ან არ გაეპაროს რაიმე შეურაცხმყოფელი ფრაზა; მასალას ერთხელ გადადებს, მეორედ, მესამედ... მოთმინება ეწურება ავტორს. მოთმინება ეწურება ყველას... ადერ უკვე ალბათ, მერამდენედ გიხმობს კაბინეტში და გეკითხება, რა უყოს ამ ერთ სიტყვას, რომელიც, ცოტა არ იყოს, დამამცირებლად ეღერს, ამოიღოს თუ არა; კითხვებს ბოლო არ უჩანს. მერე კი კითხვები გრძელდება ტელეფონშიც, რადგან გაზეთის რედაქტორმა იცის: ყოველი ფრაზის უკან დგას ცოცხალი ადამიანი, მისი ახლობლები, მეზობლები, ნათესავები, რომ ადამიანის შეურაცხყოფა ყველაზე დიდი დანაშაულია.

ამგვარია ჩემთვის ვახტანგ ჭელიძე — რედაქტორი.

ეს კაცი ისე ცხოვრობს, როგორც უნდა იცხოვროს ნამდვილმა შემოქმედმა და მოღვაწემ. იყო გამომცემლობათა დირექტორი, ჟურნალებისა და გაზეთის რედაქტორი, თავისი წლები მიუძღვნა ქართულ თეატრს და ქართულ კინოს...

ეს იმგვარი ადგილებია, რომლებიც მოყვარესაც ბევრს გინერს და მტერსაც.

ამიტომ არ მიკვირს თუ ვახტანგ ჭელიძის შორიახლოს ტრაილეს ნაირგვარი ხალხი: მადლიერიც და უმადურიც...

ალბათ, არც მას უყვარს.

მისი მრავალმხრივი ბუნება მგონი ერთსაც ეგუება და მეორესაც, რადგან სხვა გზა არ არის, — თუ საქმეს აკეთებ, დამფასებელიც გამოგიჩნდება და უმადურიც.

ძალიან შორს ხომ არ წავედი?

ბატონ ვახტანგს ბევრი რამ არ უყვარს და არ უყვარს ისიც, როცა მასზე საქვეყნოდ, დაწვრილებით ლაპარაკობენ. მეც, ამ სტრიქონების წერისას, შიში მიპყრობს, ვაითუ იმაზე მეტს ვამბობ, ვიდრე ამის უფლებას ბატონ ვახტანგის ხალისიანი ბუნება მაძლევს.

არ უყვარს, როცა ის საქმეში ერევიან... მართლა არ უყვარს! ამას წინათ, რუსთაველის პროსპექტზე სეირნობისას, როცა ბატონი ვახტანგი ერთბაშად, მკვირცხლად მოსწყდა ადგილს და შორიახლოს ჩამომდგარი ავტობუსისკენ გაიქცა, ერთმა ჩვენმა საერთო მეგობარმა, სიუვარულით თქვა:

— მიმიცია ასი წელი!..

მეორე დღეს, როცა ეს „ამბავი" ვუამბე, ბატონმა ვახტანგმა „იფიქრა":

— მამაცხონებული! იქნება ორასი მინდა?!

და მე ისევ დამრჩენია, რომ 70 წლის ღვაწლმოსილ კაცს, რომელსაც მთელი თაობები გაუზრდია და რომელსაც ყველანი ჩვენს ბატონ ვახტანგს ვეძახით, შეეკადრო:

— იცოცხლეთ, რამდენიც გინდათ...

თამაზ ბიგილური

ხვთისო ზარიძე

იაკობიდან რუსთველამდე

(ზეა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა)

„შუშანიკის წამებაში“ ერთი ასეთი ეპიზოდია: „და ვითარ მოიწია ალუბანის ორშაბათი და მოვიდა პატიახში ბრძოლისა მისგან მონთაგანა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფუცეს: „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?“ და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად. ხოლო ხუცესმან ერთმან ბრეკა მას: „უფალო, რაცა ეგრე იქმ და იტყე ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვითა ეტყე?“ ხოლო მან უხეიანა კეთრთნითა ხუცესს მას ზურგსა, და მან ვერღარა იკადრა სიტყუად“.

დაპირისპირებულ ძალთა ასეთი თანაფარდობა დამახასიათებელი იყო V საუკუნის მეორე ნახევრის კავკასიისათვის, სპარსეთმა მაშინ აქ საგანგებო ზომები განახორციელა: მოგვთა ნებადართულ ურდოებს, შაჰმა თავიხთან დაბარებულ ქართველ და სომეხ მმართველებს რომ გაშოაოოლა, ეპარტანული ეკლესიები უნდა დაეხურათ, ქონება ხაზინისთვის გადაეცათ, ხოლო ხამდვეულოება გაეფანტათ. ისტორიულ წყაროთა ჩვენებით მარტო სომხეთს ამ მიზნით შეიდასზე მეტი მოგვი შეხვედა.

შეუძლებელია, ამ ძალმომრეობას კვალი არ დაეტოვებინა ადამიანთა ფსიქიკაში, შეძრწუნების შარს არ დაერეკა და არ დაეზაფრა ხალხი. აღნაშნულთან ერთად, იგი მართლაც ძალზე ცხადად იგრძნობა „შუშანიკის წამების“ ბევრ სხვა ეპიზოდშიც. ადამიანთა კეკეკაში, ფიქრსა და გამოხედვაში გასაგებებულია შიში. დამფრთხალი ხალეები, ვიღაცის თვალს მორიდებული მიმოსვლა, ჩურჩული, ჩურჩული. ხაზოგადოება თითქოს შოაშა ჩავარდნილი; „დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაგან დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ეამსა, რომელსა გამოსაკვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაგითმეა ბრკუა, თუ „ბეკოცედ დეგ“! და თუალი ჰკიდა პატიახშმან, სხუაი ვერღარად ცალლად სიტყუად, ესეთ იდგენ ბრკუა: „ბეკი... და დადგმნა ხოლო სიფლტოლად იწყო სწრაფითთ“, მოაკავთ დედოფალი, ცუტრაველთა რწმენისა და ღირსების დამცველი, მათთვის განწირული მაგრამ „უხამური და თმა-გარდატეგებული ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანნ“, მოაკავთ და არავის შეუძლია ნუგეში უთხრას, მხარში ამოუდგეს, თავზე დახუროს და ხამლი მიაწოდოს ძეძეგებისაგან უეცნდოგლეჯილსა და ტანდასხეპილს. მოაკავთ და გულში უთიმთიმებს სევდა: „უფალო, ღმერთო, არცა მდელელთაგანი ვინ იკოოვა მოწყალმ, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილთად მმინთუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსკვნნს“, ან კი, ვინ მიეკარებოდა, როცა ცხენდაცხენ მიმყვებოდა პიტიახში, ადევნებულ ბრბოს „მკედრ მიმოდახდევნნ ნ და მეოტ ჯოოფ“, რომელიც ცრემლის გარდა სხვაი მაინც ვერაფერით ანუგეშებდა. მაგრამ მარტო წვრილი ერი იყო ამ დღეში? იაკობიც კი, რომელსაც პირდაპირ ევალებოდა შუშანიკის სულიერი ცხოვრების ბაზრუნვაი და პირად შემართებასაც არ უნდა ყოფილიყო მოკლებული, ხადღაც ხილრმეში მოკმედებს. „იყო მერვეს წელსა სპარსთა მეფისასაო“. თავის მოთხრობასაც კი ასე ათარიღებს, თითქოს ვახტანგ გორგასლის ხახნენებელი ჭერაც არსად ყოფილიყო მაშინ. ვარსკვნს, რომლის ხაკმეებისაც კარგად მოეხსენება, გულით თუ ვერა, გარეგნულად მაინც უშფოთველად ემსახურება. უფრო მეტიც, ერთგვარი მორიდება და შიშიც კი აქვს მისი. გაურბის მასთან პირისპირ შეურას. შუშანიკის ნუგეში სწადია, მაგრამ ნიადგა ფრთხილობს მის ხიახლოვეს არ წაასწრონ. ამ მდგომარეობაში არიან სხვებიც: „რაჟამს დადამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტო“, უსურჩულა მცველმა. როცა იაკობმა შუშანიკთან შეშვებისათვის უკადა „უფრეერი ერთი ხამისაა“. შეუშვა კიდეც, მაგრამ ხაკნდან ქვითინი რომ მოესმა, თავისი ტაკვიისათვის შეძრწუნდა: „ესეოჭა თუ მეცნა, არამცა შემოგიტეგე შენო“, ცივი წყალი-ვით გადაასხა ხუცესს და ისიც უმალვე გოსს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეკო, აჩქარდა: „ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმაცცადად მისა, რაგდენი ღმერთმა მომცა მე სიტყუად. და ვიკუნეს მისგან და წარვიდ სწრაფით ვანად ჩემდა“, წერს იაკობი.

იაკობი უბრალო ხუცესი იყო. დიაკვანი ხომ უფრო პატარა, ხოლო მცველი კი ამ ორზე დაბლაც იდგა. მათი შიში და კრძალვა თუ მაინც გასაგებია, რა აიძულებს საქართველოს ეპისკოპოსთა თავს, ხამოელს, რომ ასე უარუოდად მოკვედეს? მისი რეზიდენციია ხომ ზორს იყო ცურტავედან, ვარსკვნის თვალისა და გაგელინბოგან მიუწვდომელ მცხეთაში? იაკობი წერს: „ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ბამდი, რომელი მოეძღუნა ხამოელ ეპისკოპოსს, და ოთავნეს, „რამეთუ შარაულად ილუოდეს და ნუგეშინის სცემდესო“. ვარსკვნთან თავშეკავებულია ჯოჯიკი, ძმა და შინაური პატიჟანშისა: „ჩვენ თუნიერ შენსა ფრიად დაეშუერით, გარნა არა იყო სმენაი, არცა სიტუაი“, წუხს იგი ვარსკვნის თავნებობის გამო შუშანიკთან.

ნუთუ ყველაფერი ეს ხმლოდ ვარსკვნის ბრისხნებისაგან იყო? სიეჭვოა, ერთ კაცს როგორ არ მოეკლებოდა, მაგრამ მის უკან ხომ სპარსეთი იდგა? ჩანს, მასთან დაპირისპირება ჭირდა; თუ ჭირდა, ძალა აღმართა ნნავდა და შიგ უხვად ანნეგდა უკეთურობის თესლს. შედეგი კი ის იყო, რომ იმ ხანებში ხაგრძნობლად შერეკეა „ურწმუნოება წვრილ ერს“ (ჯუანშერი). ვარსკვნი ღვარძლის ამ მთესველთაგანი იყო. სპასხთა ყურმოჭრილი მონა, ჩვენნი კი მათი ფარი და მახვილი. სპასხთაგან მინაგებული ქეციხთით „ეხეთნნა ხუცესნა მას ზურგსა“ და მათივე ბეჭითით დაბეჭდა (ცოლის ხუსტ ქედზე დადებული ჯაჭვი. ნეტავ თუ იცოდა მაინც, რომ ოგივე ჯაჭვი მისივე მამფლის ბორკ

ილია ალბათ იცოდა, თუ არა, მაგ რას ნიშნავს მისი ახეთი ცინიზმი ქრისტიანული ეკლესიისადმი? „ამა ეგერა არა გერგო შენ ეკლესიაი შენი და არცა ზურგსი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი“ განა მოგვება ეარუხს ჩაიდენდნენ? „ეე ამას მხიარულ ვარ, რაათა აქა ვრტანერ და ფუნ განვიხენნ“, სასოებს განნრიული ქალი და ის კი: „ეე, ეე, ბანსუენო!“ იგელესა ისეე.

რა გაეწყობოდა, სპასხეთი ძლიერი ქვეყანა იყო. საქართველო კი ინ-ის იყო გამოდიოდა დაკნინების ბუერანდან, ძალას იკრებდა და მაზვიელ ხმლოდან ხამოველოდა ლეხავდა.

ეს დრიც დადგა. 482 წელს ვახტანგ გორგასალმა ხომხეთი მოირთო და აკანუდ. ვარსკვნის ასო-ასო დაკრილი გვამი ტურების ხახოვად მტკვრის ჭალაში დაკაფრვნა, მაგრამ გამოსცლას თავისუფლება არ მოუტანია. სპასხეთმა მაინც იძალა და ჩქარა გორგასალიც შეეწირა მათთან ომს. ჩანს ამ გაბრძოლებამ ვერ გაალტო ხალხის სულში ჩადებული ძრწოლის ყინულები. სპასხეთისადმი ერი ისევ ისე ქედმაღრული დარჩა. ეს არეკლილია „ევსტატთა მცხეთელის მარტვილობაში“, რომელიც მეფეს, ფუუნის მეორე ნახევარშია დაწერილი, თითქმის ასი წლის შემდეგ „შუშანიკის წამების“ გამოსვლადან.

როგორც ადრე, მეხუთე საუკუნეში, ახლაც ცხადია, კარგად ეხმიან ეროვნულ საქმეში თავგამოდების, მის გამო ხმის ამაღლების უუცილებლობა, მაგრამ სათქმელი და მტრის სიძულილი გულში მაინც ისევ ჩუმ ტკივილად უდგიან. გვიროობანდაკმა, სპარსეთიდან მოსულმა კაცმა, ჩვენში თავისი რჯული საბოლოოდ დაიგდო და ქრისტეს ეწიალა. მცხეთელებმა ხელი შეუწყვეს, შემდეგ წიგნიც დაიწერა მის თავდადებაზე, მაგრამ ამ წიგნიდან ისიც ეკრძნობა, რომ ქართველობა მაინც უუფლებობისა და ნაციონალური დამცირების ძმიმე ბორკილებში გმინავს. მას გვიროობანდაკ-ევსტათოსადმი თანაგგრძნობა ისევითვე საუუალება აქვს, როგორსაც ინენდა უფრო ადრე შუშანიკისადმი. ოღონდ, აქ მხედველობაშია მისადები, რომ „შუშანიკის წამებაში“ აღწერილი პერიფერიაში მოხდა, ეს კი უკვე შუა ქართლში, მცხეთასა და თბილისში! ეი დამბასხიათებელი ეპიზოდი ამ წიგნიდან:

„რაკამს ამხედრდებოდა მარზაპანი იგი (ბასისგან გაწეული ხასრსეთს მიდიოდა), ადგეკეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და ეროვნელ ქართლისა მამასახლისი და არაზუა ქართლისა პატიჟანში და სხუანი სეფეულნი და მარზაპანსა მრჭკეს: „ვევედრებიო შენსა მაგას უფალესსა, ხათხოველსა ერთსა ეთხოვეთ“. ხოლო მან მრჭკა: „ოქუთო, რაადა ბნებავს, რაადეა იყო, რომელი თქუენ არ მოგმადელე?“ ხოლო მათ ეოველნი მრჭკეს: „ეევედრებიო შენ, ჯერ ეიინნენ შენ, უფალო, ბანტეეეხაკ კალთაკ მათ, რომელნი — იგი მცხეთელნი იგი ქრისტეანონიხასთვის ხასურობილიდ მეცეეულ არიან“. მრჭკა მათ მარზაპანმან მან — „იგი კაცნი მოსაკლავად შეჰგვანდეს, ხოლო თქუენითა ოხითა განუტეტენე ეგენი. ხოლო მათ მიდელი მოსცეს მას“.

როგორ ცხადია და მკაფიო აქაც ორივე მხარის მდგომარეობა! ზაპის ნაცვალი გაწეული მიდის ხასრსეთელოდან. ბარგი, ჩანს, დიდი ხანია ჩალაგდა, უკანასკნელი ბრძანებანეი გასცა და როცა ცხენეკ მოართვეს და ინ-ის იყო „ამხედრდებოდა“, მხოლოდ მაშინღა გამოეკონ გამცილებელთა ჯაუეს წარჩინებულ ქართველთა ერთი ნაწილი და მოკრძალებით მიეახლა წასასვლელს. ჩანს, დიდხანს ელოდნენ ამ წუთს, ირჩევდნენ, უთვალთვალებდნენ როდის და რანაირად გიგებედთ ოხოვნა, რომ რისხვისაგან აცდენოდნენ და საქმეე მოეგვარებინათ. ყოველივე ეს მათს ფაქტიურ მდგომარეობას, ყოფას და უფლებებს ხაკუთარ მამულში ცხადზე უკეხედად გვიჩვენებს. გუფლაკეენი და შეურაცხყოფილი მათი ხვედრი. მაგრამ ამა შეხედეთ, რა ზვიადია მეორე მხარე, უფლებამოსილი და თავდაჯერებული: „იგი კაცნი მოსაკლავად შეჰგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანდეს, ხოლო თეუნენთა ოზითა განუტევენ ეგენი", დაამადლა კიდეც! ახე მხოლოდ მდგომარეობით ზვიადნი იქცევიან. წინაშე მუსლიმერიოთა და თავდაბრილთა, რომელნიც კალთებ ჯერ ორ არავის უკოცნიან, მზად არიან ამისათვის. ერთ წამს შეიძლება მათ მარადლა მიამადლონ, ნამა (,,რომცა იყო. რომელი თეუნენ არა მოგმადლე!"), იმიტომ კი არა, რომ ანგარიშს უწევენ, არა, ისევ საკუთარი ნების, სიზვიადისა თუ სიდიადის გამოჩენისათვის, თანაც რწმენით, თუ მოსტრეენთ, უმადეგ წაგვარიან ამ გამოთხოვილთა და მიამადლებულ წულათაგან. ამ თხზულების მიხედვითაც ხომ ფაქტიურად ეს ახე მოსდა?! ახალმა მარჩაპანმა არვანდ გუშნაკამა უმალ გაიკვნა წასული ვეფან ბუზმირის წულათაგან და ქართველთა ფეარველთანი გთა-ვისუფლებენ ქრისტიანენი ისევ ციხეში ჩაყარა. კი სხვათაგან მონიეზეული ფადლის ძალა.

მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართელი ხან ბიზანტიელთა ხელშია, ხან კი სპარსელთა. მეექვსე საუკუნის ოთხმოციანის წლების მონეტას, ქართლში რომ მოუპოვია, ერთ მხარეს, მორჩილზე მეოთხის გამოსახულება აქვს, მეორეს კი — ცეცხლი, რომელსაც მცველები დარაჯობენ. იქვე, ,,ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი ჭვარის ნიშანია ჩნდება" და იგი მიანიშნა მკვლევართ ქრისტიანული ქართლის სახელწოდებრივ სიმბოლოდ. როგორ ბგავს იგი იაკობის ფარულ საქმიანობასა და ქართლის ეპისკოპოსთა თავის ჩუმ მხარდაჭერას შუშანიკისადმი?!

ახე დასრულდა მეექვსე საუკუნე. მეშვიდეს პირველი ნახევრის მიწურულს ქართლს არაბები დაეპატრონენ. მოვიდა ახალი ბატონი, დამორჩილებული კი იგივე დარჩა. იმიტომ მისი სულიერი მდგომარეობა ადრინდელზე ხავალალო გამორნდა. მართლაც, თუ ბატონები ზედიზედ იცვლეს და მონა კი ისევ მონად რჩება, ჩანს ხაშეული არსაინ არის. იგი გამოუვალობის, ხაკუთარი შესაძლებლობისადმი რწმენის ხაბოლოო გაჭარწულების იმპულსს ბადებს, რაც თავის მხრივ ერის გარდაუვალი დაღუპვის სიმპატიია და თუ კი მართლა ახე არ არის, თუ მართლაც მხოლოდ ძალას ემორჩილება ჭეეკანა, როგორმე ახლა მაინც უნდა ამოიღოს ხმა, გიბმრდოლოს, ხანამ სრულად განკარდება ერის ისედაც გადაჭანცული ენერგია.

ამ უკიდურესი მოთმინების ზღვარს, როგორც ჩანს, ჩვენმა ერმა გარილაც ამ პერიოდში მიაღწია. საუკუნეებით შეკავებულმა მოთმინებამ თავი ვეღარ დამალა და მრავალთა ქცევასა თუ გამოხედვაში გაარღვია ჭეხარი. როგორ, აღარ იყო შიში? როგორ არა, მაგრამ იგი უარეს ბა, არყოფნის, ეროვნული ფესვის ამოვარდნისა და გადაგვარების შიშმა დასძლია და სული ქართველი შემაღლდა ამბიორნზე: ,,ომმიპაკარენი ხარინონი ეგე ხასმენენი თქუენნი და უფროალა ხაცნობელნი ეგე ეურნი გულისა და ჭონებისა თქუენენისანი განმარტენიი სმენად და მასაბინელ ექმნენთ სიტყუთა ამთა ჩემთა".

ახეთი პირდაპირი მოწოდება და განგება მაგამდე ქართველს არ მოუსმენია. გაოცებულ თაობათა სულიერი ტანჯვის შეგრძნენი შერეწუნებულთო ოიანე ხაბანინძის ძლიერი მარჭვენა მისწვდომია და გრიგალივით არისხეს ზარს: ,,აღვურიენთო ერსა უცხოსა, სჯულით განდგომილსა ქრისტესსაკან, ნათესავსა სწუთორიასა ამის მოუკარულსა თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელსა"! ზედამდგომელი ერი სარკინაზთა ყველა ღონეს ხმარობს ქართველთა გაუკეთმარიებისათვის: მათი მძლავრობით, შეტყუვილით, ზაკერობითა და ზოგი ჩვენგანის ,,სიყრმეში ნაბა უმეცრებით", ,,ნაბობნი ქრისტიანეთანა გარდაგულარძნეს". მართლაც რომ თავზარდამცემია ეს ძახილი!

თავის დროზე იაკობიც აღნიშნავდა, რომ ბერითია მომატებთ, შიშით, მახვილითა და ქრისტიანობისათვის ხალხს საპყრობილეში ჩაურია მტერი ქართველთას ადრეც ებრძოდა, მაგრამ ეს ტკივილი მას საყოველთაო განკაზად არ უქცევია. იქნებ არც ფიქრობდა ამას. ახლა კი სხვაა.

,,ამოს წამებაში", რამდენადაც ვიცით, ახევე პირველად არის მიმართული აქცენტი ქართველის ნაციონალურ თავმოყვარეობაზე. ჩვენო, აღნიშნავს ოიანე, მორჩილად დგაგიხრია თავები ,,ეთარაკა ლერწამნი ქართაკან ძლიერთა" ვირუეეთო და შიშითა განვლეთეთ მაშინ, როცა უცხო ტომის ზეალი ჩვენსა მეოხად, ჩვენი ხირცხვლის მოსაწმენდად, უშიშად შეეგება ზედამდგომელთა მახვილს. ახლად ნათელღებულმა მოიმოქმედა ეს, ჩვენ კი ხუთასი წლის ქრისტეანეს ხაამოო ვერაფერი მოგვიხერხებია.

თავმოყვარეობის გამოფიზიზლება, გაშასადმე, აქ დაპირისპირებაზეა აგებული და ცხადყოფს, რომ ,,ჩვეულებისაებრ მამულისა სლეზნა" დუმილი, უმოქმედობა და მორჩილება მართლაც აღარ შეიძლება. ზოგადქრისტიანული უარეყოფითი ეპითეტებიც კი ამ ნაწარმოებში ჩვენი ნაციონალურო შეგნების ამაღლებისა და მტრისადმი ზიზღის გაღვივების ნიშნით არის დატვირთული. მაგ. როცა ,,შუშანიკის წამებაში" ვკითხულობთ: ,,მოვიდა მგელი იგი ვარსკენ". აქ ვარსკენის მგელობა უფრო სარწმუნოებრივი ხასიათისაა. ,,ამოს წამებაში" კი სარკინოზთა ანდოთვე უარყოფითობა მათი წარმმართობის გარდა ჩვენი ნაციონალური ინტერესების ხელყოფილ გამოწვეულ ზიზღსაც იტეგს: ,,აღვურიენთო ერსა უცხოსა, სჯულითა განდგომილსა ქრისტესსაკან ნათესავსა საწუთორიასა ამის მოუკარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა". ამასთანავე იგინობა, რომ ეს მხოლოდ ოიანეს თვალსაზრისი არ უნდა იყოს, იგი უფრო მოელი ერის განგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყობილების ჩვენებაა, რასაც ცხადყოფს სარკენიშნა ძალადობის ამსახველი მეორე ძეგლი „ბობრინის მარტყვლიბა“. იგიც არაბთა სახით წარმოგვდგება „ნათესავთა მათ სძაგელთა, ულმრთოთა, ფიცსლად მოისმამთა, რომელნი ბამდეს ძალთა, თაგვსა, კაცსა და ყოველთა არაწმიდასა“.

მოძალადეთა წინააღმდეგ ამ იდეოლოგიურ შეტევას ჩქარა ხმალიც შეეშველა. სარკინოზები „შესმენითა ბორბალთა კაცთათაა“ ქვეყნისათვის თავდადებულ ქართველებს ცოხებეში ჩყრიდნენ და „სახტაკად ბგმრდეს“, მაგრამ თავისუფლების სით მაინც დღითიდღე მატულობდა, ძლიერდებოდა. ნერსეს ერისთავის მსგავსად სხვა ხელისუფალნიც ვეღარ ურიგდებოდნენ მტერს და იბრძოდნენ აშოტ კურაპალატს საკუთრივ ქართლში რომ ვერა გაიწყო რა არაბებთან პირისპირ ომით, ტაო-კლარჯეთს გიიხიზნა გორგა“ სლისეული არტანული აიღო ძრძანა, იქ გამგრდა და დაიწყო ინტენსიური მოკმედება.

თუ „შუშანიკის წამება“ და ბოლნისის ხიონის ნარწერები გორგასალზე მინიშნებასაც კი ვერა ხედავენ, თუ „ეფხტათი მცხეთელის მარტყვლისაბს“ ქართლის ხელისუფალნიც მეტად მოკრძალებულნი გამოიყურებიან, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით“ აშოტ კურაპალატი ქვეყნიერების ოთხივე კუთხის მბრძანებლად არის გამოცხადებული: „მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო, სიიდათ მე მოგელინდი, აღმოსავლითი — მე ანუ დასავლითი, ჩრდილოით — მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წუობით ეპლმწყობეთა დაიმორჩილებდ, საკვირველი ეგე დიდებული ღმრთის მსახური ხელმწიფეო“. ეს თვალსაზრისი სხვა მხრივაც არის სიინტერესო: ოიანე ხანანის ძე სრულიად საქართველოს მამპრობადა: „მომიპრანანი სარინანი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროსნელ საცნობელი ეგე უურნი გულისა და გონებისა განმბრატენთ ხმენად“.. აქ კი უკვე ამოქმედებული და აღიარებული ლიდერია ერისა გამოკვეთილი და განდიდებული, რომელსაც გულწრფელად დასტირის ხანძთელი და იგულისხმება დიობლეული ერიც თავისა.

როგორც ითქვა, აშოტ კურაპალატმა ტაოლარჯეთს არაბებს გარიდებულმა მიაშურა. იქ ამაგრდა და დაიწყო საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლა. მისი ხელი საერო საქ�ფიტყაო და სასულიერისაც. კარგი ხელიუფალი იყო, უშიშარი მებრძოლი და პატრიოტი, მაგრამ ისეთი კი მაინც ვერა, როგორსაც გიჩვენებს მას მერმეული. მაგრამ ნაციონალური ძლეების მობილიზება მხოლოდ ხარწმუნოების სმაულებით ძნელი იყო. საერთოსაც უნდა ეტყრთა იგი. ამან წარმოშვა მეფისა და მისი ხელისუფლების იდეალიზაციის აუცილებლობა, რასაც, იგრძნობა, განსაკუთრებით ამ პერიოდში აუღეს ალღო. შედეგად ბაგრატოვანთა [illegible] ნასტია დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად გამოცხადდა, ქრისტე და ბაგრატიონები „ზმო ძირისაგნ მისისა“ გაერთიანდნენ. საგულისხმოა, რომ მერჩულესეულ აქვს ნაოქვამი: „ხადა არს პატიჟი მეფოსისაა, მუნ არს მსგავსებაა ღმრთეებისაა“ ასეთ თვალსაზრისს, იგრძნობა, რომ აღნიშნულ პერიოდში იზიარებენ და თავისად მიიჩნევდნენ მთელს საქართველოში: გაბრიელ დაფანჩელი ეუნუნებოდა გრიგოლს: „აწ ჩვენითა არს კეთილელი კეთილი და ოქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შეჯაზავნეი ურთიერთის“. ეს ნიშნავს, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ერთად უნდა იღვაწოს ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამ თანამშრომლობის სინტერესო ფაქტებს გვიჩვენებს კიდევაც მერჩულე ტაო-კლარჯეთში, მაგრამ ეს საგულისხმოა უფრო სხვა: აფხაზთა მეფე, დემეტრე გულნაკეტენი საკვირველობს გრიგოლს: „არა სამართალ არს კეთილთა თქვენთაკან უნაწილობაა ამის ქვეყნისაკან“. იქნება ვაჭარბებდე, მაგრამ განა არ ისმის ამ თქმაში: „აჭაც ხომ საქართველოა, ყველი აქაც ჩუენისა“; დასავლეთ საქართველო საერთო ქართულ სამეფოში უნაწილობას ნუუხს!

რეკს ოიანეს მიერ ჩამოყრილი ზარი. ახლა მისი ხმა კიდევ უფრო ძლევამი გამხდარა, მაგრამ ინტონაციაც შეცვლილა. დაცემისაგან თავდასხმის განგაში აღორძინების იმედად გუგუნად გარდაქმნილა. ახლა საჭიროა ამ რწმენის ყველაზე მიტანა, სახალხოდ ქცევა. მაგრამ მტერი ჭერ ისევ აუოაცხელი გვახვევია. სარკინოზები თითქოს თვალს მოეფარნენ, დაკარგილ ტერიტორიათა უკიდეგანობამ შეიწოვა მათი ძლიერება, მაგრამ ხუთ სამთავროდ დაყოფილია ჩვენი მამულის ცენტრში მათი ამორძალიც გვიზის, დანარჩენი ნაწილების ხელისუფლთა მსგავსად მასაც დამოუკიდებელივით უჭირავს თავი და ამ გუულისგულ საქართველოდან ჩვენი ეკლესიის საქმეებში ჩარეკასაც კი ცდილობს, თავის კარზე აღზრდილსა და ნამსახურ ვიღაც ცქრის ანჩის საეპისკოპო კათედრაზე აღზვებაში ეხმარება. რას ნიშნავს ეს? ქრისტიანობისათვის ზრუნვას, თუ ციხის შიგნიდან აღებას? ალბათ მეორეს, რადგან გრიგოლ ხანძთელმა შეურიგებელი პოზიცია, დაიკავა ცქრისისადმი: ძალით აღზვედა ცქრი ანჩის კათედრალზე, მაგრამ გრიგოლისა, როგორც არქიმანდრიტმა დაამბო მისი ხელისუფლება. მან და ფეფრონიამ საეკლესიო კრებაზე სრულიად საქართველოს ეპისკოპოსთა წინაშე საკრთხეველიდან ჩამოაგდეს, ყველას თვალწინ განძარცვეს სასულიერო ხამოსლისაგან და ისე გაძევეს ეკლესიიდან. ბოლოს მკვლელი შეიპარა ცქრაზა და გრიგოლის სამეფოს მიწასთან გასწორებაც მოინდომა. მაგრამ თვითონვე გარდაიცვალა უეცრად, სანამ უკეთური საქმის აღსრულებას შეუდგებოდა. ცოტა შეიცადეთ, ეკლესიის დაწერეკა

ნუ დაიწყებთ, ახლა გიგებთო მისი სიკვდილის ამბავსო, უთხრა ცქერისაგან გამოწყვენილ ანჩელებს გრიგოლმა. ახეც მოხდა. ნუთუ მართლა განგების ნებამ ამსხვერპლოა ცქერი ცუდ ზრახვათა გამო, როგორც გვარწმუნებს გიორგი მერჩულე?!

დიდი შინაგანი ბრძოლა ქეკეთანში. ზოგნი ბიზანტიისენენაც იხრებიან, მაგრამ სანუკვარი აზრი, რომ „ქართველი ფრიადი ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართველთა ენითა ეამი შეიწერვის და ლოცვა აღესრულების", მაინც შეუქცევად ჩანს: მტკიცედ მიიკვლევს გზას მთელ საქართველოში. ენის, სარწმუნოების, არქიტექტურის, კედლის მხატვრობისა და განსაკუთრებით მწერლობის საშუალებით სახოლოოდ დგინდება და მკაფიოდ იკვეთება. ქართველ ტომების ცხოვრების წესისა და ფსიქიკის დულაბი ხდება.

ამ დროიდან მწერლობა ბუნების აღწერაშიც იწყებს პატრიოტული განცდის შეტანას: „ეთილ არს უდაბნოჲ იგი მზისა მცხინვარებითა და მაერისა შეზავებითა ყოველით კერძო. და აქვეს მას წყარო მდიდრად გამომდინარჱ, შუენიერი, გრილი და ჰამო და მაღნართა სიმრავლეკ ურიცხეი"... „არცა ფრიადი სიცხჱ შეხუოვას და არცა გარდარეული სიცივეკ შეიარეებს მყოფთა მისთა, არამედ განუსცხებიდ დგას თესსა საზღვარსა უნოტიოთა, უხორშაკოთა, უშიერთა მზჳთრჱ ...ურიცხეი მაღნარი და სიმრავეკ წყალთა ჰამოთაა ბუნებით მოცემულ არს ღმრთისაგან". მართალს ბრძანებდა პროფესორი გ. კიკნაძე, როცა ამ აღწერაში უტილიტარულ დამოკიდებულებას ხედავდა ბუნებისადმი, მაგრამ თავისი წყალ-ბელის, ცისა და მზის, მთებისა და ხეოსებების პატრიოტი კაცის გულისცემაც რომ ისმის მისგან, ესეც ხომ ნათელია. იგი ჯერჯერობით ჩვენი ქეკენის მხილოდ ერთი კუთხის, ერთი კონკრეტული მხარის ამგვარი განცდის მაგალითია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს მაგალითი საწერია და პირველი გამოხატულებაა ასეთი შეგნებისა: „სხვა საქართველო სად არის"...

გიორგი მერჩულე X საუკუნის მწერალია. ამ საუკუნის პირველი ნახევრისას მოგვითხრობს. 90 წელია იდგა გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიის დღესა და ამ თარიღს შორის, როცა ეს თხზულება დაიწერა, მაგრამ ეკოპა, რომელსაც გვიჩვენებს ავტორი, მაინც სრული სიმთლითაა სულნაქავს. ამაში გრიგოლ ხანძთელის ხელიდან გამოსული მახალითის გარდა, მას ცხადია, ამ კაცის მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან ბეშმარიტად თხრობილიც დაეხმარა. ამიტომ X საუკუნის სული ამ თხზულებიდან მაინც ნაწილობრივ თუ შეიცნობა.

X საუკუნის საქართველოს უფრო სხვაგვარი საზრუნავი აფორიაქებს, ისიც ძველი ლოგიკური განვითარების შედეგი, მაგრამ თავისი სიახლით მკაფიოდ გამორჩეული და განსხვავებულიც არის. ამ განსხვავებულ მიდგომას ეროვნული საქმისადმი აფლეს ინანე-ზოსიმე.

X საუკუნე საქართველოს გაერთიანების წინადღეა. ჩანს ქეკეკანა შინაგანად მომძლავრებულია და სარწმუნოებრივად და კულტურისადმი ინტერესის თვალსაზრისით უკვე მონოლიითური, რადგან იოანე-ზოსიმე ერის შინაგან დარღვეულობაზე კი აღარა წუხს, არამედ ამ ერის კულტურის, ენისა და შესაძლებლობის სხვათაგან შეუცნობლობასა და დაუფასებლობაზე. მისი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაჲ" ამ თვალსაზრისითაც იქცევს უყურადღებას. ქართული ენა, იოანე ზოსიმეს აზრით „მძინარე არს დღესაშომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვია". ამდენად იგი მომავლის ენაა, როცა კაცობრიობის განაზღვრის ეამი დაჰკრავს, ყოველი განსასჯელი ღმერთმა უნდა „ამბილოს ამით ენითა". დღეს კი იგი, მდაბალი და დაწუნებული, სწორედ ამ მისაითი „მოელის დღესა მას მეორედ მოსულსა უფლისასა". მდაბალი და დაწუნებული ეს ენა, ცხადია, არის არა თავის ქეკეყანაში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე, ბერძნულთან შედარებით, რომლის ისეთივე ტოლია ღირსებით, როგორც ნინო ელენე დედოფლისა. ამიტომ, როგორც ითქვა, იოანე-ზოსიმე მომავალს განაკვრის, და სჯერა, რომ „ესე ენაჲ შემეული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა" ბერძნულთან შედარებით უპარატესობასაც ეკი დაიმკვიდრებს.

ახლა თქმა და ძიება იმისა, კონკრეტულად რა გვალენა იქონია მაინცდამაინც იოანე ზოსიმეს ამ თვალსაზრისმა მომდევნო ხანის ქართველ მოღვაწეთა დამოკიდებულებაზე მზობლიური ენისა და კულტურისადმი, ცხადია, სწორი არ არის. რაც ხდება ჩვენში, როგორც ადრეც თქვეა, ეს არის საერთო ამოძრაკების, საკუთარ შესაძლებლობათა მოსინჯვის შედეგი და ეს ძიება სულ ახალი და ახალი ნიუანსებითია და მამარეთებით ავსება და კონკრეტდება. რაც მისაღებია და ხელსასაჭიდი ჩანს, ერის ცხოვრების მოცემულ ეტაპზე, უმალ გრძნობენ ჩვენში და მის ინტენსიურ პროპაგანდას იწყებენ, ერთისაგან გამოთქმულ აზრს ერის რწმენად და კუთვნილებად ხდიან.

იოანე-ზოსიმეს გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „ესე ენა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსულსაჲ უფლისასა". მე-11 საუკუნის მოღვაწეთა თვალსაზრისით კი ქართული „მდაბალი და დაწუნებული" კი არა, ღვთისმშობლის სამფლობელო და სამეტყველო ენად არის ქცეული: რაჲ არს, რაჲ ბეკმის ეფთვმე?" ეკითხება ავადმყოფს ეფთვმეს ღვთისმშობელი „ქარცულითა ენითა". „მოვკუდები დედოფალო", მიუგებს ხასმობიდელი. მაშინ მიუახლოდგა ავადმყოფს მარიამი, უპარა ხელი და უთხრა: „არარაჲ არს ენებაჲ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ თანა, ალდეგ, ნუ გეშინინ და ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ კᲘᲜᲚᲘᲡᲐᲓ ᲣᲨᲘᲜᲐᲓᲔᲑᲘᲡ".

ეფთვმეს ხავშვობისას უკირდა ქართული, რისთვისაც „ფრიად მწუხარე ვიყავიო", შენიშნავდა მამამისი. შემდეგ კი მან ხალხური თარგმანებით პირდაპირ მორწყო საქართველო. ცხადია, მაგიოგრაფია რწმენით, ეს მხოლოდ ეფთვმეს კაცობრივ ბუნებას არ შეეძლო ეტვირთა, მასში ღვთის ხელიც უნდა რეოდა და ეი — ისიც. ეფთვმეს ქართველად ამეტყველებასა და წარმგებებას მთარგმნელობით საქმიანობაში ღვთისმშობელმა უწინამძღვრა. ამით კი კოდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენი წინაპრების რწმენა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა იყო.

ამ რწმენის მეკარად დანერგვას თავისი მიზანი ჰქონდა. იოანე-ზოსიმეს სურვილს ბერძნულის ტოლად ეცნო ქართველის საფუძველი ექმნებოდა, რაც ცხადია, მეტ გახაკნის აძლევდა უკვე იოანე საბანინისაგან წამოწყებულ ქართველების მეტოქეობას ბერძენთან. ათონელთა ცხოვრების წიგნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეკვა ამ ეზრის დასაბუთებასა და ყველასათვის მისაღებ ᲫᲘᲛᲔᲠᲛᲝᲢᲝᲑᲐᲓ ᲩᲔᲙᲕᲐᲗ. „დაღაცა თუ ნათესავთი ქართველი ხარ, სხვათა კუალა ყოველითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარო", ეუბნებიან გიორგი ათონელს ბერძენები და ერთი მხრივ ეს თუ აღიარებაა, დამცირებაც არის. სიკეთე, რაც აღმოაჩნდა გიორგის, თითქოს ქართველთა ბუნებრივ თვისებად ვერ ჩაითვლება. იგი ამით ბერძენია, ქართველთა კი მხოლოდ გაუნათლებლობას, საღვთო საქმეში გაუწყრთნელობას ნიშნავს. მაშასადამე, გიორგი, როგორც პიროვნება, ვანდდიდებულია, მისი ერი კი შეუცნობელი და დაუფასებელი. ამ შეუცნობლობა-დაუფასებლობის ეარუ გალავანი უსათუოდ უნდა გარღვეულიყო. და ეს არსებითად ქართველთ გონების სინანულს უნდა ექნა. ეფთვმე მთარმნელელის საქმიანობა ამ მხრივ პირდაპირ რომ დაუფასებელია. „შვილო, ჩემო, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲐ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან... და აწ იღუაწე, რᲐᲓᲐᲗᲐ განამრავლო სასეიდელი შენი ღმრთისაგანო", დაავალა მამამ ეფთვმეს და ისიც „მოსწრაფედ შეუდგა" მამის ბრძანების აღსრულებას. „იწყო თარგმნად და ყოველნივე განაკეთრვნა", იგი მრავალ წიგნს აგზავნიდა საქართველოში დავით კურაპალატთან. ისიც „ზედაას-ზედა მიუფურენ, რაითა თარგმნიდეს და წარმოსცემდეს".

ამ შრომას, გიორგი ათონელის რწმენით, დიდი შედეგი მოჰყვა. ეფთვმემ „ᲛᲔᲛᲪᲘᲠᲜᲘᲡᲐ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲑᲠᲬᲘᲡᲔᲚᲘ მოსძარცუა ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲩᲣᲠᲔᲗᲘ" „და რომელნი-ესე ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲜ წოდებულ ვიეკვნიონ ელენთა მიერ უსწავლელობისათვის და უმეცრებისა ᲩᲣᲠᲔᲗᲘᲡᲐ, მათ თანვე აღგზარცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თᲕᲘᲗᲘᲗᲐ". მაგრამ ბერძენების ტოლობა მხოლოდ მათგან თარგმნიო, კულტურის სეხლებისა ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ დებოდა. იქითაც უნდა მიგვეცა რამე, უნდა გაგვემდიდრებინა და ეფთვმე ათონელმა ეხეიᲒᲐᲜᲘᲗᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ: ᲑᲐᲚᲐᲕᲐᲜᲐᲠᲘ და ᲐᲮᲣᲠᲗᲣᲐ და სხუანიეა რაოდენნიმე წერილი ქართულისაგან თარგმნნა ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲣᲚᲐᲓ". ᲒᲠᲝᲒᲠᲔᲛᲘ ᲑᲐᲜᲓᲘᲜᲣᲚᲘ მხოლოდ თუ ოიცნებებდა ამაზე.

საქართველო ნელ-ნელა დგებოდა „ᲠᲘᲐᲓ სხვა ერთა შორის". მეხოტბეებმა პირდაპირ თქვეს, რასაც ქართული მაგიოგრაფია მხოლოდ შეფარვით ᲐᲮᲔᲑᲒᲔᲓᲐ. ᲐᲛᲐᲕ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲠᲛᲔᲛᲝᲪᲮᲝᲑᲐᲛᲪᲐ შეუწყო ხელი. თანდათან დაქვეითებული ბიზანტიის მაგიოგრამა აღმოსავლეთში მართლაც ქართველთა ᲮᲔᲛᲘᲗ აღმოჩნდა. სწორედ ᲐᲛᲐᲕ და ᲐᲠᲐ სიტყვათა მსგავსებამ განაპირობა ელადისა და ᲒᲘᲚᲐᲗᲘᲡ გარითმვა:

ᲐᲮᲐᲚᲛ ᲠᲝᲛᲛ, შენთვის თქვეს, ᲠᲝᲛᲛ
ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲘᲫᲘᲚᲘᲡᲐ მყოფთა ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ.
ᲕᲜᲐᲢᲠᲐ ელადსა თვით მას ᲒᲝᲚᲗᲐᲡ
ᲡᲐᲓ რომ დაკკრძალევენ წმიდათა სხეულთა".

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ რომი ეწოდება, ᲮᲘᲚᲛ თამარი ღვთაების მეოთხე ᲛᲘᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲘᲡᲐ. ქართველი კაცის შეგნებიდან სახელოოდ ᲐᲛᲝᲛᲘᲜᲘᲡᲐ და გაᲫრა V-VI-VII საუკუნეებში დამახასიათებელი სიფრთხილეე, მან სიკვდილს და საერთოდ შიშს სხვაგვარი თვალით შეხედა; სხვაგვარად განისაზღვრა სიცოცხლის ფასიც:

ᲗᲔᲠ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ᲗᲔᲠᲫᲐ
ᲧᲚᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔ;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და
ძᲚᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔ;
ᲑᲝᲚᲝᲛᲓ შეეყარნეს მიწᲐᲛᲝᲜᲔ ᲔᲠᲗᲐᲜᲔ მოყმე და
მᲔᲪᲝᲕᲐᲜᲔ,
ᲡᲯᲝᲑᲡ სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი
სახელოვანᲔ!

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲗᲔᲚᲘᲐ, ᲓᲐᲬᲘᲠᲝᲙᲘᲗᲔᲚᲘᲐ:

ᲬᲐᲮᲜᲔᲚ ᲛᲘᲡᲛᲐ, ᲬᲔᲕᲗᲔᲓᲔᲜᲔ, ᲛᲝᲛᲧᲛᲐ ᲐᲛᲐᲧᲐᲓ
ᲧᲘᲝᲛᲔᲗᲐ.
ᲨᲔᲛᲘᲝᲠᲑᲔᲕᲓᲐ ᲬᲮᲕᲘᲡ ᲞᲘᲠ-ᲞᲘᲠ, ᲛᲐᲡ ᲗᲣᲠᲗᲔᲗᲐ
ᲬᲧᲚᲔᲚᲘ ᲡᲢᲘᲐᲜᲔᲗᲐ.
ᲗᲠᲛᲔᲚᲘᲡᲐ ᲜᲐᲢᲬᲔᲠᲘᲡᲔᲚᲘ, ᲡᲘᲡᲮᲚᲔᲗᲐ
ᲩᲐᲛᲘᲡᲯᲘᲝᲜᲐ,
ᲛᲢᲪᲔᲠᲗᲐ ᲔᲫᲐᲮᲔᲓᲐ, ᲬᲧᲐᲠᲝᲑᲗᲐᲡ, ᲘᲒᲘᲜᲘᲗᲐᲜᲐ
ᲩᲘᲝᲜᲐ.

ᲛᲐᲛᲘᲡᲚᲘᲡ ᲨᲘᲛᲪᲘᲡᲚᲔᲑᲘᲗᲨᲘᲡ კი ᲐᲛᲘᲗᲛᲝᲓᲐ:

„ᲘᲜᲔᲜᲪᲐ ᲩᲘᲛᲘᲡᲐ დამეცოლოს,
ᲛᲘᲡᲘᲗ მასცა ᲐᲦᲛᲝᲩᲣᲤᲘᲗᲘᲐ".

ᲠᲝᲛᲠᲝᲛᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲑᲔᲒᲐᲗᲘ ᲩᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲐᲜᲘ და ᲔᲗᲘᲙᲐᲗᲘᲡ „ᲬᲐᲠᲑᲗᲐᲜᲐ" ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ. იგი თავისი უძლეველობის რწმᲔᲜᲔᲑᲔ ᲩᲘᲪᲮᲕᲔᲚ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ მის ᲐᲛ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲫᲐ. ᲠᲐᲜᲐ თავდაჯერებისა.

ᲛᲝᲜᲔᲡᲬᲘᲚᲔᲗᲘᲡᲐ და ᲨᲣᲐ ᲐᲮᲘᲡᲗ ᲪᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ თანდათან ᲛᲐᲪᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘᲡᲐ.

ანზორ გვენცაძე

კულტურული რევოლუცია და საქართველოს კომკავშირი

კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი დიდად ფფასებენ ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობას კომუნისტური საზოგადოების შენებლობაში. კომუნიზმის აშენება მშრომელთა მილიონიანი მასებისა და მათ შორის ახალგაზრდა თაობის აქტიური მოღვაწეობის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია.

პარტიასთან ერთად, კომკავშირი იყო ის დიდი ძალა. რომელმაც სოციალიზმის საფუძველებისათვის მებრძოლ ახალგაზრდობას ღრმად ჩაუნერგა მტკიცე ნებისყოფა, მიზანსწრაფულობა, დიდი ბრძოლისუნარიანობა და კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება.

პარტია კულტურული რევოლუციის განხორციელებაში ემყარებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სახელმძღვანელო დებულებებს სოციალისტური კულტურის შესახებ. კულტურის განვითარების საერთო კანონზომიერებანი, მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველად განსაზღვრეს მარქსმა და ენგელსმა, მაგრამ რადგან მეცნიერული კომუნიზმის უფლებებები ცხოვრობდნენ იმპერიალიზმამდელი კაპიტალიზმის პერიოდში, მათ მოგვცეს მხოლოდ საფუძვლები მოძღვრებისა ახალი საზოგადოების და, კერძოდ, სოციალისტური კულტურის შესახებ.

დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა სსრ კავშირში კულტურული რევოლუციის განხორციელების თეორია. დიდი ბელადი ჩვენი კვეყნის დაარსების პირველი დღიდანვე ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევდა ხალხის კულტურული დონის ამაღლებას. „მას შემდეგ, რაც გადავწყვიტეთ მსოფლიოში უდიდესი პოლიტიკური გადატრიალების ამოცანა, — მოუთითებდა იგი, — ჩვენს წინაშე დადგა სხვა ამოცანები — კულტურული ამოცანები... კულტურის ამაღლების ამოცანა ერთ-ერთი ყველაზე მორიგი ამოცანაა“ (თხზ. ტ., 33, გვ. 65-66).

ემყარებოდა რა ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო დებულებებს, საბჭოთა ხალხი აქტიურად ჩაება ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებულ კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობაში. ამ საქმიანობამ კი განსაკუთრებულად ფართო ხასიათი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პერიოდში მიიღო. „ჩვენ ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, — ნათქვამი იყო საკავშირო კომკავშირის VIII ყრილობის (1928 წ. მაისი) მიერ მიღებულ რეზოლუციაში, — ძნელდება მშრომელი მასების კულტურული ჩამორჩენილობით“. მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ, რაც მემკვიდრეობით იყო მიღებული ძველი წესწყობილებისგან და რომელიც დიდ საფრთხეს უქმნიდა სოციალიზმის მშენებლობის საქმეს. მთელს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო გრანდიოზული ღონისძიებების განხორციელება.

სოციალიზმის მშენებლობის ამ ეტაპზე კულტურული რევოლუციის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა უწიგნურობის ლიკვიდაცია იყო. „ვიდრე ჩვენს ქვეყანაში, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა წერა-კითხვის უცოდინარობა, პოლიტიკურ განათლებაზე ძალიან ძნელია ლაპარაკი. ეს არ არის პოლიტიკური ამოცანა, ეს არის პირობა, უფრმლისოდაც პოლიტიკაზე ლაპარაკი შეუძლებელია. წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას, მას ჯერ ანბანი უნდა ვასწავლოთ. უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ არის მხოლოდ ხმები, ჭორები, ზღაპრები, ცრურწმენა და არა პოლიტიკა“. (თხზ., ტ. 33, გვ. 72)

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის რჩევებითა და მითითებებით, ჩვენი ქვეყნის კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში აქტიურად ჩაება ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — საჭართველოს კომკავშირიც.

წიგნიერების მხრივ მეფის რუსეთის იმპერიაში საქართველო ერთ-ერთი მოწინავე კუთხე იყო. მაგრამ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცოდა.

1926 წელს ჩატარებული აღწერის დროს საქართველოში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენდა მოსახლეობის 48,6 პროცენტს. გაცილებით დაბალი იყო ეს მაჩვენებელი რეს-

პუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის და ოსებში 14, აფხაზებში 11,2, აჭარლებში 7,8, თურქებში კი მხოლოდ 5,3 პროცენტს აღწევდა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელ საბრძოლო ამოცანად იქცა საკავშირო კომკავშირის VIII ყრილობის მოწოდება: „თითოეულმა წერა-კითხვის მცოდნემ უნდა ასწავლის ერთ უცოდინარს". გაიხადა რა სამოქმედო პროგრამად აღნიშნული ყრილობის ეს მოწოდება, კომკავშირის ამიერკავკასიის V ყრილობამ (1928 წ. აპრილი) თავის რეზოლუციაში მიუთითა: „...მშრომელთა ფართო მასების და, კერძოდ, მშრომელი ახალგაზრდობის კულტურული დონის ამაღლების საკითხები... არის ამიერკავკასიის კომკავშირის მნიშვნელოვანი ამოცანა".

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საკრთველოს კომკავშირი ძალახა და ენერგიას არ ზოგავდა პატრიოტის ენერგიალური ხაზის ცხოვრებაში გასატარებლად. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ფართოდ ჩაებნენ კულტურულ ლაშქრობაში, რომელიც მიმდინარეობდა საკავშირო კომკავშირის ინიციატივით 1928 წლის ნოემბრიდან 1929 წლის მარტამდე. აღნიშნული კომპანიის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით საკრთველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიდგინა ღონისძიებების გეგმა, რომლის შინაარსი დაკვანილი იქნა რესპუბლიკის თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციამდე. კულტურულ ლაშქრობის მსვლელობის დროს რესპუბლიკაში თითქმის ყველგანაც იქმნებოდა საინიციატივო ჯგუფები. რომელთაც მუშობის საერთო გეგმასთან ერთად თავიანთი კონკრეტული გეგმებიც მკონდათ და ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ ამ მეტად დიდი მნიშვნელობის საქმის წარმატებით განხორციელებაში. კომკავშირელი აქტივისტები დიდ როლს ასრულებდნენ წერა-კითხვის უცოდინრობასთან მებრძოლი საზოგადოების (წერკუმსის) მუშაობაშიც. საზოგადოების მიზანი იყო, ხელი შეეწყო განათლების ორგანიზებისათვის სკოლისგარეშე მუშაობის გაშლაში და, უპირველეს ყოვლისა, უწიგნურობის ლიკვიდაციაში. კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობით ლაშქრობის პერიოდში რესპუბლიკის მასშტაბით შენდებოდა და იხსნებოდა უწიგნურობის სალიკვიდაციო სკოლები, ბიბლიოთეკები, ქოხ-სამკითხველოები, კლუბები, სახალხო სახლები და კულტურის სხვა კერები. უწიგნურობის სალიკვიდაციო სკოლებისათვის დამზადარე სახელმძღვანელოების, მუშებისა და გლეხებისათვის პოპულარული წიგნებისა და ბროშურების გამოცემის მიზნით დაარსდა გამომცემლობა „წერა-კითხვა", რომელის საქმიანობაში რესპუბლიკის კომკავშირი საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა.

უწიგნურობის წინააღმდეგ ბრძოლაში ფართო პერსპექტივები გადაუშალა რესპუბლიკის კომკავშირს საკრთველოს ალკა მესამე კონფერენციამ, რომელიც 1929 წლის დასაწყისში გაიმართა. კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე კომკავშირის ერთი ნული განმავლობაში უნდა მოეხდინა წერაზთა და კანდიდატთა შორის უწიგნურობის სრული ლიკვიდაცია. ამასთან ერთად, რესპუბლიკის კომკავშირის, უმაღლესმა ორგანომ ვალდებულება აიღო საკუთარი ძალებით წერა-კითხვა ესწავლებინა 80 ათასი უცოდინარისთვის, მოემზადაგებინა ისინი სახელმძღვანელოებით და უზრუნველეყო პედაგოგებით. როგორც ყოველთვის, საკრთველოს კომკავშირმა ეს მეტად სერიოზული დავალება პირნათლად შეასრულა.

სწავლა-განათლებისაკენ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ამ საყოველთაო ლტოლვას და თავდადებულ მუშაობას პატრიოტის და ხელისუფლების დამხმარებისა და მხარდაჭერის პირობებში არ შეიძლება არ მოჰყოლოდა სასურველი შედეგი. 1921-1930 წლებში რესპუბლიკაში წერა-კითხვა შეისწავლა დაახლოებით ნახევარმა მილიონმა კაცმა.

აღნიშნულ ეტაპზე სოფლად კომკავშირული ორგანიზაციებისათვის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მნიშვნელოვან ცენტრსა და დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდნენ ქოხ-სამკითხველოები. ქოხ-სამკითხველოების საშუალებით პატრა და კომკავშირი ამჟღერდოვებდნენ გლეხობას მუშაობა კლასთან ან ზრდიდნენ მათ კომეფექტური სულისკვეთებით. ამასთანავე, ქოხ-სამკითხველოები წარმოადგენდნენ გლეხი ახალგაზრდობის დახვეწებისა და გართობის ხაუკეთესო ადგილს. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქოხ-სამკითხველოების რიცხვი საკრთველოში ერთეულნი განისაზღვრებოდა, 1925-1926 წლებში რესპუბლიკაში უკვე 598 ქოხ-სამკითხველო იყო. ხოლო 90-ანი წლების დასასრულისათვის მათი რიცხვი 1000-მდე გაიზარდა. აი, სხვადასხვა სახის ინფორმაციები ქოხ-სამკითხველოების მუშაობის შესახებ: გაზეთ „ახალგაზრდა კომუნარის" 1928 წლის 18 აპრილის ნომერი იტყობინებოდა, რომ თელავის მაზრის სოფელ ყვარელში ახალგაზრდობის თავმოყრის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად იქცა ქოხ-სამკითხველო. აქ გლეხები თავისუფალ დროს მასობრივად მოდიან და ისმენენ საუბრებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, ქოხ-სამკითხველოსთან შეიქმნა იურიდიული, აგრონომიული და მუსიკალური წრეები. მათ კარგ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მარტო იურიდიულ სექციაში სულ რამდენიმე ხნის განმავლობაში გლეხთა 800 შეკითხვას გაეცა ზუსტი და ამომწურავი პასუხი, სრული დატვირთვით მუშაობდნენ აგრეთვე სხვა წრეებიც. რაკი კომკავშირული ორგანიზაციის მიერ ქოხ-

ხამეთხველოებში მიმდინარე მრავალფეროვან და ცოცხალ ხაკმეინინობაზე იყო საუბარი „ახალგაზრდა კომეუნარის“ ერთ-ერთ ნომერში. შემთხვევით არ იყო, რომ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას ქოხ-ხამეთხველოებში მაღალი შეფასება მიხცა რეხპუბლიკის კომკავშირის IX ყრილობამ (1926 წ. ოქტომეხალი-მარტი). „კომკავშირელები არიან ნამდვილად აქტიური ელემენტები ქოხ-ხამეთხველოების ყოველდღიურ ხაკმეინობაში, სწორედ ისინი არიან ინიციატორები და ორგანიზატორები სოფლად ყოველგვარი კულტურული წამოწყებისა“, — აღნიშნული იყო ყრილობის მასალებში.

განსაკუთრებით ფართო და მრავალმხრივი მუშაობა გასწია ხაკართველოს კომკავშირმა კულტურული რევოლუციის ფრონტზე 30-ინა წლების დასაწყისში. 1928 წელს ჩატარებული კულტურული ლაშქრობისაგან განსხვავებით ამ წლებში მოწყობილი ასეთი სახის ლაშქრობანი ხანიათდებოდა მუშაობის უფრო სრულყოფილი ფორმებითა და მეთოდებით, რაც ნათლად ჩანს იქიდან, რომ, თუ 1928 წ. ხაკართველოში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენდა მოსახლეობის მხოლოდ 48,6 პროცენტს, 1931 წლისთვის ეს მაჩვენებელი 60,8 პროცენტამდე ავიდა.

ხაკართველოს ახალგაზრდობა ფართოდ ჩაება 1931 წელს გამოცხადებულ ხაკავშირო ეხტატუტაში. ამ კამპანიის დროს კომკავშირული ორგანიზაციების ხაკმეინინა ეკვეთმდებარეობოდა 3 ძირითადი ამოცანის განხორციელებას. რომელთაგან პირველი იყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მეორე: პარტიისადმი ყოველმხრივი დახმარების გაწევა ხაყოველთაოხავალდებულო სწავლების განხორციელების ხაკმეში და მესამე: ბავშვთა ხკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. რეხპუბლიკის კომკავშირმა ივალდებულა 220 ათახი უცოდინარობათვის შეეხვევინებინა წერა-კითხვა. დახმარები მიზნის მისაღწევად გაიმართა ხაყოველთაო მასობრივი მოძრაობა.

ახაშის რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ეტაფეტაში მონაწილეობა მიაღებინეს 145 ახალგაზრდას და დამატებით აღრიცხვაზე აიყვანეს და სწავლებაში ჩაიბეს 467 წერა-კითხვის უცოდინარი. კიდევ უფრო ფართოდ ჩაებნენ აღნიშნულ ხაკმეინობაში ზემო სვანეთის კომკავშირული ორგანიზაციები. აქ დამატებით აღირიცხა და სწავლებაში ჩაება 935 წერა-კითხვის უცოდინარი.

კულტეტაფეტაში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმისა და მაღალი ხაბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით ხაკართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესება რეხპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა.

ფართოდ გაჩაღდა ხოციალისტ[illegible]ბრძოლა ცალკეულ კომკავშირულ ორგანიზაციებსა და რეხპუბლიკის რაიონებს შორის. შეეჯარნენ ბასალებს სისტემატურად ამოწერენი ახალგაზრდული პრესა.

რეხპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მოპოვებული იქნა ხერიოზული ხახის წარმატებები. აღნიშნული კულტეტაფეტის მსვლელობის დროს რეხპუბლიკაში შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინრობის ხალიკვიდაციო 222 პუნქტი. სულ ამ ხამუშაოზე მობილიზებულ იქნა 1074 კომკავშირელი — კულტარმეელი, 214 უპარტიო ბატეკი და ქალიშვილი.

1932 წ. ხაკართველოს ხხვადახხვა ქალაქებსა და რაიონებში მოიწყო 512 წერა-კითხვის უცოდინრობის ხალიკვიდაციო პუნქტი, ხოლო 30 აპრილს თბილისი გამოცხადდა წერა-კითხვის ხაყოველთაოდ მეოდნეთა ქალაქად. წლის დასაბრულისათვის რეხპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში არ იყო არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი კომკავშირელი. 1931-1933 წლებში ხაკართველოში წერა-კითხვის ხალიკვიდაციო პუნქტები დაამთავრა 489 ათახმა ადამიანმა.

ხაყოველთაო ხავალდებულო სწავლების ხაკითხი კომუნისტური პარტიის და ხაბჭოთა ხახელმწიფოს უურადღების ცენტრში იდგა დიდი ოქტომბრის გამარჯვების პირველი დღიდანვე, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება შეაძლებელი გახდა ხოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ხაზოგადოებრივი წარმოების განუხრელი ზრდის, ხოციალისტურ რეკონსტრუქციის მეორნეობის გადაყვანის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების შედეგად. თუ რა უურადღება ექცეოდა აღნიშნული მიმართულით მუშაობას ჩვენს რეხპუბლიკაში, ნათლად ჩანს იქიდან, რომ 1930-32 წლებში ხაკართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 14-ჯერ განიხილა ხაყოველთაო ხავალდებულო სწავლების ხაკითხი.

ხაკართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით დიდი ხაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს აღნიშნული მიმართულებით 1928 წლის ოქტომბრიში, როდესაც ისინი აქტიურად ჩაებნენ ხაკავშირო ხკოლების დასახმარებლად დაწეულ სრულიად ხაკავშირო შაბათობაში. ხოგლად მოწყობილ შაბათობებში, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღო 11757 კაცმა, იქედან 8978 კომკავშირელი იყო. გამოშუშავებული 21.660 მანეთი მთლიანად ხასკოლო მწერლობის მოხმარდა.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაკეთილშობილებისა და მასშტაბურობის ზრდის კვალობაზე თანდათანობით ტაცდებოდა და იზრდებოდა ხასკოლო მატერიალური ბაზა. რეხპუბლიკის ტერიტორია ოფარეხლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლ ახალ-ახალი სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ფართო ქსელით. ალნაშუალ ტაბაზე სასკოლო მშენებლობის დარგში სერიოზული სახის წარმატებები იქნა მიღწეული, აგრეთვე. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებშიც.

ასე მაგალითად, თუ 1924-1925 სასწავლო წელს საქართველოში არსებობდა ეროვნულ უმცირესობათა 318 სკოლა 42.246 მოსწავლით, 1929-30 სასწავლო წლის ბოლოსათვის 400-მდე სკოლაში უკვე 71.376 მოსწავლე სწავლობდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვისა და უურადღების შედეგად სასკოლო ქსელი საგრძნობლად გაიზარდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა აჭარაშიც. თუ სამოთ ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში 2 გიმნაზია არსებობდა, სადაც მხოლოდ აჭარელი ბეგებისა და ქართველ თავადაზნაურთა 100-მდე შვილი სწავლობდა, 1932 წლისათვის იქ 213 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იყო, რომელშიც 21.957 მოსწავლე სწავლობდა.

წარმოების სხვადასხვა დარგის კვალიფიციური მუშებისა და სასოფლო-სამეურნეო კადრების მოსამზადებლად კომკავშირული ორგანიზაციები ფართო მასშტაბის მუშაობას წარმართავენენ საფაბრიკო-სავარჯნო და გელეი ახალგაზრდობის სკოლებში. ამ სკოლებში სისტემატურად იზრდებოდა მუშაკებელ-კომკავშირელთა რიცხვი. ასე მაგალითად, 1931 წელს ივლისისათვის ამ მასწავლებელთა რიცხვი რესპუბლიკაში აღწევდა 45 პროცენტს.

თვალსაჩინო ზრდის მიუხედავად, საქართველოში პედაგოგიური კადრები ვერ აკმაყოფილებდნენ გაზრდილ მოთხოვნილებებს. პარტია მოუწოდებდა პედაგოგიური პერსონალის ახალი არმიის აღზრდისაკენ, რომელიც მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული პარტიასთან, მის იდეებთან. ამ უდიდესი მნიშვნელობის ცხოვრებაში გატარების საქმეშიც ამოოდგა ჩვენს პარტიას მბარში ლენინური კომკავშირი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „საუოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლების შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 1930 წ. 25 ივლისს, კომკავშირს დაეკისრა, რომ 8 წლის განმავლობაში უოველწლიურად უზრუნველეყო 20000 კომკავშირელის მობილიზაცია განათლების ფრონტზე სამუშაოდ. ალნაშუალი დავალების სასახლოდ ამიერკავკასიის საბჭოთა კომბინატმა 1931 წლის აპრილში მიიღო გადაწყვეტილება 8.000 კომკავშირელის მობილიზაციის შესახებ: საკარგეთელ კომკავშირმა ეს რთული და სასატანი დავალებაც პირნათლად შეასრულა.

კომკავშირის მოღვაწეობის ერთ-ერთ საპატიო უბანს წარმოადგენდა უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა ქსელი თანდათანობით ფართოვდებოდა. ამ ზრდაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1913 წლისათვის საქართველოში იყო, მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი — სახელმწიფო უნივერსიტეტის სახით, 1931 წლისათვის კი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი უკვე 19-ს აღწევდა უმაღლესი სასწავლებლების გარდა, 1931 წელს საქართველოში იყო 155 სპეციალური ტექნიკუმი 28.884 მოსწავლით. უმაღლეს სასწავლებლებში სულ უფრო იზრდებოდა კომკავშირელთა რიცხვი. 1931 წლისათვის კომკავშირელ მოსწავლეთა რაოდენობა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შეადგენდა 40-მდე პროცენტს. ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს მაჩვენებელი 50 პროცენტამდეც აღიოდა.

სოფლად კულტმასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი ითამაშა ამიერკავკასიის კომკავშირის სამხარეო კომიტეტის დადგენილებამ „კოლმეურნეობებში კულტურულ-მასობრივი მუშაობის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 1934 წლის აპრილში.

დადგენილების მიღების შემდეგ კომკავშირულ ორგანიზაციების ინიციატივით დაარსებული იქნა 2 ბიბლიოთეკა ზუსტაფონის რაიონში. კულტურული კერების ჩამოყალიბება-გაფართოების დიდი როლი ითამაშეს სენაკის, ბორჯომის, თელავის და რუსეთელის სხვა რაიონების კომკავშირულმა ორგანიზაციებმაც.

ზემოადნიშნულ რაიონებში კომკავშირელთა მონაწილეობით იმართებოდა თვითმოქმედების ხალამიები, ეწყობოდა ექსკურსიები, იქმნებოდა ახალგაზრდობის ნებაყოფლობითი წრეები, ტარდებოდა სხვადასხვა სახის ლექციათ-საუბრები და ა. შ.

პარტია სოციალიზმის მშენებლობის წლებში კომკავშირს ავალებდა გაეძლიერებინა მუშობა ახალგაზრდა ქალთა შორის, ჩაება ისინი საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გატარებული ღონისძიებების შედეგად შესამჩნევლად გაიზარდა ქალთა რიცხვი კომკავშირში. თუ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მე-9 ურილობისათვის (1928 წ. თებერვალი-მარტი) ქალები შეადგენდნენ რესპუბლიკის მთელი კომკავშირის 15,9 პროცენტს, მე-10 ურილობისათვის (1930 წ. დეკემბერი) ამ მაჩვენებელმა 19,7 პროცენტამდე აიწია.

რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თავიანი გმირული ისტორია კიდევ უფრო გაამდიდრეს ქვეყნის კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლის პერიოდში. ისინი ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეში ყოველთვის იყვნენ პარტიის ხიმიდო და ერთგული თანაშემწეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემურ გურეშიძე

რასაცა გასცემ...

(ლარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება)

რევოლუციამდელ დასავლეთ საქართველოში არსებულ საქველმოქმედო საზოგადოებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას. მის უპირველეს მიზანს შეადგენდა, მატერიალურად დახმარებოდა რუსეთსა და საზღვარგარეთ წასულ სტუდენტ ახალგაზრდობას და ამით ხელი შეეწყო სახალხო მეურნეობის, განათლების, კულტურისა და მეცნიერების ეროვნული კადრების აღზრდისათვის.

ქართველი სტუდენტობის პირველმა თაობამ — თერგდალეულებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ბ. და ნ. ღოღობერიძეები, გ. წერეთელი, ი. ოჭრომპელდეშვილი, დ. ბაკრაძე, დ. ყიფიანი, დ. ახდუშელიშვილი და სხვ. საფუძველი ჩაუყარა ქართველი ახალგაზრდობის საუნივერსიტეტო ქალაქებში ცხოვრების, სწავლისა და საზოგადოებრივ მოძრაობაში მონაწილეობის მყარ ტრადიციებს, რომლის მატარელად დაცვა და განვითარება საზღვარგარეთ მყოფი ყოველი ქართველი სტუდენტის მორალურ მოვალეობად იქცა.

რუსეთსა თუ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდა არა მარტო იმ უნივერსიტეტის ცხოვრებაში, სადაც სწავლობდა, არამედ საერთოდ, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში.

ჯერ კიდევ 1861 წლის ოქტომბერში, როდესაც პეტერბურგში ახალი „საუნივერსიტეტო წესდების" შემოღებასთან დაკავშირებით სტუდენტთა დიდი გამოსვლა მოხდა, ქართველი ახალგაზრდები „განათლების სიხტემის გასამხედროების" წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ. სტუდენტთა მღელვარების აქტიური მონაწილეები: ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, ბ. ღოღობერიძე, გრ. ჯავახიშვილი, გ. წერეთელი, პ. ალბაზიშვილი, დ. ახდუშელიშვილი, დ. ღოღობერიძე, ი. ისარელიშვილი, ა. ჩოლოყაშვილი და სხვ. დაიპატიმრეს და შლისელბურგის ციხეში ჩასვეს.

პეტერბურგის უნივერსიტეტის კვალდაკვალ საუნივერსიტეტო წესდების შემოღებასთან დაკავშირებული სტუდენტთა გამოსვლები მოიდო მოსკოვის, ყაზანის, ხარკოვის და რუსეთის იმპერიაში არსებულ თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელს.

სტუდენტთა ამ გამოსვლებს მჭიდრო კავშირი ჰქონდა იმ საზოგადოებრივ მოძრაობასთან, რომელიც რუსეთში დაიწყო საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით და რომელსაც ხელმძღვანელობდა რუს რევოლუციონერთა ახალი თაობა. რევოლუციონერი დემოკრატების ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიუბოვის იდეებზე აღზრდილი ქართველი ახალგაზრდობა რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ეტაპზე აქტიურად მონაწილეობდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველმა სტუდენტებმა თავი გამოიჩინეს რევოლუციურ-ნაროდნიკული ორგანიზაციების მუშაობაში, რევოლუციური ორგანიზაციის „თავისუფლების ლიგის" საქმიანობაში;

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გავრცელებას იწყებს მარქსიზმი. ქართველი სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მშრომელთა ფართო მასებში მარქსიზმის მხურვალე პროპაგანდისტი გახდა.

უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში წასვლას, უმთავრესად, შეძლებული წრიდან გამოსული ახალგაზრდობა ახერხებდა. მიუხედავად ამისა, ქართველი სტუდენტების დიდ უმრავლესობას მატერიალურად მაინც უჭირდა. მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო იძულებული ხდებოდა, სწავლისათვის თავი დაენებებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

უკიდურესი სიღარიბის და შიმშილისაგან გამოწვეული დაავადებებისა და სიკვდილიანობის შესახებ ხშირად იწერებოდნენ სტუდენტები ეურნალ-გაზეთების რედაქციებში. 1869 წლის სექტემბერში გაზეთი „დროებაში" დაიბეჭდა ნ. ცხვედაძის „ლორსპოდენციია პეტერბურგიდან". მაში აღწერილია პეტერბურგში მყოფი ახალგაზრდობის ცხოვრება და მოგონილია ასეთი მაგალითი: ერთი ღარიბი სტუდენტი გაცივდა და გულით დაავადდა. ექიმებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა სამშობლოში დაბრუნება ურჩიეს, მაგრამ ავადმყოფს სამგზავრო ფული არ აღმოჩრნდა. ამიტომ იგი პეტერბურგში დარჩა, რამაც კიდევ გაუარესა მისი ჯანმრთელობა. ბოლო დროს ეს ახალგაზრდა ისე დაუღლერდა, რომ საქართველოში დაბრუნება ვეღარ შეძლო. „რამდენი ასეთი გულსაკლავი ფაქტები მომხდარან დ ხდებიან ჩვენ მოსწავლე მემამულეების თავზე! რამდენი კიდევ სიღარიბის გამო, თუმცა დიდი სურვილი აქვთ მაღალ სასწავლებლებში სწავლის მიღებისა, რჩებიან საქართველოში, და არ იციან თუ როგორ მოახერხონ, რომ მიიღონ გვარიანი განათლება.“ — აღნიშნავდა ნ. ცხვედაძე (გაზ. „დროება“, 1869, № 87, გვ. 3).

ქართველი სტუდენტობა ენერგიულად ცდილობდა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა. ამ მიზნით ისინი ხელს ჩაიდებენენ შავ სამუშაოს, შოფლობდნენ კერძო გაკვეთილებს, სეზონურად მუშაობდნენ სხვადასხვა სახის წარმოება-დაწესებულებებში და ა. შ. მაგრამ ზოგჯერ სამუშაოს შოვნა შეუძლებელი ხდებოდა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ სტუდენტთა ერთი ნაწილი თვითმკვლელობით ამთავრებდა სიცოცხლეს.

მე-19 საუკუნის 70 წლებში საქართველოში იყო ცდები დაეარსებინათ პეტერბურგში მოქმედი ე. წ. „სტუდენტთა შემწეველი“ საზოგადოების ანალოგიური საზოგადოება, რომელიც მატერიალურად დაეხმარებოდა ყველა ეროვნების კაკაესილი სტუდენტებს. სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას ეხებოდა ნიკო ცხვედაძის კორესპონდენცია პეტერბურგიდან; „მეთხველო, თუ კაცური გული გიცემს და გაკვს მამულის სიყვარული — წერდა იგი, — ეჰვი არ მაკვს, რომ ცნობისმოყვარეობით იკითხავთ, თუ რა სახარებით შეიძლება შეწევნა აკაური მოსწავლე ქართველი უმაწვილებისათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ სამშობლოში, ცოტა რომ ვთქვა, ორასი კაცი მაინც მოიპოვება, რომლებსაც მოსწავლე უმაწვილების გარემოება და მათი მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ეცოდინებათ. ამ ორას კაცს ჭერეკრრობით შეუძლიან კარგი შემწეობა აღმოუჩინონ ღარიბ ქართველ სტუდენტებს. თითოეულმა ამხანაგმა ყოველ წელიწადს, რომ გადაიხადოს ხოლმე თითო თუმანი, კარგი ფული შედგება... ამ ფულით შეიძლება ათ კაცზე მეტს გვარიანი შემწეობა მიეცეს ყოველ წელიწადს...“ (გაზ. „დროება“, 1869, № 87, გვ. 3).

ჟურნალ „ცისკრის“ ცნობით ჯერ კიდევ 1862 წელს თბილისის „პროვინციის მაჯალის“ მუშაკებმა შეაროვნეს მეცირე თანხა და პეტერბურგის ღარიბ სტუდენტებს გაუგზავნეს.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ქართველი სტუდენტების დახმარებას ცდილობდა „თბილისის კეთილმოქმედი საზოგადოებაც“, რომელიც ძირითადად მიზანი საზოგლო სკოლის ღარიბ მოწაფეებზე ზრუნვა იყო.

ჟურნალ-გაზეთებში დაიწყო წერილების გამოქვეყნება სტუდენტთა ცხოვრებისა და სწავლის პირობების შესახებ. ამ წერილებში გამომდაგანნებულნა სტუდენტთა გულისშემზარავი მდგომარეობამ მთელი ქართველი საზოგადოებრიობის საპასუხო რეაქცია გამოიწვია. „ილია ბავშვავძე წერდა: „ეურავნ ჯუნ ვერ გაიგიოლებს, ეურავნ ყურს ვერ მოიყოფებს: როცა სწავლისათვის თავგანწირული ყმაწვილაკები ძახილი მოდის მიშველეთო... ნუთუ ქართველობა ისე გაძუნწდება, რომ ამ სასოწარკვეთილების ხმას ყურს არ ათხოვებს და გამრეგებულ მომძიერ არ გაუწვდის შემწეობის ხელსა! აკ ყოველი გრიში განძია და ამდენ გვაკვს, რომ არავინ დაიშურებს, შეძლებისამერი, რაიმე შეაროოს, სწორედ ამისთანა საქმისათვის არის თქმული „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ (ილია ბავშვავძე, ნაწერების სრული კრებული. ტ. 7, ოხ., 1928, გვ. 240).

ამ მოწოდების პასუხად გამხრიდან საკელმოქმედო სალამო-წარმოდგენები თბილისში, ქუთაისში, გორში, სანხერეში, ხონში, ყვირილაში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ფოთში, ოჩამჩირეში და სხვ.

საკელმოქმედო ღონისძიებისა და შეწირულებათა გზით გროვდებოდა სათანადო თანხა, რომელიც სტუდენტებს ეგზავნებოდა.

მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ქართველ სტუდენტებს ცნობილი საზოგადო მოღვაწეებნი: ნიკოლოზ ღოლიბერიძე. დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები, ძმები ლევან, სტეფანე, იაკობ ზუბალაშვილები, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი). ნიკოლოზ ცხვედაძე, გერასიმე ქიქოძე და სხვ.

სტუდენტებს სერიოზული გულშემატკივარი გაუჩნდა ქართველთა შორის ეკრა-კოთხეს გამმარეელებელი საზოგადოების სახით. ამ საზოგადოებას ეკუთვნის კაკაესილი ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების შექმნის ინიციატივა, რომელსაც სათავეში ედგნენ ცნობილი ექიმი გ. ტარსაიძე, ს. ეხიძე, ექიმი ონანოვი, ნაფიცი ვექილი ლ. შეკალიე, წიგნის მაღაზიის მეპატრონე ლ. ხელეკელი და სხვ.

კაკაესილის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება მოქმედებდა: 1902-1905 წლებში და უალრესად სასარგებლო მუშაობას ატარებდა.

საკელმოქმედო საზოგადოების შექმნას, რომელიც მიზნად ისახავდა, ორგანიზებული სასიათი მისცემოდა ღარიბი სტუდენტებისათვის ფაბმარებას, მხარეალედ გამოეხმაურა დასავლეთ საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია. მაგალითად. იმის გამო, რომ რუსეთსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ სტუდენტთა რიცხვი სისტემატურად იზრდებოდა, წარმოშვა აზრი, კაკავასის საზოგადოებასთან ერთად ქუთაისშიც დაარსებულიყო ასეთი საზოგადოება. მაგრამ ახალი საქველმოქმედო საზოგადოების შექმნას აქაც სერიოზული სიძნელეები შეხვდა. ქუთაისის ინტელიგენციის იდეა განხორციელდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კაკავასის საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა. 1907 წელს დაარსდა ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება. ეს საზოგადოება მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებდა.

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება აღნიშნული საზოგადოების საარქივო ფონდი. რომელიც მდიდარ მასალებს შეიცავს ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ.

წესდებით, რომელიც ქუთაისის გუბერნატორმა 1907 წლის 5 მაისს დაამტკიცა, საზოგადოების მიზანს შეადგენდა მატერიალური დახმარება აღმოჩენილ ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრები ღარიბი სტუდენტებისათვის. დახმარება შეიძლება შემდეგი სახის ყოფილიყო: ლექციების მოსმენის უფლებისათვის სათანადო თანხის გადახდა, სტიპენდიების დანიშვნა, რომლის რაოდენობას საზოგადოების საერთო კრება განსაზღვრავდა (არანაკლებ 30 მანეთისა თვეში); დამბაღებით სტიპენდიის დანიშვნა საერთო კრების მიერ განსაზღვრული რაოდენობით, მაგრამ არანაკლებ 15 მანეთისა იმ სტუდენტებისათვის, რომელთა თვიური ბიუჯეტი მატერიალურად ვერ უზრუნველყოფდა მათ; ერთ-, დროული დახმარების მიცემა უმაღლეს სასწავლებელში გგზგზარების მიზნით, ყოველთვიური და ერთდროული დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში (ავადმყოფობა, სიკვდილი, კვალიფიკაციის მაძალება), შესაფერის სამუშაოზე მოწყობა არდადეგების პერიოდში.

ერთდროული დახმარებისა და სტიპენდიების დანიშვნის და მოხსნის დროს საზოგადოება ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სათვისტომოების მითითებებით. ყველა დახმარება და სტიპენდია ითვლებოდა გრძელვადიან უპროცენტო სესხად. რომელიც საზოგადოებას დაუბრუნდებოდა ყოფილი სტიპენდიანტის აჭიბური საზოგადოებრივი მუშაობით.

საზოგადოების დამფუძნებელი კრება შედგა 1907 წლის 20 მაისს (ქონ, ფონდი 6465, სახ. 1807). კრებას საზოგადოების გამგეობის პირველ შემადგენლობაში აირჩია მ. ი. მთიულაშვილი, ო. ლ. ჭორაკაშვილი, ი. გ. ანჯაფარიძე, ს. ი. ხერხნაშვილი, დ. ო. ავალიანი, ე. ა. როსტომოვა, ს. დ. ჯაფარიძე და სხვები (ქონ. ფონდი 6465, სახ. 59).

გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით ოტიას ძე ნიფარაძე (ქუთაისის გუბერნიის ... დასაზარობის წარმომადგენელი). 1911 წლიდან 1918 წლამდე, ე. ი. საზოგადოების ლიკვიდაციამდე, გამგეობას სათავეში ედგა ელისაბედ ნიკოლოზის ასული ხერხნაშვილი, შესანიშნავი ქველმოქმედი ქართველი მანდილოსანი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ამ ეროვნულ საქმეში. იგი იყო სტუდენტთა სასარგებლოდ გამართული სალამო-წარმოდგენების ერთ-ერთ ორგანიზატორი და აჭიბური მონაწილე. პრესისა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ საზოგადოებას თავისი არსებობის მანძილზე არ ჩაუტარებია არც ერთი ღონისძიება, რომლის თაოსანი და სულისჩამდგმელი ე. ხერხნაშვილი არ ყოფილიყოს. თავის მეუღლესთან ცნობილ ეკონ სიმონ ივანეს ძე ხერხნაშვილთან ერთად იგი იყო საზოგადოების საპატიო წევრი. გამგეობის სხდომები და ბევრი სხვა ღონისძიება ხშირად იმართებოდა ელისაბედ და სიმონ ხერხნაშვილების ბინაზე.

საზოგადოებამ არსებობის პირველი დღიდანვე მჭიდრო ურთიერთობა დამყარა სტუდენტთა სათვისტომოებთან რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სასწავლებლებში.

სტუდენტთა სათვისტომოებს საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია ქვს. სათვისტომო (Земляческо) ეერთიანებდა ერთი ეროვნების ან ერთი მხარის სტუდენტ-ახალგაზრდობას. თავდაპირველად სათვიტომოების უმაღლესი მიზანი იყო, მატერიალური მხარდაჭერა აღმოეჩინათ ხელმოკლე სტუდენტებისათვის, ორგანიზებული ურთიერთობა ჰქონოდათ სამშობლოსთან და თვად-ყური ედგებინათ, თუ როგორ ასრულებდა ჩამოსული სტუდენტი მოვალეობას — როგორ სწავლობდა და ეუფლებოდა მეცნიერებას. შემდეგში კი სათვისტომოს საქმიანობამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო და მასში მნიშვნელოვან ადგილი დაიკავა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის იდეებმა.

სათვისტომოს გარკვეული ნაწილი XIX საუკუნის 80--90-იანი წლებიდან ფაქტობრივად სტუდენტთა პოლიტიკურ წრეებს წარმოადგენენ და ამიტომ ხელისუფლება ყოველნირად ცდილობდა მისი საქმიანობის შეზღუდვას

ქართველი სტუდენტთა პირველი სათვისტომოები შეიქმნა პეტერბურგის, მოსკოვის, ეერპატის და სხვა უნივერსიტეტებში, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის 10-იან წლებში ასეთი სათვისტომოები არსებობდა თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. სათვისტომოს ჰქონდა თავისი წესდება, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ამტკიცებდა. მთავრობის თვალის ახვევის მიზნით „წესდებაში" ხასაასმული იყო, რომ სათვისტომო არ ხდება სტუდენტებისადმი მატერიალური დახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეის მიზნით (იხ. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წესდება, ЦГИАЛ, ф. 14, оп. 1, д. 7782. ფ. 35).

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წესდებაში საგანგებოდაა ღონშული, რომ სათვისტომო არსდება „მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური ურთიერთდამხმარების მიზნით. მხოლოდ დერპტში მოხერხდა სათვისტომოს დაარსების მიზანი ასე განაზოგადურულიყო „იურიეევის (ტარტუს) ქართველ სტუდენტთა სათვისტომო არსებობს მის წევრთა ურთიერთდამხმარებისა და გონებრივი ინტერესების საფუძველზე ბიერთიანების მიზნით.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კვალდაკვალ იმავე 1907 წელს მოსკოვის უნივერსიტეტშიც დაარსდა „ქართული კულტურის მოყვარულთა წრე". რომელიც 1909 წლადან ილია ჭავჭავაძის სახელი მიეკუთვნა.

სათვისტომოს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა — ქართული ფილა-საღამოების გამართვა, გამოჩენილი პირთა იუბილეების აღნიშვნა, ლექცია-საუბრები და ა. შ. ორ მიზანს ისაბადდა: ჯერ ერთი, გარკვეული თანხა შეეგროვებინათ და დამხმარებოდნენ ხელმოკლე ამხანაგებს, მეორეც, საქართველოს ისტორია და კულტურა გაეცნოთ სხვა ხალხთა წარმომადგენელებისათვის.

სტუდენტთა დამხმარე საზოგაოდოების დაარსების ინიციატორებმა წინასწარ დიდი მოსაამაღლებელი სამუშაოები ჩაატარეს. სათვისტომოების დამხმარებთან დაზუსტდა რუსეთსა და აგზღვარგარეთ მოსწავლე ქართველ სტუდენტთა რაოდენობა, შესწავლილ იქნა მათი მატერიალური და საყოფაცხოვრები პირობები. ამიტომ შესაძლებელი გახდა საზოგადოება 1907 წელსვე შედგომოდა პრაკტიკულ საქმიანობას.

შუხედავად ხელისშემშლელი პირობებისა, საზოგადოების გამგეობამ შეძლო არსებობის პირველი წელი მოგებით დიემოავრებინა და სტუდენტებისათვის ხელი გაემართა. მარტი 1907 წელს დამხმარეა გაუწია 40 სტუდენტს.

ქართველი სტუდენტები დიდი სიხარულით შეხვდნენ საზოგადოების დაარსებას და იმედით შეხედეროდნენ მის მოღვაწეობას, ამიტომ იყო, რომ გამგეობის სახელზე სისტემატიურად მოდოდა სტუდენტთა თხოვნები და წერილები.

გარდა სტუდენტებისა, ნიჰიერი ახალგაზრდებისთვის დამხმარების გაწევის მიზნით, „საზოგადოებამ" ხშირად მიმართავდნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ეკუთვნის ქართული გიმნაზიის დირექტორი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღაწე ოსეფ ივანეს ძე ოცეტელი, რომელიც მამბირივ მზრუნველობას იჩენდა თავის ადსაზრდოლებზე არა მარტო სასწავლელის კედლებში, არამედ, შეიძლება დაბეჯითებულად ვქ�, მთელი მათი ცხოვრების მანძილზე. „დიდად პატივცემულო სიმონ ივანეს ძევ — წერდა ოსეფ ოცეტელი 1914 წლის 20 ივვიტიო „საზოგადოების" გამგეობის ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრს ს. ი. ბეჩინაშვილს — მაპატიეთ, რომ გაწუხებთ. ამ ყმაწვილმა ვეგალარ ბეგლარ ფაღალან შარშან გაათავა ჩვენი გიმნაზია საუკეთესო მოწაფედ, მაგრამ სიღარიბის გამო შარშან ვერ ჩავიდა უნივერსიტეტში. ნელსაც საშინელ მდგომარეობაშია — საწყალი ილუპება — გზის ფულიც არ აქვს; რომ რუსეთში ჩავიდეს. ბატონო სიმონ! ეგეს რაიმე შემწეობა მოუფიქრთ დამხმარებელი საზოგადოების კასიდან... ყმაწვილი კაცი შესანიშნავია. როგორც ნიჭით, ისე ზნეობით. მეტისმეტი ღარიბი და ამასთანავე ერთი წელიწადი გაკადენა და თუ მეორე წელიც გაუცდა უფლებას დაკარგავს, რომ უნივერსიტეტში შეეიდეს. კიდევ ეუბოვ ეუურაფდებეთ ნუ დაკოვებთ ამ ყმაწვილს (ქიმ. ფონდი 6465, საბუთი 800).

ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება გულისყურით ეცნობოდა სტუდენტთა თხოვნებს და, შესაძლებლობის ფარგლებში, მაკსიმალურად ცდილობდა დამხმარებოდა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

„საზოგადოება" სათვისტომოებისაგან სხვადასხვა ღონეთოდა მასალებს სტუდენტთათვის მატერიალური დამხმარების გაწევის შესახებ. ასე მაგალითად, 1913 წლის ივნაარში კიევიდან მიღებულ წერილში ვკითხულობთ: „კიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო დიდის სიამოვნებით მიეგება ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდათა დამხმარე საზოგადოების მიერ შემოშავეებულ ზომას მატერიალურ დამხმარეთა განაწილებისა, ვინაიდან იგი სამართლიანობის პრინციპზეა დამყარებული და შეადგენს სია ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა, რომელნიც ზემოაღნიშნულ საზოგადოების შეკითხვის მიხედვით ორ კატეგორიად დაპყო: პირველს ეკუთვნიან ის პირნი, რომელნიც სახლიდან არავითარ მატერიალურ დამხმარებას არ იღებენ და იძულებულნი არიან თავის შრომით ირჩინონ თავი, რაც ძალიან ძნელია (ჩამოთვლილია სტუდენტთა გვარები), მეორე კატეგორიას ეკუთვნიან ის პირნი, რომელნიც იღებენ დამხმარებას თვეში არა უმეტეს 15 მანეთისა (დასახელებულია სტუდენტთა გვარები) (ქიმ. ფონდი 6465, საქ. 1001). „საზოგადოებას" პეტერბურგიდან წერდნენ: „ამ რამდენიმე ხნის წინად მოგვივიდა თქვენგან ცნობა გვეცნობებია სია სათვისტომოს ღარიბ სტუდენტთა» გგმეობა პირველად დიდ მადლიერებას გწერავთ ამისათვის და შემდეგ კი გიგზავნით განსაკუთრებით ღარიბ სტუდენტთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელებს და გვარს. თუ ვინაობასა აქ ჩამოთვლილთაგანს დაენშენება რამე, იმათ ვინც ამ უამთა ჭ. ქუთაისსი არიან, მიეცემთან პირადთან თქვენგან და დანარჩენების გადასაცემად. გთხოვთ გადმოიგზავნოთ გაგებიანის ბანნადარს ალექსანდრე ზალდასტანიშვილს... ამასთან ხაჭირია აღვნიშნოთ, რომ ოფილა ზეკერ მოხსენებული პირი ძლიერ მუყაითად მეშობენ და ითვლებიან მომეცადინე უმაწვილებად (სია თან ერთვის, 1918 წელის ივნვარი; ქიმ, ფონდი 6465, სახ. 992).

უმალესი სასწავლებლებიდან მიღებული ასეთი მახალები გაგვიბის სხდომების სპეციალური მსჯელობის საგანი იყო. სტუდენტიანის დანიშვნის საკითხის გადასაწყვეტად გაგვიბა მოითხოვდა. აგრეთვე, საოვანტიმოების მიერ დამოწმებული სიტარიბის ცნობის.

ვარდა სტუპენდიებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „საზოგადოება“ ხელმოკლე სტუდენტებს ერთდროულ დახმარებასაც უწევდა. იმის დასაზუსტებლად, თუ რომელ სტუდენტს უნდა გაწევოდა დახმარება, საზოგადოების გაგებიანი საოვანტიმოების პერიოდულად უგზავნიდა მიმართვებს, დაუსახელებიათ ისეთი ამხანაგები, რომლებიც ერთდროულად დახმარებას ხაკმრიფნენ. საოვანტიმოები ამგვარად ეხმარებოდნენ „საზოგადოების“ ასეთ მიმართვებს და სისტემატურად უგზავნიდნენ მათ თავიანთი მოსაზრებები. მაგალითად, 1916 წელის 28 ივნვარს „საზოგადოების“ გაგებიანის ხელზენ მოვიდა თხოვნა პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა საოვანტიმოს გაგებიანისაგან. მასში ეკითხულობთ: „თანახმად თქვენი წინადადებისა პეტროგრადის უნივერსიტეტთან არსებულმა ქართულმა გაგებიანმა იკონია მსჯელობა იმაზე. თუ ვინ დაახელოს კანდიდატებათ ერთდროული დახმარების მისაღებად. გაგებიანა კანდიდატების დასახელების დროს ხელმძღვანელობდა ორი მოსაზრებით: უპირველესად ყოველისა უპირატესობას აძლევდა მატერიალურად შეუწეროებულებს, მაგრამ იღებდა მხედველობაში აგრეთვე კანდიდატის შრომისმოყვარეობასაც. მაგრამ უპირატესობა არგუნა შემდეგ პირებს: ყიფიანს, ლომპიანს, ი. ლაბაძეს, ი. ინანაშვილს. მეხუთე კანდიდატზე კი შემდეგი უნდა გაცნობოთ: აჭაკრ ხენტუეევის ქალთა უმაღლეს სასწავლებლში სწავლობს ელენე ღოლობერიძის ასული და ელენე მასხუელის ასული, რადგან ორივე კოზენრივად ძლიერ შეეწეროებული არის, ამიტომ ქართულმა გაგებიანამ ორივე წარადგინა კანდიდატებად თბილისის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში თავისუფალი ტატიენდის მისაღებად. რადგან ჯერ არ ვიცით რომელს მათგანს ხვდება წილად ეს სტიპენდია, ამიტომ გაგებიანა გთხოვთ მეხუთე კანდიდატის ფული მას გამოუგზავნოთ. რომ ამით საშუალება მიეცეს ეს ფული გადასცეს მას, რომელსაც უტატიენდოდ დარჩება. ხაერთოდ, გაგებიანა სასურველად ხეა ხაერთოდ ეთვლის მოელი თანმა, რომელიც გადადებული იქნება იქაურ სტუდენტებისათვის გამოუგზავნოთ გაგებიანმა, რომ მეტი ხამართლიანობით დაარიგოს იგი“ — (გაგებიანის ხახელით ფ. ლეკანიძეშვილი (ქიმ. ფონდი 6465, ხახ. 146).

ასეთი თხოვნების საფუძველზე ხშირად საზოგადოება სტუდენტთა დახმარებისათვის გამოეცოდოდ თანხას უგზავნიდა ხათვისტიმოებს, რომლებიც შემდეგ მას თავიანთნი შეეხელეფენებისამებრ ანაწილებდნენ.

საზოგადოების არქივში ინახება დიდი ქართველი მწერლის კ. გამსახურდიას, ცნობილი მეცნიერების: ი. ყიფშიძის, ხ. დანელიას, კ. ერისთავის, ხ. ხუნდაძის, პოეტების შ. ფფანიძის, ხ. ცირეკიძის და სხვათა წერილები. მათ სტუდენტების დროს საზოგადოებამ გაუწია მატერიალური დახმარება.

საზოგადოების ინიციატივით ყოველწლიურად 12 ივნვარს ქუთაისში და, ხაერთოდ, ხაქართველოს დამა-ქალქებში ე. წ. „ტატიანას დღესთან“ (1755 წელს გრიგორმა შუვალოვმა თავის დედას ტატიანას მისი დაბადების დღეს — 12 ივნვარს ხარუკრად მიართვა უმაღლესი ბრძანება მოსკოვის უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. ამის გამო 12 ივნვარი ტრადიციულად აღინიშნებოდა როგორც ხტუდენტთა დღე (გაზ. „ერი“, 1914, № 9, გვ. 8) დაკავშირებით ამართებოდა ხტუდენტთა ტრადიციული ხალამები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, არდადეგებზე თუ ხხვადასხვა მიზეზების გამო ხამშობლოში მყოფი სტუდენტებიც. საინტერესოა „საზოგადოების“ გაგებიანის 1910 წლის 6 დეკემბრის ხხდომის ოქმი. გაგებიანამ განიხილა „ტატიანას დღის“ აღნიშვნის საკითხი და დაადგინა: დაუგზავნოს ე. ნ. ხერჩინავიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნა, ამ პერიოდში სტუდენტთა ერთადერთი დამხმარე საზოგადოება იყო საქართველოში.

1911 წელს გაზეთი „ცოლნიდა“ წერდა: „ქუთაისის ლარის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობამ 1907 წლიდან 1911 წლამდეცხრა სალამო ლა ოთხა ხელრნახნი მოაწყო. ლონისძიებანი გაიმართა ქუთაისში, ხონში, ყვირილაში, სურამში, ბორჯომში, ბაყურიანსა და გორში.

დღიდან დაარსებისა გამგეობამ შეაგროვა 3985 მანეთი და ათი შაური. ერთდროული დახმარება აღმოუჩინა 176 ლარიან სტუდენტს.

1913 წელს ქუთაისელმა ქველმოქმედმა ქალმა ე. ს. დუკაძე-ფიფანაშვილმა „საზოგადოებას“ უანდერძა 7000 მანეთი. ამ თანხის პროცენტებიდან დაარსდა ეკატერინე ფიფანაშვილის სახელობის სტიპენდია.

ქუთაისის გუბერნიის დამხმარე საზოგადოებამ იარსება 1918 წლამდე.

აღნიშნულ საზოგადოებასთან ერთად ქართველ სტუდენტთა მატერიალურ დახმარებას ეწევოდნენ ქუთაისის ქალაქის სამეო, სათავადაზნაურო მანეკები და სხვ. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ამ საქმეში ქალთურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის სამეოს ღვაწლს. 1896 წელს დაარსებულ სამეოს სათავეში ელება გამოჩენილი ქართველი რეგოლუციონერი, „80-ის“ გამმაურებული პროცესის მონაწილე, პუბლიცისტი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი (მაია-შვილი; 1854-1917).

ქუთაისის გუბერნიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებამ თავისი არსებობის მანძილზე ნაყოფიერი საქველმოქმედო საქმიანობა ჩაატარა, მატერიალური დახმარება აღმოუჩინა მრავალ ქართველ სტუდენტს და ამით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ მეცნიერების აღზრდის საქმეს, რომელთაც შემდგომში გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეში.

ელიზბარ ჭიჭიაშვილი

ანატოლ ფრანსი და საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია

ფრანგულ ლიტერატურას ისტორიული რომანის დიდი ტრადიციები ჰქვს. ცოტა ფრანგი ხალხის ისტორიაში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში არ იყოს ახასული. საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ფრანგებისათვის, არამედ თითქმის მთელი ევროპიზებული მსოფლიოსათვის. ვიქტორ ჰიუგომ ამ რევოლუციას უძღვნა ერთ-ერთი საუკეთესო რომანი „ოთხმოცდაცამეტი". რომანში გაშუქებულია ის მძიმე და ტრაგიკული ამბები, რაც საფრანგეთის რევოლუციას თან ახლდა ნაპოლეონის აღზევებამდე, რადგან მთელი ამ წლების მანძილზე საფრანგეთი ჩაბმული იყო თითქმის ყველა მეზობელ ევროპანასთან ომში და ამავე დროს უდგებოდა კონტრრევოლუციასთან და აჯანყებულებთან ბრძოლა. საფრანგეთის ისტორიის ეს პერიოდი დაგვიხატეს თავიანთ ნაწარმოებებში, ალეგოლეგ, ერკმან-შატრიანმა, დიკენსმა და სხვებმა. ცხადია, ეს მოვლენები ფრანგმა ისტორიოსებმა, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და მწერლებმა სხვადასხვა პოზიციებიდან გააშუქეს. ზოგი გმობდა მის რადიკალურობს, ზოგი კი ისტორიულ აუცილებლობად მიიჩნევდა.

ანატოლ ფრანსი თითქმის ბავშვობიდან იყო დაინტერესებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის შფოთიანი პერიოდით და როცა საბოლოდ მიმწიფდა, რევოლუციის როული, ტრაგიკული და წინააღმდეგობრივი მოვლენების მხატვრულად აღწერა დაისახა მიზნად. იგი დიდხანს სწავლობდა ამ პერიოდს და ბოლოს ფაქტური მასალების საფუძველზე შექმნა რომანი „ღმერთეს სწყურიან". ეს არის ანატოლ ფრანსის შემოქმედებაში და საერთოდ ფრანგული ლიტერატურაში ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიული რომანი, სადაც მწერალი ცდილობს, მკითხველს განზოგადებული სახით მიაწოდოს ის მიზეზები და თვალით დაუნახავი კრიზისული მოვლენები, რამაც იაკობინელების დამბობა და დასჯა გამოიწვია.

რომანტიზმიდან იმპრესიონიზმამდე, ანუ ვიქტორ ჰიუგოდან ანატოლ ფრანსამდე საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მწერლების განწყობასა და მსოფლმხედველობაში ბევრი რამ შეიცვალა. ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთში მოხდა კიდევ რამდენიმე რევოლუცია, რომლებიც მარცხით დამთავრდა; ამავე პერიოდში დიდად განვითარდა მეცნიერების თითქმის ყველა დარგი და საზოგადოებრივი ინსტიტუტები. ამან კი ცხოვრების, ბუნებისა და ადამიანის უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა მოითხოვა და ლიტერატურული ჟანრების და მიმართულებების განვითარებაზეც იქონია გავლენა. რომანტიზმი კრიტიკულმა რეალიზმმა შეცვალა, კრიტიკული რეალიზმი კი იმპრესიონიზმმა, რომლის თუ შინაარსი არა, მეთოდი და ხატვის სტილი ანატოლ ფრანსმაც გაიზიარა. მაგრამ, როგორც ყველა დიდი მწერალი, იგი ვერც ერთ მიმართულებაში და ვერც ერთ მანიფესტით შემოფარგლულ პროგრამაში ვერ ეტეოდა. გარდა ამისა, ანატოლ ფრანსი იყო არა მარტო მწერალი, არამედ სწავლულიც და საზოგადო მოღვაწეც და ამიტომ ცხოვრებას, მოვლენებს, ადამიანებსა და მათ ყოფას უფრო კრიტიკულად, უფრო მეცნიერულად უდგებოდა და ცხოვრებას რომანტიკული პათოსით კი არ ალამაზებდა, დაპირისპირებით კი არ ამძაფრებდა, არამედ სოციალურად და ფსიქოლოგიურად იკვლევდა, ეძებდა ისტორიული პროვინციებისა და უბრალო მოკვდავის იდეურ მისწრაფებებს, მისი სულის მამძიერავებელ იმპულსებს და ყოველივე ამას იმგვარ მხატვრულ სამოსელში ახვევდა, როგორიც ხანგრძლივი ფიქრისა და კვლევის შედეგად რჩებოდა ხელში.

ამიტომაცაა ახალი მკვეთრი განსხვავება ერთსა და იმავე მოვლენებისადმი მიძღვნილ ვიქტორ ჰიუგოსა და ანატოლ ფრანსის ისტორიულ რომანებს შორის. მისი მიდგომა იმ ეპოქისა და იმ საზოგადოებისადმი, რომელიც რევოლუციის დროს იყო, სულ სხვაგვარია, ვიდრე რომანტიკოსებისა. მას მიწაზე ჩამოყავს ისეთი საყოველთაოდ აღიარებული და თითქმის ლეგენდად ქცეული გმირებიც კი, როგორებიც იყვნენ მარატი და რობესპიერი. მისთვის ყველა ადამიანი ადამიანია და არაფერი ადამიანური

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი მათგანისათვის უცხო არაა. ამიტომაც არ გვსდევნა რომანში მძაფრი დაპირისპირებები და უმჯობესო კონტრასტები. მწერლისათვის მთავარია ადამიანების გრძნობები და სურვილები და არა საზოგადოების ამა თუ იმ ფენის ერთმანეთისადმი დაპირისპირება. აი, რას წერს ვიქტორ ჰიუგოსა და ანატოლ ფრანსის ისტორიული რომანების საზოგადოებრივ ფენათა ერთმანეთისადმი დაპირისპირების შესახებ რუსი მკვლევარი ი. მ. ნუსინოვი: „ა. ფრანსი ერთ-ერთ თავის ამოცანას იმაში ხედავს, რომ მოკლას კონტრასტი. სამმე ის კი არ არის, რომ შეარბილოს კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგობა, ან ის, რომ დაფაროს ინტერესთა ბრძოლა — არსი სულ სხვაა, მისი აზრით, ურთიერთდაპირისპირება სინამდვილეში ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი, შემთხვევითი და დროებითია, ის, რაც მნიშვნელოვანია, რაც მოვლენების და საგნების არსია, არის ის, რაც ადამიანურია და რაც საერთოა ყველასათვის. ეს კონტრასტი კი არ არის, არამედ ერთიანობაა".

მხატვრული ნაწარმოების დაწყება ცოტათი თუ ბევრად წინასწარ განსაზღვრავს, რა მიზანი აქვს მწერალს ამა თუ იმ ცხოვრებისეული მოვლენის ასახვის დროს და როგორ წარმართავსა მოკმედების განვითარება, რომანი „ღმერთებს სწყრებიან" დიდი ისტორიული მოვლენების ფონზე კი არ იშლება, არამედ იწყება. ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრების აღწერით.

მოკალაქეთა დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, უმეცარი, თავკერძა და მერყეევია, მათ არც საკუთარი მსოფლმხედველობა გააჩნიათ და არც თავისუფლად მოკმედების უნარი. მთელ რომანში მხოლოდ რამდენიმე პერსონაჟია ისეთი, ვინც იცის, რა უნდა, რისთვის იბრძვის და ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიტუაციაში შეგნებულად მოკმედებს. ადამიანები ისეთები არიან, როგორიც ისინი ბუნებამ შექმნა და არ ძალუძთ იყვნენ სხვანაირნი, ყველა ადამიანს გააჩნია ინდივიდუალობა, გრძნობა, განწყობილება. ყველაფერი ეს მოკმედებს მის შეგნებაზე, მის ქცევაზე, ცხოვრებასა და სხვებისადმი დამოკიდებულებაზე და ეს რომ ასე არ იყოს, ადამიანი მაწკანა იქნებოდა და მეტი არაფერი. სიხასხეკეკ გრძნობის ნაყოფი უფროა, ვიდრე მექანიკური მოკმედების. ის, რასაც მწერალი გვიხატავს, შემზარავია, მაგრამ იმის გამო, რომ ყველაფერი ეს ხდება ყოველდღიური, ერთფეროვანი ცხოვრების ფონზე, მაინც არ ტოვებს ტრაგიკულობის შთაბეჭდილებას, მიუხედავად იმისა, რომ რომანის თითქმის ყველა მთავარი გმირი ტრაგიკულად იღუპება.

ყველაზე ტრაგიკული ფიგურა, როგორც თავისი ბუნებით, ასევე მრწამსით, **რომანში** მაინც მისი მთავარი გმირი, ანატოლ ფრანსი მხატვარი ევარისტ გალუნია. ეს არის მთლიანი პიროვნება — პატიოსანი, გულწრფელი, უკომპრომისო, რაც სწამს, სწამს ბოლომდეა ერგებულ ადამიანად. სწორედ ეს თვისებები უდევს საფუძვლად მის ტრაგიზმს. იმ დილით სახლიდან რომ გამოვიდა და პარანგარეთის ყოფილ ეკლესიაში ტაბლოდან, პიროვნი სიტყვები, რაც მან თქვა, იყო: „მე მზად ვარ ჩემი სისხლით მოვაწერო ხელი მოღალატე ფედერალისტების გაძევების აქტს. მათ უნდოდათ მარატის სიკვდილი: დე, ისინი დაიღუპნენ".

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ის კაცის იდეური უკომპრომისობა და დოგმატურობა, შეუპოვრობა და ბრმა რწმენა, რომელიც სულ მალე, როცა სამხედრო ტრიბუნალის ნაფიცი მსაჯული გახდება, ასობით ადამიანს გაგზავნის გილოტინაზე. მაგრამ ამას იგი იმიტომ კი არ აკეთებს, რომ უგულო და უგრძნობელია, არაფრად აგდებს ადამიანის ტანჯვასა და სიცოცხლეს, არა, მას არც მგრძნობელობა აკლია და არც ადამიანის ტანჯვისადმი გულგრილად განწყობილი. იგი იმთავითვე დარწმუნებულია, რომ სჭის სამშობლოსა და რესპუბლიკის მტრებს, ყველა ჯურის მოღალატეებს, ხელერთია, ჯუნის მეწვრილმანეი იგი თუ რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილი არისტოკრატი. სჭის სამართლიანად, რადგან მისთვის აუკვეესად სამშობლოზე და რევოლუციაზე დიდი და მნიშვნელოვანი რამ არ არსებობს, არ არსებობს რესპუბლიკის მოკალაქეობაზე უფრო დიდი მოვალეობა. ამიტომაც აღმერთებს იგი მარატსა და რობესპიერს, ამიტომაც თვლის მათ რევოლუციის სინდისად და ბუნჯად. ყოველი მათი სიტყვა მისთვის სამართლიანია, ყოველი მათი მოწოდება კანონი. ამიტომაც უსმენს მათ მთელი გულისყურით, იზიარებს მათ შეხედულებებს და ემორჩილება ბრმად. სხვაგვარად ცხოვრება და მოკმედება მას არ შეუძლია. იგი არაა პოლიტიკური მოღვაწე, ის კაცი, რომელსაც თვითონ შეუძლია წარმართოს მოვლენები და ამიტომ აღმსრულებელი უფროა, ვიდრე ხელმძღვანელი.

ანატოლ ფრანსს მუდამ აშინებდა როგორც რელიგიური, ასევე რევოლუციური ფანატიზმი, რადგან ფანატიზმმა არაფრის დანახვა, არაგვისა და არაფრის გარჩევა არ იცის.

საერთოდ, ანატოლ ფრანსი წინააღმდეგი იყო როგორც პიროვნების, ასევე ისტორიული მოვლენების იდეალიზაციისა და ამის მხატვრულ განზოგადებას მის რომანშიც ხშირად ვხვდებით. აი, რას ათქმევინებს მწერალი ევარისტ გალენის დედას რევოლუციის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტული ბელადის მარატის შესახებ: „ქმარი, ევარისტ! შენი მარატი ისეთივე ადამიანია, როგორც სხვები და მათ არაფრით სჯობს. შენ ახალგაზრდა ხარ და ილუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიები გაკვს. რასაც დღეს მარატს შესახებ ამბობ, წინათ მირაბოსა, ლაფიეტისა, პესიონისა, ბრისოს შესახებ გითქვამს''.

ევარისტ გამლენი სიყვარულშიც ერთგული, პატიოსანი, მგზნებარე და ტრაგიკული. მისი სიყვარული ბგავს კიდევ რაღაცით რევოლუციისადმი მის დამოკიდებულებას და მის მოქალაქეობრივ კეთილსინდისიერებას. სიყვარული მისთვის მანამდე არსებობს, სანამ არსებობს რევოლუცია, მოვალეობა, ხოლო როცა ცოდვებით დამძიმებულმა იაკობინელების დამარცხების მიახლოვა იგრძნო, თავის საყვარელს, ელოდის პირდაპირ ღა გულწრფელად უთხრა: ამიერიდან შენი სიყვარული აღარ შემიძლია, რადგან სამშობლოსა და რევოლუციის გულისათვის უზომი სისხლი დავღვარე და შეჩვენებული ვარ, ამიტომ უარი უნდა ვთქვა ყოველგვარ სიხარულზე, ცხოვრების სიტკბოებაზე და თვით სიყვარულზეც კი. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ გამლენს ეშვი ეპარება საკუთარ სიმარილეში, რომ მან გადაფაფახა და სხვაგვარად განკვრეტა მის თვალწინ მომზდარი მოვლენები. არა, მისი ფანატიკური რწმენა იმ იდეალთა მიმართ, რომელთაც თავი შეუწირა, ურყევი რჩება. ელოდისთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ იგი ბალში ბავშვს ხელში აიყვანს და ეუბნება: „ბავშვო, შენ თავისუფალი, ბედნიერი იქნები, როცა გაიზრდები და ამას შეჩვეეინებულ გამლენს უნდა უამდლოდე. ეს სასტიკი ვარ, რათა შენ ბედნიერი იქნე. მე ბოროტი ვარ, რათა შენ კეთილი იქნე. მე შეუბრალებელი ვარ, რათა ხვალ ფრანგებმა ერთმანეთი გადაკოცონონ და სიხარულის ცრემლები დაიფრქვიონ".

ამგვარად, ევარისტ გამლენის ხასიათ მწერალმა დაგვიხატა არა რევოლუციის ხელადი და წინამძღოლი, არამედ ერთ-ერთი რიგითი ფუნქციონერი, ღარბი მხატვარი, ხელოვანი, რომელიც, როგორც პირონენი იმდენად მთლიანია, ისე სწამს რევოლუციისა და თავისუფლებისა, რომ საკუთარ მოწოდებასაც კი ივიწყებს, მხატვრობაზე ხელს იღებს და თითქმის ყველა სურათს დაუმთავრებელს ტოვებს.

ევარისტი დარწმუნებული იყო, რომ მოღალატეების, უნიჭო მხედართმთავრების, ათეისტების, სპეკულიანტების, მეძავი ქალების დასჯით სამშობლოსა და რევოლუციას იხსნიდა, საზოგადოებას გონებრივად და ზნეობრივად აამაღლებდა, მაგრამ შიშველმა ტერორმა და დაუსაბუთებელმა | განაჩენმა საპირისპირო შედეგი გამოიღო — რესპუბლიკაც დაეცა და მისი დამცველებიც სიკვდილით დაიხოცნენ.

ფრანგი ეხეისტი და კრიტიკოსი ჟ. ეველანდი თავის ნაშრომში „ანატოლ ფრანსი — სოციალური კრიტიკოსი", ამბობს: „ან. ფრანსმა იცის, რომ საკუთარი ინსტინქტების ამარა დარჩენილი ადამიანები ცუდ ჭაბს უფრო ადგებიან, ვიდრე კარგს, განსაკუთრებით მაშინ მოაკვს ამას ცუდი შედეგები, როცა გვინდა ძალით მოვახვიოთ თავზე სხვებს ის, რაც ჩვენ სწორად მიგვაჩნია. ახეთ კაცად წარმოგვიდგება ფანატიკური რევოლუციონერი. მხატვარი გამლენი, იეფო ქრიტეს სახე რომ აქვს და ანსოლუტური სამართლიანობის დამყარების მიზნით სისხლისმოწყურებულ ურჩხულად იქცა".

მაგრამ სულ სხვანაირად იხილავენ და ანალიზებენ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის 1793-1794 წლებს ის იაკობინელთა პოლიტიკურ მოღვაწეობას საბჭოთა ისტორიკოსები და საფრანგეთის ლიტერატურის მკვლევარები. ი. მ. ნუსინოვი თავის დიდ გამოკვლევაში „ისტორიული რომანის პრობლემა" წერს: „ამგვარად, ან. ფრანსმა არ დაგვანახვა მონტეზიერი, როგორც ქვეყნის უცხო მოძალებისაგან დაცვის ხელმძღვანელი, მონტეზიერი, როგორც სოციალური წყობის გარდამქმნელი, როგორც „თანამედროვე საფრანგეთის" სოციალური საფუძვლების ჩამყარელი, მონტეზიერი, როგორც რევოლუციის კლასობრივი მტრების საფრანგეთში შეკრის წინააღმდეგ მებრძოლი. იმ მონტეზიერის ნაცვლად, რომელიც ისახავდა მტკიცეს, შეგნებულად დასმულ ისტორიულ ამოცანას, რაც მას აიძულებდა, სხვათა შორის, ამ ამოცანის გადასაწყვეტად ტერორისთვის მიემართა, ან. ფრანსმა დაგვიხატა დოგმატიკოსი, რომელიც მექანიკურად ასრულებდა „მწყურვალე ღმერთების" ნებას. რომაში „ღმერთებს სწყურიათ" დოგმატიკოსი მათ სისხლით უკლავს წყურვილს, იმათი სისხლით, რომელთა თავები შემთხვევით მისი ნაჯახის ქვეშ აღმოჩნდნენ.

გამლენის იდეალიზმს, დოგმატურობას და უკომპრომისობას უპირისპირებენა რომანის მეორე პერსონაჟი, ფილოსოფოსი და სალდ, რეალურად მოაზროვნე მორის ბროტი დეზილეტი, რომელიც შემწყარებელურად, ირონიული ღიმილით უყურებს და აფასებს ყველფერს, რაც მის ირგვლივ ხდება. ან. ფრანსი უმოგრესად ამ პერსონაჟის პირით გამოთქვამს ის აზრებს და შეხედულებებს, რასაც საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაზე ფიქრობს და მორის ბროტის შემდეგნაირად ახასიათებს: „წუნარი, მომლიმარი, განუშორებელი ლუკრეციუსის წიგნით ყავისფერი რედინგოტის უზარმაზარ ჯიბეში".

მორის ბროტო გამლენისაგან განსხვავებით ათეისტია, მას არც ღმერთი სწამს, არც სამოთხე და არც ჯოჯოხეთი. მისი აზრით ადამიანის ცხოვრება თავდება მაშინ, როცა იგი კვდება და სიკვდილთან ერთად თავისუფლდება ვრძნობებისა და სურვილებისაგან, თავისუფლდება იმ ტანჯვისა და ტკივილებისაგან, ყოველდღიურად რომ აწევს მხრებზე, იმ იდეე-

ბისა და აზრებისაგან, სულსა და გონებას რომ უშლიდეს, დანაშაულს ჩაადენინებს. კაკიანი კაცი, მისი აზრით, ამ ცხოვრებაში მხოლოდ სიამოვნებას უნდა ეძებდეს და სიკეთილს მშვიდად ელოდეს. სხვაგვარად არა მარტო ადამიანის ქმედება კარგავს აზრს, არამედ თვით ცხოვრებაც.

ბროტოს ყველაზე მეტად აღიზიანებს იაკობინელების იდეალიზმი, მათი დოგმატურობა, სურველი იმისა, რომ გარდაქმნან ცხოვრება, ისეთი გახადონ, როგორიც სურთ, რომ იყოს და ამას აკეთებენ ძალდატანებით, ტერორით.

ცხოვრება ვითარდება ბუნების კანონების მიხედვით, ადამიანი ბუნების შექმნილია და ამიტომ მისი ძალად გადაკეთება, მისი ბიოლოგიური თვისებებისა და ფსიქიკის შეცვლა შეუძლებელია, შეუძლებელია მისი ერთბაშად გაუმჯობესება, გაკეთილშობილება. მორის ბროტოს აზრით, ამის გაკეთება არც რევოლუციას შეუძლია და არც ზნეობრივ ნორმებს. ეს რომ შეუძლებელი იყოს, ადამიანი დღეს სულ სხვანაირი იქნებოდა, ვიღრე რამდენიმე საუკუნის წინათ იყო და მისი ძალად გადაკეთება აზრად არ მოუვიდოდა არავის. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, მსჯელობს მორის ბროტო, რომ საშუალო ადამიანი დღესაც არა მარტო მრიყვი, უმეცარი და გონებაჩლუნგია, არამედ ისეთივე შურიანიც, ხარბიც და, რაც მთავარია, მხდალიც, როგორც ჩვენი წინაპრები იყვნენ. ადამიანთა უმრავლესობის ეს ინდივიდუალური თვისებები ბუნებრივად მდღვნდეს ცხოვრებაში და, რაც უფრო მეტ ზნეობრივ დაწოლას განიცდის რიგითი მოკვდავი, მით უფრო უამაყოფილო და ამორალურია. ამიტომ არც აღმერთებს მორის ბროტო არც კაკის, არც გონებას და არც ზნეობრივ ძალას, ამიტომაც არ თვლის არავის არც სათაყვანებელ წმინდანად და უკიდურესობამდე ბიწიერად, ამიტომაც არ მიაჩნია საჭირად კეთილშემდეგი და მახლობელზე ზრუნვა, მით უმეტეს, საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვა. მოკმედებას მას უმოქმედობა ურჩევნია, ცხოვრებაში ჩარევას — ჩაუჯველობა, მაგრამ ცხოვრება ცოცხალ ადამიანს თავისთვის არ ტოვებს. მისდაუნებურად ითრევს საკუთარ მორევში და დაუშსახურებლადაც კი მიაგებს იმას, რასაც ყოველ კაცს შემოხვევითობა და ბედისწერა უმზადებს. ეს კი ადამიანს აშცარებს, უმწეოს ხდის და აჭერს იმაში, რომ მის ცხოვრებას არავითარი ფასი არა აქვს. როცა სიკვდილით დასჯაზე მსჯელობენ, მორის ბროტო ასეთ რამეს ეუბნება ეკარისტ გამლენს: „მე არსებითად არაფერი მაქვს სათქმელი გილოტინის წინააღმდეგ, ბუნებას, ან ჩემს ერთადერთ ოსტატსა და მასწავლებელს, ჩემთვის არ უთქვამს, რომ ადამიანის ცხოვრებას რაიმე ფასი ჰქონდეს, პირიქით, იგი ყოველი გზით გვასწავლიდა, რომ ეს არავითარი ფასი არა აქვს. როგორც ჩანს, ყოველი არსების ერთადერთი მიზანია საკვებად გადაიქცეს სხვა არსებისათვის, რომელსაც იგივე დანიშნულება აქვს. კაკლელთაგან ბუნებრივი უფლებაა, მაშასადამე, სიკვდილით დასჯაც კანონიერია იმ პირობით, რომ მას იყენებენ არა სათნოებისა და სამართლიანობის სახელით, არამედ აუცილებლობის კარნახით და სარგებლობის მიზნით. მაგრამ მე არაბუნებრივი ინსტიქტები უნდა მჭონდეს, იმიტომ, რომ მეზარება სისხლის დანახვა და ეს ჩემი სიმპიხწე ვერ გაასწორა ჩემმა ფილოსოფიამ".

მართალია, მორის ბრტო ამას ფიქრობს და ის, რასაც ფიქრობს, სიმრთლეად და ეშმარიტად მიაჩნია, მაგრამ ცხოვრებაში იგი სულ სხვანაირად იქცევა. ბუნებით კეთილი, სათნო და გულმოწყალე ადამიანია, თუ რაე სამაჯლობას ან უსამართლობას ხედავს ირგვლივ, იბრძვის მის წინააღმდეგ. თუ ვინმეს დაბმარება ან შველა სჭირდება, ეხმარება და შველის კიდეც. ზოგჯერ კი ისეთ ხელგაშლილობას იჩენს, რასაც ხელმომჭირნე და ვიწრო ეგოისტი არ გამოიჩენდა. იგი მშიერ და დევნილ ბარნაბიტელ ბერს ჯერ პურის რიგში დაიცავს, როცა მას ფულის მოპარვას ცდილობენ, რასაც თვითონაც კინაღამ გადაყოფა თავი, შემდეგ კი მთლად გაუბედურებულს გაამხნევებს, დაამურებს და თავშესაფარსაც კი მისცემს საკუთარ სხვენზე. ახეთ კეთილად და თანაგრძნობით მოეკავა იგი ახალგაზრდა მეძავ ქალს, ათანაბისხაც, რომელიც ახეთე შეიფარა, დაამშვიდა და, როცა საკუთარი ბინიდან გაიხტუმრა, მთელი თავისი თანხის ნახევარი მისცა ეტლის დასაქირავებლად. მაგრამ ყოველივე ეს, რაც მას აღზრდილი და ჰუმანისტური იდეების ზეგავლენით აქვს შეთვისებული, ეწინააღმდეგება მის ფილოსოფიურ შეხედულებებს ცხოვრებაზე და ადამიანთა ურთიერთობაზე.

მორის ბროტო საღად მოაზროვნე, დაკვირვებული, კაკიანი კაცია. ციხეში ბროტოსთან ერთად პოეტებიც ისხდნენ, რომელთაც სიკვდილით დასჯა ელოდათ, მაგრამ მაინც ალტაცებულ ოდებს უძღვნიდნენ საფრანგეთის გამარჯვებულ ჯარს და ფრანგ გენერლებს, მხოლოდ მორის ბრტო იყო ალზევებული გენერლებისადმი სკეპტიკურად განწყობილი და როცა ერთ-ერთმა პოეტმა რიანის არმის ტრიუმფს პოემა უძღვნა და მსმენელებმა მხურვალე ტაშით დაჯილდოვეს, მორის ბრტოს ასეთი სტატეგები დასცდა: „ჰომეროსის შემდეგ პოეტებს უცნაური ავადმყოფობა დასნეულდა, ხელდობრ, მეომრის ხოტბის შესახმ. ომი ხელოვნება არ არის და ბრძოლის ბედს მხოლოდ შემთხვევა სწყვეტს. ორი მოწინააღმდეგე უმკეთო გენერლიდან აუცილებლად ერთმა უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაიმარჯვოს. „ჩვენ მოესწრებით, რომ ერთს მშვენერ დღეს ეს მაგალითი აღეპოვნილი ადამიანი, რომელსაც ახლა ალმერთებთ, გადგეს ულამაკეთ, როგორც იგავში წერო ბაკაკეს ულამაკეს. მაშინ იგი მართლაც ღმერთი იქნება, რადგან ღმერთის მადიანა სცნობენ". ეს წინასწარმეტყველება აუსდა კიდეე საფრანგეთს. სულ მალე ნაპოლეონ ბონაპარტემ რევოლუციას ბოლო მოუდო.

მართალია, რევოლუციის ბელადები რომანის მოავარი გმირები არ არიან, მაგრამ მარატისა და რობესპიერის სახეს ფრაგმენტულად მაინც გვიხატავს მწერალი. მარატს იგი გვიხასიათებს მესაზე პირის, გამლენისა და ხალხის წარმომადგენელთა რეპლიკებით, რობესპიერზე კი უფრო მეტს ლაპარაკობს: „რამდენმა შრომამ და რამდენმა ტანჯვამ დასტოვა კვალი მის შუბლზე? რა სამძიმოა კაცობრიობის ბედნიერებისათვის მუშაობა! რას ფიქრობს ამ წუთში, ავიწუპინების თუ არა ყოველდღიურ საზრუნავს ამ მოიელის გუდასტეირის ხმა? ფიქრობს თუ არა, რომ სიკეთლთან ხელშეკრულება აქვს დადებული და მოახლეობულია უკანასკნელი ეამი? გადაწყვეტილი აქვს თუ არა საყოველთაო ხსნის კომიტეტში დაბრუნება, საიდანაც გამოვიდა, იმიტომ, რომ ველარ გაუძლო აჯანყებულ უმრავლესობას, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ხალ, კუტონსა და სენ-ჟიუსტს? ამ განუკეურეტელი ნიღაბის უკან რა იმედები და შიში იმალება".

ამგვარად, ა6. ფრანსი თვით რობესპიერის წინააღმდეგ კი არ ილაშქრებდა, პირიქით, იგი მას განაალებულ და წესიერ ადამიანად თვლის. მწერალს რობესპიერი მხოლოდ (ის არ მოსწონს, რომ რევოლუციის ბელადს სიკეთისა სჯერა, ხოლო სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც ამდაგვარი აზრებით არიან შეპყრობილნი, უკეთილშობილესი განზრახვით წარმოუდგენელ ბოროტებას სჩადიან, რადგან ადამიანებზე აყალი, ოტტმიტაური აზრი აქვთ. „ბატონ ეერომ კუანიარის აზრების" 21-ე ფურცლზე ანატოლ ფრანსი ამბობს: „თუ ადამიანების წინაშეძღოლობას კისრულობ, არასოდეს არ უნდა გამოგარჩეს მბედველობიდან, რომ ისინი უკეთური მაიმუნები არიან. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება იყო ხალხისანი და მუშაობენ ხელმძღვანელი. რევოლუციის სიგიჟე იმაში მდგომარეობდა, რომ სურდა დედამიწაზე სათნოება დაეფყარებინა. როცა გინდა ადამიანები ეკეთილი, გონიერი, თავისუფალი, თავშეკავებული და სულგრძელი გახადო, ფატალური ეზნი იმ სურვილებად მიდინარ, რომ ყველა ისინი დაბო�r. რობესპიერს სწამდა სიკეთე, სათნოება და ამიტომ მივიდა ტერორამდე. მარატს სწამდა სამართლიანობა და ამიტომ თბოულობდა ორასი ათასი კაცის თავს".

ა6. ფრანსი რეალურად უყურებს როგორც ცხოვრების მიმდინარეობას, ისევე ადამიანებს. ეს ქცევას, მოქმედებას და გადაწყვეტებს ამაში, რომ მიუხედავად რევოლუციური სულისკვეთებისა, აღმავლობისა და ენთუზიაზმისა, მიუხედავად მონარქიის დამხობისა და დემოკრატიის გამარჯვებისა, ადამიანები მაინც უცვლელნი რჩებიან, ცხოვრებას ისევე მოთხოვნების უყენებენ, როგორსაც რევოლუციამდე უყენებდნენ და ცდილობენ დაიმაყოფილონ თავიანთი ბიოლოგიური და ეროტიული მოთხოვნილებები, ინრძოლონ ადგილისათვის ცის ქვეშ და არსებობისისათვის ბრძოლაში გამოიყენონ ყველა ის მეთოდი, ადრე რომ იყენებდნენ. ეს ადამიანები კონკრეტული ეპოქის კონკრეტული წარმომადგენლები არიან. მათ საკუთარი არც მსოფლმხედველობა გააჩინათ და არც იდეები, ანგარიშს მხოლოდ ძალიერებს უწევენ და ემორჩილებიან იმას, ვისაც ძალაუფლება უპყრია ხელთ. ხოლო თუ რომელიმე მოვლენა მათ პირად ინტერესებს ეხსახურება, თუ გამოსარჩენს ხედავენ საფმე. სინდისს, პატიოსნებას და ზნეობასაც ისევე ადვილად იყენებენ, როგორც დამხობილ ფრაკეიას. ამ თვალსაზრისით ქალები მამაკაცებზე არც უკეთესები არიან და არც უარესები.

ელოდი, მიუხედავად იმისა, რომ საყვარულსა და ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას რეალოლუციაზე და პოლიტიკაზე მაღლა აყენებს ამჭვეტნად, ყველა საგორო შემთხვევაში დიდ პრაკტიკულ კეკუას იჩენს და არასოდეს არ ეგეთა ბახეში, არ მიდის უკიდურესობამდე, მაშინაც კი, როცა მის საკვარელს მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრება. ყველაზე ცხადად ელოდის ხასიათში მეტყველებს მისი მსჯელობა, გაბაკვეს ეკარისტს ცოლად თუ არა და ის არგუმენტები, რომელთაც ეკარისტსა ბთხოვეს ბის წინააღმდეგ იშველიებს, როცა საკვრია, ელოდის არც ტუოლის თქმა უკრის და ისიც იცის, თუ როგორი ქცევითა და რა ხერხებით გაბადოს ტუოელი დამაჯერებელი. ერთ-ერთ მის ასეთ ტუოელს სრულიად უდანაშაულო ადამიანი მსხვერპლადაც კი შეეწირა. ელოდი მხოლოდ თავის სიამოვნებაზე, თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს და ის, რასაც გამლენი ტრიბუნალში აკეთებს და რის შესახებაც იგი კარგადაა ინფორმირებული, მის ენნებს მხოლოდ ამბავრეს და არავითარ აღშფოთებას არ იწვევს, არც ფიქრებს და არც ზარავს. იგი ჩვეულებრივი ქალია და ამჭვეუნად მამაკაცს დაპურობილ და ცხოვრებით დაკმაყოფილებულ ინტერესებს. გამლენი მის საკვარლობას ვერც გაბედავდა, თვითონ ელოდის რომ არ ემარჯვა. მართალია, გამლენის დალუპვა მას არ უნდა, მაგრამ საკვარლის შემდეგ, სულ მოკედ ხანში, მას ზუსტად ისევე ამყავს თავის ოთახში ეკარისტის მეგობარი მხატვარი დემარი, როგორც ეკარისტი აიყვანა პირველად.

პარადოქსულია და კონტრასტული ახალგაზრდა მეძავი ქალის ათანასიის სოციალური მდგომარეობა და მისი რევოლუციისადმი დამოკიდებულებაა. ათანასიი მეძავი იმიტომაა, რომ არსებობის სხვა სახსარი არ გააჩნია და თუ რევოლუციის მოწონაადმდგეი, თუ ხმამაღალი გაიძახის „გაუმარჯოს მეფეს", მხოლოდ იმიტომ, რომ კონვენტის დეკრეტის თანახმად ხელისუფლებამ სხეულით ვაჭრობა აკრძალა და მეძავების დევნა, დაპატიმრება და დახვრეტა დაიწყო. ათანასიის წარმოდგენა არა აქვს, რა ხდება მის ირგვლივ, რისთვის დევნიან და აპატიმრებენ და თავგანწირვას მხოლოდ იმიტომ იჩენს, რომ მის თვალწინ დაუპატიმრეს მისი მხსნელი და კეთილსმყოფელი მორის ბროდო.

კონკრეტულ გარემოში ცხოვრობენ და კონკრეტული მიზნებით ხელმძღვანელობენ რომანის ის მამაკაცი პერსონაჟებიც, რომელთაც რევოლუციის დაცვას საკუთარი ინტერესების დაცვა ურჩევნიათ და ამა თუ იმ ფრაკციას მანამდე ემხრობიან, სანამ ეს მათთვის სასარგებლოა. მსატვარ დემიის არაფერი აინტერესებს ამქვეყნად გარდა ქალებისა და ესტამპებისა — არც რევოლუცია, არც პოლიტიკა და არც სამშობლოს ბედ-იღბალი. მისთვის ხელერთია, ვინ იქნება ხელისუფლების სათავეში, ვინ ვის დაასაბრალებს და ვინ ვის დასჯის, მას მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა აინტერესებს.

ძალზე ფრთხილი, თვალთმაქცი, ხარბი და ვერაგია ელოდის მამა, მოკალაქე ბლეზი, რომელიც არაფერს არ ერიდება იმისათვის, რომ ქონება შეიძინოს — არც სპეკულაციას და არც ჯარის უვარგისი ფურაჟით მომარაგებას. ყოდის და ყიდულობს ყველაფერს, რასაც მისთვის მოგება მოაქვს. ფულს სარფიანად ახანდებს და ცხოვრებით დატკბობასაც ასწრებს. ჰუვეს საუვარელი. რაც სხვები შიშშილობენ, იგი ნუგბარებს მიირთმევს და მოუთმენლად ელოდება იმ დროს, როცა იაკობინელების მმართველობა დაემხობა, რათა ათასგვარი მაქინაციებით შეძენილი ქონება თავისუფლად, უშიშრად გამოიყენოს. იგი ბურჟუაზიის ბუნების ტიპიური წარმომადგენელია.

არც რევოლუციონერი მამაკაცები არიან სხვებზე უკეთესები. მათაც მძიმე ტვირთად აწევთ მხრებზე თავსმოხვეული სათნოება და სიკეთე. დრაგუნი ანრი ისე ვერაგულად გიიმტვრეს სახიკვდილოდ თავის ყოფილ საუვარელს ლუიზა დე რიშმორს, რომ თვალსაც კი არ დაასამხამებს, ხოლო იგივე დრაგუნი ანრი ადამიანისა და მოკალაქის უფლებების დამცველი, რევოლუციური კომიტეტის სეკრეტის წევრი, რობესპიერის დამარცხების შემდეგ, როცა სიფრთხე აღარ ეკისრა, ხმამაღალი წამოიძახებს: „მტარვალი აღარ არის. მისი დამჭაშები განადგურებულნი არიან. რევოლუცია განაგრძობს თავის დიდებულ და შემაძრწუნებელ მსვლელობას".

ამგვარად, ანატოლ ფრანსი სკეპტიკურადაა განწყობილი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის, მისი ბელადების, მისი მმართველებისა და სისასტიკის მიმართ, ხოლო იაკობინელებს იგი განსაკუთრებით იმაში დებს ბრალს, რომ ჟან-ჟაკ რუსოს რომანტიკული შეხედულებები ირწმუნეს, მისი „ხაზოგადოებრივი ხელშეკრულება" სახელმძღვანელოდ გაიხადეს და შეეცადნენ სათნოების სახელით ადამიანებისა და ცხოვრების გარდაქმნის, რაშაც ისინი ტერორამდე და უმაგალითო სისასტიკემდე მიიყვანა. ან. ფრანსი წინააღმდეგია ისეთი იდეალიზმისა, რომელიც სინამდვილეს და ადამიანის ბუნებას ანგარიშს არ უწევს. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ თვითონ ან. ფრანსმა რომანის წერის დროს ანგარიში არ გაუწია იმას, რომ იდეალიზმი რომ არა, ცხოვრების გარდაქმნისა და ადამიანის გაკეთილშობილების რწმენა რომ არა, არც რევოლუცია მოხდებოდა, რადგან რევოლუციას ყოველთვის სჭირდება ახალი იდეები, რწმენა იმისა, რომ ადამიანის ყოფაცა და საზოგადოებრივ წყობილებას გაიუმჯობესებს, ხოლო თვით ადამიანს მონობისა და უმეცრობისაგან გაანთავისუფლებს. გარდა ამისა, ან. ფრანსმა უყურადღებოდ დასტოვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც რევოლუციამ მოიტანა. შეიძლება რევოლუციის ზეგავლენით ადამიანის ბუნება არ შეიცვალოს და გაუუჯობესდეს, მაგრამ რევოლუციამ მაინც შეცვალა, როგორც რევოლუციონერების, ასევე ფრანგი ხალხის ფსიქიკა. ისინი უფრო თავისუფალნი, ენერგიულნი, ინიციატივიანნი და უფლებამოსილნი გახადა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაება და სწორედ ამან გამოიწვია ის ენთუზიაზმი და გმირული შემართება, რაც ფრანგმა ჯარისკაცებმა ფრონტზე გამოიჩინეს. ამან კი წარუშლელი კვალი დასტოვა როგორც ადამიანების შეგნებაში, ასევე ფსიქიკაში. იმის უკან წაღება, რაც რევოლუციამ მოიტანა, არაფერით აღარ შეიძლებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთერ მგალობლიშვილი

ერთი ქართული პერიოდული გამოცემის გამო

მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში მრავალრიცხოვან ქართულ პერიოდულ გამოცემებს შორის იბეჭდებოდა ორკვირეული სალიტერატურო დამატება „ლეგეონ“. ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ „ლეგეონ“ „ცისფერყანწელების“ რედაქტორობით ან მათი მონაწილეობით გამოსულ ჟურნალ-გაზეთებს შორის არსად არ მოიხსენიება. „ლეგეონზე“ პირველ ცნობას ვპოულობთ გ. ბაკრაძის ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში: „ლეგეონ“. 1918. გაზეთი „რეკოლუციონერ ნობათი“-სა და გაზეთ „შრომის“ სალიტერატურო დამატება. ქუთაისი. თბილისი. 1918 წ. № 1, № 2, № 37 შენიშვნა. ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება. ცნობა აღებულია „ხალხის მეგობარი“-დან (იხ. 1918წ. №158 და №177)“.

„ლეგეონ“ ი. ლორთქიფანიძის ავტორობით შესულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც (იხ. ტ. 6, გვ. 228).

ეჭვი არ აღეძრავს იმ ფაქტს, რომ სალიტერატურო დამატების სახელწოდების წყაროო დიდი ამერიკელი მწერლის ედგარ პოს პროზაული ნაწარმოება „ლეგეია“ (რუსული თარგმნების მიხედვით „ლეგეია“) იყო. „ლეგეია“ არ არის პირველი ქართული პერიოდული გამოცემა, რომელსაც ქალის სახელი ჰქვია, 1917 წ. ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოიცა ჟურნალი „ლეილა“, რომელიც აღმოსავლური კულტურის თაყვანისცემის ერთგვარი გამოვლინება იყო, მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულ ლიტერატურაზე, განსაკუთრებით კი „ცისფერყანწელების“ შემოქმედებაზე ედგარ პოს ნაწარმოებებისა და მისი მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების გავლენის გათვალისწინებამ გვაფიქრებინა, რომ „ლეგეია“ შეიძლება, „ცისფერყანწელების“ ლიტერატურული ორგანო იყო. ვარაუდის დასასაბუთებლად უპირველეს ამოცანას მისი მოძიება შეადგენდა. ჩვენდა სასიხარულოდ, „ლეგეიას“ ი. გრიშაშვილის უნიკალურ ბიბლიოთეკაში მივაკვლიეთ.

ბიბლიოთეკაში დაცულია „ლეგეიას“ 1918 წლის ორი, ა და ბ ნომერი. მას გარეკანზე აწერია: „ორკვირეული დამატება (მითითებული არ არის, რომელი გაზეთის დამატებაა, № ა-ს ბოლო გვერდზე აზის გამომცემლობა „შრომის“ ბეჭედი), ხელს არც რედაქტორი და არც სარედაქციო კოლეგია არ აწერს.

ორკვირეული ლიტერატურული დამატების პირველი ანუ ა ნომერი იწყება გ. ტაბიძის ლექსით: „შენი ღიმილი“, ამავე ნომერში დაბეჭდილია ლექსები: სარიტონ ვარდოშვილის „ტროიოლტი“, ვალერიან გაფრინდაშვილის „მაისის ტროიოლეტები“, შალვა კარმელის „ღამის დარბაზი“, გრიგოლ ცეცხლაძის „ავი სიზმრები“, რაჟდენ გვეტაძის „ამარტისფერ წარსულიდან“. მინიატურები: ნ. მიწიშვილის „რეა“, დია ჩიანელის „შემოდგომის ყვითელი ლეგენდებიდან“. მეორე ანუ ბ ნომერში წარმოდგენილია ლექსები: ი. გრიშაშვილის „ყვითელი ფერი“, კოლაუ ნადირაძის „ტროიოლეტები“, შალვა კარმელის „დათოვლილი უსტარი“, ნ. მიწიშვილის მინიატურა „ბაბილონის ხალიჩა“. ორკვირეულ სალიტერატურო დამატებაში დაბეჭდილია, ალბეთელი ედგარ პოს ხაოვნელთად აღიარებული ლექსის „ულრანის“ და კნუტ ჰამსუნის მინიატურის „სიყვარულის ძალიერება“ თარგმანები.

როგორც დავინახეთ, ლიტერატურულ დამატებაში „არაყანწელებიც“ ღებულობენ მონაწილეობას, მაგრამ „ლეგეია“ ძირითადად „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურული ჯგუფის წევრების ნაწარმოებებს წარმოგვიდგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლეგეიაში“ მოთავსებული ნაწარმოებების ერთი თვალის გადაღლებაც საკმარისია დაჯერწმუნდეთ, რომ ეგი არა მარტო სახელწოდებით, არამედ შინაარსითაც ამერიკელი მწერლის ამავე დასახელების მოთხრობას ეგავნება. მაგრამ მოთავსებული ეგზემპლარი ორიგინალური ქმნილება თუ თარგმანი საყვარულის თემას ეძღვნება, რომელიც მსგავსად ედგარ პოს „ლეგეიასი“ ქალისადმი უსაზღვრო საყვარულსა და მასთან დაკავშირებულ უდიდეს სულიერ ტკივილებს გადმოსცემს. გარდა ამისა, რომ ორკვირეული ლიტერატურული დამატება ამერიკელი მწერლის შემოქმედებას ეხმიანება, მას სხვა სიმბოლური დატვირთვაც გააჩნია. „ლეგეია“ თავისი შინაარსით „ცისფერყაყნელების“ მანფუტ-ის ერთ-ერთი ლაზზენის — „გიოვანიდი ქალი ვნებიანად“ — გამოხატულებაც არის.

„ცისფერყაყნელების “შემოქმედებაზე ედგარ პოს გავლენის წარმოსაჩენად მეტად საინტერეს-საა „ლეგეიას“ პირველი ნიმერში მოთავსებული „ცისფერი ყაყნების“ ლიტერატურული ჯგუფის წევრის ნ. მიწიშვილის მინიატურა „რეა“. ნ. მიწიშვილის მინიატურას აშკარად ემჩნევა ამერიკელი მწერლის მოთხრობის „ლეგეიას“ გავლენა. „რეა“ „ლეგეიას“ არა მარტო თემით, არამედ შინაარსით, განწყობილებითა და გადმოცემის მსაგავსი ხერხებითაც ეხმიანება.

„რეა“ „ლეგეიას“ მსგავსად წარსულთის მოგონებაა, რომელიც მთხრობელთან ახლანდელ მძიმე სულიერ ტკივილებს გვიხატავს. „რეა“-შიც მთხრობელს მეტისმეტი განცდების გამო წონასწორობა დაუკარგავს, მის სულს ავადმყოფობის კვალი დაჰნევია. ნ. მიწიშვილის მინიატურის მთხრობელსაც ძლიერი სტრესის შედეგად მეხსიერება დაკარგილია და წარსულთან დადაკავშირებული მრავალი ფეტალი დავიწყებას მიხვედია. საუბარი არსების დაკარგვით გამოწვეული უდიდესი ტანჯვის გადატანის, ფიზიკური გადარჩენის გზად ორივე ნაწარმოების გმირებს ღვინო აურჩევიათ. ნაწარმოებებს შორის არის სხვათაც: ორივე შემთხვევაში ქალის სახე გაიდეალებულია, მაგრამ რეა სახე ბევრად უფრო მოკლებულია რეალობას, ვიდრე ლეგეია.

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ შევიჩერდებით ედგარ პოს ცნობილი ლექსის „ულრანი“ გ. მგელელიშვილისეულ თარგმანზედაც, რომელიც ლიტერატურული დამატების მეორე ნომერშია დაბეჭდილი. გ. მგელელიშვილის მიერ გადმოჭრილისეული „ულრანი“ ამ დროისათვის შესაბე თარგმანია. მანამდე ქართულ ლიტერატურაში მოიპოვებოდა „ულრანის“ ვეფა-ფშაველას (1906 წ.) და ს. შანშიაშვილის (1909 წ.) თარგმანები.

ცნობილია, თუ რა პოეტური ნიჭითა და ინდივიდუალობით არის შესრულებული ედგარ პოს ეს უდიდესი ტრაგიზმით და უიმედობით გამსჭვალული ლექსი. „ულრანი“ ლრმა ფილოსოფიური გაგებებითა და ხაოიანი პოეტური ტექნიკით სამრთლიანად ითვლება ლექსის ხაუკეთესო ნიმუშად არა მარტო ამერიკულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც.

„ულრანის“ გ. მგელელიშვილისეული თარგმანი, რა თქმა უნდა, ვერ გადმოსცემს იმ ლიტანებებს, რაც ლექსს ორიგინალში გააჩნია.

როგორც შედარებამ გვიჩვენა გ. მგელელიშვილს „ულრანი“ ბალმონტის რუსული თარგმანიდან გადმოუღია, თუმცა მას ბალმონტის ორიგინალის საზომით შესრულებული ლექსი რვამარცვლიანი საზომით შეუცვლია, ასევე ორიგინალისა და რუსული თარგმანისაგან განსხვავებულია სტროფული კონფიგურაციაც, თითქმის გაორკეცებულია სტროფნების რაოდენობა. „ულრანის“ თარგმანში, თუმცა ის ქართულად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ეღერს, არ იგრძნობა ორიგინალის რიგში და ინტონაცია.

გ. მგელელიშვილისეულ თარგმანში, ბალმონტის თარგმანისაგან განსხვავებით, არ არის გამოყენებული ორიგინალის მხატვრული ხერხები: ალიტერაცია, სიტყვათა გამეორება სტროფებსა და სტროფნებს შიგნით, რაც ლექსს ღღერადობასა და მუსიკალობას ანიჭებს და ამერიკელი მწერლის გამოკვეთილ ინდივიდუალურ სტილს წარმოადგენს.

თარგმანში, არცთუ იშვიათად, ვხვდებით დედანთან არა მარტო სტილურ, არამედ აზრობრივ შეუსაბამობასაც. გ. მგელელიშვილი ცალკეული გადახვევების, სიტყვების არაზუსტად შერჩევის გამო ზმრიან სათანადოდ ვერ გადმოსცემს ორიგინალის შინაარსს. ამის მაგალითია ლექსის მეექვსე სტროფი, სადაც მთარგმნელის მიერ შემოტანილი არარსებული სიტყვებია: „შმაგი“, „მთვრალი“ არათუ ზუსტად არ გამოხატავენ ლირიული გმირის სულიერ განწყობილებას, არამედ მთელ სტროფს სულ სხვა აზრობრივ დატვირთვას სძენენ:

შემოვბრუნდი შმაგი, მთვრალი,
ამ ძახილით სულ შემკრთალი
შემოველ და კვლავ კაკანი
შემომეცა წინანდელი.

ნაკლოვან მხარეებთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანში ულრანის სიმბოლური მნიშვნელობა, მსგავსად ორიგინალისა, თანდათან იკვეთება. ასევე ლექსის რეფრენის ქართული ვარიანტი, „არასოდეს“, დედნის მრავალმნიშვნელობასა და ბგერით შესატკბილობასაც ინარჩუნებს.

„ლეგეია“ ჩვენი აზრით, „ცისფერყაყნელების“ ლიტერატურული ორგანო იყო, თუმცა მასში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, არაყაყნელებიც ღებულობდნენ მონაწილეობას, რაც „ცისფერყაყნელების“ სხვა ეფრენდ-გაზეთებისთვისაც არის დამახასიათებელი. გამოთქმულ ვარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდს განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი შალვა კარმელი, გაზეთ „ბარიკადის“ 1922 წლის მეშვიდე ნომერში დაბეჭდილ წერილში „ბარიკადებზე“, „ლეგეიის“ „ცისფერ-ყანწელების“ პერიოდულ გამოცემებთან („ფიოლენგი ნიამორები“, „შვიდლოსანი“, „ალის“) მოიხსენიებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სალიტერატურო-ო დამატებაში მოთავსებული ორიგინალური ნაწარმოებთა გარკვეული ნაწილი დღემდე უცნობია. ასე მაგალითად, „ეწინდა კავშირის“ ყველაზე უმცროსი წევრის შალვა კარმელის ლექსები: „ღამის დარბაზი“ და „დათოვლილი უსტარი“ არც მის სიცოცხლეში გამოსულ ლექსების პირველ წიგნში „ბაბილონი“ და არც შემდგომ გამოცემულ კრებულებში არ შესულა. „ღამის დარბაზი“ და „დათოვლილი უსტარი“ შალვა კარმელის არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ლექსების განუყოფელ ნაწილს შეადგენენ, რომლებიც ახალგაზრდა პოეტის შემოქმედების დაფსრულებელ, მაგრამ შთამბეჭდავ სურათს მეტ შუქს ჰფენენ. აღნიშნული ლექსები საოკრად მდიდარი, ორიგინალური რითმებითა და ალიტერაციით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ. მკითხველს ვთავაზობთ ამ ლექსებს:

მთვარის ქვით ნაგებ ლამაზ დარბაზებს
ქარი შესტირის არალულებში,
ნარდ-ჯანდრაკების გიჟ ყომრმაზებს
ჩასძინებია მთვრალ ამღელებში.
მოღლილ მხედართა ხმალ მუზარადის
მეფობს სიჩუმე საფარშუბოში,
და ისევნებენ აწ და მარადის
სუსტი ლანდები ღამის კუბოში!..
ღამის დარბაზი, როგორც ქალდეა,
ზზის სამშობლოა ცხელ სატურნებით,
მაგრამ დღეს ვიღაც მეხრმალდეა.
შიგ დანადუმი წყეევის ზურნებით.
მომკვდარა ცეცხლის მოასპარეზე,
ზომლიც გასცლია ღრუბლის ჩარჩოებს,
ვეღარ აკავეთაგ ქალწულ მთვარეზე
ქარვის დობილის ტანს უფარჩოებს!
სიკვდილის მანგა სცემს ქარვასლებში,
ყრუდ მეტყველებენ მყიფი ყაფნები,
ღამე იჭრება სულის ასლებში, —
ღამის დარბაზში მე ვიდაფნები!..

(„ღამის ხიზმარი“)

შალვა კარმელის ლექსზე „დათოვლილი უსტარი“, რომელიც „ლეგეიის“ მეოთე ნომერშია დაბეჭდილი, ი. გრიშაშვილს მიუწერია: „მოლად ჩემი გავლენა“. მართლაც, აღნიშნული ლექსის კითხვის დროს გრიშაშვილისეული რიტმი და ინტონაცია შეიგრძნობა, მაგრამ უაღრესად ორიგინალურია ენოხრივი ქსოვილი და რითმა.

1

იწერები, რომ დაგხიო წერილი,
რომ დაგხიო მე წყალთხესთანავე.
წამს ბარათი მივაქ მოვაქანავე,
საიდუმლო ლურჯ ხაზებით სერილი
და ვიფიქრე, რომ დაგხიო წერილი, —
მაშინ საღა წავიკითხო გრძნობანი,
ნაზ თვისტომის ნაზი გრძნობა რჩეული?!
გადავშალე ჩემი ლექსთა რეფული
და შიგ ჩავდე ლამაზ ბაგის ბეჭმანი,
სადაც ჰფეთქდა ძველ წერილთა
გრძნობანი!..

2

ახ, თუ იცი, რარიგ ვეტრფი ცეცილი,
შენს სახელის მოლიცლეცეა ასოებს!..
შენს ბარათებს ჩემთვის უძვირფასობს!..
ზარიფი ხარ, შუბლს წინამო კვეცილი.
ახ, თუ იცი, რასაცა ვგრძნობ ცეცილ!..
შემოგეტრფი ღამის მშვიდ სერენადით,
მომეყურეთ სულის ჩუმი ქნიფი.
შენ ხარ ჩემი შორეული ნეიფი, —
თუ დავსტკბები, ისევ ჩემი მენადით...
და ვიმღერი ღამის მშვიდ სერენადით...

3

აქ მგოსნები, ვით დაჭრილი გედები,
უკანასკნელ სიყვარულის ჯვრებით, —
სასაღლოს ნელა მივემგზავრებით.
ამოვეკრგეთ სატრფოს ვარსკვლავედები
და ვიმღერით, ვით დაჭრილი გედები!..
ოთახს ეტოვებ მთვარის ამოკრთალებით,
გამოვდივარ მოთეორებულ ქუჩებში.
მოგონება სალამურობს ტუჩებში
მე შენს სარკმელს ვეწყვეტი თვალებით
და ვოცნებობ თავდური წვალებით...

4

ეხ, ოცნება... სულ ოცნება... ოცნება...
არვინ უწყინს, ოს ვიხილავ ზორეულს;
მოლოდინში დავემსგავსე ორეულს.
ვიცი ბაგე ალარ ჩაბეკოცნება!
ეხ, ოცნება, სულ ოცნება... ოცნება!..
განვეშორე მეგობრებს და ყონაღებს,
მასაზრდოვს ჯადოსნური ჰაშიში.
მღერია ძილში ზმანებანი საშიში...
შევეფთვისე ავ სიზმრებსა მონაღებს,
ვიდრე ნაცნობ მეგობრებს და ყონაღებს!..

5

ირგვლივ, გარეთ, სიცივეი მზარავი...
გათოშილან ჭლეკანი ხეები...
ავარდებათ მწვანე სამოთხეები...
დაიდგმება მალე თეთრი კარავი, —
ო, რარიგი სიცივეი მზარავი!..
თოვლის ბალიშს დაეგმხობი ჩვენება,
ამ ჩვენებას ერთხელ ვაკი კაეური,

ამოშრება გულში გრძნობის ნაყური.
და მოგკვდები ესღერ ქარვის მშვენება,
რომ ვაცოცხლო მე ლეილს ხსენება!..

6

პო მოგკვდები! წვალ გარდაცვალ ებით,
სადაც სულნი წინაპართა მელიან.
სამარეთი წამებულთა მხსნელია.
შენ იქნება მომიგონო წვალებით
და მიტირო უცხო გენაცვალებით.
ვერ აღმადგეს ცოცხლად წამწამთ
წვეტებში,
ვერ გამკურნავს ეგ ამორტის ლექსები,
მოგიკვდები ტრფობით დანაჭლექები,
გზას დაიდებ მთვარის შეუღ სვეტებში
და გიტირებ ზამთრის ტროლეტებში!..

მკითხველისათვის უცნობია, ალბათვე, მინიატურები: 5. მიწაშვილის „რეა“, „ბაბილონის ხალიჩა“ და დია ჩიანელის „შემოდგომის ყვითელ ლეგენდებიდან“.

საყურადღებოა ისიც, რომ „ლიგეიაში“ პირველად დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბაძის ლექსი „შენი ღიმილი“. აღნიშნულ ლექსთან დაკავშირებით პოეტის თხუზულებათა პირველი ტომის განყოფილებაში: „ვარიანტები და შენიშვნები“ ვხედებით შემდეგ უზუსტობებს: ლექსის გამოქვეყნების თარიღად 1918 წლის ნაცვლად აღნიშნულია 1917 წელი, ხალტერატურო დამატება მითითებულია როგორც ეურნალი, ხალეწოდების „ლიგეია“ ნაცვლად წერია „ლეგეია“. ახევე ა ლიტერის შესაბამისად, რაც იმ წყაროს აღნიშნავს, რომლის მიხედვითაც გამოცემაშია ლექსი დაბეჭდილი, პირველი სტროფის ბოლო სტრიქონები უნდა იკითხებოდეს „მაგრამ მე უფრო სევდიანი რამე ვიხილე — შენი სიკვდილი, შენი ადრე გარდაცვალება“. პირველ ტომში კი დაბეჭდილია: „მაგრამ მე უფრო სევდიანი რამე ვიხილე შენი სიკვდილი, შენი ადრე დასაფლავება“. ყოველივე ეს ხაეკვოს ხდის იმ ფაქტს, რომ თხზულებათა გამოცემის დროს აღნიშნული ლექსის პირველი ნაბეჭდი წყარო გათვალისწინებული იყო.

უნდა ითქვას ისიც, რომ „ლიგეიას“ მეორე ნომერში დაბეჭდილი ალალუ ნადირაძის „ტროლეტების“ (ტრიპტიხი) ვარიანტი, რომელიც შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებებით შევიდა ლექსების კრებულში „წიწამურიდან სგიურამომდე“, „წმინდა კავშირის“ წიგნის სიმბოლიზტური პოეტიკის გასათვალისწინებლად ბევრად უფრო საინტერესო მასალას იძლევა.

როგორც ირკვევა, ორკვირეული ხალიტერატურო დამატება „ლიგეია“ არათუ ფართო ხაზოგადოებისათვის, არამედ ლიტერატურული წრისთვისაც არც ისე ცნობილია.

და ბოლოს, „ლიგეია“ ქართულ ლიტერატურაში, კონკრეტულად „ცისფერეანწყლებთან“ ედგარ პოს შემოქმედების გამოძახილის აშკარა დადასტურებაა, ამასთანავე, იგი წარმოაჩენს ზოგიერთ დღემდე უცნობ ნაწარმოებებს, რომლებიც ქართველ სიმბოლისტთა პოეტურ მრწამსზე უფრო ნათელ წარმოდგენას ქმნიან. ამდენად, „ლიგეია“ ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით მნიშვნელოვან პერიოდულ გამოცემას წარმოადგენს, იგი განსაკუთრებით დიდ სამსახურს გაუწევს „ცისფერეანწყლთა“ შემოქმედების მკვლევართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემი სამშობლო ჩემი გულია!“...

გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართულ პრესაში ხშირად შეხვდებოდით კრიტიკულ წერილებს, რომლებშიც შიო არაგვისპირელის შემოქმედებაა განხილული. ცალკეულ საკითხებზე სხვადასხვა შეხედულებათა მოუხდენლად, კრიტიკოსები ერთხმად აღიარებენ მწერლის ნიჭსა და მხატვრულ ოსტატობას. ახალგაზრდა ნოველისტის აღიარებაა აკაკი წერეთლის სიტყვები: „ვიტყვი გულწრფელად, ნამდვილი განთიადი ამ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გვიმტკიცებენ ახალგაზრდა მწერლები თავისი პატარ-პატარა ეტიუდებით, რომელთა რიცხვში პირველი ადგილი უჭირავს შიო არაგვისპირელს. ვიცი, ბევრი იტკივის, „მაგრე პატარა რამეებზე არ ღირს ლაპარაკიო“, მაგრამ ხელოვნებამ ზომისა და წონის მხრივ, დიდი და პატარა არ იცის.

გამოჩენილმა ისპანიის მხატვარმა მურილიომ პატარა ტილი დახატა, ეს არის მისი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი. როდესაც გამოფენეს ეს ნაწარმოები — ნახატი მხოლოდ სანიმუშოდ და ჭვეუანა ალტაცებაში მოდიოდა, ერთმა უნიჭო მხატვარმა სპილო დახატა და ჩამოკიდა გვერდით, და როცა არავინ მიაქცია ყურადღება, უკვირდა: ჩემი ნახატი უფრო დიდი არ არისო. ჭერ ბოდიში უნდა მოვიხადო და ეთქვა, უმეტესობას ჩვენშიაც არ ესმის ხელოვნება. ეს პატარ-პატარა ნაწუვეტები მამლის ყივილივით წინამორბედნი არიან ჩვენ ცხოვრება-ლიტერატურაში“ („ცვალ“, 1896 № 21).

მგონანმა შოისადმი დიდი პატივისცემა ლექსითაც გამოხატა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსული ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა კიტა ანაშიძემ, ხოლო მოგვიანებით ქართული მარქსიტული კრიტიკის ფუძემდებელმა ალ. წულუკიძემ. შ. არაგვისპირელს ნაწარმოებები მიუღ-ვნეს, აგრეთვე, ჯოლ. ლომთათიძემ („ზაში“) და ეკ. გაბაშვილმა („ეფრის დღიურიდან“).

ახე რომ, ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებამ თავიდანვე მიიქცია ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება.

შ. არაგვისპირელის შემოქმედების გაცნობისას განსაკუთრებული ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ის, რომ მწერალს მკვეთრად გამორჩეული მხატვრული ოსტატობა ახასიათებს და არის შესანიშნავი მოქმედოული, — იგი ღრმად იცნობს თავის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას. ნოველაში „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..“ შ. არაგვისპირელმა მკვეთრად წარმოაჩინა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი საზოგადოების სულიერი მდგომარეობა, ხაზი გაუსვა ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ეროვნულ ნიჰილიზმს და, როგორც მიხეილ ზანდუკელი აღნიშნავს, „ცხოვრებაში უიალქნოდ ყოფნას“.

შ. არაგვისპირელს მიაჩნია, რომ ეროვნული უბედურება იწყება მაშინ, როცა ადამიანი პირადულ ეროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებს. მწერალი ერის წინაშე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ქალს, როგორც ოჯახის ბურჯსა და დედას.

ქალის პასუხისმგებლობას ერის წინაშე ქართული მწერლობა ოდითგანვე აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის ფიზიკურად გადარჩენისათვის ბრძოლამ განაპირობა ქალის პასუხისმგებლობის გაზრდა სამშობლოს წინაშე.

XIX საუკუნეშ, ახალმა ეპოქამ, ახალი პრობლემები წარმოშვა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართველი ერი, მართალია, ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა, მაგრამ მისი არსებობის საკითხი კვლავ მწვავედ იდგა. კვლავ წარმოიშვა პრობლემა — შენარჩუნებულიყო ერის სულიერი მხნეობა, მორალი, თვითმყოფადობა. მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე მეფის რუსეთის ბიუროკრატიულმა მმართველობამ უარყოფოთი დაღი დასვა ქართველ საზოგადოებას. ჭერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იგრძნობოდა, რომ ქართველთა გარკვეული ნაწილი ცარიზმის ბატონობასთან შეგუების გზას ადგა.

„აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარი მამულისათვის, ცხოვრობენ უსაგნოდ, დიეზეტებიან უგზოუკვლოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარსა თვისსა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა და არცა უსატიოსა გზასა, რომელსა ზედ ვ�. ანგარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკრავენა პატიოსნება; გარნა თუ გგონია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ ეს იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათი წლის მორჩილებისა", — 1831 წელს უთქვამს ივანე ანტაზს პოეტ გრიგორ ორბელიანისათვის. („საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. 14, გვ. 940).

სწორედ ამ პერიოდში შექმნა ნ. ბარათაშვილმა პოემა „ბედი ქართლისა", სადაც ნოლომინ ლიონიძის მეუღლის, სოფიოს სახით დაგვიხატა ქართველი პატრიოტი ქალის იდეალური სახე.

ქართველ ქალთა ეროვნული თვითშეგნების საკითხი წამოჭრა აკ. წერეთელმა ლექსში „სიზმარი".

ილია ჭავჭავაძე ლექსში „ქართველის დედას" აცხადებს, რომ „სიცოცხლის ძალა" „ცრურთა ქვეშე დაჩაგრულმა ბედმა" მოუკლა ქართველ დედას.

ქართველი საზოგადოებრიობის ცრემლსღვრას, სასოწარკვეთას უპარისპირდება არაგვისპირელის მწყვავე სატირა ნოველაში „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!.." პოლონელი მოქალაქე მკაცრად აკრიტიკებს ქართველი ერის მორალურ სახეს და ასეთ დასკვნასაც აკეთებს: ქართველ ერს არ გააჩნია ეროვნული თვითშეგნება.

რატომ „ათქმეული" მწერალმა თავისი შეხედულება ქართველი ერის სულიერი მდგომარეობის შესახებ პოლონელს?

შიო არაგვისპირელი წლების განმავლობაში სწავლობდა ვარშავის სახელთელი ინსტიტუტში და სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად იყო დამაკარსებელი და აქტიური წევრი „საქართველოს განთავისუფლების ლიგისა". ამავე ლიგის წევრი და შიოს უახლოესი მეგობარი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე მიქაბერიძე იგონებს: „შიოს მოფიქრებულ და დაკვირვებულ წინადადებებს ხსდომაზე წრის წევრები ყოველთვის დიდად აფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ. სათვისტომო სანამ შიოს აზრს არ მოისმენდა, იშვიათ შემთხვევაში გადოიტანდა ამა თუ იმ დადგენილებას". „შიო ამ სხდომებზე დიდის ცოდნით, დიდი ერუდიციით გამოდიოდა და არ მახსოვს არც ერთი მისი დისპუტში გამოსვლა, რომ მის აზრს, მის შეხედულებას რაიმე წინააღმდეგობა გამოეწვია."

თუ ალვნიშნავთ იმასაც, რომ ლიგას შეუფუძავეს პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა: 1) ქართველი ხალხის პოლიტიკურად და ეკონომიურად გათვითცნობიერებას, 2) რუსეთის იმპერიაში შეჭავალ დაჩაგრულ ერებთან კავშირის დაჭერას; 3) საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობის შიგა რუსეთის მუშათა კლასთან და გლეხობასთან დაკავშირებას; 4) სერთაშორისო ვითარების გართულების გამოყენებას და სხვ., („ლიტერატურის მატიანე", 7-8, ალ. მიქაბერიძე, „ოფოგონება შიო არაგვისპირელზე", გვ. 88-84-115) უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლიგის წევრები და, მათ შორის, უპირველესად, არაგვისპირელი კარგად იცნობდნენ იმდროინდელ მოწინავე შეხედულებებს, საერთაშორისო მდგომარეობას, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

ისტორიულად XIX საუკუნეში ქართველი და პოლონელი ხალხების მდგომარეობა თითქმის ერთგვარი იყო. ორივე ქვეყანა რუსეთის იმპერიაში შედიოდა და განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდა მეფის ცარისტულ რეჟიმს.

1832 წლის ქართველი შეთქმულები, რომლებმაც შეიმუშავეს თავიანთი ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, კარგად იცნობდნენ რუსეთ-ევროპის განმათავისუფლებელ იდეებს, იცნობდნენ დეკაბრისტებს, პოლონელ პატრიოტებს.

„საქართველოს ეროვნული მოძრაობა რუსეთის იმპერიაში იზოლირებული არ ყოფილა და ფეხდადგმ მისდევდა ცარიზმის მიერ ჩაგრული სხვა ერების — პოლონელების, უკრაინელებისა და სხვა განმათავისუფლებელ მოძრაობას" — აღნიშნულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომში (გვ. 939-940). აქვე ვგებულობთ, რომ ფარული ორგანიზაციის წევრი 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, მწერალი სოლომონ რაზმაძე, რომელიც დაინტერესებული იყო ისტორიის პრობლემებით, ყურადღებას აქცევდა პოლონურ საზოგადოებრივ აზრს და, საერთოდ, შეთქმულები ყველაზე მეტად პოლონელთის ამბებს (1830 წლის პოლონეთის აჯანყება) იცნობდნენ და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მას (გვ. 941, გვ. 952). იმ პერიოდში დეკაბრისტების გარდა საქართველოში ცხოვრობდნენ გადმოსახლებული პოლონელები („პოლონეთის პატრიოტული საზოგადოების" წევრები), რომლებთანაც ქართველ შეთქმულებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ (ლ. ბარამია, „დეკაბრისტები საქართველოში, გვ. 158-160). ასე რომ, ქართველ და პოლონელ ერებს ერთი საერთო ინტერესები გააჩნდათ ამ ეპოქაში.

შ. არაგვისპირელი ორივე ერის არა მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სულიერ მდგომარეობასაც კარგად იცნობდა და ამიტომაც ნოველაში, „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!.." უფრო ნათლად, შეუღამაზებლად, რეალურად წარმოუდგენია მკითხველს ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის მორალურ-ზნეობრივი სახე.

მიხეილ ზანდუკელი ამ ნაწარმოების შესახებ წერს: „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!.." ეხება ფრიად მტკივნეულსა და სასიცოცხლო მოგლენს, როგორც მთლიანად ქართველი საზოგადოებისათვის, ისე კერძოდ, თვით ჩვენი მწერლისათვის, ერის ერთგული, ფხიზელი მოქალა-

ინისთვის. ესაა მტკივნეული საკითხი — ქართველისთვის რამდენად ძლიერია. მაკარი, წამყვანია პატრიოტული შეგნება".

პოლონელი ზდისლავ პშიგალსკი და ქართველი გაბრო დიდი ხანია ერთმანეთს იცნობენ. ზდისი აღფრთოვანა გაბრის მონაყოლმა ხაკრთველოს შესახებ, დაინტერესდა ამ ქვეყნით და გადაწყვეტა ახლოს გაცნობოდა მას. და აი, იგი ჩამოდის თბილისში. ზდისი ეუბნება გაბრის: „უბედური ადამიანი ხარ". და ასე განმარტავს ამ ბრს: „რა უნდა გაარიგოს ადამიანმა იმ ერში, რომელსაც ჭერაც არ შეუგნია ის უბრალო ბეშმარიტება, რომ თავის დედაენით უნდა ოლაპარაკონ, უნდა... — ეს შეუგნებლობით სრულებითაც არ ემრთებათ! — შეგაწყენეტინე ბაანი: — შეგნება კი აქვთ, მაგრამ გარეშეების ბრალია, არ ეხერხებათ, რადგანაც სასწავლებლებიდან თითქმის განდეგნილია ჩვენი ენა... სკოლები კი...

— ვიცი, ვიცი, რაც გინდა თქვა!.. ოჯახები ვიღას ხელშია?!. იკიდან ვიღან განდეგნა?..."

„ვინაც კი ცოტა რამ სწავლა მიუღია და ნასწავლ საზოგადოებაში გარეულა, ყველას დედაენაზედ ხელი აუღია". — ალნიშნავს უცხოელი. „ის ერი, რომელსაც წარსული დიდებული აქვს, რომელსაც თავისი ლიტერატურა აქვს, არ მოისპობა!" — ამბობს გაბრო. აი, რას პასუხობს ამაზე პოლონელი სტუმარი: „თუ წამკითხეკი ერა მაკავს, თუ ხელისშემწყობი არა მაკავს ლიტერატურას, მალე მოისპობა, ორ მილიონამდის ხართ და ორი მილიონი რვაასიდან ათას ხუთასამდის მკითხველს იძლეკა. ნუ თუ მართლა წერა-კოთხვის მცოდნე ათას ხუთასზე მეტი არა გკავთ? არა, ბევრია მცოდნე, მაგრამ სულ მცირედი-და ეტანება თქვენ ეურნალ-გაზეთებს. ისიც მგონი, მომეტებული ნაწილი ამათგან ძალდატანებით ხელის მომწერია. მე დარწმუნებული ვარ, რადგანაც ბევრჯელ მკონია შემთხვევა თვალ-ყურო მედევნებინა, ვინც იწერს, არა კითხულობს და არც სურვილი აქვს წაიკითხოს. რაა ამის მიზეზი?! თუ შენ გეძინელება ამის თქმა, მეკე გიპასუხებ. თქვენ ჯერ ეროვნული თვითშეგნება არა გაკვთ..."

გადის ხანი და ზდისი კიდეკ უფრო მეტად რწმნდება საკუთარ სიტკვაში. ამაში მას „ეხმპარება" ქართველი ქალი, რომელიც, ერთი შეხედვით, ტიპიური განსახიერებაა პატრიოტი ადამიანისა. ზდისი ხვდება, რომ მარო იმიტომ თანაუგრძნობს ეროვნულ საქმეებს, რომ გაბრო მოსწონს, მოსწონს ის ადამიანი, რომელიც გულმხურვალედ ეკიდება ეროვნულ საქმეებს. ზდისს სურს ეკვები დააწუსტოს და კიდევაც მართლდება მისი ეარაუდი. უფრო მეტიც, ეროს უკვე ზდისი მოსწონს და მზადაა გათხოვდეს უცხოეთში, რადგანაც ეკ ელის უკეთეს, ბედნიერ ცხოვრებას. ზდისს ვერ წარმოუდგენია, როგორ მოშორდება მარო თავის სამშობლოს. ზდისთან საუბარში ეკ მარო ამბობს: „ნუთუ გგონიათ, მე გაბრის დამეკვიდრეო ა ზრების მიმდევარი ვიეო?! თუ ასე ფფიქრობთ, სცდებით..." ზდისის ხუტკვიზე „დამეკვიდრებულ ა ზრებზე ეარა მოგახსენებეთ. მე მწკმს რომ სამშობლო ყოველისფერზე უძვირფასესია და ამითათვის მოგახსენებთ..." მარო პასუხობს: „ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც მე ვიქნები, სამშობლო იქ იქნება"

ვ. ცისკარიძე, ერთმანეთს ადარებს შ. არაგვისპირელის ბერას („მიწაა!") და მაროს და წერს: „არაგვისპირელმა საგანგებოდ გამოიყვანა თავისი ნოველის გმირად გაუნათლებელი, საქართველოს მთის ერთ-ერთ სოფელში გაზრდილი, მარტივი ფსიქიკის გლეხი. მისი ღრმა რწმენით, ბერა ეროვნული ხასიათის განსახიერებაა, იგი ასეთი გადარჩა მხოლოდ იქ, სადაც ბურჟუაზიული ქალაქის „ცივილიზაციამ" ვერ მოასწრო ფეხის მოკიდება. კაპიტალისტური ქალაქის წიაღში კი წაიშალა ეროვნული ხასიათი (ვ. ცისკარიძე, „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები", თბილისი, 1972 წ. გვ. 25). თუმცა შ. არაგვისპირელი სასტიკად ამაორახებს ქართველ ინტელიგენციას, რომელსაც ქვეყნის სიყვარული, პატრიოტობა გართობად მიაჩნია, რომელიც მზად არის საკუთარი თავის სიამოვნებისათვის სამშობლო უცხო ქვეყანაზე გაცვალოს. ახეთ ადამიანს მწერალი პირუტყვს ადარებს და ზდისს ეთქმევინებს: „ჩვენი ქალები სულ სხვას იძახიან ამ შემთხვევაში: „ჩემი გული ჩემი სამშობლოსია და თუ ჩემი სამშობლო არ იქნება, ნერც ჩემი გული იქნებაო..." აი, ჩვენი ქალები წმინდათა წმინდაა თავიანთ გულს კიდევაც ანაცვლებენ სამშობლოს... მგონი თქვენი ვაეკბიე ეთანხმებიან მაროს ა ზრს..."

მიბეიდ ზანდუკელი ალნიშნავს: „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!.." მწერლის მიერ სისხლის ცრემლით დაწერილი სტირაა" (გვ. 157). ნოველაში ჩვენი საზოგადოების ბევრი მტკივნეული და საჭიროროტო საკითხებია დასმული. ნაწარმოებიდან აშკარად ჩანს, რომ, შ. არაგვისპირელის აზრით, ერის გადაგვარება იწყება მაშინ, როდესაც ოჯახის დედა, ბურჯი ერისა — ქალი ვეღარ (თუ ადარ) ასრულებს თავის წმინდათაწმინდა მოვალეობას და ჭვეყნის ინტერესებს დაუფიქრებლად სწირავს პირად სიამოვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

უკანასკნელი ორი ათეული წელია აშშ მნიშვნელოვნად გაიზარდა მასიური ლიტერატურის ეანრული ფორმებისადმი მეცნიერული ინტერესი. რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშა ამ პრობლემებისადმი აკადემიური მეცნიერების, (რომელმაც უარი თქვა პოპულარული ეანრებისადმი ტრადიციულ ნიმილისტურ დამოკიდებულებაზე) ანტურმა უუროდღეებამ.

ამგვარ ნაშრომთა შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლიტერატურათმცოდნისა და სოციოლოგის ჯ. კეველის გამომკვლევები. მორიგ ნაშრომში „თავგადასავალი, საიდუმლო და სასიყვარულო ისტორია" ავტორი განიხილავს ლიტერატურის ისეთ პოპულარულ ეანრებს, როგორიცაა მელოდრამა, ვესტერნი, განსაკუთრებით კი დეტექტივი (წიგნის 10 თავიდან 8 უკანასკნელ 6 ეძღვნება).

ჯ. კეველი ცდილობს განზოგადებულ მიდგომას ინგლისურენოვანი დეტექტივისადმი, რომელიც ეანრის ისტორიის, ტიპოლოგიის, სოციოლოგიის და ეხეთიკის კვლევას ემყარება. დეტექტივის პოპულარობის მიზეზი მკითხველთა სხვადასხვა ფენას შორის, ავტორის შეხედულებით, უნდა ვეძიოთ მისი, როგორც ეანრის სტრუქტურის თავისებურებებში, რომლის უმთავრეს ელემენტად ითვლება რაიმე დანაშაულთან დაკავშირებული გამოცანა და მისი ამოხსნა. „დანაშაულის გამოცანად და თამაშად გადაქცევამ, — წერს ჯ. კეველი — დანაშაულთან დაკავშირებული სერიოზული მორალური და სოციალური პრობლემები გაროთხის საგნად აქცია..."

ჯ. კეველი თავის გამოკვლევაში დეტექტიური თხრობის ორ ძირითად ტიპს გამოჰყოფს: 1) კლასიკური, 2) ე. წ. „უხეშს". როგორც ავტორი გვიჩვენებს ეს ორი ტიპი პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კლასიკური დეტექტივის გმირი ხაზგასმულად ინტელექტუალური იყო. ეს თვისება აქცენტირებას უკეთებდა გამომძიებლის უნაკლო, შეუდარებელ ნიჭს და ამით უპირისპირებდა მას მეშჩანური და ბურეუაზიული ხაზოგადოების საშუალო შესაძლებლობების ადამიანს.

კლასიკური დეტექტივის „ოქროს საუკუნედ" 20-იანი წლები ითვლება. ამ წლებში განსაკუთრებით პოპულარულნი არიან ავგატა კრისტის, დოროთი სეიერსის, ეორჯ სიმენონისა და სხვათა რომანები. თუ ეონან დოილთან ბაზგასმული იყო დედუკციური აზროვნების ხერხი და დეტექტივის ანალიტიკური ლოგიკა, ავგატა კრისტისთან მოქმედება მოულოდნელობებზე, ცრუ ვერსიებზე, ეფექტურ დასასრულზე იყო აგებული. და თუმცა ა. კრისტი კარგი აღმწერია, მის რომანებში ყოველთვისაა რაღაც ხელოვნური, მაინცაა ეპიკურობის განსაზღვრული ელემენტი.

კლასიკური დეტექტივის რეალისტური და კრიტიკული ტენდენციები განავითარა ეორჯ სიმენონმა, რომელმაც კომისარ მეგრეს კოლორატული სახე შექმნა. თვით მეგრე თითქოს სიმბოლოა ტრადიციული ღირებულებებისა: აცვია ძველმოდური, ხავერდის საეელოიანი პალტო, განუყრელად თან. აქვს თავისი ქვაბქუდა და ჩიბუხი. ხასიათით ჰუმანისტია, თანაუგრძნობს ღარიბებსა და უღიღნლოებს, არ ჰფლობს დედუქციურ ნიჭს, როგორც შერლოკ ჰოლმსის. მისი გამოძიების ხერხი უბრალო, მაგრამ ეფექტურია: ჩააუენოს თავი დამნაშავის როლში, ცდილობს ჩაწვდეს ცხოვრებისეულ მოვლენებს, შეიგნოს და გაიაზროს ადამიანთა ხაქცელის მოტივები. მერე უბრალოდ კარგად იცნობს ცხოვრებას, განსაზიერებაა ხალი აზრისა, რომელიც მას დანაშაგეთა ირაციონალური სამყაროს გაგებაში ეხმარება.

კლასიკური დეტექტივის კვალდაკვალ ჯ. კეველი დაწერილებით განიხილავს ე. წ. „უხეშ" დეტექტივს. ეს ტიპი დეტექტივისა აშშ-ში შეიქმნა ამ მწერალთა ჯგუფში, რომლებიც ეურნალ „შავ ნიღაბში" თანამშრომლობდნენ. ესენი დანიელ ჰემეტი, რაიმონდ ჩანდლერი და სხვ .

ახეთ დეტექტივზე, კლასიკურის საწინააღმდეგოდ, დაძაბული სიტუაციაში ფაბუალური ჰაკენტი ერწყმის ინტელექტუალურ ძიებას, ლოგიკურ გამოცანას. არსებითად იცვლება თვით გმირის ტიპი. იგი არა მარტო ინტელექტუალია, არამედ ხპეციალისტიც. „თუ კლასიკური დეტექტივის გმირი-წერს ჯ. კეველი-მზოლოდ იძიებს მკვლელობას და აკეთებს მას, რაც არ შეუძლია პოლიციას, „უხეშში" დეტექტივის გმირი არა მხოლოდ იძიებს, არამედ ხკის კიდეც ბოროტმოქმედს. თუ პირველში ცერძო მაძებარი მხოლოდ ინტელექტუალია, მაშინ უკანასკნელში ის პროკურორიც, ხშირად კი განაჩენის აღმსრულებელიცაა. ამიტომაც ამ ტიპის გმირი გაცილებით „უხეშია", ვიდრე კლასიკური დეტექტივისა. ამავე დროს, ახასიათებს რა ამ ტიპის რომანს, ავტორი აღნიშნავს ამ მოვლენის შინაგან არაერთგაეროვნებას. ჯ. კე

უფრელლიანად (გამოიყოფს მასში „რეალისტურ ტრადიციებს რომლებიც კარგად ჩანს მეტ ენასა და ჩანდლერის შემოქმედებაში. ავტორს ბეჭედი მიაჩნია დეტექტიური რომანის პიონერად რომელმაც ამ ჟანრის ახალი, რეალისტური მოდელი შექმნა.

ავტორი გამოიყოფს დეტექტიური ჟანრის სხვა მიმართულებას, რომელიც ბეჭედრო კაჟმორიშია „მასიური კულტურასთან“ და ძალადობას, სიხარტიკეცხა და სექსს უწევს პროპაგანდას.

50-60-ან[illegible]ნლებში იქმნება რომანის ახალი განშტოება, ეხსა „რიმინალური რომანი, რომლის პერსონაჟები ბაზგასაფულად ანტიინტელიქტუალური, პირად მომხიბვლელობას მოკლებული არიან.

დეტექტივი სოციოლოგების შესწავლის საგნადაც იქცა. გამოჩნდა სპეციალური მეთოდური ლიტერატურა. ამ მხრივ, ალანინშნავი ბეტი როზენბერგის ნაშრომები. ავტორი ჯ. კეველტისაგან განსხვავებით, მთელ დეტექტიურ პრობლა „მასიური კულტურის“ ერთერთ მიმდინარეობად მიიჩნევს და ყველა მის ღირსებას ამ კულტურიდან გამომდინარე ხსნის. მაგრამ როზენბერგს აქვს მოელი რიგი ზუსტი, კონკრეტული დაკვირვებანი. მაგ. იგი ოვლის, რომ მთავარი დეტექტივები — თვით დეტექტივის პიროვნებაა. „დეტექტიური რომანი იწერება, იბეჭდება და იკითხება იმიტომ, რომ მკითხველს აღფოროთვანებს მაძებრის პიროვნება, — წერს როზენბერგი-სიუჟეტები ვერ აბერებენ მას. შერლოკ ჰოლმსი 100 წლის შემდეგაც განგრძობს სიცოცხლეს (1887), ისევე როგორც ერკიულ პუარო (1920), ყიულ მეგრე (1931) და სხვა გამომძიებელი, განსაკუთრებით თუ იგი ექსცენტრიულია, თოიმის ხალხურ გმირად იქცევა“. თუმცა როზენბერგის ნაშრომი მეთოდოლოგიურად და თეორიულად ხუსტია, იგი შეიცავს ფართო ბიბლიოგრაფიულ მასალას, წარმოადგენს დეტექტიური ჟანრის გავრცელების დინამიკას სხვადასხვა ქვეეროვნში. წიგნში მოცემულია დეტექტიური რომანების ყველაზე ცნობილი მწერლებისადმი მიძღვნილი კრიტიკულ გამოკვლევათა ნუსხა, პოპულარული გმირების ალფაბეტური. ყოველივე ეს განაპირობებს წიგნის, როგორც სახელმძღვანელოს საცნობარო ღირებულებას სპეციალისტებთვის.

ᲘᲜᲔᲡ ᲓᲔ ᲙᲐᲡᲢᲘᲚᲘᲝ დაიბადა მადრიდში 1933 წელს, წარსულში მდიდარი მიწათმფლობელის ოჯახში. მწერლის დაბადების ჟამს ოჯახი კარგა ხნის ბინა გაკოტრებული იყო. დედამ უმაღლესი განათლება პარიზში მიიღო და აქტიურად თანამშრომლობდა რესპუბლიკის პრესაში. 1939 წელს იგი იძულებული გახდა ვაჟიშვილთან ერთად საფრანგეთში წასულიყო ემიგრაციაში, სადაც ჯერ კიდევ 1936 წელს თავშესაფარი მპოვა მისმა ქმარმა წარმოშობით ფრანგმა. ოჯახი მალე საბოლოოდ დაინგრა, ბოლო[illegible] ბავშვი ბედის ანაბარა დარჩა; მიშელ დელ კასტილიო ცხოვრებას გერმანიის, საფრანგეთისა და ესპანეთში საკონცენტრაციო ბანაკებში ეცნობოდა. ომის შემდეგ იგი კვლავ ესპანეთში მოხვდა, უბატრონო ბავშვთა სახლში, მაგრამ მალე იქიდანაც გამოიქცა. მომავალმა მწერალმა ათასგვარ ხელობას მოკკიდა ხელი, საბოლოოდ კი პარიზში დაბრუნებულმა, მამის ნათესავების დახმარებით უმაღლესი დაამთავრა და ფსიქოლოგიის დიპლომი მიიღო.

დელ კასტილიოს მიაჩნია: „მწერლის უმთავრესი ამოცანაა, შესძლოს ადამიანთა გულისჭიმვის გაგება, რაციონალურ მარცვალს მიღმა აღმოაჩინოს ძლიერი ვნებები და სულიერი იმპულსები“.

„ᲛᲮᲘᲐᲕᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲗ“ მწერლის მეცამეტე რომანია, დელ კასტილიო ცდილობს გაანალიზოს ის ემოციური კომპლექსი (ის ვნებანი და იმპულსები) ფაშიზმს რომ დაედო საფუძვლად.

ნაწარმოებს ორი მთავარი გმირი ჰყავს: აველინო პარედი, ესპანეთის ერთ-ერთი პროვინციული ქალაქის პოლიციის უფროსი და სანტიაგო ლარედო, პოლიციის შეფის ნდობით მოსილი პირი, სანტიაგო ლარედო, ერთის მხრივ, აველინო პარედის ანტაგონისტია და მეორეს მხრივ ტუუბინგალოვით ჰგავს. მწერალი სწორედ სანტიაგოს პირით გადმოგვცემს თავის საჩვენელს.

რომაში აღწერილი მოვლენები ემთხვევა ფრანკიზმის კრახს, და დემოკრატიული გარდაქმნების დასაწყისს.

პოლიციის უფროსის ინტერესის საგანი ერთია, იგი წესრიგს ემსახურება. სიძულვილი ყველაფერი ცოცხალისადმი — პარედის ძირითადი თვისებაა, წესრიგისადმი მანიაკური სწრაფვა ადამიანებს მის წარმოსახვაში ავტომატებად აქცევს.

პარედის თხოვნით გადმოიყვანეს ლარედო უეცრად, პოლიციელმა ამ კაცში თავისი ორეული აღმოაჩინა, რომელის ხასიათიც და ბედ-იღბალიც წვეთი წყალივით ჰგავდა მისას. ლარედოც ხალისით მსახურობს პოლიციაში, გარდა იმისა, რომ ძალაუფლება აზიდავს ლარედო თითქოს მამის, ყოფილ ანარქიტის ჭირნაზეც იქცევა, როცა წესრიგს ემსახურება. აღწერს რა პარედის პიროვნებად ჩამოყალიბების რთულ გზას, დელ კასტილიო იყენებს კლასიკური რომანისთვის დამახასიათებელ ხერხებს. აველინო პარედმა არ იცის მშობლების სიყვარული: არც ინვალიდ მამას და მითუმეტეს, არც ფსიქიურად დაავადებული დედას შვილის დარდი არ ჭერნიათ. ღირსებაშელახული ბავშვი მთელი ცხოვრება სხვათა დაცინვის საგანი რომ იყო, თავის თავში ჩაიკეტა და როცა ხელში ძალაუფლება ჩაიგდო, მთლიანად დაუმორჩილა სამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიერის გადახდის ფინს. საბოლოოდ ამ განთ-ლებულ, მაღალი ინტელექტის მქონე კაცში ორი პიროვნება შეეჯახა ერთმანეთს, და პარედ-მა ფაქტიურად თვითმკვლელობით დასრულა სიცოცხლე, თუმცა ყოველივე ისე მოეწყო, რომ განაჩენი ლარედოს ხელით აღსრულებულიყო. თავზარდაცემული ლარედო ტოვებს საფ-რანგეთს და შეშფოთებული, რომ შესაძლოა მასაც თავისი უფროსის ბედი ეწიოს, ესაუბ-რი ენის მასწავლებლად მუშაობას იწყებს.

მიშელ დელ კასტილიო, რომანში მეტად სა-ინტერესო პრობლემებს აყენებს, მაგრამ რომა-ნს ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის რომ, პრობლემები იმ დროინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ვითარებისგან სრულიად განყენებულად დგას.

ჟურნალ „ცისკრის“ წინამდებარე საიუბილეო ნომრის ჰონორარი ავტორ-თა სურვილით გადაირიცხება სტიქიისაგან დაზარალებულთა ფონდში.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32.
პასუხისმგებელი მდივანი 72-42-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35
პრიზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 4. 05. 87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 07. 87 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. საღრ.-საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 1177. უე 05960. ტირაჟი 65.000

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 48/128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76886

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

«ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**